კარლ კაუცკი.

ერფურტის პროგრამა

ავტორის წინასიტყვაობით და მოკლე ბიოგრაფიით.

თარგმანი
კ. და მ. ნინიძების

გამოცემა „ახალ თაობისა“

თფილისი
სტამბა „იდეალი“ (მ. ლ. კიკნაძისა). ნიკოლოზის ქუჩა № 6.
1906

მთარგმნელებისაგან

ეს წიგნი დაწერილია გერმანიის გამოჩენილ სოციალ-დემოკრატის კარლ კაუცკის მიერ. აქ განმარტებული და დასაბუთებულია გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის პროგრამა, რომელსაც ეწოდება **ერფურტის პროგრამა,** რადგან ის მიღებულ იქმნა ქალაქ **ერფურტში** მომხდარ პარტიულ კრებაზე 1891 წელს. ეს პროგრამა შესანიშნავია იმით, რომ ნამდვილ მარქსიზმის საფუძველზეა აგებული: ოცნებას, პოეტურ გატაცებას აქ ალაგი არ აქვს, ყველაფერი მეცნიერულათ არის გამოკვლეული და დასაბუთებული. ამიტომ ერფურტის პროგრამას ყველა ერის სოციალ-დემოკრატიისათვის აქვს მნიშვნელობა. მით მეტი მნიშვნელობა აქვს მას ჩვენ, ქართველ მუშებისათვის, რადგანაც ჩვენში მეცნიერული კვლევა-ძიება არცკია დაწყებული. ჩვენ გადმოვთარგმნეთ ეს წიგნი და დარწმუნებული ვართ, რომ ქართულ ენის მცოდნე მუშები ყურადღებით გადაიკითხვენ მას და შეისწავლიან კიდეც.

მთარგმნელები.

1906 წელი, აგვისტო.

ქალ. თფილისი.

და, რაზედაც ქვემოდ ვილაპარაკებ. ვერც „გალატაკების თეორიის" და ვერც „კატასტროფების თეორიის" კრიტიკოსებმა ვერ დამარწმუნეს, რომ ჩემ ნაწარმოებში ცვლილების შეტანაა საჭირო, რადგანაც მე არსად არ მითქვამს არც ერთ აქ დასახელებულ „თეორიების" შესახებ. ეს თეორიები ჩემი ნაწარმოებიდან გამოიყვანეს, თუმცა მე არა ერთხელ გავაცხადე ამის შესახებ პროტესტი.

სწორეთ იმ დროს, როცა ეს ჩემი თხზულება პირველათ დაიბეჭდა, უფრო ადვილი წარმოსადგენი იყო, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ინგლისში, პროლეტარიატი უკატასტროფოთ ჩაიგდებს ხელში პოლიტიკურ ძალას. თვითონ მარქსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ინგლისში, შეიძლება, მოძრაობა მშვიდობიანი გზით დასრულდესო. თუ სხვა დიდ სახელმწიფოების შესახებ მას ეს არ სწამდა — იმიტომ კი არა, რომ რაღაც „კატასტროფების თეორიის" მოტრფიალე იყო, არამედ იმიტომ, რომ ის კარგათ ხედავდა, თუ რა განსხვავება არსებობდა ინგლისის და ხმელეთის სახელმწიფოების მთავრობას შორის. ასეთ შეხედულებასა და „კატასტროფების თეორიას" შორის კარგა დიდი მანძილი არსებობს; განა შეგვიძლია ვისმეს ქარიშხალის თეორიის შექმნა დავაბრალოთ მარტო იმიტომ, რომ მან ღრუბლების შემწეობით მისი ამოვარდნა იწინასწარმეტყველოს! რადგანაც ჩემი ნაწარმოები მხოლოდ ხსნის ცნობილ მსოფლიო შეხედულების პრინციპებს, და არა მისი ტაქტიკის საფუძველს კერძო შემთხვევებისათვის, ამიტომ მე არავითარი საბუთი არა მაქვს „კატასტროფების თეორია" შევქმნა და დავიცვა.

არც „გალატაკების თეორიის" განვითარებაზე მიფიქ-

რია როდისმე. იმ დროს, როცა ჩემი ნაწარმოები დაიბეჭდა, ყველა მარქსისტები დარწმუნებული იყვენ იმაში, რომ პროლეტარიატის განთავისუფლება უნდა მოხდეს არა პროლეტარის გალატაკების ყოველ მხრივ ზრდით, არამედ **კლასობრივ წინააღმდეგობის გამწვავებით** და ამ წინააღმდეგობით გამოწვეულ **კლასობრივ ბრძოლის** წყალობით. „გალატაკების თეორია" მარქსს წინათ არსებულ სოციალიზმის კუთვნილებას შეადგენს. მარქსიზმის უდიდესი ღირსება---ეს კლასობრივ ბრძოლის თეორიის გამარჯვება იყო. ამ შეხედულებით საჭირო იყო კარგათ გაგება კაპიტალის იმ ტენდენციის, რომელიც გალატაკების ზრდაში გამოიხატება, რადგან ეს ტენდენცია გვიჩვენებს ჩვენ კლასობრივ ბრძოლის განუწვეტელ გაფართოებას და გამწვავებას. მაგრამ არც ერთს ჩვენგანს აქედან ის დასკვნა არ გამოუყვანია, რომ პროლეტარიატი უფრო ღარიბი და დაბეჩავებული უნდა შეიქნას. „გალატაკების თეორია" არავითარ როლს არ თამაშობს ჩემ ნაწარმოებში. „კატასტროფების თეორიის" გაჩენის გამო მე არც ერთი მუხლი ჩემ წიგნში არ შემიცვლია.

ამ ორს გარდა ერთი, თვითონ მარქსის მიერ წამოყენებული თეორია ბადებდა ეჭვებს, — კრიზისების თეორია.ის დამყარებული იყო ორმოცდა ათი წლის განმავლობაში შეძენილ დაკვირვებებზე. შემდეგ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში ეს თეორია ბრწყინვალეთ იქნა დამტკიცებული. მაგრამ 1898 წელს ისევ იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ ეს თეორია უსაფუძვლოა. რატომ? იმიტომ რომ უკვე **სამი წელიწადია,** რაც საქმეები მშვიდობიანათ, <u>უკრიზისოთ</u> მიმდინარეობენ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიას რომ ამ კრიტიკოსების

და, რაზედაც ქვემოდ ვილაპარაკებ. ვერც „გალატაკების თეორიის“ და ვერც „კატასტროფების თეორიის“ კრიტიკოსებმა ვერ დამარწმუნეს, რომ ჩემ ნაწარმოებში ცვლილების შეტანაა საჭირო, რადგანაც მე არსად არ მითქვამს არც ერთ აქ დასახელებულ „თეორიების“ შესახებ. ეს თეორიები ჩემი ნაწარმოებიდან გამოიყვანეს, თუმცა მე არა ერთხელ გავაცხადე ამის შესახებ პროტესტი.

სწორეთ იმ დროს, როცა ეს ჩემი თხზულება პირველათ დაიბეჭდა, უფრო ადვილი წარმოსადგენი იყო, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ინგლისში, პროლეტარიატი უკატასტროფოთ ჩაიგდებს ხელში პოლიტიკურ ძალას. თვითონ მარქსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ინგლისში, შეიძლება, მოძრაობა მშვიდობიანი გზით დასრულდესო. თუ სხვა დიდ სახელმწიფოების შესახებ მას ეს არ სწამდა — იმიტომ კი არა, რომ რაღაც „კატასტროფების თეორიის“ მოტრფიალე იყო, არამედ იმიტომ, რომ ის კარგათ ხედავდა, თუ რა განსხვავება არსებობდა ინგლისის და ხმელეთის სახელმწიფოების მთავრობას შორის. ასეთ შეხედულებასა და „კატასტროფების თეორიას“ შორის კარგა დიდი მანძილი არსებობს; განა შეგვიძლია ვისმეს ქარიშხალის თეორიის შექმნა დავაბრალოთ მარტო იმიტომ, რომ მან ღრუბლების შემწეობით მისი ამოვარდნა იწინასწარმეტყველოს! რადგანაც ჩემი ნაწარმოები მხოლოდ ხსნის ცნობილ მსოფლიო შეხედულების პრინციპებს, და არა მისი ტაქტიკის საფუძველს კერძო შემთხვევებისათვის, ამიტომ მე არავითარი საბუთი არა მაქვს „კატასტროფების თეორია“ შევქმნა და დავიცვა.

არც „გალატაკების თეორიის“ განვითარებაზე მიფიქ-

რია როდისმე. იმ დროს, როცა ჩემი ნაწარმოები დაიბეჭდა, ყველა მარქსისტები დარწმუნებული იყვენ იმაში, რომ პროლეტარიატის განთავისუფლება უნდა მოხდეს არა პროლეტარის გაღატაკების ყოველ მხრივ ზრდით, არამედ **კლასობრივ წინააღმდეგობის გამწვავებით** და ამ წინააღმდეგობით გამოწვეულ **კლასობრივ ბრძოლის** წყალობით. „გაღატაკების თეორია“ მარქსს წინათ არსებულ სოციალიზმის კუთვნილებას შეადგენს. მარქსიზმის უდიდესი ღირსება — ეს კლასობრივ ბრძოლის თეორიის გამარჯვება იყო. ამ შეხედულებით საჭირო იყო კარგათ გაგება კაპიტალის იმ ტენდენციის, რომელიც გაღატაკების ზრდაში გამოიხატება, რადგან ეს ტენდენცია გვიჩვენებს ჩვენ კლასობრივ ბრძოლის განუწვეტელ გაფართოებას და გამწვავებას. მაგრამ არც ერთს ჩვენგანს აქედან ის დასკვნა არ გამოუყვანია, რომ პროლეტარიატი უფრო ღარიბი და დაბეჩავებული უნდა შეიქნას. „გაღატაკების თეორია“ არავითარ როლს არ თამაშობს ჩემ ნაწარმოებში. „კატასტროფების თეორიის“ გაჩენის გამო მე არც ერთი მუხლი ჩემ წიგნში არ შემიცვლია.

ამ ორს გარდა ერთი, თვითონ მარქსის მიერ წამოყენებული თეორია ბადებდა ეჭვებს, — კრიზისების თეორია.ის დამყარებული იყო ორმოცდა ათი წლის განმავლობაში შეძენილ დაკვირვებებზე. შემდეგ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში ეს თეორია ბრწყინვალეთ იქნა დამტკიცებული. მაგრამ 1898 წელს ისევ იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ ეს თეორია უსაფუძვლოა. რატომ? იმიტომ რომ უკვე **სამი წელიწადია,** რაც საქმეები მშვიდობიანათ, უკრიზისოთ მიმდინარეობენ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიას რომ ამ კრიტიკოსების

გავლენით შეცდომა ჩაედინა და კრიზისების შესახებ მუ-
ხლი შეეცვალა, ახლა ის იძულებული იქნებოდა ხელ-
ახალი ცვლილება მოეხდინა. თუ დავუშვებთ, რომ ასეთ
ნაჩქარევ და ზერელე კრიტიკას შეუძლია გავლენა
იქონიოს ჩვენ პროგრამასა და შეხედულებაზე და ჩვენი
მოქმედების მიმართულების მაჩვენებელი გახდეს, მაშინ
ასეთ კრიტიკას დასასრული აღარ ექნება და იმის მა-
გიერ, რომ საგანი ყურადღებით გამოვიკვლიოთ და შე-
მთხვევითი მოვლენები ჩვენ მიერ დასახულ დიად მი-
ზანს დავუმორჩილოთ, ჩვენ შემთხვევის სათამაშო ნივ-
თათ გადავიქცევით.

მხოლოდ ერთ მუხლში უნდა შევიტანო მცირეოდენი
ცვლილება, სახელდობრ წვრილ წარმოების დაცემის შე-
სახებ **სოფლის მეურნეობაში.** წვრილ გლეხურ მეურ-
ნეობის დაცემა ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლო-
ბაში უფრო ნელა ხდება, ვინემ წინათ, ზოგიერთ შემ-
თხვევაში ასეთი მეურნეობა იზრდება კიდეც. 1892 წ.
ეს ისე აშკარა კიდევ არ იყო. აი ამ მუხლის შესახებ
მე იძულებული ვარ მაშინდელთან შედარებით ცოტა
მეტი სიფრთხილით ვილაპარაკო.

ეს იყო და ეს. მე არავითარი საფუძველი არა მქო-
ნია ძველი ტენდენცია — სოფლის მეურნეობაში მსხვი-
ლი წარმოების მიერ წვრილის გაძევება — უკუმეგდო
და მის ნაცვლათ ახალი, მისი უარმყოფელი ტენდენცია
მიმეღო. გარდა ამისა სტატისტიკური ცნობებიც არა
გვაქვს საკმაოთ სწორი და თვალსაჩინო. თუ სახეში მი-
ვიღებთ წარმოების სიდიდეს, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ეს
ცნობები არ მოწმობენ განვითარების მსვლელობის შე-
ცვლას, არამედ იმის ერთ წერტილზე შეჩერებას.

ის ცვლილება, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში

მოხდა ცალკე სამეურნეო ჯგუფების მიერ დაჩემებულ მამულების განაწილებაში, სრულებით უმნიშვნელოა და ყველგან ერთნაირი არ არის.

მსხვილი წარმოება ზოგან დაეცა, ზოგან კი, პირიქით, წინანდელზე უფრო განვითარდა. პერიოდი, რომლის განმავლობაში, ერთი შეხედვით, განვითარება შეჩერებულა, ისე მოკლეა, რომ შეუძლებელია მთელი საუკუნის გამოკვლევებზე და ფაქტებზე დამყარებული ძველი თეორია უარვყოთ და მის ალაგას ახალი, უმნიშვნელო ფაქტებზე აგებული თეორია მივიღოთ. ჩვენ რომ ახალ თეორიებს გამოვუდგეთ აგრარულ პროგრამის საკითხში, მაშინ იგივე მოგვივა, რაც რევიზიონისტებს კრიზისების საკითხში დაემართათ.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ კაპიტალის კონცენტრაციის თეორია ისე, როგორც ეს მარქსს ესმოდა, არა თუ არ უარყოფს წვრილ წარმოების არსებობას, პირიქით, ის შესაძლებლათ სცნობს მის ზრდას არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მრეწველობის და ვაჭრობის ზოგიერთ დარგებშიაც კი. მხოლოდ მარქსის დიალექტიკის შემწეობით შეიძლება ამ კითხვის გაგება.

ყოველი ტენდენცია ქმნის თავის მოწინააღმდეგე ტენდენციებს, რომელნიც მის გაქრობას ემსახურებიან. იმ შემთხვევაშიაც, როცა ისინი ამას ახწევენ, მათ არ შეუძლიათ ძველი წყობილება უცვლელათ დააბრუნონ ისე, როგორც უკვე წინათ გაბატონებულ ტენდენციების დროს იყო. არა, ისინი ქმნიან სრულიათ ახალ რამეს. მაგალითად, სილატაკე, რომელიც კაპიტალიზმის წყალობით პროლეტარიატს ევლინება, ამ უკანასკნელს სილატაკისავე წინააღმდეგ ამხედრებს. იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ეს ბრძოლა იმდენათ ძლიერია, რომ მას შეუძლია

პროლეტარიატი კაპიტალიზმის მიერ გამოწვეულ სიღატაკისაგან დაიცვას, იმისი იმედი მაინც არ უნდა ვიქონიოთ, ვითომ კაპიტალიზმამდე არსებულ იდილიის დაბრუნება შეიძლებოდეს. მეორე მხრით ჩვენ ვამჩნევთ, რომ პროლეტარიატის მეცადინეობა, შეერთების შემწეობით, მუშებსა და კაპიტალისტს შორის არსებული განწყობილების შესაცვლელათ იწვევს იმას, რომ ხაზეინებიც ერთდებიან. პირველ შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქ, სადაც მუშებმა კაპიტალისტების კავშირებს თავისი ორგანიზაციები დაუპირდაპირეს, არავითარი ცვლილება არ მომხდარა, ე. ი. ძალთა განწყობილება კაპიტალისტებსა და მუშებს შორის იგივეა, რაც წინათ იყო. ნამდვილათ კი ეს განწყობილება სულ სხვანაირია. რაც დიდი ძალა უნდა მოიპოვოს კაპიტალისტების ორგანიზაციამ, ის ისე განუკითხავათ მაინც ველარ იბატონებს მუშათა ორგანიზაციებზე, როგორც ცალკე ხაზეინი სათითაოდ აღებულ, ორგანიზაციას გარეშე მდგომ მუშაზე იბატონებს. კავშირში მყოფ მუშის შეგნება და ტაქტიკა სულ სხვაა და კავშირს გარეშე მდგომის კიდევ სხვა.

ესევე დიალექტიური პროცესი იწვევს იმას, რომ კაპიტალის კონცენტრაციას ზოგიერთ შემთხვევებში თან დასდევს წვრილ წარმოებათა რიცხვის ზრდაც. მაგრამ ასეთი წვრილი წარმოება მხოლოდ გარეგნობით გავს წინანდელს, ნამდვილათ კი ის მისგან განსხვავდება და პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში სულ სხვა როლს თამაშობს.

როგორც უკვე ვიცით, კაპიტალის კონცენტრაცია, მარქსის შეხედულებით, არა მარტო წვრილ წარმოებას უთხრის ძირს, რომელიც დაქირავებულ შრომაზე არაა

დამყარებული, არამედ ის იწვევს აგრეთვე სათადარიგო ჯარის ზრდას მუშათა შორის, რადგან გაცილებით მეტ მუშას უყრის თავს ბაზარზე, ვინემ ეს მისთვის საჭიროა. მაგრამ ამიტომ ის კი არ უნდა ვიფიქროთ, ვითომ მთელი სათადარიგო ჯარი უსაქმოთ დარჩენილებისაგან შესდგებოდეს.

ასეთები მხოლოდ ნაწილს შეადგენენ: ესენი არიან სათადარიგო ჯარის უმაღლესი და უმდაბლესი წრეები, — ქვევით დგანან „ლუმპენ პროლეტარიატი“ (ბოსიაკები), ქურდები, რომელთაც უსაქმოთ დარჩენის არ ეშინიათ, ზევით შეკავშირებული, არისტაკრატი-მუშები, რომელთაც იმდენათ ძლიერი ორგანიზაციები აქვთ, რომ დიდ ხანს შეუძლიათ უსაქმოთ დარჩენას გაუძლონ. ამ ჯარის საშუალო წრის დიდ ნაწილს შეადგენენ დაქირავებული მუშები, რომლებსაც ვერავითარი საქმე ველარ უშოვნიათ თავის ხელობაში და იძულებულნი არიან სხვა ნაირათ გამოიყენონ თავისი სამუშაო ძალა. რომ სამუშაო იშოვნონ, მათ მეტი გზა არ აქვთ, უნდა მიმართონ საკუთარ დამოუკიდებელ წარმოებას, რადგანაც არტელური წარმოება ჯერ კიდევ არ არის მოდაში. ამიტომ, რაც უფრო ჩქარა ხდება კაპიტალის კონცენტრაცია, რაც უფრო ჩქარა ირღვევა წვრილი წარმოება და მატულობს სათადარიგო სამრეწველო ჯარი, მით უფრო ძლიერდება უსაქმოთ დარჩენილების სურვილი გახსნან ახალი სამრეწველო (წვრილი) დაწესებულებანი და ხელი შეუწყონ არსებულების შერჩენას. ეს წვრილი დაწესებულებანი ერთ ალაგას ქრებიან, ხოლო მეორე ალაგას კვლავ დგებიან. კაპიტალის კონცენტრაციამ გერმანიაში ყველაზე უფრო ჩქარა მოსპო წვრილი წარმოება შემდეგ დარგებში: გასანათ მასალების წარმოებაში, სადაც წვრილ დაწესებულებების

რიცხვი 1892-დან 1895 წლამდე 15%-ით დაეცა; ქვის სატეხში — 14%-ით, სამთოში — 34%-ით და საქსოვში — 42%-ით.

ამავე განვითარებამ გაადიდა წვრილ დაწესებულებათა რიცხვი 39%-ით, დამზღვევ საზოგადოებებში — 60%-ით, წვრილ სასმელის დუქნების, რესტორანების, სასტუმროების და სხვ. — 35%-ით; თუთუნის და სიგარების ფაბრიკების რიცხვი 5464-დან 9708-მდე ავიდა, რაც შეადგენს 79%, წვრილი მოვაჭრეების—202709-დან 312059-მდე, რაც შეადგენს 54%. ამ ციფრებთან შედარებით წვრილ წარმოების ზრდას სოფლის მეურნეობაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს—ორ გექტარზე ნაკლები მიწების რიცხვმა იმატა 5½%—ით, 2—5 გექტ. — 3½%—ით. ამ ციფრების ძალით იმის თქმაც კი შეიძლება, რომ კაპიტალის კონცენტრაციის კანონი მართალი არ არის, როცა საქმე სავაჭროებს, თამბაქოს ფაბრიკებს, სასმელების დუქნებს და მრეწველობის ზოგიერთ სხვა დარგს ეხება. ჩვენ მაინც ვიცით, რომ მას აქაც აქვს გავლენა.

კაპიტალის კონცენტრაციის საფუძველზე აღმოცენებულ წვრილ წარმოებას — შინაურ მრეწველობას, ხელზე ვაჭრობას, წვრილ გლეხურ მეურნეობას—სულ სხვა ხასიათი აქვს, ვინემ იმას, რომელიც კონცენტრაციის გავლენამ გააქრო. წინათ წვრილ წარმოებაში საწარმოო საშუალებანი თვითონ მწარმოებლებს ეკუთნოდათ, მათ საკუთრებას შეადგენდენ. ამ ჟამათ გახსნილ წვრილ დაწესებულებების მეპატრონეები კი კაპიტალისტისაგან იღებენ ვალათ საჭირო საწარმოო საშუალებებს, რასაკვირველია, არა უსასყიდლოთ. ეს ითქმის არა მარტო გლეხების შესახებ, რომელნიც მუ'ეაობენ იჯარით აღებულ ან საკუ-

თარს, მაგრამ დაგირავებულ მიწაზე და „კუსტარების“ (შინაურ მწარმოებლების), რომელნიც კაპიტალისტისაგან ღებულობენ საჭირო ნედლ მასალას, არამედ მიკიტანზედაც, რომელიც მხოლოდ ჩარჩის მოჯამაგირეა და სხვა არაფერი და — ხელზე მოვაჭრე ან წვრილ მედუქნეზე, რომელიც ვალათ ღებულობს საჭირო საქონელს.

წინანდელი წვრილი მესაკუთრენი საშუალო წოდებას წარმოადგენდენ: ისინი რამდენიმეთ კაპიტალისტები იყვენ და რამდენიმეთ დაქირავებული მუშები, — ამ ორ კლასს შორის საშუალო ადგილი ეჭირათ. დღევანდელი წვრილი მწარმოებელი გაცილებით დაბლა დგას დაქირავებულ მუშასთან შედარებით, რადგან ის ფიზიკურათ უფრო სუსტია, მისი სამუშაო დღე უფრო დიდხანს გძელდება და უფრო ცუდ პირობებშიც ცხოვრობს. მისი ოჯახი გაცილებით უფრო ძლიერ იყვლიფება. ძველი წვრილი წარმოება, რომელიც კაპიტალის კონცენტრაციამ დაარღვია, ამ უკანასკნელის მეტოქეთ გამოდიოდა. წინანდელი დამოუკიდებელი წვრილი მწარმოებელი კაპიტალისტის მოსისხლე მტერი იყო, თუმცა იმავ დროს მესაკუთრეთა კლასის წევრათაც ირიცხებოდა. თავის ახალ ფორმაში წვრილი წარმოება კაპიტალის გასაყვლეფ საგნათ გახდა, ის მსხვილ წარმოების განვითარების ერთი აუცილებელ პირობათაგანია, რომელიც სამუშაო ძალის დაუშრეტელ წყაროს იძლევა; წვრილი მწარმოებელი ამ შემთხვევაშიაც კაპიტალისტების მტერია, მაგრამ არა როგორც მათი კლასის, არამედ როგორც მათ მიერ გაყვლეფილ კლასის — პროლეტარიატის — წევრი.

მსხვილი კაპიტალისტური წარმოება ვითარდება მხოლოდ მაშინ, თუ სათადარიგო ჯარი არსებობს: ამ ჯარს

მისთვის ორგვარი სარგებლობა მოაქვს: ერთი ის, რომ მუშების სამუშაო ქირის შემცირებას ხელს უწყობს, მეორეც ის, რომ კაპიტალისტს საშუალება ეძლევა ყოველი მოხერხებული მომენტით ისარგებლოს და როცა საჭირო იქნება, წარმოება გააფართოვოს უსაქმოთ დარჩენილების შემწეობით.

კაპიტალისტისთვის სათადარიგო ჯარს იმდენათ უსაქმოთ დარჩენილები არ წარმოადგენენ, რამდენათაც ეგრეთ წოდებული გაპროლეტარებული წვრილი მწარმოებლები. მხოლოდ შრომის ზოგიერთ დარგში იყო აქამდე შესაძლებელი უსაქმოთ დარჩენილების ასე თუ ისე დიდი ხნით შენახვა. მუშები, როცა უსაქმოთ დიდხანს რჩებიან, შრომის უნარს კარგავენ და კაპიტალისთვის სასარგებლო მასალას აღარ წარმოადგენენ. სულ სხვაა გაპროლეტარებული წვრილი ხაზეინები. ისინი ყოველთვის მოახერხებენ მსხვილ წარმოებაში შრომას, და თუ ეს ხელსაყრელია მათთვის, საქმეს მალე და დიდი ხალისითაც ეკიდებიან.

როცა საქმეები კარგათ მიდის, ბევრი სოფლის და ქალაქის მუშა სტოვებს წვრილ წარმოებას და მსხვილში გადადის. წვრილი წარმოების პატრონი კი, განსაკუთრებით მეურნეობაში, ხშირათ მიკრულია თავის საკუთრებაზე და მისი დატოვება და მსხვილ წარმოებაში გადასვლა ადვილათ არ შეუძლია. იქ მიდიან მისი ოჯახის უფრო მომქმედი და განვითარებული წევრები და სახლში მხოლოდ ბებრები რჩებიან. ამ ნაირათ წვრილი წარმოება ახალ ფუნქციას (საქმეს) ასრულებს: უფრო ენერგიულ მუშებს მსხვილ წარმოებას უთმობს, ხოლო ვინც ამ უკანასკნელისათვის გამოუსადეგარია, იმას თვითონ აძლევს ალაგს.

არა მარტო მსხვილი სამრეწველო წარმოება, არამედ სოფლის მეურნეობაც სულ მეტსა და მეტ სათადარიგო ჯარს ითხოვს, რასაც წვრილი წარმოება აკმაყოფილებს. სოფლის მეურნეობას ხშირათ ავიწროვებს ისეთი მიზეზი, რომელსაც მრეწველობაში ალაგი არა აქვს; ერთი ამ მიზეზთაგანი ის არის, რომ სოფლის მეურნეობა, სადაც ის მანქანების, შრომის განაწილების და გაუმჯობესებულ ტეხნიკის შემწეობით კაპიტალისტურ ნიადაგზეა დაყენებული, დრო გამოშვებით მუშების აუარებელ რიცხვს თხოულობს, სხვა დროს კი ძალიან ცოტა მუშა ხელია საკირო. ამიტომ არის, რომ მსხვილ მემამულეებს ხშირათ არა ყავთ მუშების საკმაო რიცხვი; მათ ყველაზე უფრო ესაკიროებათ სათადარიგო ჯარი, შეუკავშირებელ წვრილ გლეხობისაგან შემდგარი; განსაკუთრებით აღმოსავლეთი გერმანია და მისი მიდამოები იძლევიან ასეთ მუშების საკირო რიცხვს: ყოველ წელიწადს მოემგზავრებიან იქიდან მრავალი გლეხები, რომელთაც მემამულეები დიდი ხალისით ეგებებიან. წვრილი გლეხობა რომ არ იძლეოდეს ასეთ მუშებს, მაშინ მსხვილი სამეურნეო წარმოება გერმანიაში გაცილებით უფრო ცუდ მდგომარეობაში იქნებოდა, ვინემ ეხლაა. **ეი რამდენად** საკირო და დღევანდელ წესწყობილებაში წვრილი წარმოება მსხვილისათვის. წვრილი წარმოება არის არა უკეთესი ტეხნიკით აღჭურვილი კონკურენტი მსხვილი წარმოების, არამედ ის უმთავრესი წყაროა, საიდანაც მემამულეები პროლეტარების საკმაო რიცხვს შოულობენ. ისინი ხშირათ ხელოვნურათ ანვითარებენ წვრილ მეურნეობას, რომ შემდეგ თავისუფლათ მიიღონ აქედან პროლეტარების საკმაო რიცხვი.

ამნაირათ ჩვენ ვამჩნევთ, რომ კაპიტალის კონცენ-

ტრაცია თვითონ ქმნის წვრილ წარმოებას და დაინტერესებულიც არის ამ ჯურის წარმოების რიცხვის ზრდაში. გამოდის თუ არა აქედან ის დასკვნა, რომ ამ წიგნში გამოთქმული აზრი წვრილ წარმოების დაცემის შესახებ სიმართლეს მოკლებულია? სრულიადაც არა. იქ ნათქვამია მხოლოდ იმ წვრილ წარმოების შესახებ, **რომელიც დამყარებულია მუშის მიერ საწარმოვო იარაღების დასაკუთრებაზე.**

იმას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს წვრილ წარმოების იმ ახალ ფორმასთან, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საწარმოვო საშუალებანი კაპიტალისტს ეკუთვნის. ამ ახალ წარმოებას ძალიან ბევრი პროლეტარული თვისება აქვს; აქ წვრილი მწარმოებელი ძალიან ნაკლებათ არის დაინტერესებული იმაში, რომ საწარმოვო საშუალებებზე კერძო საკუთრება არსებობდეს: ის თანდათან უფრო ძლიერ ვარდება იმ კლასობრივ წინააღმდეგობაში, რომელშიაც მუშები იმყოფებიან. თუ წინათ წვრილი წარმოება წარმოადგენდა ისეთ მაგარ ბურჯს, რომელიც ხელს უწყობდა როგორც საწარმოვო საშუალებაზე კერძო საკუთრების შერჩენას, ისე თვით კაპიტალიზმის არსებობას, დღეს ის ამ კერძო საკუთრების წინააღმდეგ და ამასთან კაპიტალის წინააღმდეგაც პროლეტარულ აღშფოთების ელემენტს შეადგენს. ასეთ წარმოებაში მომუშავეებს უფრო ავიწროებენ, ვინემ მსხვილში, ესენი უფრო იქანცებიან მუდმივი შრომით, და ერთმანეთს დაშორებულნი არიან. მათი ეკონომიური მდგომარეობა უფრო რთული და გამოურკვეველია, ვინემ ნამდვილ დაქირავებულ მუშების, — აი რატომ არის, რომ ისინი ადვილათ არ ეკარებიან ორგანიზაციას და მათში კლასობრივ

განვითარების შეტანა უფრო ძნელია. ზოგიერთ გარემოებაში შესაძლებელია, რომ ისინი წინ გადაეღობონ პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობას იმით, რომ შტრაიკბრეხერები გახდენ და პარლამენტში ბურჟუაზიული დეპუტატები გაგზავნონ, მაგრამ ისინი ვერასოდეს ვერ იქნებიან ის ელემენტი, რომელზედაც კაპიტალი თავის მუდმივ ბატონობის დამყარებას შეიძლებს. ადრე თუ გვიან კლასობრივი ინტერესები მათაც აიძულებენ მებრძოლ პროლეტარიატის ბანაკში გადასვლას.

წინანდელი წვრილი წარმოება, რომელიც ხელოსნობის აყვავების დროს ვითარდებოდა, იმ დროის საზოგადოებისათვის ისეთ მკვიდრ ეკონომიურ საფუძველს შეადგენდა, ურომლისოთაც მას არსებობა არ შეეძლო. პირიქით, დღევანდელი გაპროლეტარებული წვრილი წარმოება კაპიტალისტურ წყობილების ერთი იმ მრავალ უბედურებათაგანია, რომელიც ისეთივე აუცილებელი მოვლენაა არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, როგორც მაგალითად, ბოროტმოქმედება და პროსტიტუცია, და როგორც ამ უკანასკნელთ, არც მას შეუძლია საზოგადოების მკვიდრ საფუძველს შეადგენდეს. ახლანდელი წვრილი წარმოება, რაც ხანი გადის, მით უფრო პარაზიტული ხდება, მსხვილ მრეწველობას ის მხოლოდ გაჭირვების დროს უწყობს ხელს, ჩვეულებრივ კი საზოგადოებას მძიმე უღლათ აწევს კისერზე. ასეთ წარმოებაში მომუშავე ხალხი პირველ შეძლებისთანავე სტოვებს თავის ძველ ადგილს. ჩვენ დღესაც ხშირათ ვხედავთ, თუ როგორ სტოვებს წვრილ წარმოებას მუშების აუარებელი რიცხვი მრეწველობის აყვავების დროს. როცა პროლეტარიატი პოლიტიკურ ძალას მოიპოვებს და წარმოებას თავის კლასობრივ ინტერესების თანახმათ მოაწყობს, მას ყვე-

ლაზე უწინ სათადარიგო სამრეწველო ჯარის მოსპობა მოუხდება. ეს უკანასკნელი კი როგორც მრეწველობის, ისე ვაჭრობის და სოფლის მეურნეობის ბევრ დარგში წვრილ წარმოების მოსპობას გამოიწვევს.

სრულიათ არ არის მართალი ის, ვითომ სოციალისტურ წყობილების დამყარება არ შეიძლება ისე, თუ წვრილი წარმოება არ მოისპო. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ეს წყობილება არასოდეს არ განხორციელდებოდა, რადგანაც კაპიტალის კონცენტრაცია არ სპობს სავსებით წვრილ წარმოებას; ბევრ შემთხვევაში ის, პირიქით, ხელს უწყობს ძველის ალაგას ბევრ ახალ დარგის აღორძინებას. მხოლოდ სოციალისტურ წყობილების დროს იქნება შესაძლებელი ამ პარაზიტულ და გაპროლეტარებულ წვრილ წარმოების მოსპობა. წარმოების სოციალისტური წესი მხოლოდ **წინასწარი პირობაა** და არა შედეგი წვრილ წარმოების საბოლოოთ გაქრობისა ყველა იმ დარგებში, სადაც ის ტეხნიკური მხრით საჭირო აღარ არის.

არა წვრილი წარმოების სტატისტიკიდან ამოშლა, არამედ მისი განდევნა იმ პროცესის დროს, რომელიც გაბატონებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, და ამ პროცესის დამორჩილება კაპიტალის მიერ, რომელიც საწარმოო საშუალებათა და მათი თანდათანი განვითარებით გამოწვეულ უპირატესობით მარტოთ მარტო სარგებლობს — აი ის პირობები, რომელნიც სოციალიზმის დანერგვას ხელს უწყობენ. ეს წინასწარი პირობები რომ ძალიან ჩქარა იზრდებიან, ამას დღეს ისინიც კი ცხადათ ამჩნევენ, ვინც პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას ყურადღებას არც კი აქცევს.

აი როგორ უნდა გავიგოთ მარქსის მოძღვრება კა-

პიტალის კონცენტრაციის შესახებ, რომელიც ჩემ წიგ-ნშია აწერილი. თუ ასე გავიგებთ, ის არა თუ არ ეწინა-აღმდეგება ცხოვრების ფაქტებს, არამედ საშუალებასაც იძლევა მათ ასახსნელათ. როგორც ამ მუხლში, ისე სხვებში, რომელსაც „კრიტიკული სოციალიზმი“ ეკვის თვალით უყურებს, პროგრამის პრინციპიალურ ნაწილის გადასინჯვა საჭირო არ არის.

რასაც მე აქ ვამბობ, ის ტრაბახობა არ არის, რადგან პროგრამა მარტო მე არ შემიდგენია. მართალია ის აშენებულ იქნა ჩემ მიერ წარდგენილ „პროგრამის“ პროექტზე, მაგრამ მთავარ მუხლებში ის კომისიამ განა-ვითარა.

თვითონ პროექტში ის მუხლები, რომელნიც შენ-დეგ საკამათო საგნათ გადაიქცენ, თითქმის სავსებით მარქსის „კაპიტალი“-დან არის ამოღებული; თეორე-ტიული ნაწილი მხოლოდ სხვა სიტყვებით გადმოგვცემს „კაპიტალი“-ს ცნობილ თავს „კაპიტალისტურ მოგრო-ვების ისტორიულ ტენდენციის შესახებ“. სწორეთ აქ არის, ჩემი ფიქრით, იმის მიზეზი, რომ ამ პროგრამას აქვს ძალა და უნარი წინააღუდგეს მოდას, რომელიც ხშირათ იცვლება. მანამდის, სანამ „კაპიტალი“-ს ნაცვლათ არა-ვინ მოგვცემს სოციალიზმის სხვა თეორეტიულ საფუძ-ველს, ჩემი წიგნის უმთავრეს მუხლების გადასინჯვაც საჭირო არ იქნება.

ბერლინი — ფრიდენაუ.
მაისი 1904 წელი.

I

წვრილი წარმოების დაცემა

1. — წვრილი წარმოება და კერძო საკუთრება

ზოგიერთებს გონიათ, რომ ისინი რაღაც დიდ სიბრძნეს ამბობენ, როცა ჩვენთან კამათში გაიძახიან: „ამ ქვეყნათ ახალი არაფერია. რაც წინათ ხდებოდა, დღესაც იგივე ხდება და მომავალშიაც ასე იქნებაო". ასეთ ყალბ და სულელურ აზრს იშვიათად თუ შეხვდებით. თანამედროვე მეცნიერება გვიმტკიცებს, რომ ამ ქვეყნათ უცვლელი არაფერია, რომ საზოგადოება, როგორც ბუნება, განუწყვეტლივ ვითარდება.

დღეს ყველამ იცის, რომ პირველ-ყოფილი ადამიანი, ცხოველივით ავროვებდა იმ ნაყოფებს, რასაც ბუნება მზა-მზარეულათ იძლეოდა, და ისე ირჩენდა თავს. მაგრამ შემდეგ მან იწყო შრომის და სანადირო იარაღების გამოგონება და გაუმჯობესება. ის ხელს კიდებდა მეთევზეობას, ნადირობას, მწყემსობას და ბოლოს ბინადარი მიწის მუშა და ხელოსანი გახდა. განვითარება უფრო და უფრო ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა წინ, და ჩვენ დროს — ამ ორთქლის და ელექტრონის საუკუნეში — ის იმ წერტილამდე მივიდა, რომ მას ყველა ადვილათ ამჩნევს — ძველ დროსთან შედარება საჭირო აღარ არის. ამას შემდეგ მაინც შეხვდებით ისეთ ადამიანებს, რომელნიც მედიდურათ გვაუწყებენ—ამ ქვეყნათ ახალი არაფერიაო!

წესი, რომლითაც ადამიანი იძენს არსებობისთვის აუცილებელ საშუალებებს, რომლითაც ის ქმნის საჭირო ნაწარმოებს, დამოკიდებულია გარეშე პირობებზე: ის სხვანაირია მთაში და სხვანაირი ბარში, ზღვის პირას ველ-მინდორში, მაგრამ ის დამოკიდებულია აგრეთვე მის იარაღების და ნედლ მასალების თვისებებზე, ერთი სიტყვით, ის დამოკიდებულია იმ საშუალებებზე, რომელნიც წარმოების დროს მის განკარგულებაში იმყოფებიან — **საწარმოო საშუალებებზე.** მაგრამ მაშინ, როდესაც ბუნება, საზოგადოთ რომ ვსთქვათ, ან სულ არ იცვლება ან ძალიან ნაკლებათ, წარმოების საშუალებანი თან და თან უმჯობესდებიან. ისინი მუდამ ვითარდებიან და წარმოებაში ცვალებად ელემენტებს წარმოადგენენ. მაგრამ ადამიანები წარმოებას ცალ-ცალკე არასოდეს არ ეწეოდენ, — არამედ ადგენდენ საზოგადოებებს და ამ საზოგადოებათა ფორმა დამოკიდებული იყო წარმოების გაბატონებულ წესზე.

ამიტომ **საზოგადოების განვითარება** წარმოების განვითარებას შეესაბამება.

ხოლო საზოგადოებრივ ფორმებს და წევრთა ურთიერთ განწყობილებას მჭიდრო კავშირი აქვს **საკუთრების ფორმებთან,** რომელსაც ცნობს და იცავს ესა თუ ის საზოგადოება. ამიტომ საკუთრების განვითარებაც წარმოების განვითარებასთან ერთად ხდება.

ავსხნათ ეს სოფლის მეურნეობიდან აღებულ მაგალითით.

ჩვეულებრივი სოფლის მეურნეობა ორ უმთავრეს დარგისაგან შესდგება: **საქონლის მოშენებისა და ხვნა-თესვისაგან.** მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე ყველგან მინდვრათ აძოებდენ საქონელს, რაც ზოგან დღესაც

ხდება. ეს გარემოება კი **მიწის საზოგადო მფლობელობას** თხოულობს. სისულელე იქნებოდა, რომ თვითეულ გლეხს თავისი ხვედრი საძოვარი გაეცალკევებია, გალავანი შემოევლო, რაღაც ორიოდ სული საქონლის მოსავლელათ საკუთარი მწყემსი დაეჭირა და სხვ. ამიტომ იქ, სადაც საქონელს მინდვრათ აძოებენ, გლეხი თავგამოდებით იცავს საზოგადო საძოვარს და სასოფლო მწყემსის დაქერის მომხრეა.

სულ სხვაა მიწის მუშაობაში, სანამ ის იმდენათ განუვითარებელია, რომ გლეხს მანქანები არ სჭირდება და უბრალო იარაღებითაც ადვილათ გადის ფონს. ასეთ პირობებში წარმოებისთვის არც საჭიროა და არც სასარგებლო ყველა სათემო მიწების საზოგადო ძალით დამუშავება. გლეხური სამეურნეო იარაღები თხოულობს მიწის პატარა ნაკრებათ დამუშავებას ცალკე ან რამდენიმე პირების მიერ, რომელთა რიცხვი გლეხის ოჯახს არ აღემატება.

მაგრამ ასეთ პირობებში რაც უფრო თავისუფალი იქნება გლეხი თავის მიწის მოვლის საქმეში, რაც უფრო სავსებით შეეძლება მას თავის შრომის ნაყოფით და მიწის გაუმჯობესებით სარგებლობა, მით უფრო მუყაითი იქნება მისი შრომა და ნაყოფიერი მისი მიწა. პირველათ, როცა მიწის მუშაობა ახლათ ფეხ-მოკიდებულია, წვრილი წარმოება აუცილებელია, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერ განვითარდება ისე, თუ საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრება არ არსებობს.

ამიტომ, მაგალითად, მიწის სათემო მფლობელობა, რომელსაც ძველათ გერმანელებში ქონდა ადგილი, როცა საქონლის მოშენება (და ნადირობა) მათთვის ცხოვრების უმთავრეს წყაროს შეადგენდა, თან და თან ქრე-

ბა და მის ადგილას მიწის კერძო საკუთრება მკვიდრდება, რამდენათაც წვრილი გლეხური მეურნეობა უპირატესობას პოულობს. მას შემდეგ, რაც ნახირის მინდვრათ ძოვება შეწყდა და საქონელს ბოსელში დაუწყეს მწყვდევა, მიწის სათემო მფლობელობას საბოლოოთ გამოეთხარა ძირი. ამნაირათ ეკონომიურ განვითარების გავლენით, მეურნეობის პროგრესის გამო, ევროპაში კომუნისტი-გლეხი კერძო საკუთრების ფანატიკოსი გახდა.

ესევე ითქმის ხელოსნის შესახებაც. ხელოსნობაში საჭირო არ არის მრავალი მუშა ხელის ერთათ მოქმედება. თვითეული ხელოსანი ან მარტოთ-მარტო ეწევა წარმოებას ან ორიოდ თანაშემწის—საკუთარი ოჯახის წევრების, შინაყმების — დახმარებით. ხელოსნობაში, როგორც გლეხურ მეურნეობაში, ცალკე მუშა ან ცალკე ოჯახი დამოუკიდებლათ მოქმედობს. აი ამიტომ ხელოსნობაც ისე, როგორც წვრილი გლეხური წარმოება, თხოულობს შრომის იარაღების და დამზადებულ ნაწარმოების კერძო მფლობელობას, რომ შრომა განაყოფიერდეს და საწარმოვო ძალები განვითარდეს. წვრილ წარმოებაში შრომის ნაყოფი დამოკიდებულია მუშის პირად თვისებებზე, მის სიმარჯვეზე, ბეჯითობაზე და თავგამოდებაზე. ამიტომ ამ ნაწარმოებს მუშა ისე უცქერის, როგორც თავის პირად საკუთრებას. მაგრამ მას არ შეუძლია სავსებით განავითაროს თავისი ნიჭი, თუ ის პირადათ თავისუფალი არ არის და თავის ნებაზე ვერ ხმარობს საწარმოვო საშუალებებს, ე. ი. როცა ეს უკანასკნელი მის კერძო საკუთრებას არ შეადგენს.

სოციალ-დემოკრატიამ შეიგნო ეს და გარკვევით გამოთქვა თავის პროგრამის შემდეგ სიტყვებში: „წვრილ წარმოების საფუძველს შეადგენს კერძო საკუთრება სა-

წარმოვო საშუალებებზე“ მაგრამ ამავე დროს ის აღიარებს, რომ „ბურჟუაზიულ საზოგადოების განვითარება ბუნების კანონის ულმობელობით წვრილ წარმოების გაქრობას იწვევს“.

გავეცნოთ უფრო დაახლოვებით ამ განვითარების მსვლელობას.

2. — საქონელი და კაპიტალი

ბურჟუაზიულ საზოგადოების განვითარების დასაწყისათ სოფლის გლეხური მეურნეობა და ხელოსნობა უნდა ჩაითვალოს.

თავდაპირველათ გლეხის ოჯახი თვითონ იკმაყოფილებდა ყველა თავის მოთხოვნილებებს. ის თვითონ იმზადებდა საჭირო საჭმელ-სასმელს, აკეთებდა ყველა იარაღებს, ტანისამოსს ყველა თავის წევრებისათვის, იშენებდა ბინას და სხვ. ის თვითონ ამზადებდა ყველა ნაწარმოებს, რაც მისთვის საჭირო იყო, მაგრამ ამაზე შორს ის არ მიდიოდა. მაგრამ დროთა ვითარების გამო, მეურნეობის პროგრესის წყალობით, ის თანდათან ახერხებდა დაემზადებინა იმაზე ცოტა მეტი, რაც მისთვის პირდაპირ იყო საჭირო. ამან საშუალება მისცა მას ეს ზედმეტი ნაწარმოები გაეცვალა ისეთ საგნებში, რომელთაც ის ან სრულიათ არ ამზადებდა ან ძალიან ცოტას, მაგრამ მისი შეძენა კი უნდოდა—მაგალითად, რომელიმე სამკაულში, სანადირო ან შრომის იარაღში. გაცვლამ ეს ნაწარმოები საქონლათ გადააქცია.

საქონელი — ეს ისეთი ნაწარმოებია, რომელსაც თვითონ მწარმოებელი კი არ ხმარობს, არამედ ცვლის სხვა რომელიმე მისთვის საჭირო ნაწარმოებზე. პური, რომელიც გლეხს თავის საჭიროებისათვის მოყავს, საქონე-

ლი არ არის, მაგრამ ის საქონელია, თუ გასაყიდათ არის დანიშნული. გაყიდვა--ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი რომელიმე საქონელი გაცვალო მეორე, ყველასთვის საჭირო საქონელზე- **ფულზე**. ასეთია, მაგალითად, ოქრო.

როგორც დავინახეთ, ეკონომიურ განვითარების გამო, გლეხი საქონლის მწარმოებელი შეიქნა; ხელოსანი. რომელიც დამოუკიდებლათ ეწევა წვრილ წარმოებას, იმ თავიდანვე საქონლის მწარმოებელია. ის არა მარტო იმ ნაწარმოებს ყიდის, რომელიც მისთვის მეტია, არამედ უმთავრესათ **გასაყიდათ** ამზადებს თავის ნაწარმოებს.

მაგრამ საქონლის წარმოებისათვის ორი პირობაა საჭირო : პირველი ის, რომ ყოველმა საწარმოვო ერთეულმა არ დაამზადოს ერთი და იგივე ნაწარმოები, არამედ საზოგადოებაში **შრომის დანაწილება** მოხდეს ; მეორე ის, რომ გამყიდველებს შეეძლოთ გასაყიდ საგნების თავისუფლათ მოხმარა, ე. ი. ეს საგნები მათ **კერძო საკუთრებას** უნდა შეადგენდეს.

რაც უფრო მეტ დარგებათ იყოფა შრომა ეკონომიურ განვითარების გამო და რაც უფრო ვრცელდება და მნიშვნელობას ღებულობს კერძო საკუთრება, მით უფრო კლებულობს წარმოება საკუთარ საჭიროებისათვის და მის ადგილს საქონლის წარმოება იჭერს.

შრომის დანაწილება ბოლოს იქამდე მიდის, რომ ყიდვა-გაყიდვაც განსაკუთრებულ ხელობათ ხდება, რომელსაც ეწევა ადამიანთა განსაკუთრებული კლასი-- **ვაჭრები.** იმათი მოსაგები იქიდან დგება, რომ იაფათ ყიდულობენ საქონელს და ძვირათ ყიდიან. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, ვითომ სრული მათი ნება იყოს საქონელზე ამა თუ იმ ფასის დადება. არა, საქონლის

ფასი საცვლელ ღირებულებაზეა დამოკიდებული. ხოლო საქონლის ღირებულება განისაზღვრება აუცილებელ შრომის საშუალო რაოდენობით. ნამდვილათ საქონლის ფასი საესებით თითქმის არასოდეს არ უდრის მის ღირებულებას; ფასი არ განისაზღვრება მარტოთ მარტო **წარმოების პირობებით,** არამედ **ბაზრის მდგომარეობითაც,** უმთავრესათ მოთხოვნით და მიწოდებით, ე. ი. იმით, რამდენი საქონელია გამოტანილი ბაზარზე და რამდენია საჭირო. მაგრამ ფასიც ექვემდებარება ზოგიერთ კანონებს. განსაზღვრულ დროსა და ადგილს — ის განსაზღვრულ რაოდენობისაა. ამიტომ თუ სურს ვაჭარს უფრო ძვირათ გაყიდოს, ვინემ მას ნაყიდი აქვს, ე. ი. საქონლის გაყიდვისაგან **მოსაგები** ნახოს, ის მიზანს მიახწევს მხოლოდ მაშინ, როცა იყიდის საქონელს ისეთ დროს და ისეთ ადგილს, სადაც ის იაფია, და გაყიდის ისეთ დროს და ისეთ ადგილს, სადაც ის ძვირია.

გლეხი ან ხელოსანი ყიდულობს საქონელს იმისთვის, რომ ცხოვრების მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს ან წარმოებაში მოიხმაროს. ვაჭარი ყიდულობს საქონელს საკუთარ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ კი არა, არამედ იმისთვის, რომ გაყიდოს ის და მოსაგები ნახოს. საქონელი და ფული, რომელსაც ამ მიზნისთვის ხმაროობენ, წარმოადგენს **კაპიტალს.**

არც ფული და არც საქონელი თავის თავათ კაპიტალი არ არის. საქმე — მათი დანიშნულებაა. თამბაქო, რომელსაც ვაჭარი ყიდულობს, რომ მერე მოგებით გაყიდოს—კაპიტალია. მაგრამ კაპიტალი არ არის ის თამბაქო, რომელსაც ვაჭარი მოსაწევათ ყიდულობს.

კაპიტალის პირვანდელ ფორმას წარმოადგენს **სავაჭრო კაპიტალი.** თითქმის ამ ხნისაა **სავახშო კაპიტალი,**

რომელსაც მევახშე სესხათ იძლევა, რომ სარგებელი ნახოს **პროცენტების** სახით.

კაპიტალი ჩნდება საქონლის წარმოების განსაზღვრულ საფეხურზე; მისი ნიადაგი, რა თქმა უნდა, კერძო საკუთრებაა, რომელიც მთელი საქონლის წარმოების საფუძველს შეადგენს. მაგრამ კაპიტალის გავლენის ქვეშ კერძო საკუთრება სრულიათ ახალ სახეს ან, უკეთ რომ ვთქვათ, ორ გვარ სახეს ღებულობს. წვრილ ბურჟუაზიულ სახესთან ერთათ, რომელიც წვრილ წარმოების პირობებს შეესაბამება, გამოსჭვივის აგრეთვე კაპიტალისტური სახეც. თანამედროვე კერძო საკუთრების დამცველნი მხოლოდ ამ წვრილ ბურჟუაზიულ მხარეს აქცევენ ყურადღებას. სწორეთ ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ჩვენ დროში მისი კაპიტალისტური მხარე ვერ შენიშნოს. ეკონომიურ განვითარების იმ დაბალ საფეხურზე, როცა არ არსებობს სხვა კაპიტალი, გარდა სავაჭრო და სავახშო კაპიტალისა, მართალია, კერძო საკუთრების მხოლოდ ზოგიერთ კაპიტალისტურ თვისებებს ვამჩნევთ, მაგრამ ესეც ყურადღების ღირსია.

წვრილ წარმოების ბატონობის დროს გლეხის ან ხელოსნის შემოსავალი უმთავრესათ დამოკიდებულია თვითონ მწარმოებლის და მის შინა-ყმების **პირად თვისებებზე,** მათ მუყაითობაზე, დახელოვნებაზე და სხვ. ვაჭრის მოსაგების რაოდენობა კი, პირიქით, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ფულის გადადება შეუძლია მას საქონლის საყიდლათ: რაც მეტი საქონელი ექნება მას გასაყიდი, მით მეტი იქნება მისი მოსაგებიც. როცა მე ვყიდი ათი ათას გირვანქა თამბაქოს, სხვა თანასწორ პირობებში, ჩემი მოსაგები ათჯერ მეტი იქნება, ვინემ მაშინ, როცა მხოლოდ ას გირვანქას გავყიდი. ესევე უნდა

ვთქვათ მევახშის შესახებაც. მაშასადამე კაპიტალისტის მოსაგები დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა მისი **კაპიტალის რაოდენობაზე.**

ცალკე პირის უნარს და სამუშაო ძალას საზღვარი აქვს, საზღვარი უდევს აგრეთვე ნაწარმოებთა იმ რაოდენობას, რომლის შექმნაც შეუძლია მუშას განსაზღვრულ პირობებში. ის თვალსაჩინოთ ვერ ასცილდება განსაზღვრულ საშუალო ზომას. პირიქით, ფულის მოგროვება უსაზღვროთ შეიძლება, აქ ზომიერებას ალაგი არა აქვს. და რაც მეტი ფული აქვს ვისმეს დაბანდებული როგორც კაპიტალი, მით მეტ ფულს იძენს ის. ეს საშუალებას აძლევს მას **აუარებელ სიმდიდრეს** მოუყაროს თავი.

მაგრამ კერძო საკუთრება სხაგვარ საშუალებასაც იძლევა. კერძო საკუთრება შესაძლებლათ ხდის საწარმოო საშუალებათა კანონიერათ შეძენას, მაგრამ ის შესაძლებლათ ხდის აგრეთვე მის დაკარგვასაც, რაც ცხოვრების სახსრის მოსპობას და სრულ სიღატაკეში ჩავარდნას მოასწავებს. სავახშო კაპიტალი წინდაწინვე გულისხმობს გაჭირვებულ მდგომარეობის არსებობას. ვისაც ყველაფერი აქვს, რაც კი მისთვის საჭიროა, ის ვალს არ აიღებს. სავახშო კაპიტალი სარგებლობს ღარიბი კაცის გაჭირვებით და კიდევ უფრო აძლიერებს მის გაჭირვებას.

მოსაგები უშრომლათ, აუარებელი სიმდიდრე ერთ მხარეზე, ხოლო მეორეზე სრული სიღატაკე, — აი ის თვისებები, რომელიც თან დასდევს კერძო საკუთრების კაპიტალისტურ ფორმას. მაგრამ ეს თვისებები კიდევ არ ჩანან ნათლათ სავაჭარო და სავახშო კაპიტალის განვითარების დასაწყისში. აქ ერთობ სუსტათ ჩანს ამ ფორმის უსაძაგლესი თვისება, სიღატაკე: კერძო საკუთრების უქო-

ნლობა ჯერ ისევ გამონაკლია და ფართო მასის საერთო ხვედრს არ წარმოადგენს.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო. განვითარების ამ საფეხურზე როგორც ვაჭრის ტ მევახშის, ისე სხვა მათთან მოვლენილ მყვლეფელების შემოსავალი—საშუალო საუკუნეებში, მაგალითად, მიწის მესაკუთრე ფეოდალების (ამათ ჩვენ ახლა არ შეეხებით, რომ ჩვენ საგანს არ ავცდეთ) — მჭიდროთ შეკავშირებულ იყო წვრილ წარმოების არსებობასა ტ აღორძინებასთან. თქმულება : „თუ გლეხი მდიდარია, ყველა მდიდარიაო“ იმ დროს სრულიათ საფუძვლიანი იყო. ვაჭრობას არ მოუსპია წვრილი წარმოება, პირიქით, ის ზოგიერთ შემთხვევებში ხელსაც კი უწყობდა მის აყვავებას. მევახშე სისხლსა სწოვდა თავის მოვალეს, მაგრამ მას სრულებით არ სურდა მისი საბოლოოთ დაღუპვა. საწარმოო საშუალებათა დაკარგვა — სიღარიბე — ასეთ პირობებში შეადგენს არა ნორმალურ საზოგადოებრივ მოვლენას, არამედ განსაკუთრებულ უბედურებას, რომელიც სხვა და სხვა შემთხვევებით ან მწარმოებლის უნიკობით არის გამოწვეული. ამიტომ სიღარიბე მაშინდელ შეხედულობით ან ღვთისგან მოვლენილი უბედურება იყო ან სიზარმაცისა და დაუდევრობისათვის დანიშნული სასჯელი. ასეთ შეხედულებას ახლაც დიდი გასავალი აქვს წვრილ ბურჟუაზიაში, თუმცა საკუთრების უქონლობა დღეს სულ სხვა გვარ მოვლენას წარმოადგენს, ვინემ ეს წინათ იყო.

3. — კაპიტალისტური წარმოება.

საშუალო საუკუნოების განმავლობაში **ხელოსნობა** ევროპაში თან-და-თან ვრცელდებოდა. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება განვითარდა — ასე, მაგალითად,

ფეიქრობა დანაწილდა სელის, შალეულობის და ბამბეულობის საქსოვ ხელობათ, ხოლო სხვა და სხვა საქმე, რომელსაც ფეიქრობასთან ქონდა დამოკიდებულება, მაგალითად, მაუდის კრეკვა, ცალკე დარგათ გადაკეთდა. დახელოვნება იზრდებოდა, იარაღები და შრომის წესი უმჯობესდებოდა. ამავე დროს ვაჭრობა წინ წავიდა უმთავრესათ მისვლა-მოსვლის გაადვილებით და ნაოსნობის განვითარებით. მეთუთხმეტე საუკუნის გასულს ხელოსნობის აყვავება უმაღლეს წერტილამდე ავიდა, მაგრამ ამავე დროს მოხდა რამდენიმე შემთხვევა, რომელთაც დიდი გავლენა ქონდათ ვაჭრობაზე. იპოვნეს საზღვაო გზა **ინდოეთში,** ამ უთვალავ-უანგარიშო საუნჯით სავსე ზღაპრულ ქვეყანაში. და აღმოაჩინეს **ამერიკა** მისი ოქრო-ვერცხლის დაუშრეტელ მადნებით. აუარებელი სიმდიდრე მოაწყდა ევროპას და ეს სიმდიდრე ევროპიელ ავანტიურისტებმა ვაჭრობით, მოტყუებით და მტაცებლობით ჩაიგდეს ხელში. აქედან უდიდესი ნაწილი უფრო მდიდარ ვაჭრებს შეხვდა, რადგან მათ შეეძლოთ ხომალდები დაემზადებიათ და მრავალ-რიცხოვანი ძლიერი რაზმები დაექირავებიათ.

ამ ხანში წარმოიშვა ცენტრალისტური **სახელმწიფო** თავისი ბიუროკრატიზმით და მილიტარიზმით. თავდაპირველათ მან **აბსოლიუტურ მონარქიის** სახე მიიღო. ეს სახელმწიფო იმდენათვე შეესაბამებოდა კაპიტალისტთა მოზარდ კლასის ინტერესებს, რამდენათ თვითონ ის საჭიროებდა მის დახმარებას. თანამედროვე სახელმწიფო. სახელმწიფო განვითარებულ საქონლის წარმოებისა, ძლიერია არა პირადი სამსახურით, არამედ გადასახადებით, რომელსაც ის ფულის სახით კრეფს. ამიტომ მონარქებს ყოველგვარი საბუთი ქონდათ დახმარება და მფარველობა

გაეწიათ იმათთვის, ვინც სახელმწიფოში ფულის შემოსვლას ხელს უწყობდა, ე. ი. კაპიტალისტებისა და ვაჭრებისათვის. ამ მფარველობით დავალებული კაპიტალისტები სესხს აძლევდენ მონარქებს ჭ სახელმწიფოებს, თავის გავლენის ქვეშ აყენებდენ მათ, ხდიდენ თავიანთ მოვალეებათ ჭ ამით აიძულებდენ კაპიტალის ინტერების ბეჯითათ დაცვას: ომისვლა-მოსვლის გაუმჯობესებას და უზრუნველ-ყოფას, ოკეანეს იქით მდებარე ახალშენების დაპყრობას და მათ შერჩენას, მეტოქე სავაჭრო სახელმწიფოებთან ომს და სხვ.

პოლიტიკურ ეკონომიის სახელმძღვანელოებში ხშირათ ამოიკითხავთ ასეთ ზღაპარს — კაპიტალი დაზოგვის წყალობით გაჩნდაო. მაგრამ ჩვენ სულ სხვა გვარი წყაროები ვიცით კაპიტალის გაჩენის. ყველაზე მეტი სიმდიდრე კაპიტალისტურმა ქვეყნებმა **კოლონიალური პოლიტიკის** წყალობით ე. ი. უცხო ქვეყნების ძარცვით შეიძინეს. მეკობრეობა, კონტრაბანდა, მონებით ვაჭრობა, სავაჭრო ომები — აი რა შეადგენდა ამ უთვალავ სიმდიდრის წყაროს. კაპიტალისტურ ქვეყნების ისტორია უკანასკნელ დრომდე კაპიტალის „დაზოგვის“ საკმაო მაგალითებს იძლევა. სახელმწიფო დახმარებამაც თვალსაჩინო სამსახური გაუწია ამ გვარ „დაზოგვას“.

მაგრამ ახალმა აღმოჩენებმა და სავაჭრო გზებმა არა მარტო აუარებელი სიმდიდრე შესძინეს ვაჭრებს, არამედ ფართო ბაზარი მოუპოვეს საზღვაო ქვეყნების ნაწარმოებს, განსაკუთრებით ინგლისისას, რომელიც ზღვების პატრონი გახდა. ხელოსნობა ველარ აკმაყოფილებდა ბაზრის მოთხოვნილებას, რომელიც ასე სწრაფათ და მძლავრათ იზრდებოდა. **მასობრივი გასაღება** თხოულობდა **მასობრივ წარმოებას**; ფართო ბაზრისთვის საჭირო იყო ისე-

თი. წარმოება, რომელიც მის მოთხოვნილებას შეეფერებოდა ე. ი. ვაჭრის სრულ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ვაჭრებისათვის ხელ-საყრელი იყო თვითონ მოეწყოთ მასობრივი წარმოება, რომ გაფართოებულ ბაზრის მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინათ; მათ ფულებიც საკმაოთ ქონდათ, რომ წარმოებისათვის საჭირო საშუალებანი, როგორიცაა: ნედლი მასალა, იარაღები, სახელოსნო და სამუშაო ძალა- ბლომათ შეეძინათ. მაგრამ სად უნდა მოეძებნათ სამუშაო ძალა? ამ დროს ევროპაში მონებით ვაჭრობა აღარ არსებობდა. მუშა, რომელსაც საკუთარი საწარმოო იარაღები აქვს, ან ამ იარაღების მქონე ოჯახის წევრია, თავის სამუშაო ძალას არ გაყიდის. მას თავისთვის მუშაობა ურჩევნია, რომ შრომის ნაყოფს თვითონ ან ოჯახთან ერთად სავსებით დაეპატრონოს. ის ყიდის **თავის შრომის ნაყოფს,** მაგრამ თავის **სამუშაო ძალას** კი არა. აქვე შევნიშნავთ, რომ უნდა ვერიდოთ ასეთ ორაზროვანი სიტყვების ხმარებას: შრომის ანუ მუშაობის გაყიდვა. შრომა, მუშაობა საქმიანობას ქვია, და როგორც ასეთი, ის ვერ გაიყიდება, მაგრამ სიტყვა მუშაობა იხმარება არა მარტო საქმიანობის გამოსახატავათ, არამედ ამ საქმიანობის **ნაყოფის** ე. ი. **შრომის ნაწარმოების** აღსანიშნავათაც: ეს სიტყვა იხმარება აგრეთვე იმ **ძალის** აღსანიშნავათ, რომლის ამოძრავება ქმნის მოქმედებას, ე. ი. **სამუშაო ძალის.** ამიტომ როცა სიტყვებს „შრომა“, „სამუშაო“ სიტყვა „გაყიდვასთან“ ზემო აღნიშულ აზრით ვხმარობთ, ამით ვიწვევთ სხვა და სხვა საგნების ერთმანეთში არევას და მათ შორის განსხვავების ჩაფუჩეჩებას. სწორეთ ასე იქცევიან ის პოლიტიკო-ეკონომისტები, რომლებსაც სურთ, რომ მუშებს და დამო-

უკიდებელ წვრილ მწარმოებლებს თავის ურთიერთობის შესახებ ყალბი წარმოდგენა ქონდეთ. ასეთ ეკონომისტებს მუდამ კრიჭაში უნდა ვუდგეთ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ვაჭარს, რომელიც მუშებს დაეძებს. წვრილ მწარმოებლებს და მათ ოჯახებს ის ვერაფერს გამორჩება. ვაჭარმა უნდა იპოვოს ისეთი მუშა, რომელიც საწარმოო საშუალებებს მოკლებულია, რომელსაც თავის სამუშაო ძალის გარდა არა გააჩნია-რა და იძულებულია გაყიდოს ის, რომ შიმშილით არ მოკვდეს. საქონლის წარმოების და კერძო საკუთრების განვითარებამ, როგორც დავინახეთ, უკვე წარმოშობა ასეთი, ქონებას მოკლებული პირები, მაგრამ პირველათ მათი რიცხვი მცირე იყო, და იმათი უმრავლესობაც, ვინც რომელიმე მწარმოებელ ოჯახის წევრათ არ ითვლებოდა, შრომისთვის გამოუსადეგარი იყო: ესენი იყვენ მოხუცები, სნეულები, საპყრები, ზარმაცები, მატყუარები და მაწანწალები. სრულიად თავისუფალ, საკუთრებას მოკლებულ მუშათა რიცხვი ძალიან მცირე იყო.

მაგრამ თვით მადლიანმა განგებამ უშველა საქმეს: სწორეთ იმ დროს, როცა ვაჭართა შორის ძლიერი მოთხოვნილება დაიბადა მუშა ხელზე, აუარებელმა მუშა ხალხმა დაკარგა ყველაფერი, რაც კი ებადა, და ლუკმაპურისთვის ქუჩაში გამოვიდა, სადაც მას კარგა ხანია ვაჭარი ელოდებოდა. ეს მოვლენაც თავის მხრით საქონლის წარმოების განვითარებით იყო გამოწვეული. ქალაქის ნაწარმოებისათვის ბაზრის გაფართოებამ სოფლის მეურნეობაზეც იქონია გავლენა. ქალაქებში იმატა მოთხოვნილებამ სანოვაგეზე და ნედლ მასალებზე, — ხეზე, მატყლზე, სელზე, საღებავებზე და სხვა. ამიტომ სოფლის

მეურნეობაც თანდათან საქონლის წარმოებათ გადაიქცა ე. ი. წარმოებათ **აღებ-მიცემობისათვის.**

გლეხმა ფულები გაიჩინა. მაგრამ ეს მისთვის უბედურება შეიქმნა. ფულებმა მის მყელეფელებს — მემამულეებს და მთავრობას — მადა გაუხსნეს. სანამ გლეხის ზედმეტ ნაწარმოებს ჴირნახული შეადგენდა, იმათ იმდენი მიქონდათ მისგან, რამდენის მოხმარებაც შეეძლოთ. ფული კი ყოველთვის საჭიროა: რაც მეტი გაქვს, მით უკეთესია. რაც უფრო გაფართოვდა ბაზარი გლეხის ნაწარმოებისათვის, რაც მეტ ფულს იღებდა ის თავის საქონელში, მით უფრო ძარცვავდენ მას მემამულეები და მეფეები, მით უფრო იზრდებოდა მისი გადასახადები და ბეგარა. მალე მემამულეებმა აღარ იკმარეს ის **ზედმეტი ნაწარმოები,** რომელიც გლეხს სამუშაო ძალის აღსადგენათ არ სჭირდებოდა და ხშირათ აუცილებელ საგნებსაც ართმევდენ მას. რა გასაკვირველია, რომ გლეხები სასოწარკვეთილებას შეეპყრო და ბევრი იმათგანი, განსაკუთრებით, გლეხთა ომების შემდეგ, როცა ყოველივე მათი ცდა ძალმომრეობის წინააღმდეგ ჩაქრობილ იქმნა, კარ-მიდამოს ტოვებდა და ქალაქებში ეძებდა თავშესაფარს.

ამას კიდევ ხშირად მეორე გარემოებაც ემატებოდა. თუ ქალაქში ბაზრის გაფართოებამ გამოიწვია მასობრივი **მრეწველობის** საჭიროება, სოფელში ამავე მიზეზმა შექმნა მასობრივი მეურნეობა. რის განხორციელებასაც ქალაქებში ვაჭრები ცდილობდენ, იმის განხორციელება სოფლებში მემამულეებმა სცადეს. მემამულე, რომელიც აქამდე მხოლოდ თავის უპირატესობით განირჩეოდა გლეხისაგან, ახლა თავის წარმოების გაფართოებას შეუდგა. სამუშაო ძალა მას არ აკლდა, იმან უკვე წინათ შეაჩვია

გლეხები თავის სასარგებლოთ მუშაობას. უმეტეს შემთხვევაში მისთვის არც კი იყო საჭირო ახალი სამუშაო ძალები. ასე, მაგალითად, **მატყლის** და **ხის ავეჯის** წარმოება, მეცხვარეობა და ტყის მოშენება, გაცილებით ნაკლებ მუშა ხელს საჭიროებს, ვინემ ხვნა-თესვა. იქ, სადაც მიწის პატრონები ხვნა-თესვის მაგიერ შინაურ პირუტყვის მოვლას და ხე-ტყის მოშენებას კიდებდენ ხელს, სამეურნეო მუშები თითქმის მეტ ბარგათ ხდებოდენ. მაგრამ მიწა, ურომლისოთაც მას ერთი ნაბიჯის გადადგმაც აღარ შეეძლო, ახლა გაცილებით მეტი იყო საჭირო წინანდელთან შედარებით. თავის სამფლობელო მას მეზობელ გლეხების მიწებით უნდა გაეფართოებია. მას უნდა აეყარა ისინი, თუ სურდა თავის მეურნეობის გადიდება. მაინცა და მაინც ძნელი არ იყო ამ ნაბიჯის გადადგმა. გლეხთა კარ-მიდამოს დანგრევა მეთვრამეტე საუკუნის გასვლამდე ძალიან ფართოთ ხდებოდა. იმ დროს, როცა ვაჭრები ახალშენების ძარცვით მდიდრდებოდენ, თავად-აზნაურობა და მეფეები საკუთარ ქვეშევრდომებს აძრობდენ ტყავს. ფეოდალებიც, როგორც კაპიტალისტები, არ თაკილობდენ მოტყუილებას, ძალმომრეობას, ძარცვას და აწიოკებას, თუ ეს მათი მიზნის მისახწევათ საჭირო იყო.

ისტორია „დაზოგვის“ სულ სხვაგვარ საშუალებებს ააშკარავებს. რა უნდა ექნათ აუარებელ გაღატაკებულ სოფლელებს, რომელთაგან ბევრი ბეგარას და გადასახადებს გაქცეოდა, ბევრიც ძალდატანებით ან მოტყუებით გამოერეკათ სახლებიდან? დამოუკიდებელი არსებობა მათ არ შეეძლოთ, რადგანაც ისინი სოფლებიდან გამორეკეს და საწარმოო საშუალებანი წაართვეს. ისინი ბაზარზე თავის შრომის ნაწარმოებს ველარ გაი-

ტანდენ; მაშ სხვა რაღა გზა ქონდათ, თავისი თავი უნდა გაეტანათ იქ და გაეყიდათ რამდენიმე ხნით ის ერთათ ერთი საუნჯე, რომელიც მათ დარჩენოდათ, — თავისი სამუშაო ძალა, ე. ი. ქირაზე მუშაობა დაეწყოთ. ზოგი მოჯამაგირეთ დადგა სოფელში — შეიძლება სწორეთ იმ ბატონთან, რომელმაც ის მისი მამულიდან გააგდო, ზოგი ჯარის კაცათ შედიოდა და მის გამჭარცველ ბატონს ახლა სხვების ძარცვაში შველოდა. ბევრი სულ დაიღუპა: მათხოვრობისა და ბოროტმოქმედების წუმპეში ჩაიფლო. მაგრამ ერთმა ნაწილმა, რასაკვირველია უკეთესმა, მრეწველობაში არჩია სამუშაოს ძებნა. ხელოსნები ცდილობდენ ეს ახალი მუშები, ახალი მეტოქები თავიდან მოეშორებიათ და ამქრების შემწეობით ხელოსნობაში არც კი გააჭაჭანეს ისინი. ამან კიდევ უფრო აიძულა ქუჩაში გამოყრილი მუშები გაუმაძღარ ვაჭრებს ჩავარდნოდენ კლანჭებში.

ამგვარათ დამყარებულ იქნა საფუძველი **კაპიტალისტურ წარმოების წესისა**, ის დამყარებულ იქნა **ექსპროპრიაციის** (ე. ი. საკუთრების ჩამორთმევის), **რევოლიუციის** საშუალებით, რომელიც ისეთი მკაცრი ულმობელი იყო, რომ მისი მსგავსი ჯერ მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს. რასაკვირველია, ეს იყო რევოლიუცია მდიდართა და ძლიერთა ღარიბების და უძლურების წინააღმდეგ, და ამიტომ ის დრო, როცა ეს რევოლიუცია ხდებოდა, ცნობილია როგორც ჰუმანიზმის და გონებრივ განთავისუფლების დრო; ჩვენ დროში ამას განსაკუთრებით ხმა-მაღლა გაჰკივიან ისინი, ვისაც გულის სიღრმემდე აღშფოთებს სოციალდემოკრატიის რევოლიუციონური განზრახვანი.

მუშათა ფართო მასის საწარმოვო საშუალებებთან

ლაშორება, მათი გადაქცევა საკუთრებას მოკლებულ ხალხათ, **პროლეტარებათ**, კაპიტალისტურ მასობრივ წარმოების გაჩენის აუცილებელ პირობას შეადგენდა. ამას თხოულობდა ეკონომიური განვითარება. მაგრამ მოწინავე კლასებმა, როგორც ყოველთვის, არც აქ იკმარეს განვითარების მიმდინარე პროცესის პასიურ მეთვალყურის როლი და ამ პროცესის დასაჩქარებლათ და თავის ინტერესების დასაცველათ **ძალას** მიმართეს. კაპიტალისტურ საზოგადოების მშობიარობის დროს ბებიაობას ერთობ მოუხეშავი, მეტის მეტათ სასტიკი ძალმომრეობა სწევდა.

4. — წვრილ წარმოების ბრძოლა არსებობისათვის

თავდაპირველათ წარმოების ახალი წესი გარეგნობით ლიდათ არ განსხვავდებოდა ძველი წესისაგან. მისი პირველადელი ფორმა იმაში მდგომარეობდა, რომ კაპიტალისტი თავის დაქირავებულ მუშებს ურიგებდა ნედლ მასალას, — მაგალითად ძაფს, თუ ისინი ფეიქრები იყვენ, — და ესენი ამ მასალაზე თავის სახლებში მუშაობდენ და კაპიტალისტს უკვე დამზადებულ ნაწარმოებს უბრუნებდენ. რა თქმა უნდა, კაპიტალისტურ წყობილების ეს პირველადელი ფორმაც, თუმც ძალიან უახლოვდებოდა ხელოსნურს, მაგრამ მაინც დიდ განსხვავებას ქმნიდა დამოუკიდებელ ხელოსანსა და შინაურ მრეწველობის დაქირავებულ მუშას შორის. მაგრამ იმ ცვლილებებს, რომლებიც წარმოების ახალმა წესმა შეიტანა მუშათა მდგომარეობაში, ჩვენ სხვა ალაგას შევეხებით, ახლა კი განვიხილოთ უმთავრესათ თვით კაპიტალიზმის განვითარების მსვლელობა.

შემდეგი ნაბიჯი, რომელიც კაპიტალისტმა წადგა

წინ, იმაში მდგომარეობდა, რომ მან სახლში სამუშაოს ძლევა შესწყვიტა და მუშებს თავი მოუყარა საკუთარ სახელოსნოში, სადაც მას შეეძლო უკეთ ედეენებია თვალყური და უფრო მუყაითად ემუშავებინა. ამით საფუძველი დაედვა **მსხვილ კაპიტალისტურ** წარმოებას, ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით, და თვით წარმოების წესის ცვლილებასაც, რომელიც მას შემდეგ სულ უფრო და უფრო ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ.

მრავალ ადამიანის ერთათ მუშაობამ ერთ და იმავე სახელოსნოში შესაძლებელი გახადა **შრომის დანაწილება თვით წარმოებაში.** წვრილ წარმოების ბატონობის დროს შრომის დანაწილება იმაში მდგომარეობდა, რომ მატულობდა **ხელობათა** რიცხვი და ამიტომ კლებულობდა იმ საგნების რაოდენობა, რომელსაც თვითეული ხელოსანი ამზადებდა. მაგრამ ყოველი მუშა მაინც მთელ საგანს ქმნიდა შრომის დანაწილება, მაგალითად, პურისცხობაში, იმას ქვიოდა, რომ თვითეული პურის მცხობელი ვერ გამოაცხობდა ყველა ხარისხის პურს. ზოგი თეთრ პურს აცხობდა, ზოგი შავს, მაგრამ თვითეული მთელ პურს აცხობდა. სულ სხვაა შრომის დანაწილება თვით წარმოებაში. ის იმაში მდგომარეობს, რომ სხვა და სხვა მანიპულიაციები (მოქმედება), რომელიც ნაწარმოების მოსამზადებლათაა საჭირო, ცალკე მუშების სპეციალურ ხელობას შეადგენს, თვითეული მუშა მეორესთვის საჭირო მასალის დამზადებას უნდება. ამნაირათ ცალკე მუშის მოქმედება ერთ და იმავ მოძრაობის მუდმივ განმეორებათ გადაიქცა. მსხვილი წარმოება, რომელშიაც მუშაობა ამნაირათაა მოწყობილი, **მანუფაქტურას** წარმოადგენს. ამ გარემოებამ თვითეულ მუშის შრომა თვალსაჩინოთ გაანაყოფიერა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მეო-

რე შედეგი. როცა წარმოების რომელიმე დარგში შრომის გაჯაწილება იმდენათ წინ წავიდა, რომ ნაწარმოების მომზადება რამდენიმე წვრილმან მანიპულიაციათ გადაიქცა და მუშის როლიც **მანქანამდე** ჩამოქვეითდა, საკმაო შეიქნა მხოლოდ უმნიშვნელო ნაბიჯის გადადგმა, რომ მუშის ალაგი მანქანას დაეჭირა.

და ეს ნაბიჯიც გადადგმულ იქმნა. მის გადადგმას ხელი შეუწყო **საბუნებისმეტყველო მეცნიერების** განვითარებამ, განსაკუთრებით ორთქლის მამოძრავებელ ძალის აღმოჩენამ. ამ აღმოჩენამ პირველათ შექმნა ისეთი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ბუნების დაუდგრომლობისაგან თავისუფალია და ადამიანის ნებას სავსებით ემორჩილება.

მანქანის შემოღება ნამდვილი სამრეწველო **რევოლიუცია** იყო. მისი მეოხებით მსხვილი წარმოების კაპიტალისტურმა წესმა თავის უმაღლეს საფეხურს, სრულ განვითარებას მიაღწია — გაჩნდა ფაბრიკა. მანქანა ძლიერ იარაღათ გახდა კაპიტალისტურ წარმოებისთვის, მის შემწეობით უკუგდებულ იქმნა ყოველგვარი დაბრკოლება და ეკონომიური განვითარება კაპიტალის ძლევამოსილ მსვლელობათ გადაიქცა.

პირველი მანქანები, რომელიც პრაქტიკაზე სცადეს — **საქსოვი მანქანები** — შემოღებულ იქნა ინგლისში მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში. ამავე დროს ეკუთვნის **ორთქლის მანქანის** გამოგონებაც. მას შემდეგ მანქანა სწრაფათ იპყრობს სხვა და სხვა ქვეყნებს და წარმოების ყველა დარგში თან და თან იკიდებს ფეხს. მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე წლებამდე კაპიტალისტური საქარხნო წარმოება, ინგლისს გარდა, ერთობ სუსტათ იყო გავრცელებული; მეორმოცდაათე წლებში ის სწრაფათ

ვრცელდება საფრანგეთში, მესამოცე და განსაკუთრებით მესამოცდაათე წლებში ის მოედო შეერთებულ შტატებს, გერმანიას, ავსტრიას. ამ ოცი წლის წინათ ის დამყარდა აგრეთვე ბარბაროსულ რუსეთში, აღმოსავლეთ ინდოეთში, ავსტრალიაში, ახლა ფეხს იკიდებს აღმოსავლეთ აზიაში, სამხრეთ აფრიკაში და სამხრეთ ამერიკაში. რას წარმოადგენენ ძველი საუკუნოების უზარმაზარი სახელმწიფოები იმ ვეება სახელმწიფოსთან შედარებით, რომელიც კაპიტალისტურმა წარმოებამ დაიმორჩილა!

1837 წელს პრუსიაში სულ 423 ორთქლის მანქანა იყო, რომელთა ძალა 7500 ცხენის ძალას უდრიდა. 1888 წელს, ორთქლ-მავალებს და გემებს რომ თავი დავანებოთ, მანქანების რიცხვი უკვე 43,370-მდე ადიოდა. იმავ პრუსიაში 1879 წელს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში მანქანების მამოძრავებელი ძალა უდრიდა 934,884 ცხენის ძალას, 1897 წელს კი 2.881,799. ათი წლის წინათ მთელი ქვეყნის ორთქლის მანქანები იმდენს აკეთებდენ, რამდენის გაკეთებაც შეუძლია ორას მილიონ ცხენს ან ათას მილიონ კაცს.

ორთქლის მანქანამ მთელი წარმოების წესი მუდმივ ცვალებადობის გზაზე დააყენა: აღმოჩენები და გამოგონებები განუწყვეტლივ ერთი მეორეს სცვლიან. ერთი მხრით, მანქანა შეუჩერებლივ შედის იმ ქვეყნებში, სადაც აქამდე მხოლოდ ხელით მუშაობა იყო გაბატონებული; მეორე მხრით, მრეწველობის იმ დარგებში, სადაც უკვე გამეფებულია საქარხნო წარმოება, ძველი მანქანის მაგიერ ყოველ დღე ხმარებაში შედის ახალი, უფრო გაუმჯობესებული მანქანა; ხან რომელიმე გამოგონებით, ერთი დაკვრით, ჩნდება მრეწველობის

სრულიათ ახალი დარგები, და საუკუნოთ ისპობა ძველები.

ჯერ კიდევ ამ ოცდა ათი წლის წინათ ერთ მუშას სართავ მანქანით ასჯერ მეტი ნაწარმოების დამზადება შეეძლო, ვინემ ხელით მომუშავე დედაკაცს. და ეს მაშინ, როდესაც მანქანას, ბევრი რომ ვთქვათ, მხოლოდ ხუთასი თითისტარის ამუშავება შეეძლო, ახლა კი მას ათას ორას სამოცდა ათი თითისტარი მოყავს მოძრაობაში; მაშინ თითო თითისტარს მინუთში, ბევრი რომ ვთქვათ, რვა ათას ჯერ შეეძლო მობრუნება, დღეს კი გაუმჯობესებული მანქანების წყალობით ეს რიცხვი თერთმეტ ათასამდე ავიდა. რაც წარმოების აღნიშნულ დარგის შესახებ ვთქვით, იგივე უნდა ვთქვათ ათას სხვა დარგების შესახებაც. განა შეეძრება ასეთ წარმოუდგენელ ნაყოფიერებას ხელოსნური წარმოება?

ჯერ კიდევ მაშინ, როცა კაპიტალისტური წარმოება განვითარების დაბალ საფეხურზე დგას, როცა მხოლოდ მისი შინაური ფორმა ბატონობს, მას მაინც დიდი უპირატესობა აქვს ხელოსნობასთან შედარებით. თავი დავანებოთ იმ ფაქტს,რომ ამ ხანაში კაპიტალისტურმა წარმოებამ თითო მუშას თავთავისი სპეციალური საქმე მიუჩინა და ამით აამაღლა შრომის ნაყოფიერება.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის უპირატესობა, რომელიც ხელოსანთან შედარებით აქვს კაპიტალისტს, **როგორც მყიდველს.** ის ნარდათ ყიდულობს ნედლ მასალებს და სხვა საწარმოო საშუალებებს; მან ხელოსანზე გაცილებით უფრო კარგათ იცის ბაზრის პირობები, მან კარგათ იცის ის შემთხვევები, როდის შეიძლება იაფათ ყიდვა და ძვირათ გაყიდვა და საკმაო შეძლებაც აქვს ამ შემთხვევებს დაუცადოს. ეს გარემოებაც ისეთ უპირატე-

სობას აძლევს კაპიტალისტს, რომ ხელოსანი ვერასოდეს ვერ გაუმკლავდება **შინაურ მრეწველობას,** როცა საქმე მასობრივ წარმოებას ეხება. მრეწველობის იმ დარგებშიაც კი, სადაც ხელით მუშაობა დღესაც წარმოების გაბატონებულ წესს შეადგენს, შინაურ მრეწველობაში მომუშავე კარგავს თავის დამოუკიდებლობას, როცა აღნიშნულ ნაწარმოების გარეშე ბაზარზე გასატანათ მზადება იწყება. ბაზრისათვის ნაწარმოების მზადება სპობს ხელოსნობას და ხდის მას კაპიტალისტის მიერ გაყვლეფილ შინაურ მრეწველობათ. ცხადია აქედან, თუ რამდენათ გამჭრიახი არიან ის „სოციალური რეფორმატორები“, რომელნიც დაღუპვის გზაზე შემდგარ ხელოსნობის გადარჩენას მისი ნაწარმოებისათვის ბაზრის გაფართოებით ლამობენ.

ამნაირათ, ჯერ კიდევ კაპიტალისტურ წარმოების დასაწყისში, როცა ის რთული არ არის, მისი უპირატესობა ხელოსნობასთან შედარებით აშკარათ ჩანს მასობრივ წარმოების ყველა დარგებში. მანქანა უძლეველს ყოფს ამ უპირატესობას.

დამოუკიდებელ, კაპიტალის გაყვლეფისაგან თავისუფალ ხელოსნობას მხოლოდ იმ დარგში შეუძლია არსებობა, სადაც ადგილი აქვს ინდივიდუალურს, ვიწრო ბაზრისთვის დანიშნულს და არა **მასობრივ** წარმოებას.

მაგრამ მანქანამ არა მარტო **მრეწველობაში** მოახდინა ცვლილება, მან შესცვალა აგრეთვე **მისვლა-მოსვლის** წესიც. ხომალდები და რკინის გზები უფრო და უფრო აიაფებენ საქონლის გადატან-გადმოტანას, მრეწველობის ცენტრებსუკავშირებენ შორეულ და ყრუ ქვეყნებს და, რაც დღე გადის, მით უფრო აფართოებენ ბაზარს მათ ნაწარმოებისათვის. მხოლოდ ამის მეოხებით ანვითარებს მანქანა

თავის ძალებს მრეწველობაში. მანქანის შემოღებით გამოწვეული წარმოების გაფართოება **ბაზრის** შესაფერ გაფართოებას ითხოვს.

რაც უფრო ადვილდება და უმჯობესდება მიმოსვლა, რაც უფრო ფართოვდება ბაზარი მრეწველობის სხვა და სხვა დარგებისათვის, მით უფრო ვიწროვდება ხელოსნობის სარბიელი. თქმულებამ: ხელოსნობა — ოქროს საუნჯეაო — უკვე დიდი ხანია დაკარგა ყოველივე მნიშვნელობა. დღეს 'მრომის მხოლოდ ზოგიერთ დარგში და ზოგიერთ ქვეყნებში შეხვდებით ხელოსნობას, მაგრამ ის იქაც ერთობ უმნიშვნელოა და თანდათან ისპობა. დღეს კაპიტალი ყველგან გაბატონებულა, და მისგან დამოუკიდებელ ხელოსნობის დღენი უკვე დათვლილია. ესევე ითქმის გლეხის დამოუკიდებელ წვრილ წარმოების შესახებაც. იქ, სადაც მეურნე **ბაზრისთვის** ამზადებს ნაწარმოებს და არა **საკუთარ მოთხოვნილებათა** დასაკმაყოფილებლათ, მსხვილ წარმოებას, მის მეტ ნაყოფიერებაზეც რომ არ ვილაპარაკოთ, ის უპირატესობა აქვს წვრილ წარმოებასთან შედარებით, რაც საზოგადოთ კაპიტალისტს ხელოსნის წინაშე: მან უკეთ იცის ბაზრის მდგომარეობა და მაზე ბატონობაც შეუძლია. მაგრამ ფულით მსხვილ მემამულეს ან მოიჯარადრეს შეუძლია თავისი მეურნეობა უფრო ნაყოფიერი გახადოს, ვინემ გლეხს, მას შეუძლია შეიძინოს უკეთესი იარაღები, კარგი ჯიშის მუშა საქონელი, კარგი პატივი, თესლეულობა და სხვა. დაბოლოს, მანქანა აქაც თვალსაჩინოთ აძლიერებს მსხვილი წარმოების უპირატესობას. და თუ ამის შემდეგ წვრილი გლეხობა ჩქარა მაინც არ ქრება, ეს სრულიათაც არ ნიშნავს მისი მეურნეობის ტეხნიკურ უპირატესობას. უმთავრესი მიზეზი, რომელიც წვრილ

მეურნეობის გაქრობას ხელს უშლის, სოფლის მუშაკთა სიმცირეა. სოფლის მუშები ყოველთვის მრეწველობას აძლევენ უპირატესობას და ქალაქისკენ მიისწრაფვიან. ამის გამო გაცილებით ნაკლებ ზარალობს წვრილი მეურნეობა, ვინემ მსხვილი. როგორიც უნდა იყოს ამ უკანასკნელის ტეხნიკა, მას უმუშებოთ არსებობა მაინც არ შეუძლია.

მეორე გარემოება, რომელსაც უფრო ცუდი გავლენა აქვს სოფლის მსხვილ მეურნეებზე, ვინემ წვრილებზე, არის უცხო ქვეყნების კონკურენცია. მაშინ, როდესაც გლეხის ნაწარმოები უმთავრესათ თვით მწარმოებლის საჭიროებას ხმარდება, მსხვილი მემამულეები, პირიქით, თითქმის ყველა თავის ნაწარმოებს ბაზრისთვის ამზადებენ. ამიტომ ფასების დაცემა მათთვის უფრო საგრძნობელია, ვინემ გლეხებისათვის. ამას გარდა მსხვილ მეურნეობის ტეხნიკურ უპირატესობას ადგილი აქვს უმთავრესათ ხორბლის მოყვანის საქმეში (პურის მცენარეების გაშენება) და სწორეთ აქ მოქმედობს საგრძნობელათ უცხო ქვეყნების კონკურენცია.

აი, ამ მიზეზებით აიხსნება ის, რომ დასავლეთ ევროპაში წვრილი მეურნეობის დაცემა უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში შეჩერდა. მაგრამ წვრილ დამოუკიდებელ წარმოების დაცემამ მეურნეობაში ამით სულ სხვა სახე მიიღო, ვინემ მრეწველობაში.

ერთი მიზეზთაგანი, რომელიც გლეხის დამოუკიდებელ არსებობას ხელს უწყობს, არის წარმოება საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მაგრამ ასეთი წარმოება უფრო და უფრო მცირდება ათას გვარ ხარჯების წყალობით. გადასახადები მატულობს, ტეხნიკის განვითარება თხოულობს ახალ მანქანების შეძენას, ნია-

დაგის ხელოვნურათ გაპოხიერებას და სხვ. ყოველივე ეს გლეხს ვალებში აგდებს. კიდევ უფრო ავალიანებს მას მიწის ყიდვის ან მემკვიდრეობის მიღების დროს გაწეული ხარჯები. წვრილი მეურნეობის შემოსავალი უფრო და უფრო ველარ აკმაყოფილებს გლეხის აუცილებელ მოთხოვნილებებს, ის იძულებულია გარეშე სამუშაო ეძებოს სატყეო და სამთო წარმოებაში, მრეწველობაში, ერთი სიტყვით, ის იძულებულია სამუშაოთ გავიდეს. უფრო შეძლებული გლეხები აარსებენ სხვა და სხვა გვარ სამრეწველო ამხანაგობებს, შაქრის ზავოდებს და სხვ. და ამით ცდილობენ დეფიციტის დაფარვას. მაგრამ ისინი აქაც ვერ იშორებენ იმ საზოგადო კანონის გავლენას, რომლითაც მსხვილი წარმოება წვრილს ამარცხებს.

მაგრამ ყოველივე ესეც ვერ შველის საქმეს, რადგან მრეწველობა თანდათან უფრო და უფრო იზიდავს სოფლის ახალგაზრდობას; ის ტოვებს თავის მეურნეობას სწორეთ ისე, როგორც დაქირავებული მუშები მსხვილ მემამულეებს.

გამოდის, რომ დამოუკიდებელი წვრილი მეურნეობა ქრება იქაც კი, სადაც მას სრულიათაც არ ავიწროებს მსხვილი მიწათფლობელობა. წვრილი გლეხი ქრება; მართალია, ის უარს არ ამბობს თავის საკუთრებაზე, მაგრამ მაინც დაქირავებულ მუშათ ხდება და მისი შვილები კი ქალაქებში გარბიან. გერმანიაში 1882 წლიდან 1895 წლამდე სოფლის მეურნეთა რიცხვს დააკლდა 724,218, სოფლის მუშათა რიცხვს კი 262,025; ამავე დროს განმავლობაში მთელ იმპერიას ექვს მილიონ ნახევარი მცხოვრები მოემატა. 1895 წელს სოფლის მეურნეობაში მომუშავეთა რიცხვი თითქმის იმდენივე იყო, რამდენიც მრეწვე-

ლობაში — 8,300,000.

მაგრამ მათი განაწილება წლოვანობის მიხედვით სხვა და სხვანაირი იყო:

ხნოვანება	20 — 30 წლამდე.	30 — 40 წლ.	50 — 60 წლ.	60 — 70 წლ.	70 წლის ზევით.
სოფლის მეურნეობაში.	1.761,104	1.347,208	1.149,404	702,268	251,485
მრეწველობაში . . .	2,321,139	1.750,933	759,408	336,256	98,252
სოფლის მეურნეობაში + თუ — . .	— 560,035	— 403,727	+ 390,001	+ 366,012	+ 153,493

როგორც ხედავთ, ახალგაზრდობა გაქრობის გზაზე შემდგარ სოფლის მეურნეობას მოხუცებს უტოვებს; თითონ კი მრეწველობისკენ მიეშურება.

წვრილი მეურნეობის გაქრობის პროცესი უფრო ადვილი დასანახია მრეწველობაში. აი რას გვეუბნება ამის შესახებ გერმანიის იმპერიის უკანასკნელი სტატისტიკა. 1882 წლიდან 1895 წლამდე მრეწველობაში და სამთო-საამშენებლო საქმეში წვრილ დაწყებულებაა რიცხვს (რომლებშიც 1 — 5 კაცამდე მუშაობდა) მოაკლდა 186285 (8, 6%); საშუალოთ (5—50 მუშა) რიცხვს კი პირიქით, მოემატა 54458 (64%); ხოლო მსხვილებრს (50 მეტი მუშა) რიცხვს მოემატა 8460 (89,3%). წარმოების ამ დარგებში მომუშავეთა რიცხვი უდრიდა:

	წვრილი წარმოება	პროც. აბსოლ.	საშუალო წარმოება	პროც. აბსოლ.	სხვილი წარმოება	პროც. აბსოლ.
1882 წელს	3.270.404	55,1	1.209,128	18.0	1.554,121	26.3
1895 წელს	3.191,125	39,9	1.902,049	23,8	2.907,329	36.3
მოემატა + თუ დაკლდა —	— 79,279	— 15.2	+ 692,921	+ 5,2	+1353208	+ 10

ამ მჭერმეტყველ ციფრების მნიშვნელობა რომ კარგათ დავაფასოთ, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის გვიჩვენებს წვრილი წარმოების მხოლოდ საზოგადო მოძრაობას, საზოგადო მიმართულებას, რომ ის ერთმანეთში ურევს დამოუკიდებელ ხელოსნებს და კაპიტალის მიერ გაყვლეფილ მუშებს შინაურ მრეწველობაში. ჩვენ ვიცით, რომ წვრილი წარმოების საბოლოო გაქრობა—ეს ტანჯვა-წვალების გძელ ისტორიის უკანასკნელი აქტია. ამას შემდეგი მაგალითით ავხსნით. მანქანებით ქსოვამ (სახელ-დობრ ინგლისში) ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე წლებში ისეთი მწვავე კონკურენცია გაუწია გერმანელ ფეიქრებს, რომ მათი სილატაკე საარაკო გახდა და ამან ძლიერი ამბოხება გამოიწვია.

ჯერ კიდევ 1882 წელს, ხაზეინების მიერ შეკრებილი ცნობებით, გერმანიაში იყო 147561 სახლში მომუშავე ფეიქარი, ესე იგი ყველა ფეიქრების ნახევარზე მეტი (სულ 487430 იყო). მას შემდეგ შინაური მრეწველობა თვალ-საჩინოთ დაეცა. მიუხედავათ ამისა, 1895 წელს სახლში მომუშავე ფეიქართა რიცხვი 166389-დე ახწევდა. მაგრამ აქედან, მაინც არავინ იმ დასკვნას არ გამოიყვანს, რომ ხელით ქსოვას მომავალი ეკუთვნის და არა აუცილებელი გაქრობა არის მისი ხვედრიო. ინგლისში დიდი ხანია უკანასკნელმა ფეიქარმა შიმშილით სული დალია. ხელით ქსოვის დღეები გერმანიაშიც დათვლილია და თუ, მიუხედავათ ამისა, ჯერ კიდევ არსებობენ ფეიქრები, ეს იმას კი არ ამტკიცებს, რომ მათ მსხვილ წარმოებასთან კონკურენცია შეუძლიათ; არა, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ფეიქრებს **შიმშილის** ატანა შესძლებიათ.

წვრილი წარმოების სრული გაქრობა უკანასკნელი აქტია იმ დრამის, რომელსაც „წვრილ წარმოების მოს-

პობა“ ეწოდება. კაპიტალისტურ წარმოების მეტოქეობა უწინარეს ყოვლისა იმაში გამოიხატება, რომ ხელოსანს (რასაც მის შესახებ ვამბობთ, იგივე უნდა ვთქვათ გლეხის შესახებაც) თანდათან ხელიდან ეცლება ის, რაც მას და მის წინაპრებს მოუგროვებიათ. წინათაც არ ყოფილა ის მდიდარი, ახლა ხომ კიდევ უფრო ღარიბდება. ის გაორკეცებულ მუყაითობით ფიქრობს გაჭირვებიდან თავის დახწევას. ახლა ის დღე და ღამეს ასწორებს, უმოწყალოთ ამუშავებს ცოლს და მცირე წლოვან ბავშვებს, ქარგლების ნაცვლათ აყავს იაფ-ფასიანი შეგირდები. და ერთ და იმავე დროს ის, ერთი მხრით, უმატებს შრომას, მუშაობს განუწყვეტლივ, შეუსვენებლათ, მეორე მხრით კი, საზრდოობს უფრო ცუდათ, ამცირებს ბინის და ტანისამოსის ხარჯებს.

ძნელი წარმოსადგენია უფრო საცოდავი და აუტანელი მდგომარეობა, ვინემ ის, რომელშიაც მსხვილი წარმოების მეტოქენი — ხელოსანი და წვრილი გლეხი იმყოფებიან.

საფუძვლიანათ ამტკიცებენ, რომ დღეს დაქირავებულ მუშის მდგომარეობა სჯობს წვრილ გლეხის ან ხელოსნის მდგომარეობასო. ამით იმისი თქმა უნდათ, რომ მუშები ბედს არ უნდა ემდუროდენო. მაგრამ სოციალ-დემოკრატებისაკენ გასროლილი ისარი კერძო საკუთრებას ხვდება. მართლაც, თუ **საკუთრებას მოკლებული** მუშები წვრილ მწარმოებლებზე უკეთ ცხოვრობენ, მაშინ საკუთრებას რაღა მნიშვნელობა უნდა ქონდეს ამ უკანასკნელთათვის? ის მათთვის სასარგებლო აღარ არის, მას მხოლოდ ენება მოაქვს. თუ, მაგალ., ფეიქარი კიდევ არ ეშვება თავის წარმოებას, რომელსაც მასი დაკმაყოფილება აღარ შეუძლია და უფრო სასარგებლო მუშაობას ქარხანაში არ ეკარება, ეს იმიტომ, რომ

მას კიდევ შერჩენია რაღაც საკუთრება: პატარა სახლი და ორიოდ კვალი ქართოფილი. კერძო საკუთრება საწარმოვო საშუალებებზე, რომელიც წინათ წვრილ მწარმოებელს სიღატაკისაგან იფარავდა, დღეს მისთვის ბორკილი გამხდარა. კერძო საკუთრებას დღეს მისთვის სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. ის, რაც ამ ასი წლის წინათ გლეხისა და ხელოსნისათვის ბედნიერება იყო, დღეს უბედურების წყაროთ გადაქცეულა. მაგრამ გვეტყვიან: სწორეთ ამ სიღატაკით იცავს გლეხი და წვრილი ხელოსანი თავის დამოუკიდებლობას; სწორეთ ეს უპირატესობა აქვს მათ დაქირავებულ მუშასთან შედარებითო. მაგრამ ეს არაა მართალი. იქ, სადაც წვრილი წარმოება კონკურენციას უწევს მსხვილს, ეს უკანასკნელი მალე სრულიათ იმორჩილებს მას. ხელოსანი ისეთ დაქირავებულ მუშათ ხდება, რომელიც თავის სახლში კი მუშაობს, მაგრამ მუშაობს კაპიტალისტისთვის: მისი სახლი ამ შემთხვევაში მხოლოდ ფაბრიკის განყოფილებაა; ან და ის ფაბრიკანტს უდგება აგენტათ, მის ნაწარმოებს ყიდის და სხვ. ორივე შემთხვევაში ის სავსებით დამოკიდებულია კაპიტალისტისგან. გლეხი, რომელიც კონკურენციას ვეღარ უძლებს, როგორც მიწის მუშა, ხელს კიდებს შინაურ მრეწველობას და კაპიტალისტისთვის მუშაობს ან და მსხვილ მეურნესთან ქირაზე დგება. სად არის აქ დამოუკიდებლობა ან თავისუფლება? ერთათ ერთი, რაც მას პროლეტარისგან ანსხვავებს — ეს მისი საკუთრებაა; მაგრამ სწორეთ ეს საკუთრებაა, რომ მას ხელს უშლის შრომის უკეთესი პირობები მოიპოვოს. ის მიკრულია თავის მიწაზე და გაცილებით უფრო **დამოკიდებულია,** ვინემ საკუთრებას სრულიათ მოკლებული მუშა. ამგვარათ, კერძო საკუთრება საწარმოვო საშუალებაზე აძლიერებს

არა მარტო მის ნივთიერ სიღარიბეს, არამედ დამოკიდებულებასაც. ამ მხრით მისი პირვანდელი შინაარსი სრულებით შეიცვალა: თავისუფლების წყაროს მაგიერ ის დამონავების იარაღათ გადაიქცა.

გვეუბნებიან: კერძო საკუთრება საშუალებას აძლევს ხელოსანს და გლეხს თავიანთ შრომის ნაწარმოებს თვითონვე დაეპატრონონო. ეს მაინც და მაინც ვერაფერი ნუგეშია, რადგანაც მათი ნაწარმოების ღირებულებამ იმდენათ იკლო, რომ ის მწარმოებელს და მის ოჯახს აღარც კი ყოფნის. მაგრამ ეს მცირე ნუგეშიც ფუჭია. ასეთ ნუგეშს სრულიათ მოკლებულია მწარმოებლების დიდი ნაწილი, რომელმაც, შიმშილით რომ არ მოკვდეს, შინაურ მრეწველობას ან დაქირავებულ შრომას უნდა მიმართოს. ესევე უნდა ვთქვათ იმ წვრილ გლეხების და ხელოსნების შესახებ, რომლებსაც ბედმა დღემდე სრული დამოუკიდებლობა შეარჩინა. ესევე ითქმის აგრეთვე ყველა იმათ შესახებ, ვისაც **ვალები აქვს**. მოვახშეს, რომელმაც გლეხის მიწა დაიგირავა, გაცილებით მეტი უფლება აქვს გლეხის შრომის ნაყოფზე, ვინემ თვითონ გლეხს. ჯერ მევახშე უნდა დააკმაყოფილოს და რაც მას გადარჩება გლეხს მხოლოდ ის ეკუთვნის; ყოფნის თუ არა ეს გლეხს და მის ოჯახობას — მევახშეს ამისი დარდი არ აწუხებს. გლეხებიც და ხელოსნებიც ისევე შრომობენ კაპიტალისტის სასარგებლოთ, როგორც დაქირავებული მუშები.

განსხვავება, რომელსაც ამ შემთხვევაში კერძო საკუთრება ქმნის მესაკუთრე მუშათა და საკუთრებას მოკლებულთა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ ამ უკანასკნელების სამუშაო ქირა, საზოგადოთ რომ ვსთქვათ, მათი ჩვეულებრივი მოთხოვნილებების ნორმას უდრის, საკუთრების მქონე მუშათათვის კი ასეთი ნორმა არ არ-

სებოს. ხშირათ ისიც მოხდება ხოლმე, რომ მთელი მათი შრომის ნაყოფი მევახშის პროცენტების დაფარვას უნდება ჯ ისინი **მუქთათ მუშაობენ** — კერძო საკუთრების წყალობით. *)

რითი უნდა გათავდეს ეს მწვავე ბრძოლა მსხვილ წარმოების ულმობელ კონკურენციის წინააღმდეგ? რა ჯილდო მოელის გლეხს ან ხელოსანს „დაზოგვისა“ და „მუყაითობისთვის“, ე. ი. იმისთვის, რომ მათ მონობის უღელი დაიდგეს კისერზე, იმისთვის რომ წელებზე ფეხს იდგამენ და დღე და ღამეს ასწორებენ? ეს ჯილდო—**გაკოტრებაა**, ყოველგვარ საკუთრების დაკარგვა (მაღალი ფრაზებით რომ ვსთქვათ—ექსპროპრიაცია), საწარმოოო საშუალებებს ჩამოშორება, **პროლეტარიატის რაზმში გადასვლა.**

ასეთია თანამედროვე საზოგადოების ეკონომიურ განვითარების შედეგი; ის აუცილებელია, როგორც სიკვდილი. და როგორც სიკვდილი ერთათ ერთი ხსნაა

*) თუმცა მივარდნილ აღგილებში კიდევ მოიპოვებიან ისეთი გლეხები და ხელოსნები, რომელთაც საკუთარი ვალები არა აქვთ, მაგრამ სახელმწიფო ვალების შემწეობით მთავრობა მაინც აიძულებს მათ კაპიტალისტების სასარგებლოთ განსაზღვრული პროცენტები იხადონ. როცა გლეხი ან ხელოსანი ჰიპოტეკის, თამასუქის და სხვ. პროცენტებს იხდის, ის, რაც უნდა იყოს, ამ კაპიტალით მაინც სარგებლობს. ხოლო როცა ისინი იხდიან პროცენტებს სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალებში, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი იხდიან იმ კაპიტალში, რომელიც სახელმწიფომ მათი მეტოქეების და მეკვლეფელების: მოიჯარადრების, მსხვილ მრეწველების, მემამულეების და სსვ. გასამდიდრებლათ ისესხა. **მილიტარიზმი და სახელმწიფო ვალები** — ეს ის ორი ძლიერი იარაღი, რომლის შემწეობით სახელმწიფომ მივარდნილი სოფელიც კი დაუმორჩილა კაპიტალისტურ ექსპლოატაციას და გლეხის მეურნეობას და ხელოსნობას ძირი გამოუთხარა.

ხანგრძლივი სენით შეპყრობილ ავათმყოფისთვის, ისე გაკოტრება წვრილ მწარმოებლისთვის დღევანდელ პირობებში არის ხსნა, განთავისუფლება საკუთრებისგან, რომელიც მას მძიმე უღლათ დასწოლია კისერზე. ამის შემდეგ წვრილ მწარმოებლის არსებობას ისეთი სიღარიბე, ისეთი დამცირება მოელის, რომ თავის თავს ძალა უნებურათ ეკითხები: გვაქვს ჩვენ უფლება, რომც შეგვეძლოს, წვრილი წარმოების დაცემა შევაჩეროთ? განა უკეთესი იქნებოდა, რომ ყველა წვრილი მწარმოებლები და გლეხები ფეიქრების მდგომარეობაში ჩაცვინულიყვენ და არა მსხვილ წარმოების დაქირავებულ მუშებათ გამხდარიყვენ? და წვრილ წარმოების დახმარებას ხომ მუდამ ეს აქვს სახეში, თორემ განა შესაძლებელია ჩვენს დროში, ამ ორთქლისა და ელექტრონის საუკუნეში, ხელოსნობის და წვრილ მეურნეობის აყვავება?

ეს მწარე სინამდვილე ეხება არა მარტო იმათ, ვინც ამ საქმის პირდაპირ მონაწილეა, არამედ ყველა იმათაც, ვინც დაინტერესებულია დღევანდელ საზოგადოების დაცვაში, მის არსებობაში, რადგანაც გლეხი და ხელოსანი კერძო საკუთრების ყველაზე უფრო საიმედო ბურჯები არიან. აი, რატომ არ სურთ და არც შეუძლიათ გაიგონ, რომ ეს ბოძი დალპა და ინგრევა. ყველა იმათ, ვინც ხალხს სისხლს სწოვს და, მაშასადამე, ყველეფს გლეხსაც და ხელოსანსაც; ყველა იმათ, ვინც მათ ატყავებს და ანადგურებს: მსხვილ მემამულეებს, ფაბრიკანტებს და სხვ.—უცებ გული აუჩვილდათ, გლეხისა და ხელოსნისადმი დიდი მეგობრობა იგრძნეს და მათთან ერთათ წვრილ მეურნეობის დასაცველ საშუალებათა ძებნას შეუდგენ. უცებ გაჩნდენ შარლატნები თავის უცდომელი საშუალებებით და რეკლამებით. მაგრამ ეს საშუალებები და რეკლამები სულ

ძველი რეცეპტებია, რომელთა უვარგისობა ასის წლის წინათ იქნა ცნობილი, მაგალითად, ამქრული წყობილება და სხვ.

ამ საშუალებებს, შესაძლებელია, ის შედეგი მოყვეს, რომ ზოგიერთი კარგს პირობებში მყოფი გლეხები და ხელოსნები გადავიდენ წარმოების უმაღლეს ფორმაზე, **წვრილ მწარმოებლების** მაგიერ **კაპიტალისტები** გახდენ, ე. ი. თავის ნაკლებ ბედნიერ ამხანაგების კონკურენტებათ გახდენ და მათი დაღუპვა დააჩქარონ.

ყელა „სოციალური რეფორმები", გლეხთა და ხელოსანთა წოდების დასაცველი ყოველგვარი „საშუალებანი" **ლატარიას** მოგვაგონებს: იშვიათად ხვდება ვინმეს ფასიანი ნომერი, უმრავლესობა კი ცარიელ ბილეთებს იღებს; და ვინმემ რომ იფიქროს — მე მდიდარი ვარ, რაკი ჯიბეში ლატარიის ბილეთები მიდევსო, ბრიყვათ ჩათვლიან. და სწორედ ასეთ ბრიყვს მოგვაგონებს ბევრი ხელოსანი და გლეხი: ისინი თავის თავს სთვლიან იმათ, რაც მათ სურთ რომ იყვენ, და არა იმათ, რაც ნამდვილათ არიან. მათ თავი კაპიტალისტებათ მოაქვთ, მაგრამ მათი მდგომარეობა ოდნავათაც არ სჯობია პროლეტარიატის მდგომარეობას.

II

პროლეტარიატი

1. — **პროლეტარი და ქარგალი**

პირველ თავში ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალისტურ წარმოებისთვის საჭიროა **მუშა საწარმოვო საშუალებებს იყოს მოკლებული.** მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებაში ჩვენ ვხედავთ, ერთი მხრით, საწარმოვო სა-

შუალებების პატრონს, **კაპიტალისტს,** რომელიც თვითონ სულაც არ ღებულობს მონაწილეობას წარმოების პროცესში და, მეორე მხრით, **დაქირავებულ მუშებს,** პროლეტარებს, რომლთაცა რა გააჩნიათ რა, გარდა სამუშაო ძალისა, რომლის გაყიდვითაც ისინი ცხოვრობენ; აი, ამათი და მხოლოდ ამათი შრომაა მთელ მსხვილ წარმოების სულის ჩამდგმელი.

თავდაპირველათ, როგორც დავინახეთ, პროლეტარების საჭირო რიცხვი კაპიტალისტებმა ძალმომრეობით შექმნეს. ახლა ეს საჭირო აღარ არის. დღეს საკმარისია მსხვილი წარმოების უპირატესობა წვრილთან შედარებით, რომ კერძო საკუთრების უფლების დაურღვევლათ, პირიქით, ამ უფლების ძალით, იმდენ გლეხსა და ხელოსანს გამოეცალოს ხელიდან ქონება და გაპროლეტარდეს, რომ მათი რიცხვი „თავისუფალ“ პროლეტართა ჩამომავლობასთან ერთად კიდევაც სჭარბობდეს კაპიტალისტთა მოთხოვნილებას.

პროლეტართა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება; ეს ისეთი თვალსაჩინო მოვლენაა, რომ მის უარყოფას ვერ ბედვენ ისინიც კი, რომელთაც სურთ დაგვარწმუნონ,— საზოგადოება იმავე შეურყეველ საფუძველზე დგას, როგორც ამ ასი წლის წინათ იდგა, და წვრილ წარმოებას ბრწყინვალე მომავალი აქვსო.

როგორც წარმოებაში მსხვილი კაპიტალისტური ფორმა გაბატონდა, ისე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში მშრომელთა შორის პირველი ადგილი დაიჭირა დაქირავებულმა მუშამ, სახელდობრ სამრეწველო მუშამ. ოთხასი წლის წინათ ეს ადგილი გლეხს ეჭირა, ასი წლის წინათ კი ხელოსანს (მეშჩანინს).

1882 წელს გერმანიაში ყოველ ას მწარმოებელზე

32 დამოუკიდებელი მწარმოებელი მოდიოდა, 1895 წელს კი — 29. დაქირავებული მუშა, პირიქით, 1882 წელს ასზე მოდიოდა 68, 1895 წელს კი — 71. მაშასადამე, გერმანიაში პროლეტარიატი დღეს ყველა მწარმოებელთა რიცხვის ორ მესამედზე მეტს შეადგენს.

კულტურულ ქვეყნებში პროლეტარიატი დღესაც ერთობ ძლიერ კლასს წარმოადგენს; მისი არსებობის პირობები, მისი შეხედულებანი სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენენ დანარჩენ მშრომელ კლასების ცხოვრებასა და აზროვნებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მშრომელთა მასის ტრადიციებში, აზროვნებაში, არსებობის პირობებში დიდი ცვლილება მოხდა, ვინაიდან პროლეტარის, განსაკუთრებით სამრეწველო პროლეტარის, ცხოვრების პირობები (კაპიტალისტურ წარმოების დროს სოფლის მეურნეობაც მრეწველობათ ხდება) სრულიათ განსხვავდებიან იმ პირობებისგან, რომლებშიც წინანდელი მშრომელი მასა იმყოფებოდა.

როდესაც გლეხი ან ხელოსანი საწარმოო საშუალებათა სრული მესაკუთრეა, მაშინ შრომის ნაყოფი სავსებით მას ეკუთვნის. პროლეტარის შრომის ნაყოფი კი, პირიქით, ეკუთვნის არა მას, არამედ მისი სამუშაო ძალის მყიდველს, კაპიტალისტს, რომელიც საწარმოო საშუალებათა ერთათ ერთი მესაკუთრეა. რა თქმა უნდა, კაპიტალისტი მუშას ქირას აძლევს, მაგრამ სამუშაო ქირა არასოდეს არ უდრის შრომის ნაყოფის ღირებულებას.

როდესაც კაპიტალისტი ყიდულობს საქონელს — სამუშაო ძალას, ამას ის იმ მიზნით შვრება, რომ მოსაგები ნახოს. ჩვენ დავინახეთ, რომ შრომის განსაზღვრული რაოდენობა განსაზღრულ ღირებულებას ქმნის. რაც

მეტს შრომობს მუშა, მით — სხვა თანასწორ პირობებში — მეტია მისგან შექმნილი ღირებულება. დაქირავებულმა მუშამ რომ თავისი შრომის სრული ღირებულება მიიღოს, მაშინ კაპიტალისტი ვერაფერს ვერ მოიგებს. მაგრამ გულწრფელათაც რომ თამაშობდეს კაპიტალისტი ტანჯულ კაცობრიობის მოკეთის როლს, მისი კაპიტალი მაინც მოსაგებს მოითხოვს და ამ მოთხოვნას კაპიტალისტი გვერდს ვერ აუქცევს. რაც უფრო დიდ ხანს მუშაობს დაქირავებული მუშა იმ დროს ზევით, რომელიც საჭიროა მისი სამუშაო ქირის ღირებულების დასაფარავათ, მით უფრო მეტია განსხვავება მისგან შექმნილ საქონლის ღირებულებასა და მის სამუშაო ქირას შორის, მით მეტია **ზედმეტი ღირებულება,** მით მეტია ექსპლოატაცია. ამ ყველაფის საზღვარია, ერთი მხრით, გაყველფილის სრული დაუძლურება, მეორე მხრით, მისი წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

ამგვარათ, საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრებას პროლეტარისთვის სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, ვინემ ხელოსნისა და გლეხისთვის. თუ ამ უკანასკნელთათვის ის იმ თავიდანვე ისეთ საშუალებას შეადგენდა, რომლის წყალობით ისინი თავის შრომის ნაყოფს თითონვე ეპატრონებოდენ, პროლეტარისთვის ის ასეთი საშუალება არასოდეს არც ყოფილა და არც იქნება; მისთვის ის მუდამ ექსპლოატაციის იარაღი იყო, რომელიც კაპიტალისტს შეძლებას აძლევდა, — მუშის მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებას დაპატრონებოდა. ამიტომ პროლეტარი ყველაზე ნაკლებ სცემს თაყვანს კერძო საკუთრებას. ამით განსხვავდება ის არა მარტო მესაკუთრე გლეხებისა და ხელოსნებისგან, არამედ იმ ქარგლებისგანაც, რომელნიც კაპიტალისტურ წყობილებამდე არსებობდენ.

ქარგლებს ეკირათ გარდამავალი საფეხური დამოუკიდებელ ხელოსანსა ⸗ პროლეტარს შუა სწორედ ისე, როგორც თვითონ ის წარმოება, რომელშიც ისინი ბლომათ მუშაობდენ, წვრილიდან მსხვილზე გადასასვლელ საფეხურს წარმოადგენდა. მაგრამ მაინც რა დიდი განსხვავებაა მათსა და პროლეტარებს შორის!

ისინი ოსტატის ოჯახს ეკუთვნოდენ; თვითეული მათგანი დარწმუნებული იყო, რომ შემდეგში თითონაც ოსტატი გახდებოდა. პროლეტარი კი მარტო თავის თავზეა მინდობილი, მისი ხვედრი მუდამ პროლეტარობაა. აი, ამ ორ მუხლში უნდა ვეძიოთ განსხვავების სათავე პროლეტარსა და ქარგალს შორის.

რადგანაც ქარგალი ოსტატის ოჯახს ეკუთვნოდა, ის მასთან ერთათ სჭამდა და სვამდა, მის სახლში ეძინა. რა ჭამოს, სად იცხოვროს — ასეთი კითხვები მისთვის არ არსებოდა. სამუშაო ქირა, რომელიც მას ფულათ ეძლეოდა, მხოლოდ ნიწილი იყო იმის, რასაც ის თავის სამუშაო ძალაში ღებულობდა. რადგანაც ის ოსტატთან მზა-მზარეულზე ცხოვრობდა, ამიტომ ჯამაგირს აუცილებელ მოთხოვნილებებს როდი ანდომებდა; არა, ის მას ან **ინახავდა,** ან გასართობებში ხარჯავდა; ამ შენახულ ფულით ის შემდეგ თვითონ ხსნიდა სახელოსნოს და ოსტატი ხდებოდა.

ქარგალი ოსტატთან ერთათ მუშაობდა. თუ ოსტატი სამუშაო დღეს გაადიდებდა, ამით ის თავის თავსაც დასჯიდა. ამიტომ ოსტატი მაინცა და მაინც არც ცდილობდა შრომა გაეძნელებია, აუტანელი პირობები შეექმნა, და ყოველ მის ასეთ მისწრაფებასთან ბრძოლა ადვილი იყო. თუ კი ხაზეინი ეცდებოდა, შეძლებისდაგვარათ, შრომის პირობები გაეუმჯობესებია, ეს ქარგლის-

თვისაც ხელსაყრელი იყო. წვრილი წარმოება ძალიან მცირე საშუალებას ოხოულობდა,და ქარგალსაც ადვილათ შეეძლო მისი შეძენა და ოსტატათ გახდომა. ამიტომ ყოველ ქარაგლს ქონდა იმედი, რომ მალე ოსტატი გახდებოდა და თავის თავს ისე უყურებდა, როგორც მომავალ ოსტატს. რადგანაც დაზოგვა შეძლებას აძლევდა მას შემდეგში საკუთარი წარმოება დაეწყო, ამიტომ ის ისეთივე მომხრე იყო კერძო საკუთრების, როგორც დამოუკიდებელი ხელოსანი.

თავისთავათ ცხადია, რომ ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ხელოსნურ შრომის იმ პირობებზე, რომლებიც **კაპიტალიზმის წინა** ხანაში დამყარდა. ახლა შევადაროთ ამას პროლეტარიატის ცხოვრების პირობები.

კაპიტალისტურ წარმოებაში დაქირავებული მუშა და კაპიტალისტი ერთათ არ მუშაობენ. თუმცა ეკონომიურ განვითარების მსვლელობაში მრეწველი-კაპიტალისტი უკვე განცალკევებულია ვაჭრისაგან ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ჯ სრულიათ განკერძოებულ კლასს ეკუთვნის, მაგრამ არსებითათ მრეწველი-კაპიტალისტი მაინც ვაჭარია. მისი სამოქმედო ასპარეზიც, როგორც კაპიტალისტის -- რამდენათაც თითონ იღებს წარმოებაში მონაწილეობას — და ვაჭრისაც **ბაზარია.** ის დაინტერესებულია, რაც შეიძლება, ხელსაყრელ და იაფ ფასებში იყიდოს ნედლი მასალა, სამუშაო ძალა და სხვ. და, რაც შეიძლება, ძვირათ გაყიდოს დამზადებული საქონელი. **წარმოებაში** კაპიტალისტი მხოლოდ იმას ცდილობს, რომ, რაც შეიძლება, ნაკლები ქირა მისცეს მუშას და ბევრი ამუშაოს, გამოსტყუოს მას რაც შეიძლება მეტი ზედმეტი ღირებულება. ის ახლა თავის **მუშებთან კი არ მუშაობს, როგორც ამხანაგი, ის**

მათი ზედამხედველი, მბრძანებელი და მყვლეფელია. რაც მეტს იმუშავებენ მუშები, მით უკეთესია მისთვის. დეე გაგრძელდეს სამუშაო დღე, ეს მას არ დაღლის; ის არ დასნეულდება იმის გამო, რომ მის სახელოსნოში აუტანელი შრომის პირობები იქნება.

ამიტომ კაპიტალისტი უფრო უმოწყალოთ ეპყრობა მუშის სიცოცხლეს და ჯანმთელობას, ვინემ ხელოსანი. სამუშაო დღის გადიდება, უქმეების მოსპობა, ღამით მუშაობის შემოღება, ნესტიანი, ვიწრო და მყრალი სახელოსნოები — აი ის „გაუმჯობესება“, რომელიც კაპიტალისტურმა წეს-წყობილებამ მოუტანა მუშებს.

მანქანების შემოღებამ კიდევ მეტ ხიფათში ჩააგდო მუშის სიცოცხლე და ჯანმთელობა. ახლა ის მიჯაჭულია უზარმაზარ ვეშაპზე, რომელიც საშინელის ძალით და წარმოუდგენელ სისწრაფით ტრიალებს და ხმაურობს მის გარშემო. სულ მცირე გაუფრთხილებლობა ან უყურადღებობა საკმაოა, რომ მან მოგიტაცოს და გაგსრისოს. ხიფათისაგან დამცველ ზომების შემოღებას ფული უნდა და კაპიტალისტი არ შეიწუხებს თავს, თუ მას ძალა არ დაატანეს. ყაირათი ხომ კაპიტალისტის უმთავრესი სათნოებაა; ეს აიძულებს მას, რაც შეიძლება პატარა ადგილზე მოათავსოს დიდი მანქანები. იმას რა ენაღვლება, თუ ამით ადამიანის სიცოცხლე ხიფათში ჩავარდება? მუშა ხომ იაფია, დიდ სახელოსნოს გამართვას კი ბევრი ფული უნდა.

მანქანების კაპიტალისტური ხმარება სხვა მხრივაც უარეს პირობებში აყენებს მუშის შრომას. ხელოსნის იარაღები ძვირათ არ ჯდებოდა. ისინი ხშირათ არ იცვლებოდენ, რადგან მათი გაუმჯობესება ნელა ხდებოდა. სულ ხვაა მანქანა. ის ძვირათ, ძალიან ძვირათ ღირს.

თუ ის უდროოთ გაცვდა ან შესაფერათ ვერ იქმნა მოხმარებული, მას, სარგებლის მაგიერ, ზარალი მოაქვს. მაგრამ მანქანა ცვდება არა მარტო მაშინ, როცა ის ხმარებაშია, არამედ მაშინაც კი, როცა უსაქმოთ დგას. მეორე მხრით, მრეწველობაში მეცნიერების გამოყენებამ, რის შედეგიც თვითონ მანქანა არის, გამოიწვია ის, რომ მანქანები განუწყვეტლივ უმჯობესდებიან; ახალ-ახალ აღმოჩენების წყალობით ხან ერთი, ხან მეორე მანქანა კარგავს თავის მნიშვნელობას, ვეღარ უძლებს კონკურენციას და ხმარებიდან გამოდის. ამიტომ კაპიტალისტი დაინტერესებულია იმაში, რომ მანქანა, რაც შეიძლება, ადრე მოიხმაროს, ადრე აანაზღაურებიოს მაზე დახარჯული ღირებულება.

მანქანა კაპიტალისტისათვის ერთნაირი დეზია, რომელიც მას აიძულებს სამუშაო დღე, რაც შეიძლება, გაადიდოს, შემოიღოს განუწყვეტელი მუშაობა, დააწესოს დღე და ღამე მორიგეობა და ამით დამღუპველი ღამით მუშაობა ჩვეულებრივ მოვლენათ გადააქციოს. როდესაც მანქანური წარმოება შემოდიოდა, ზოგიერთი იდეალისტები გაიძახოდენ — ოქროს საუკუნე გვიდგებაო, მანქანა თვითონ აასრულებს მუშის საქმეს და მას თავისუფალ ადამიანათ გადააქცევსო. მაგრამ კაპიტალისტებმა მანქანა ისეთ იარაღათ გადააქციეს, რომელიც შრომის სიმძიმეს აორკეცებს და მუშას აუტანელ მონურ მდგომარეობაში აგდებს. როგორც სამუშაო დროს, ისე **სამუშო ქირის** მხრივ კაპიტალიზმის დაქირავებული მუშა გაცილებით უარეს მდგომარეობაშია, ვინემ წინა დროის ქარგალი. პროლეტარი კაპიტალისტთან ერთათ არ სჯამს, არც მის ბინაზე ცხოვრობს. როგორ ბინაზეც უნდა იცხოვროს მუშამ, რანაირათაც უნდა იკვებე-

ბოდეს ის, მუდამ მშიერიც რომ იყოს — ამით კაპიტალისტის ჯანმრთელობას არა დააკლდება რა. წინათ ეს ორი ცნება — **შიმშილი და სამუშაო ქირა** — ერთმანეთს უარ ყოფდა. თუ წინათ თავისუფალი მუშა ოდესმე მშიერი იყო, ეს მხოლოდ მაშინ, როცა მას სამუშაო არ ქონდა. ვინც მუშაობდა, მას საზრდოც ქონდა. კაპიტალისტურ წარმოებას კი ის ღვაწლი მიუძღვის, რომ მან შეარიგა ეს ორი მოწინააღმდეგე ცნება: **შიმშილი და სამუშაო** ქირა, და **ლატაკური სამუშაო ქირა** გადააქცია არა მარტო მუდმივ მოვლენათ, არამედ საზოგადოების ერთნაირ ბურჯათაც კი.

2. — სამუშაო ქირა

სამუშაო ქირა იმდენათ ვერ აიწევს, რომ კაპიტალისტს თავის შემოსავლით არსებობის საშუალება წაართვას, წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის უმჯობესი იქნება სულ მიატოვოს წარმოება. მაშასადამე, მუშის სამუშაო ქირა არასოდეს არ უდრის მის მიერ შექმნილ საქონლის ღირებულებას. ყოველთვის უნდა რჩებოდეს ზედმეტი ღირებულება, რადგან მხოლოდ ამ ზედმეტ ღირებულების იმედით ყიდულობს ის სამუშაო ძალას. ამგვარათ, კაპიტალისტურ საზოგადოებაში სამუშაო ქირა იმდენათ ვერასოდეს ვერ აიწევს, რომ მუშის ექსპლუატაციას (ყვლეფა) ბოლო მოეღოს.

ეს ზედმეტი ღირებულება გაცილებით უფრო დიდია, ვინემ ჩვეულებრივ გონიათ. ის ფარავს არა მარტო ფაბრიკანტის მოგებას, არამედ ბევრ სხვა რამესაც, რასაც **წარმოების ხარჯები და სავაჭრო ხარჯები** ეწოდება: მიწის რენტას (ფაბრიკისთვის დაქირავებულ მიწის ქირას), ძირითად თანხის პროცენტებს, ნოქრების

ჯამაგირს, ვაკრების „სკიდკებს“ და სხვ. ყველა ამ ხარ-ჯებს ფარავენ იმ განსხვავებიდან, რომელიც მუშის მიერ შექმნილ ღირებულებასა და სამუშაო ქირას შორის არ-სებობს. როგორც ეტყობა, ეს ზედმეტი ღირებულება ძალიან დიდი უნდა იყოს, ისე „საქმე“ მოსაგებს არ მი-სცემს პატრონს. ამიტომ სამუშაო ქირა არასოდეს ისე არ აიწევს, რომ მუშამ მიიღოს თუნდაც დაახლოვებით ის, რაც მან შექმნა. რა წესზედაც უნდა დამყარდეს წა-რმოების კაპიტალისტური ფორმა, ის ყოველთვის ყვლე-ფას მოასწავებს. და სანამ ეს ფორმა არსებობს, ნურა-ვინ იფიქრებს ექსპლოატაციის მოსპობას, რომელიც ძა-ლიან ძლიერია მაშინაც კი, როცა სამუშაო ქირა დიდია.

მაგრამ სამუშაო ქირა ვერასოდეს ვერ იქნება ისე დიდი, როგორც ეს შესაძლებელია. უფრო ხშირათ ის უახლოვდება იმ მინიმუმს, რომელს ქვეეით მუშის არსებობას შეუძლებლათ ხდის. როცა მუშა ისე მცირე სამუშაო ქირას იღებს, რომ ის არა თუ მშიერია, არამედ შიმშილით სიკვდილიც კი მოელის, მაშინ მუშაობას სულ ანებებს თავს.

აი, ამ ორ საზღვარ შუა ირხევა სამუშაო ქირა. ის იმდენათ უფრო პატარაა, რამდენათაც უფრო განუვითა-რებელია მუშის მოთხოვნილებები, რამდენათაც დიდია ბაზარზე მუშა ხელის მიწოდება და რამდენათ სუსტია მის მიერ წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

საზოგადოთ, სამუშაო ქირა ისე დიდი უნდა იყოს, რომ მან მუშას მუშაობა შეაძლებიოს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, უზრუნველ ყოს კაპიტალისტისთვის სა-ჭირო სამუშაო ძალა. მაშასადამე, ის ისე დიდი უნ-და იყოს, რომ მუშამ არა მარტო აღადგინოს თავისი

დახარჯული ძალა, არამედ გამოზარდოს შვილებიც, — ეს მომავალი მუშები.

ეკონომიური განვითარება ააშკარავებს კაპიტალისტისთვის მეტად სასიამოვნო ტენდენციას — **შეამოკლოს** ხარჯები სამუშაო ძალაზე და მით დააპატარაოს **სამუშაო ქირაც**. წინათ მუშისგან დახელოვნებას და მოხერხებას თხოულობდენ. ხელობის შესწავლის დროც გრძელი იყო და ამიტომ სწავლაც დიდ ხარჯებს ითხოვდა. შრომის დანაწილების პროგრესი და მანქანები მეტ ბარგათ ხდიან წარმოებაში მუშის დახელოვნებას და ღონეს; ისინი ნებას აძლევენ კაპიტალისტს ნასწავლი მუშის მაგიერ უსწავლელი და უფრო იაფი დაიქირაოს, მამაკაცების მაგიერ სუსტ დედაკაცების და ბავშების შრომით ისარგებლოს. ეს ტენდენცია ჯერ კიდევ მანუფაკტურაში აშკარავდება, მაგრამ მხოლოდ მანქანის შემოღების შემდეგ იწყება სათუთ ქალთა და ბავშვთა ბასობრივი ექსპლუატაცია, ექსპლუატაცია გაყვლეფილთა უუსაწყლეს ნაწილისა, რომელიც ღმაშფოთებელ მოპყრობას და აუტანელ შრომას იტანს. აქ ჩვენ ვამჩნევთ კიდევ ერთ ახალ მადლიან თვისებას, რომელსაც მანქანა კაპიტალისტის ხელში იჩენს.

წინათ დაქირავებულ მუშას, როცა ის მწარმოებლის ოჯახის წევრი არ იყო, ისეთი ხელფასი უნდა აეღო, რომ ოჯახის სარჩენათაც ყოფნოდა. მუშას აუცილებლათ უნდა დარჩეს ჩამომავლობა, რომ თავისი სამუშაო ძალა მას გადასცეს; წინააღმდეგ შემთხვევაში კაპიტალისტების მემკვიდრენი ველარ იშოვნიან პროლეტარებს, რომლების გაყვლეფაც მათთვის საჭიროა. მაგრამ, რადგანაც მუშის ცოლ-შვილი თვითონ ზრუნავს თავის თავზე, ამიტომ მამაკაცის სამუშაო ქირა იმდენათ ეცემა,

რომ მხოლოდ თვითონ მას ყოფნის, და ეს სამუშაო ძალას სრულიათ არ ასუსტებს.

ამას გარდა, ქალების და ბავშვების დაქირავება კიდევ იმითია კარგი, რომ მათ მამაკაცებთან შედარებით ნაკლები წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიათ. ამავე დროს მათი ბაზარზე გამოსვლა თვალსაჩინოთ ამრავლებს მუშა ხელის რაოდენობას. ამნაირათ ქალების და ბავშვების შრომა არა მარტო ამცირებს მამაკაცის შესანახ ხარჯების ღირებულებას, არამედ ასუსტებს აგრეთვე მის ბრძოლის სახსარს და ამრავლებს მუშა ხელს: ყოველი ასეთი გარემოება კი სამუშაო ქირის დაცემას იწვევს.

3. — პროლეტარის ოჯახის დარღვევა

ქალის სამრეწველო შრომა კაპიტალისტურ საზოგადოებაში ძირს უთხრის მუშის ოჯახს, მაგრამ მის ალაგას სრულიადაც არ ამყარებს სხვას, უფრო განვითარებულ ფორმას. კაპიტალისტური წესწყობილება უმეტეს შემთხვევებში არ ანთავისუფლებს მუშას ცალკე ოჯახობის მოწყობისაგან, მაგრამ ის ასეთ ცხოვრებას ყოველივე ღირსებას ართმევს და მხოლოდ ნაკლულევანებებს უტოვებს, — უმთავრესათ იმით, რომ ქალს აუტანელი შრომით წელში სტეხს და საზოგადოებრივ ცხოვრებას აშორებს. სამრეწველო შრომა ჩვენს დროში სრულიად არ ანთავისუფლებს ქალს ოჯახურ მოვალეობისგან, პირიქით ძველ ტვირთზე ახალს უმატებს. მაგრამ ვის შეუძლია ორ ბატონს ასიამოვნოს. დედაკაცის გამოსვლა ფულის საშოვნელათ მუშის ოჯახის არევ-დარევას იწვევს. ხოლო მატერიალურ და გონებრივ კულტურის ის ნამცეცები, რომელსაც მდიდარი კლასები ღარიბებისთვის იმე-

ტებენ — სახალხო სასადილოები და შკოლები ღარიბ-თათვის — შინაურ მეურნეობის და ოჯახის მაგიერობას ოდნავაც ვერ გასწევენ.

სოციალ-დემოკრატიას ოჯახის დარღვევის სურვილს აბრალებენ. დიახ, ჩვენ გვწამს, რომ წარმოების ესა თუ ის ფორმა იწვევს შინაურ მეურნეობის და ოჯახის ამა თუ იმ ფორმას. ოჯახის არსებული ფორმა, ჩვენის აზრით, არ არის მუდმივი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საზოგადოების ახალი ფორმა ოჯახის ახალ ფორმას წარმოშობს. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, ვითომ ჩვენ ოჯახის ყოველგვარ კავშირის მოსპობას ვცდილობდეთ. რა შუაშია აქ სოციალ-დემოკრატიის სურვილი, როდესაც თვით კაპიტალისტები საქმით არღვევენ ოჯახს. ძველ დროში ზოგიერთი მონათ-მფლობელები ცოლ-ქმარს ერთმანეთს აშორებდენ და მშობლებს მცირე წლოვან შვილებს ართმევდენ, როცა ესენი მუშაობას შეიძლებდენ; მაგრამ კაპიტალისტებმა მონობის ამ საშინელებას გადააჭარბეს კიდეც, ისინი **ჩვილ ბავშებს** მშობელ დედას ართმევენ და ვიღაცების ანაბარათ ატოვებინებენ. და დახეთ თავხედობას: საზოგადოება, რომელშიაც ბავშვები ყოველ დღე ათასობით ვარდებიან ასეთ ყოფაში; საზოგადოება, რომელიც „უმაღლეს პირთა“ შეწევნით აარსებს ისეთ საქველ-მოქმედო დაწესებულებებს, რომლებმაც უნდა გაუადვილონ დედებს ჩვილი ბავშვების მოშორება, — აი ასეთი საზოგადოება კიდევ ბედავს ოჯახის დარღვევის სურვილი ჩვენ მოგვაწეროს! და ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ ჩვენი რწმენით, რაც ხანი გადის, ოჯახური საქმეები თან და თან განსაკუთრებულ ხელობათ ხდებიან და ამიტომ ოჯახური ცხოვრება უნდა შეიცვალოს!

4. — პროსტიტუცია

ოჯახის დარღვევას გარდა, ჩვენ თურმე ისიც კი გვინდა, რომ **ცოლები საერთო** კუთვნილებას შეადგენდენ. მაგრამ ეს ბრალდებაც ისეთივე ცილისწამებაა, როგორც პირველი. პირიქით, ჩვენ ვამბობთ, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ცოლქმრული ურთიერთობა აშენებული იქნება იდეალურ სიყვარულზე, რომელსაც საერთო არაფერი აქვს გარყვნილებასა და ცოლების საერთო კუთვნილებასთან და რომ ასეთ სიყვარულს მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში ექნება შესაფერი მნიშვნელობა ⁄ მოწონება. დღეს კი რას ვხედავთ? დედაკაცი, რომელიც აქამდე კერას არ გასცილებია, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობის შესახებ ყალბი წარმოდგენისაა და ორგანიზაციის საჭიროებას ვერ აფასებს, — ასეთი დედაკაცი ერთობ უძლურია ძალ-მომრეობის წინააღმდეგ; და კაპიტალისტი, რომელიც არასოდეს არ აძლევს ქალს საკმაო ქირას, ურცხვათ უთითებს მას **პროსტიტუციაზე**, როგორც დამატებით ხელობაზე. მრეწველობაში მუშა-ქალების გამრავლებას თან დასდევს პროსტიტუციის ზრდაც. ღვთის მოსავ და სათნოებით განთქმულ გერმანიაში ბლომათ შეხვდებით მრეწველობის „აყვავებულ“ დარგებს, სადაც ქალები ისე მცირე ხელფასს ღებულობენ, რომ თავის გამოსაკვებათ პროსტიტუციას უნდა მიმართონ. ხაზეინები არც კი მალავენ, რომ ასეთი მცირე ხელფასის შედეგია მათი საქმის „აყვავება“ და მეტოქეობის უნარი, რომ დიდი სამუშაო ქირა მათ გაკოტრებას გამოიწვევდა.

პროსტიტუცია ისეთივე ძველი მოვლენაა, როგორც ყიღარიბე და სიმდიდრე. მაგრამ წინათ პროსტიტუტკებს

(როსკიპებს) საშუალო ალაგი ეკირათ ქურდებსა და მათხოვრებს შორის; ისინი წარმოადგენდენ ფუფუნების საგანს, რითაც საზოგადოება სარგებლობდა, მაგრამ უმისოთაც შეეძლო არსებობა. დღეს არა მარტო მათხოვრები და მუქთახორები, არამედ **მშრომელი** ქალებიც კი იძულებულნი არიან საკუთარი სხეულით ივაჭრონ. პროსტიტუცია დღეს უბრალო ფუფუნება არაა, ის მრეწველობის განვითარების ერთ საფუძველთაგანია. კაპიტალისტურ წესწყობილებაში **პროსტიტუცია საზოგადოების ერთ-ერთ ბურჯათ ხდება.** თვითონ ამ საზოგადოების დამცველები მისდევენ იმას, რასაც ჩვენ გვაბრალებენ — ცოლების საერთო მფლობელობას. რასაკვირველია, ასე მხოლოდ **პროლეტარების** ცოლებს ეკცევიან. და ცოლების ამ საერთო მფლობელობას ისე ღრმათ აქვს ფესვები გადგმული არსებულ საზოგადოებაში, რომ მისი დამცველები პროსტიტუციას **აუცილებლათ** თვლიან. იმათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ პროლეტარობის მოსპობა პროსტიტუციასაც მოსპობს, ე. ი. არ სჯერათ, რომ საზოგადოებას შეუძლია იარსებობს, როცა ცოლების საერთო კუთვნილება მოისპობა.

დღევანდელი ცოლების საერთო მფლობელობა საზოგადოების მაღალმა წრეებმა შექმნეს და არა პროლეტარიატმა. ეს სოციალიზმი კი არა, მისი უარისყოფაა.

5. — **საშრეწველო საათადარიგო ჯარი**

მრეწველობაში ქალებისა და ბავშვების შრომის შემოღებამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, კაპიტალისტებს ძლიერი საშუალება მისცა სამუშაო ქირის შესამცირებლათ.

მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში არც სხვა საშუალებაა ნაკლებ გამოსადეგი, სახელდობ მუშების შემოყვანა ისეთ

ჩამორჩენილ ქვეყნებიდან, სადაც ხალხის მოთხოვნილება განუვითარებელია და საქარხნო სისტემას ჯერ კიდევ არ დაუსუსტებია სამუშაო ძალა. მსხვილ მანქანურ წარმოების განვითარება საშუალებას იძლევა ხელობის მცოდნე მუშების ალაგას უსწავლელები ჩადგენ, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა; დასახელებული გარემოება შესაძლოა ხდის მუშების საჭირო რიცხვის იაფათ ⁄ დაუყოვნებლათ შეძენას. წარმოების განვითარებასთან ერთად გზებიც უმჯობესდება: მასობრივი წარმოება იწვევს როგორც **საქონლის** მასობრივ შემოტანას, ისე **ადამიანების** მიმოსვლის გაადვილებას. გემები ⁄ რკინის გზები, ეს კულტურის სასიქადულო მატარებლები, არა მარტო იარაღს, არაყს და სიფილისს ავრცელებენ ბარბაროსებში, არამედ მათ თვითონ ბარბაროსები მოყავთ ჩვენში ⁄ მათთან ერთათ ბარბაროსობა შემოაქვთ. სოფლებიდან თან და თან მეტი მუშა მიეშურება ქალაქში. უფრო და უფრო შორეულ ქვეყნებიდან მოდიან ბრბოები — განუვითარებელ მოთხოვნილებებით, ერთობ მომთმენნი და წინააღმდეგობის გაწევისათვის სრულებით უძლურნი. სამუშაო ჭირის შემცირებას ხელს უწყობს გერმანიაში სლავიანების, შვედების და იტალიელების შემოსვლა, საფრანგეთში — ნემეცების და ბელგიელების, ინგლისში და ამერიკის შეერთებულ შტატებში — სლავიანების, ნემეცების, იტალიელების, ირლანდიელების და შვედების გაჩენა; ჩინელები ამერიკაში და ავსტრალიაში ამცირებენ სამუშაო ხელფასს და, შეიძლება, ახლო მომავალში ევროპასაც ეწვიონ. გერმანიის გემებზე ჩინელებსა და ზანგებს დღეს უკვე დაჭერილი აქვთ საწყალი მუშების ალაგი.

ამ უცხოელ მუშების ერთ ნაწილს შეადგენენ საკუთრებას მოკლებული გლეხები და ხელოსნები; ესენი

გააპარტახა კაპიტალისტურმა წესწყობილებამ, აჰყარა მიწიდან და საკუთარ კერასთან ერთად სამშობლოც წაართვა. თვალი გადაავლეთ ემიგრანტების ამ ურიცხვ ბრბოებს და თქვით: დამნაშავეა თუ არა სოციალ-დემოკრატია, რომელსაც სამშობლოს სიყვარულის წინააღმდეგ გალაშქრებას აბრალებენ, იმაში, რომ ამ ხალხს სამშობლო არ აქვს?

წვრილ გლეხობის და ხელოსნების გაყვლეფით, შორეულ ქვეყნებიდან მუშების შემოყვანით, ქალების და ბავშვების შრომის განვითარებით, შრომის გამარტივებით და შეგირდობისთვს საჭირო დროს შემოკლებით კაპიტალისტური წესწყობილება ახწევს იმას, რომ მის განკარგულებაში მუდამ აუარებელი სამუშაო ძალაა თავმოყრილი. ამასთან ერთათ ადამიანის შრომის ნაყოფიერებაც იზრდება ტეხნიკის მუდმივ გაუმჯობესების გამო. მაგრამ კაპიტალისტური ექსპლოატაცია ამით არ კმაყოფილდება; ის უმოწყალოთ სწოვს სისხლს ცალკე მუშებს ან იმით, რომ, რაც შეიძლება, გძელ სამუშაო დღეს აწესებს ან, სადაც კანონმდებლობა და მუშათა ორგანიზაციები ამის ნებას არ აძლევენ, — შრომის გაძლიერებით.

და ამავე დროს მანქანა მეტ ბარგათ ხდის სამუშაო ძალებს.

ყოველი მანქანა შრომას ამოკლებს, ამას რომ არ შვრებოდეს ის, მაშინ მისი არსებობა უსარგებლო იქნებოდა. მრეწველობის თვითეულ დარგში ხელით მომუშავეების მაგიერ მანქანის შემოღება ამ უკანასკნელთათვის ათასგვარ გაჭირვებას იწვევს, სულ ერთია ხელოსნები იქნებიან ისინი, თუ მანუფაქტურის მუშები. ეს ცვლილება მათ მეტ ბარგათ ხდის და ქუჩაში ერეკება.

მუშებმა ყველაზე ადრე გამოსცადეს მანქანების შემოღების ეს მხარე. უთვალავი აჯანყებები მე 19-ე საუკუნის პირველ ათეულ წლებში იმის მაჩვენებელია, თუ რამდენი ტანჯვა მიაყენა მუშებს მანქანის შემოღებამ, რა ალშფოთება და სასოწარკვეთილება დაბადა მან. მანქანის შემოღება, როგორც მისი გაუმჯობესება, ყოველთვის მავნებელია **მცხოვრებლების ცალკე წრეებისათვის;** რასაკვირველია, ზოგიერთ შემთხვევებში მას სარგებლობაც მოაქვს, — იმ მუშებისათვის, რომელნიც მანქანების კეთებაზე მუშაობენ. მაგრამ არა გვგონია, რომ ამის შეგნებამ რითიმე ანუგეშოს ის, ვინც შიმშილს ებრძვის.

ყოველივე ახალ მანქანის შემოღება იწვევს იმას, რომ ნაწარმოების წინანდელ რაოდენობის დამზადებას ნაკლები მუშა ხელი სჭირდება და თუ მუშების რიცხვი წინანდელი დარჩება, ნაწარმოების რაოდენობაც იმატებს. ამიტომ იმისთვის, რომ მანქანების განვითარებამ მუშების რიცხვის შემოკლება ან გამოიწვიოს, საჭიროა, რომ **ბაზარი ფართოვდებოდეს იმავ პროპორციით,** რომლითაც მუშის შრომის ნაყოფიერება იზრდება. მაგრამ რადგანაც ეკონომიური განვითარება შრომის ნაყოფიერებასთან ერთად სწრაფათ ამრავლებს სამუშაო ძალებს, — და ამრავლებს გაცილებით უფრო ჩქარა, ვინემ მცხოვრებთა რაოდენობის ზრდა ხდება, ამიტომ იმისთვის, რომ უსაქმოთ დარჩენას ალაგი არ ქონდეს, საჭიროა **ბაზარი გაცილებით უფრო ჩქარა ფართოვდებოდეს,** ვინემ ამას მანქანების შემოღებით გამოწვეული შრომის ნაყოფიერების ზრდა მოითხოვს.

ვეკვეობთ, ბაზრის ასეთი ჩქარი გაფართოვება ოდესმე მომხდარიყოს მსხვილ კაპიტალისტურ წარმოების ბატო-

ნობის დროს. რაც უნდა იყოს, კაპიტალისტურ მრეწველობის არც ერთ მოზრდილ დარგში ის არ გაგრძელებულა დიდ ხანს. მაშასადამე, უსაქმოთ დარჩენა მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებაში მის მუდმივ და განუშორებელ თანამგზავრს შეადგენს. საუკეთესო დროც რომ ავიღოთ, როცა ბაზარი მოულოდნელათ ფართოვდება და საქმეებს კარგი პირი უჩანს, მრეწველობას მაინც არ შეუძლია ყველა უსაქმოთ დარჩენილებს სამუშაო გაუჩინოს; სხვა დროს კი, როცა საქმეები შეფერხებულია, უსაქმოთა რიცხვი უზომოთ იზრდება. ისინი შეადგენენ უზარმაზარ ჯარს — **სათადარიგო სამრეწველო ჯარს,** ასე უწოდა მას მარქსმა, რადგანაც ამ სათადარიგო ჯარიდან, რომელიც კაპიტალის განკარგულებაშია, ის ღებულობს დამატებით ძალებს, როცა სამრეწველო კამპანია მეტისმეტათ გამოცოცხლებულია.

სათადარიგო ჯარი უებარი წამალია კაპიტალისტისათვის. ის ისეთი იარაღია, რომლის შემწეობით მას შეუძლია ლაგამი ამოსდოს, ჩააჩუმოს მუშათა მომქმედი ჯარი.

ერთის უზომო მუშაობა იწვევს მეორის უსაქმოთ დარჩენას, ეს უსაქმობა კი ხელს უწყობს და ადიდებს პირველის უზომო ჯაფას. და ამის შემდეგ კიდევ ამტკიცებენ, რომ ამ საუკეთესო ქვეყანაში ყველაფერი საუკეთესოთ არის მოწყობილიო!

თუმცა სათადარიგო სამრეწველო ჯარის რაოდენობა, როგორც მრეწველობის მდგომარეობა, მუდამ ერთნაირი არ არის, მაგრამ საზოგადოთ მას ემჩნევა ერთი ტენდენცია — ის თანდათან იზრდება. ტეხნიკის გაუმჯობესება უფრო და უფრო ჩქარა ხდება, თან და თან მეტ დარგებში იკიდებს ფეხს; ბაზრის გაფართოვებას კი, პირიქით, სულ მეტი და მეტი დაბრკოლება ეღობება წინ.

ამის შესახებ ჩვენ კიდევ ვილაპარაკებთ სხვა ადგილას. ჯერ-ჯერობით საკმაოა მხოლოდ აღვნიშნოთ ეს ფაქტი.

მაგრამ რას ნიშნავს უსაქმოთ დარჩენა მუშებისათვის? გაჭირვებას და ტანჯვას არა მარტო იმათთვის, ვისაც სამუშაო არა აქვს, არა მარტო სამუშაოს მქონეთა დამონავებას და ექსპლოატაციას, — ის ნიშნავს აგრეთვე **მთელი მუშა კლასისთვის უზრუნველყოფილ არსებობის გაუქმებას.**

რაც უნდა მძიმე ყოფილიყო ძველათ ექსპლოატაციის წესი გაყვლეფილთათვის, ერთი რამ მაინც ცხადი იყო: არსებობის უზრუნველყოფა. მონების და ყმების ცხოვრება უზრუნველყოფილი იყო, ყოველ შემთხვევაში, მანამდის მაინც, სანამ მათი ბატონის არსებობა იყო უზრუნველყოფილი. მხოლოდ ამ უკანასკნელის დაღუპვას შეეძლო მათი უსახსროთ დატოვება. რაც უნდა დიდი გაჭირვება და ვაი-ვაგლახი დასტეხოდა თავზე ხალხს წარმოების ძველ წესწყობილებაში, ამის მიზეზი იყო არა წარმოების არსებული წესი, არამედ მისი მსვლელობის **დარღვევა,** რასაც იწვევდა მოუსავლობა, ჭირი, ნიაღვარი, მტრების შემოსევა და სხვ.

მყვლეფელის და გაყვლეფილის ბედ-იღბალი დღეს ერთმანეთზე აღარ არის გადაბმული. ყოველ წამს შეიძლება მუშა ცოლ-შვილითურთ ქუჩაში გამოაგდონ, სადაც მას შიმშილით სიკვდილი მოელის; მყვლეფელი, რომელიც მან გაამდიდრა, ამით არაფერს კარგავს. დღეს უსაქმობა და მის მიერ მოვლენილი უბედურება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება მოყვეს წარმოების მსვლელობის დარღვევას, რასაც გარეშე აუცილებელი გარემოებები იწვევენ. ჩვეულებრივათ ის თვითონ წარმოების განვითარების აუცილებელ შედეგს წა-

რმოადგენს. წარმოების დარღვევა ჩვენ დროში ხშირათ აძლიერებს და არ ამცირებს სამუშაოს შოვნის სახსარს; მაგალითისთვის აღვნიშნოთ ის, თუ რა ცვლილება გამოიწვია გერმანიის და საფრანგეთის ეკონომიურ ცხოვრებაში 1870 წლის ომმა პირველ წლებში მის გათაკების შემდეგ.

წვრილ წარმოების ბატონობის დროს, რაც უფრო მუყაითი იყო მუშა, მით მეტ შემოსავალს აძლევდა მას მისი საქმე. სიზარმაცე, პირიქით, აჩანაგებდა მას, უსაქმოთ სტოვებდა. დღეს კი უსაქმობა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დიდხანს და თავგამოდებით შრომობს ის. მუშა თავისი საკუთარი შრომით იწვევს უსაქმობას. ის ჭეშმარიტება, რომ მუშის ბედნიერება მის მუყაითობაზეა დამოკიდებულიო, როგორც სხვა მრავალი, წვრილ წარმოების მიერ ნაანდერძევი ჭეშმარიტება, მსხვილმა კაპიტალისტურმა წარმოებამ მის წინააღმდეგობათ აქცია. ასეთსავე სიყალბეთ გადაიქცა მეორე სიბრძნე, რომელსაც სხვა და სხვა ფილისტერები დღესაც ჩასჩიჩინებენ მუშებს, სახელდობრ ის, რომ ვისაც შრომა სურს, ის ლუკმა პურსაც იშოვისო.

როგორც საკუთრების პატრონი არ არის დაზღვეული გაჭირვებისა და უბედურებისაგან, ისე სამუშაო ძალის პატრონი. როგორც წვრილ გლეხსა და ხელოსანს მუდამ თვალ-წინ უდგას **გაკოტრების** აჩრდილი, ისე მუშას არ ასვენებს **უსაქმოთ დარჩენის** აჩრდილი. წარმოების თანამედროვე წესის ბოროტებათაგან ეს არსებობის უზრუნველ-ყოფის მუდმივი უქონლობა ყველაზე უფრო მტანჯველია, მაგრამ ამავე დროს ის ყველაზე უფრო ღრმათ აღშფოთებს და მით კონსერვატორობას ძირიან-ფესვიანათ სპობს. საკუთარ მდგომარეობის უზ-

რუნველ-ყოფის უქონლობა აქარწყლებს რწმენას არსებულ წესწყობილების უცვლელობის შესახებ და ყოველივე ხალისს უკარგავს ადამიანს მისი დაცვა იკისროს. ახალი ვერ შეაშინებს მას, ვინც არსებულ წყობილების გამო მუდამ შიშშია. უზომო ჯაფა, უსაქმობა და ოჯახის გახრწნა — აი რა მოაქვს პროლეტარიატისთვის კაპიტალისტურ წარმოების წესს. ამავე დროს მისი წყალობით მცხოვრებლების უფრო და უფრო ფართე წრეები გადადის პროლეტარიატის ბანაკში, პროლეტარიატის მდგომარეობა ხალხის ფართო მასის მდგომარეობათ ხდება.

6. — პროლეტარიზაციის ზრდა. ვაჭრული და ინტელიგენტური პროლეტარიატი.

ის მდგომარეობა, რომელშიაც პროლეტარიატი კაპიტალისტურ წყობილების დროს იმყოფება, თან და თან მთელ ხალხის მდგომარეობათ ხდება. ამის მიზეზია არა მარტო მსხვილ წარმოების ასპარეზის მუდმივი გაფართოვება, ჯრამედ აგრეთვე ისიც, რომ დაქირავებულ მუშათა მდგომარეობა მსხვილ წარმოებაში უფრო და უფრო საზღვრავს მუშების მდგომარეობას შრომის სხვა დარგებშიაც. მსხვილ წარმოებას მათ ცხოვრების და შრომის პირობებშიაც ძირითადი ცვლილება შეაქვს; ის უპირატესობა, რომლითაც ეს მუშები სარგებლობენ ხანდახან კაპიტალისტურ მრეწველობის მუშებთან შედარებით, დღეს ამავ მრეწველობის გავლენით უბედურების წყაროთ ხდება. ასე, მაგალითად, დღეს მუშა-ხელოსანს, თუ ის ხაზეინთან ცხოვრობს ამ უკანასკნელის ხარჯზე, გაცილებით უფრო ცუდი ბინა და სმაჭამა აქვს, ვინემ დაქირავებულ მუშას. ამას გარდა შეგირდობა ძველ დროში მუშების ზედმეტ რიცხვისა-

გან იფარავდა ხელოსნობას, დღეს კი შეგირდობა ისეთ გარემოებათ გახდა, რომელიც იაფ-ფასიან მუშებით ავსებს ხელოსნობას და მოზრდილ მუშებს პირიდან ლუკმას აცლის.

კაპიტალისტურ წარმოების გავლენამ როგორც ამ დარგში, ისე სხვაგანაც გამოიწვია ის, რომ რაც წვრილ წარმოების ბატონობის დროს გონივრული და სასარგებლო იყო, ახლა უაზრობათ და ტანჯვათ გადაიქცა.

ამქრულ ხელოსნობის მეცადინეობა, რომ აღდგენილი იქნას ძველებური ამქრული წყობილება, არსებითათ შეიცავს სურვილს—ძველ ფორმების აღდგენით შემოღებულ იქმნას მუშების ექსპლოატაციის ახალი იარაღი. მათ სურთ პროლეტარების მხრებზე შედგენ და ისე ამოცოცდენ იმ ჭაობიდან, რომელშიაც იხრჩობიან. ამის შემდეგ ეს ვაჟბატონები მაინც წყრებიან, როცა პროლეტარიატი არ თანაუგრძნობს მათ, რომ ამ საშუალებით დროებით შეჩერებულ იქმნას წვრილ წარმოების აუცილებელი მოსპობა.

ვაჭრობაშიაც განვითარების იგივე პროცესი ხდება, რაც ხელოსნობაში. მსხვილმა წარმოებამ უკვე იწყო წვრილის შევიწროვება. ხელზე ვაჭრობაში ეს ხდება ისე, რომ წვრილ სავაჭრო დაწესებულებების რიცხვს სრულებით არ აკლდება. პირიქით, ეს რიცხვი მატულობს კიდეც. ხელზე ვაჭრობა უკანასკნელი თავ-შესაფარია გაკოტრებულ წვრილ ბურჟუებისათვის.*) ხელზე

*) გერმანიაში 1895 წელს ყოველ ათას მუშაზე მოდიოდა:

	საწარმოვო	დაწესებულებაში.	მრეწველობაში,	ვაჭრობაში.	ტრაქტირებში
1 — 5 კაცამდე		339	708		746
6 — 50 —		328	252		241
50-ზე მეტი.		363	40		13

როგორც ხედავთ, ვაჭრობაში და ტროკტირებში წვრილ დაწესებულების რიცხვი გაცილებით მეტია, ვინემ მრეწველობაში.

ვაჭრობის შემოკლება — მაგალითად, მეწვრიმალის ხელობის შეზღუდვა — ნიშნავს იმას, რომ ამ ხალხს საბოლოოოთ გამოვაცალოთ ფეხ ქვეშ ნიადაგი და ტუსაღების რაზმში გადავისროლოთ, გადავაქციოთ ისინი მათხოვრებათ, მაწანწალებათ, ბრალდებულთა სკამის კანდიდატებათ. ეს იქნებოდა ერთობ ახირებული სოციალური რეფორმა. მსხვილ წარმოების განვითარების გავლენა გამოიხატება წვრილ დაწესებულებების შემცირებაში კი არა, მათ დაცემაში. წვრილ დამოუკიდებელ ვაჭრების მდგომარეობა უფრო და უფრო ირყევა, პროლეტარული ხდება, ამავე დროს იზრდება მსხვილ დაწესებულებებში მოსამსახურე პირთა რიცხვი—ესენი კი ნამდვილი პროლეტარებია, რომლებსაც არავითარი იმედი არ აქვთ დამოუკიდებლობა შეიძინონ; ამ დარგშიაც მატულობს ბავშვების ჯ ქალების მუშაობა თავის თანამგზავრ — პროსტიტუციითურთ; მატულობს უზომო მუშაობა, უსაქმოთ დარჩენა და სამუშაო ქირის შემცირება. სავაჭრო დაწესებულებაში მოსამსახურე თან და თან უახლოვდება თავის მდგომარეობით მრეწველობაში დაქირავებულ მუშას. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სავაჭრო დაწესებულების მოსამსახურე ვალდებულია გარეგნობით მაღალ კულტურის მატარებელ ადამიანს დაემსგავსოს, რაც მისგან ისეთ ხარჯებს მოითხოვს, რომლის მსგავსს ალაგი არა აქვს მრეწველობაში მომუშავე პროლეტარის ცხოვრებაში.

გარდა ამისა თავი იჩინა კიდევ პროლეტარიატის ერთმა წრემ: ეს არის **ინტელიგენტური პროლეტარიატი.** წარმოების არსებულმა წესმა განათლებაც ერთნაირ ხელობათ აქცია. მეცნიერული ცოდნა უზომოთ გაიზარდა და დღითი დღე იზრდება. როგორც კაპიტალისტურ სა-

ზოგადოებას, ისე კაპიტალისტურ სახელმწიფოს სულ უფრო და უფრო სჭირდება მეცნიერების და ხელოვნების წარმომადგენლები როგორც თავის საქმეების საწარმოებლათ და ბუნების ძალთა დასამორჩილებლათ, აგრეთვე თავის ზედმეტ ნაწარმოების გასასაღებლათ. მაგრამ არა მარტო გლეხს, ხელოსანს ან პროლეტარს არა სცალიათ მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის, არამედ არც ვაჭარს, ფაბრიკანტს, ბანკირს, ბირჟევიკს და მსხვილ მემამულეს აქვთ ამის დრო. მთელ დროს ისინი თავის საქმეებს და გასართობებს ანდომებენ. თანამედროვე საზოგადოებაში ხელოვნება და მეცნიერება აღარ იზიდავს თვითონ ექსპლუატატორებს არც ექსპლოატატორების ცალკე კლასს, როგორც ეს წინათ იყო. ეს მინდობილი აქვს ცალკე კლასს, რომელსაც ფულს აძლევენ. განათლება გახდა საქონელი.

მაგრამ სულ რამდენიმე ათი წლის წინათ ეს იშვიათი საქონელი იყო. შკოლების რიცხვი მცირე იყო, სწავლის მიღება დიდ ხარჯებს ითხოვდა. გლეხები უმეტეს შემთხვევებში ძალიან ღარიბები იყვენ, რომ საჭირო ხარჯები გაეწიათ თავის შვილების უმაღლეს შკოლებში გამოსაზრდელათ. ხელოსნობას და ვაჭრობას ჯერ კიდევ ოქროს ძირი ქონდათ; ამიტომ ის, ვინც ამ პროფესიებს ეკუთვნოდა, კიდეც ცდილობდა მათ შერჩენას. მხოლოდ არაჩვეულებრივი ნიჭი ან გარემოება თუ აიძულებდა ვაჭრის და ხელოსნის შვილებს მეცნიერების ან ხელოვნების შესწავლას შესდგომოდენ. მაშინ, როდესაც მრეწველობა ჩინოვნიკებზე, ტეხნიკებზე, ექიმებზე, მასწავლებლებზე, მხატვრებზე და სხვ. მატულობდა, მათი რიცხვის ზრდა განისაზღვრებოდა მხოლოდ ამ პროფესიების ბუნებრივი ზრდით.

ამიტომ საქონელი — განათლება — კარგ ფასში იყიდებოდა. ვისაც განათლება ქონდა, მას შეეძლო უმეტეს შემთხვევაში კმაყოფილებით ეცხოვრა, ხშირათ პატივი და დიდებაც მოეპოვებია, მეტადრე თუ ის პრაქტიკულ ცხოვრებაში მოიხმარდა მას. ასეთები იყვენ, მაგალითად, ადვოკატები, ჩინოვნიკები, ექიმები, პროფესორები და სხვ. მხატვრები, პოეტები და ფილოსოფოსები ხომ თვითონ მეფეების პირადი მეგობრები იყვნენ. გონებრივი არისტოკრატია კარგათ ხედავდა თავის უპირატესობას ჩამომავლობით და ფულიან არისტოკრატიის წინაშე. მისი ზრუნვის ერთად ერთ საგანს შეადგენდა საკუთარ სულიერ ძალების განვითარება. ამიტომ შესაძლებელ იყო, რომ განათლებულებში იდეალისტობას მოეკიდებია ფეხი და ხშირათ მართლა იდეალისტები იყვენ ისინი. ისინი სხვა კლასებზე, მათ მატერიალურ მისწრაფებებზე და უთანხმოებაზე მაღლა იდგენ. განათლება იძლეოდა ძალას, ბედნიერებას, ის სათნოებით ავსებდა ადამიანს; ცხადია, რა დასკვნაც უნდა გამოეყვანათ აქედან: გაავრცელეთ განათლება და მყისვე გაქრება სიღარიბე და გარყვნილება, ადამიანი გაბედნიერდება და სათნოებით აივსება, კლასობრივ უთანხმოებას ალაგი აღარ ექნება.

მას აქეთ უმაღლეს სასწავლებლების გავრცელების საქმემ—ჩვენ ხომ მხოლოდ უმაღლეს განათლების შესახებ გვაქვს აქ საუბარი—უზარმაზარი ნაბიჯი წადგა წინ. უმაღლეს სასწავლებლების რიცხვი მეტის მეტათ გაიზარდა. კიდევ უფრო იმატა მოსწავლეების რიცხვმა. წვრილ წარმოებას მრეწველობაში და ვაჭრობაში უკვე გამოეთხარა ოქროს ძირი. წვრილი ბურჟუა, თუ კი საკირო ფულის მოგროვებას მოახერხებს, იძულებულია განათლება მისცეს თავის შვილებს,—სხვა გზით მას არ შეუძ-

ლია გაპროლეტარებისაგან იხსნას ისინი. ამას გარდა მან უნდა იზრუნოს არა მარტო **ვაჟებზე**, არამედ აგრეთვე **ქალებზედაც**.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ შრომის დაყოფვა ვითარდება და ამის გამო შინაური საქმეები თანდათან მრეწველობის განსაკუთრებულ დარგებათ ხდებიან. ოჯახურ საქმეების რიცხვი თან და თან კლებულობს და ისეთი ცოლქმრობა ფუფუნებას შეადგენს, სადაც ქალს მარტოთმარტო ოჯახური საქმეები აქვს დაკისრებული. წვრილი ბურჟუაზია კი, როგორც უკვე დავინახეთ, ღარიბდება და სულ უფრო და უფრო კარგავს საშუალებას თავის თავს რაიმე ფუფუნების ნება მისცეს. უცოლო კაცების და უქმრო ქალების რიცხვი იზრდება. უფრო და უფრო მატულობს ისეთ ოჯახების რიცხვი, სადაც ცოლი და ქალი იძულებული არიან ქირაზე იმუშაონ. ამგვარათ, ქალის შრომა ვრცელდება არა მარტო მსხვილ და წვრილ მრეწველობაში და წვრილ ვაჭრობაში, არამედ სახელმწიფო სამსახურში და კერძო დაწესებულებებში, ფოსტაში, ტელეგრაფში, ბანკებში, რკინის გზებზე და სხვ., აგრეთვე ხელოვნებასა და მეცნიერებაში. ქალის შრომა უფრო და უფრო ვრცელდება ინტელიგენტურ პროფესიებში, თუმცა უმეცრები და პირადი ანგრიშებით გატაცებული პირები ამის გამო საშინლათ გოდებენ. ქალი ეტანება ამა თუ იმ სამოქმედო ასპარეზს არა მედიდურობის, გაქნილობის ან ჟინის გამო, არამედ ეკონომიურ განვითარების ძალდატანებით. თუ გონებრივ შრომის ზოგიერთ დარგში, ამქრულ კარჩაკეტილობის შემწეობით, კაცებმა თავიდან მოიშორეს ქალების კონკურენცია, მით უფრო ეტანებიან ქალები ისეთ საქმეს, სადაც ამქრული

შეეიწროება არ არსებობს,—მაგალითად ლიტერატურას, მხატვრობას, მუსიკას.

ყოველივე ამან, სხვათაშორის, ის გამოიწვია, რომ ძველ დროსთან შედარებით, დღეს გაცილებით მეტია განათლებულთა რიცხვი. მაგრამ ჩვენ ვერსად ეხედავთ იმ ბედნიერებას, რომელსაც იდეალისტები განათლების გავრცელებისგან მოელოდენ. მართლაც, თუ განათლება საქონელია, განათლების გავრცელება ნიშნავს საქონლის გამრავლებას და, მაშასადამე, მისი ფასის დაცემას, ე. ი. მის პატრონების მდგომარეობის უკან წასვლას. განათლებულების რიცხვი ისე ძლიერ გაიზარდა, რომ ეს საჭირო აღარ არის კაპიტალისტებისა და კაპიტალისტურ სახელმწიფოს მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. დღეს ბაზარი ველარ იტევს როგორც ფიზიკურ შრომის წარმომადგენლებს, ისე გონებრივ მუშაკებს. გონებრივ მუშაკთაც ყავთ საკუთარი **სათადარიგო ჯარი.** უმუშევრობა მათაც ისე ხშირათ ესტუმრება ხოლმე, როგორც სამრეწველო მუშებს. ვისაც ჩინოვნიკობა სურს, მან მთელი წლები, — ხშირათ ათ წელიწადზე მეტი — უნდა იცადოს, სანამ რომელიმე მცირე ჯამაგირიან დაბალ მოხელის ადგილს იშოვნიდეს. სხვებს ისე, როგორც ფიზიკურ შრომის წარმომადგენლებს, ხან უზომო შრომა უხდებათ, ხან კი ცუდაობა, და სამუშაო ქირის დაცემა ავიწროებს.

გონებრივ მუშაკთა კლასობრივი მდგომარეობა თვალსაჩინოთ უკან მიდის; წინათ ისინი გონებრივ არისტოკრატიას წარმოადგენდენ, დღეს შეგვიძლია მათ ინტელიგენტური პროლეტარიატი ვუწოდოთ. მალე დადგება ისეთი დრო, როცა ეს პროლეტარიატი მხოლოდ თავის **მედიდურობით** არ ემგვანება დანარჩენ დაქირავებულ

მუშებს. უმეტეს შემთხვევაში ის კიდევ ფიქრობს, რომ პროლეტარებზე მაღლა დგას, ის ჯერ კიდევ ბურჟუაზიის წევრათ თვლის თავის თავს, მაგრამ ეს იმას მოგვაგონებს, რასაც მოსამსახურეები ამბობენ თავის ბატონებზე — „ჩვენო“. ისინი დღეს ბურჟუაზიის გონებრივი წინამძღოლები კი არ არიან, არამედ მისი დამქაშები.

როგორც ჰირი, ისე ვრცელდება მათ შორის **კარიერიზმი.** ისინი მხოლოდ იმას ფიქრობენ, რომ **კარგ ფასში გაყიდონ** თავისი ნიჭი და მის განვითარებას ყურადღებასაც არ აქცევენ. ისინი პირველ შემთხვევისთანავე ყიდიან **თავის მე**-ს, რომ ამით დაწინაურდენ. მათაც, როგორც წვრილ მწარმოებლებს, გონებას უკარგავს ცხოვრების ლატარიაში ამოსული რამდენიმე მომგებიანი ბილეთი. ისინი ვერ ამჩნევენ უთვალავ ცარიელ ბილეთებს, რომლებიც მათ ხვდებათ და სულსა და ხორცს ყიდიან მარტო იმ იმედით, რომ მომგებიანი ბილეთი ამოიღონ. **თავისი რწმენის გაყიდვა და ფულის გულისთვის დაქორწინება** ჩვენი ინტელიგენციის უმრავლესობის თვალში ორი იმდენათვე ჩვეულებრივი საშუალებაა, რამდენათაც აუცილებელი — ბედნიერების მოსაპოებლათ. აი რა დღე დააყენა წარმოების კაპიტალისტურმა წესმა იდეალისტებს, მკვლევართ და მეოცნებეთ.

მაგრამ მიწოდება ისე სწრაფათ იზრდება, რომ საზოგადოთ თავისი საკუთარი პიროვნებაც რომ გაყიდოს კაცმა, ძალიან დიდ სარგებლობას მაინც ვერ მოუტანს მას მისი განათლება. დღეს შეუძლებელია ხელი შეუშალოთ ინტელიგენტთა მასის გაპროლეტარებას.

დღეს ჩვენ კიდევ ვერ ვიტყვით, თუ რას გამოიწვევს განვითარების ეს პროცესი: მთელი ინტელიგენცია გადავა მებრძოლ პროლეტარიატის ბანაკში, თუ მხოლოდ

ზოგიერთი პირები, როგორც ეს აქამდე იყო. ერთი რამ კი აშკარაა: ინტელიგენციის პროლეტარიზაციამ უკანასკნელი სახსარი მოუსპო პროლეტარს, რომ ცალკე, პირადი მეცადინეობით თავის კლასს გამოეყოს და უმაღლეს კლასში გადავიდეს.

დაქირავებულ მუშას არავითარი სახსარი არ აქვს იმისთვის, რომ კაპიტალისტი გახდეს, — ჩვეულებრივ გარემოებებში მაინც. სერიოზული ადამიანი იმას ხომ ვერ მიიღებს მხედველობაში, რომ შესაძლოა ვინმემ ლატარიაში მოიგოს ან ამერიკელ ბიძისაგან დიდი მემკვიდრეობა მიიღოსო, როცა მუშათა კლასის მდგომარეობას ვეხებით. მაგრამ შესაძლოა ისიც, რომ არა ჩვეულებრივ პირობებში მუშამ დიდი გაჭირვებით მოაგროვოს ცოტა რამ, თუ კარგი ალაგი აქვს, და პატარა სახელოსნო ან საწვრიმალოს დუქანი გახსნას, ან ერთ-ერთ თავის შვილს განათლება მიაღებიოს და „დიდ კაცად“ გახადოს.

დიდი სისულელე იქნება, მუშებს რომ ეუთხრათ: თქვენსა და თქვენი შვილების მდგომარეობას ამ გზით გააუმჯობესებთო. საქმეების ჩვეულებრივ მსვლელობის დროს მუშამ, შეიძლება, კიდეც მოაგროვოს ცოტა რამ, მაგრამ მისთვის ისიც დიდი ბედნიერება იქნება, თუ ის იმდენს შეინახავს, რომ უმუშევრობის დროს სულ ხელცარიელი არ დარჩეს. ჩვენ დროში მაინც ყოველთა შეუწყნარებელია შეგროვების იმედით ვანუგეშოთ მუშები. კიდეც რომ შეაგროვონ რამე, ეს მაინც ვერ იხსნის პროლეტარულ ყრფისაგან როგორც მათ, ისე მათ შვილებს. დამოუკიდებელ წვრილ წარმოების დაწყება ნიშნავს მისთვის ერთ გაჭირვებულ მდგომარეობის მაგიერ მეორეში გადასვლას, და ეს მხოლოდ იმისთვის უნდა

ჩაიდინოს მან, რომ მალე ისევ ძველ მდგომარეობას დაუბრუნდეს და წვითა და დაგვით შეძენილ ქონების დაკარგვით შეიგნოს ის, რომ წვრილ წარმოების ხვედრი — ჭოსპობაა.

ჩვენ დროში პროლეტარის სურვილი, რომ შვილს ვანათლება მიაღებიოს, უფრო ძნელი შესასრულებელია, ვინემ დამოუკიდებელ წარმოების დაწყება, — მისი განხორციელება თითქმის შეუძლებელია. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ მას სურვილი შეუსრულდა. პროლეტარის შვილს არ შეუძლია დიდ ხანს იცადოს, სანამ თავის ცოდნას გაყიდდეს, მას არ შეუძლია პროტექციით ისარგებლოს, — მაშ რა სარგებლობა უნდა მოუტანოს მას მისმა უმაღლესმა განათლებამ, როცა იურისტები ათასობით ელოდებიან სახელმწიფო სამსახურში თავისუფალ ადგილის გახსნას, როცა ტეხნიკოსები, ქიმიკოსები, უმაღლეს საკომერციო სასწავლებლებში კურს დასრულებულები ასობით უადგილოთ დაეხეტებიან?

საითაც უნდა გაიხედოს დღეს პროლეტარმა, ყველგან შრომის და ცხოვრების პროლეტარულ პირობებს ხვდება. პროლეტარული მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მთელ საზოგადოებას ედება. ხალხის უმრავლესობა ყველა კულტურულ ქვეყნებში პროლეტარიატისდ მგომარეობამდე ჩამოქვეითდა, თვითეულ პროლეტარს ყოველიკე იმედი მოესპო საკუთარ ძლიერნით ამოვიდეს იმ ჯურღმულიდან, რომელშიც მას წარმოების არსებული წესი ჯდებს. მას მხოლოდ მაშინ შეუძლია აღსდგეს, როცა აღსდგება მთელი ის კლასი, რომელსაც ის ეკუთვნის.

III

კაპიტალისტთა კლასი

1. — ვაჭრობა და კრედიტი.

ჩვენ დავინახეთ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალისტური წარმოება გამეფებულა, მცხოვრებთა მასსა პროლეტარდება, მუშებათ ხდება. ის კარგავს საკუთარი წარმოების იარაღებს, მაშასადამე, კარგავს დამოუკიდებლათ წარმოების საშუალებას და იძულებული ხდება — რომ შიმშილით არ მოკვდეს — ყიდოს ერთად ერთი ქონება — თავისი **სამუშაო ძალა.** გლეხების და წვრილ ხელოსნების უმრავლესობა დღეს ფაქტიურათ უკვე გაპროლეტარებულია. რიდე, რომელიც მათ პროლეტარებისგან ყოფს — მათი საკუთრება — მხოლოთ მალავს, აფუჩეჩებს მათ დამოკიდებულებას,მათ ექსპლოატაციას, მაგრამ სრულიათაც არ იფარავს მათ ამ უბნდურებისაგან. სუსტი ნიავიც საკმარისია, რომ მოგლიჯოს ეს ფარდა და სამუდამოთ გადაკარგოს.

მეორე მხრით, ჩვენ ვხედავთ მესაკუთრეთა—კაპიტალისტების და მემამულეების — მცირე ჯგუფს, რომელსაც ხელთ უგდია წარმოების უსაჭიროესი საშუალებები, ეს უმთავრესი წყარო ხალხის არსებობისა; ეს გარემოება მათ შეძლებას აძლევს, რომ მცხოვრებლები მუდამ ყელიფონ და დამოკიდებულებაში იყოლიონ.

იმ დროს, როდესაც ხალხის უმრავლესობა სულ უფრო და უფრო მიექანება გაჭირვებისა და ტანჯვა-წვალების ჯურღმულში, ეს მცირე ჯგუფი კაპიტალისტთა და მემამულეთა მარტო სარგებლობს კულტურის ყოველგვარ ნაყოფით, ყოველგვარ უპირატესობით და მხოლოდ თავის

სასარგებლოთ იყენებს ბუნების მეტყველების პროგრესს და მის პრაქტიკულ შედეგებს.

დავაკვირდეთ კარგათ რჩეულთა ამ პატარა ჯგუფს, გავსინჯოთ ის როლი, რომელსაც ისინი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში თამაშობენ და გავითვალისწინოთ ის შედეგები, რომლებიც მათი მოქმედებიდან გამომდინარეობენ.

ჩვენ ზევით ვთქვით, რომ კაპიტალი არის სავაჭრო, სავაჭრო და სამრეწველოო. ეს უკანასკნელი ყველაზე გვიან გაჩნდა; ის სულ ასი წლის იქნება, მაშინ როდესაც პირველი ორი უკვე ათას წლობით არსებობენ. მაგრამ უმცროსი ძმა უფროსებზე გაცილებით ჩქარა იზრდებოდა, ბოლოს ის დევ-გმირი შეიქმნა, დაიმორჩილა უფროსი ძმები და თავის მოსამსახურეებათ გაიხადა.

წვრილი წარმოების სრულ (კლასიკურ) ფორმისთვის ვაჭრები არ შეადგენენ აუცილებელ საჭიროებას. გლეხები და ხელოსნები საჭირო იარაღებს პირდაპირ მწარმოებლისგან ღებულობენ და თავიანთ ნაწარმოებსაც პირდაპირ მხმარებლებზე ყიდიან. ეკონომიურ განვითარების ამ საფეხურზე ვაჭრობის როლი უმთავრესათ განისზღვრება ფუფუნების საგნებით. წარმოების საზოგადო მსვლელობისთვის, საზოგადოების არსებობისათვის, ის არ შეადგენს აუცილებლობას. კაპიტალისტურ წარმოებას კი, პირიქით, არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია უვაჭროთ იარსებოს, როგორც განსაზღვრულ საფეხურზე თითონ ვაჭრობასაც არ შეუძლია განვითარება, თუ კაპიტალისტური წარმოება არაა გამეფებული. რაც უფრო ფართეა ეს უკანასკნელი, რაც უფრო სავსებით არის გამეფებული კაპიტალისტური წარმოება, მით უფრო აუცილებელი ხდება ეკონომიურ ცხოვრებისათვის ვაჭრობის დაუბრკოლე-

ბელი განვითარება. დღეს ვაჭრობა აუცილებელია არა მარტო იმათთვის, ვისაც ფუფუნების საგნები სჭირდებათ; მთელი წარმოება და ხალხის საზრდოობა კაპიტალისტურ ქვეყნებში დამოკიდებულია ვაჭრობის დაუბრკოლებელ მსვლელობაზე. აი, რატომ შეიძლება მსოფლიო ომი დღეს უფრო გამანადგურებელი შეიქნას, ვინემ ოდესმე. ომი ვაჭრობას აჩერებს; ამ გარემოებას შეუძლია დღეს წარმოება მოსპოს; ეს კი ნიშნავს მთელ ეკონომიურ ცხოვრების შეჩერებას და ისეთ კრიზისის დადგომას, რომელიც მეტ უბედურებას წარმოშობს, მეტათ გამანადგურებელი იქნება, ვინემ თითონ ბრძოლის ველი.

კაპიტალისტურ წარმოების დროს მევახშეობასაც ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ვაჭრობას. წვრილი წარმოების ბატონობის დროს მევახშე პარზიტი იყო: ის სარგებლობდა თავისი მახლობლების გაჭირვებით და უგნურებით და სისხლს სწოვდა მათ. იმ დროს, როდესაც ყველა მწარმოებელს საკუთარი საშუალებები ქონდა, მევახშისგან ნასესხები ფული თითქმის უნაყოფოთ იხარჯებოდა. აზნაური, მაგალითად, იმიტომ სესხულობდა ფულს, რომ ექეიფნა; გლეხი იღებდა ვალებს, რომ ბაჟები გადაეხადა ან რაიმე პროცესი ეწარმოებია. ამიტომ სარგებლით ფულის გაცემა იმ დროს ყველგან დაგმობილი იყო და უზნეობათ ითვლებოდა.

სულ სხვაა კაპიტალისტურ წარმოების დროს. დღეს ფული საჭიროა თითონ წარმოებისთვის—სამუშაო ძალის საყიდლათ და მის გასაყვლეფათ. როდესაც თანამედროვე მწარმოებელი სესხულობს ფულს ახალი წარმოების დასაწყებათ ან ძველის გასაფართოებლათ, მისი წინანდელი შემოსავალი პროცენტების გადახდით იოტის ოდნათაც არ კლებულობს, თუ ახალი საქმე, რა თქმა უნ-

და, ხელსაყრელი გამოდგა. ნასესხები ფული, პირიქით სამუშაო ძალის ახალ საყელეფ იარაღათ ხდება და, მაშასადამე, მის მოგებასაც ზრდის; ახალი მოსაგები კი ყოველთვის მეტია, ვინემ კაპიტალისტის მიერ გადახდილი პროცენტები.

დღეს მევახშემ დაკარგა თავისი პირვანდელი ხასიათი. წინათ ის, როგორც ვთქვით, მეზობლების გაპივრებით და შეუგნებლობით სარგებლობდა და მათ სისხლს წოვდა. მევახშის ასეთი როლი დღეს თანდათან ქრება, ისპობა; დღეს მევახშე წარმოების „გამანაყოფიერებელია“; ის საშუალებას აძლევს წარმოებას უფრო ჩქარა განვითარდეს, ვინემ ამას კაპიტალისტების მიერ შეკაფებში ფულების დაგროვება შვრება. ზიზღი მევახშისადმი ქრება; ის უკვე უმწიკვლო კაცათ ითვლება, და საზოგადოებაში სხვა და სხვა საპატიო სახელები აქვს დამსახურებული— ბანკირი, დისკონტიორი ღა ხხვა.

იმავე დროს არსებითათ შეიცვალა პროცენტების მომცემ კაპიტალის მოძრაობაც. ის ფულები, რომლებიც უწინ მევახშის ზანდუკებში იყრიდენ თავს, არაკაპიტალისტების ჯიბეებში გაიბნენ. წინანდელი ზანდუკები — საკრედიტო დაწესებულებები—დღეს გადიქცენ ისეთ რეზერუარებათ, სადაც ათასი მილების საშუალებით ედინება არაკაპიტალისტთა ფულები, რომ აქედან კაპიტალისტთა ჯიბეებში გადავიდენ. კრედიტი, როგოც წინათ, დღესაც აიძულებს არაკაპიტალისტებს — მდიდრებს და ღარიბებს — კაპიტალზე პროცენტები იხადონ. მაგრამ, ამას გარდა, დღეს ის შეიქნა მძლავრი იარაღი, რომელიც კაპიტალათ აქცევს ყოველგვარ ქონებას---კათოლიკების მონასტრებისა და ძველ თავად-აზნაურთა სიმდიდრიდან დაწყებული დღიურ მუშის ან მოახლის მიერ შეგროვებულ

ორიოდ გროშამდე. ყველა ეს გროშები თუ მილიონები — რომელ კლასსაც უნდა ეკუთვნოდენ მათი პატრონები — კაპიტალათ ხდებიან და, მაშასადამე, იმ საშუალებათ, რომელიც ამ კლასებში ზოგს ყვლეფს, ზოგს კი ხრწნის და აქრობს. თანამედროვე საკრედიტო დაწესებულებებს, შემნახველ კასებს და სხვ. ქებათა-ქებას უძღვნიან იმისთვის, რომ ღარიბების მიერ დაზოგვილ გროშებს ისინი კაპიტალათ აქცევენ და ამით, როგორც დღევანდელი წყობილების დამცველნი გვარწმუნებენ, ყაირათიან პროლეტარებს, ხელოსნებს და გლეხებს „კაპიტალისტებათ" ხდიან. მაგრამ არაკაპიტალისტთა ფულების ამგვარ გროვებას სახეში მხოლოთ ისა აქვს, რომ კაპიტალისტებს ახალი კაპიტალები მიაწოდოს და მით კაპიტალისტურ წარმოების განვითარება დააჩქაროს. ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ რას ნიშნავს ეს განვითარება დაქირავებულ მუშათა, ხელოსანთა და გლეხთათვის.

მაშასადამე, თანამედროვე საკრედიტო დაწესებულებანი იმაზე ზრუნავენ, რომ კაპიტალათ აქციონ არაკაპიტალისტების მთელი ქონება, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ისინი აგრეთვე ცდილობენ, რომ რაც შეიძლება უკეთესათ მოიხმარონ ის კაპიტალებიც, რომლებიც კაპიტალისტთა კლასს ეკუთვნის. აქ თავს იყრის კაპიტალისტების ის ფული, რომელიც დროებით საქმეში არ არის დაბანდებული; ამნაირათ, ის თანხები, რომლებიც „მკვდრათ" უნდა დებულიყვენ, ისევ ცოცხლდებიან და ხელს უწყობენ იმ კაპიტალისტებს, რომლებიც მათ საჭიროებენ. იგივე საკრედიტო დაწესებულებანი შეესაძლებლათ ხდიან, რომ საქონელი — ჯერ კიდევ გაყიდვამდე — ფულათ იქცეს, მაშასადამე, შემოკლდეს კაპიტა-

ლის მოძრაობის დრო, შემოკლდეს ამა თუ იმ საქმის წარმოებისთვის საჭირო კაპიტალის რაოდენობაც.

ყოველივე ეს მეტის მეტათ ადიდებს და აძლიერებს იმ კაპიტალს, რომელიც კაპიტალისტთა კლასის განკარგულებაშია. ამიტომ კრედიტი დღეს კაპიტალისტურ განვითარების უძლიერესი ბერკეტი გახდა. მანქანის განვითარებასთან და სამრეწველო სათადარიგო ჯარის გამრავლებასთან ერთათ კრედიტი წარმოადგენს მთავარ მიზეზს, რომლის წყალობითაც მრეწველობა ყოველ ცოტათ თუ ბევრათ ხელის შემწყობ პირობებში სწრაფათ იზრდება და ფართოვდება.

მაგრამ ყოველგვარ პერტურბაციას (არევ-დარევას) გაცილებით მეტი გავლენა აქვს კრედიტზე, ვინემ ვაჭრობაზე. ყოველგვარი რყევა, რომელსაც ის განიცდის, მთელ ეკონომიურ ცხოვრებაზე ვრცელდება.

ზოგიერთი ეკონომისტი კრედიტს ისეთ საშუალებათ სთვლიდა, რომლის წყალობით არაფრის ან მცირე ქონების პატრონი კაპიტალისტათ უნდა გამხდარიყო. მაგრამ კრედიტი, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, მოვალისადმი ნდობაზეა დამყარებულია. რაც უფრო შეძლებულია ეს უკანასკნელი, მით ის მეტ გარანტიას წარმოადგენს, და მეტი ნდობით სარგებლობს. მაშასადამე, კრედიტი — ისეთი საშუალებაა, რომელიც კაპიტალისტს ახალ კაპიტალებს აწვდის, აძლიერებს მის უპირატესობას, ამწვავებს საზოგადოებრივ წინააღმდეგობას და სრულიათაც არ ასუსტებს მას.

ამგვარათ, კრედიტი აჩქარებს კაპიტალისტურ წარმოების განვითარებას, აძლიერებს მის უნარს ისარგებლოს ყოველგვარ მოხერხებული შემთხვევით და ამით ხელს უწყობს წვრილ წარმოების დაცემას. ის, დაბოლოს, ხელს

უწყობს იმას, რომ თანამედროვე წარმოების მექანიზმი უფრო და უფრო რთულდება, უფრო გრძნობს ყოველ-გვარ არევ-დარევას, რის გამოც თითონ კაპიტალისტთა ბანაკშიც ეჭვი იბადება, რომ ის ნიადაგი, რომელზეც ისინი დგანან, მკვიდრი არ არის.

2. — შრომის დანაწილება და კონკურენცია

იმ დროს, როდესაც ეკონომიური განვითარება, ერთი მხრით, უფრო და უფრო მჭიდროთ აკავშირებს ვაჭრობას და კრედიტს მრეწველობასთან, მეორე მხრით, ის აფარ-თოებს შრომის დანაწილებას, და კაპიტალისტის სხვა და სხვა ეკონომიურ ფუნქციებს სხვა და სხვა დამოუკიდე-ბელ დაწესებულებებს ასრულებინებს. უწინდელ დროში ვაჭარი არა მარტო ყიდულობდა და ყიდდა საქონელს, არამედ კიდევაც აგროვებდა მას, ინახავდა საწყობებში და ხშირათ ძალიან შორეულ ბაზარზეც გაქონდა; ის თითონვე ყოფდა საქონელს ხარისხებათ და ცალ-ცალკე აწყობდა, რომ მუშტარს ადვილად მოეხერხებია მისი ყიდ-ვა. დღეს შრომა დანაწილებულია არა მარტო ნარდათ და ხელზე ვაჭრობას შორის; დღეს უკვე უზარმაზარი დაწესებულებები არსებობს საქონლის შესანახათ (საწყო-ბები, ელევატრები) და გადასატან-გადმოსატანათ; დიდ ცენტრალურ ბაზრებზე — ბირჟებზე — თვითონ ყიდვა-გაყიდვის აქტი იმდენათ განცალკევდა ვაჭრის დანარჩენ ფუნქციებისაგან, იმდენათ დამოუკიდებელი მოქმედება გახდა, რომ ბირჟაზე ყიდულობენ და ყიდიან არა მარტო ისეთ საქონელს, რომელიც აქედან ათას ვერსზეა ან სულ არ არის დამზადებული, არამედ ყიდულობენ ისეთ საქო-ნელს, რომლის შეძენა არც კი სურთ და ყიდიან ისეთს, რომელიც მათ არ მოეპოვებათ.

უწინდელ დროში ვერც კი წარმოიდგენდი კაპიტალისტს უყუთოთ, სადაც ის მიღებულ ფულს ინახავდა, რომ შემდეგ, ანგარიშის გასწორების დროს, ხელახლა გამოელო. დღეს კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყნებში — ინგლისში და განსაკუთრებით ამერიკაში — კაპიტალისტების კასები დამოუკიდებელ დაწესებულებებათ — **ბანკებათ** — გადაიქცენ. დღეს ანგარიშს უსწორებენ არა კაპიტალისტს, არამედ მის ბანკებს და ვალების მისაღებათაც ბანკებს მიმართავენ ხოლმე. ამნაირათ, რამდენიმე ცენტრალური საბანკო დაწესებულება განაგებს მთელი ქვეყნის კაპიტალისტების კასებს.

მაგრამ კაპიტალისტის სხვა და სხვა ფუნქციები, რომელთაგან თვითეული უკვე ცალკე დაწესებულებათ გადაიქცა, ერთმანეთისგან მხოლოდ გარეგნულათ, იურიდიულათ არიან დამოუკიდებელნი; ეკონომიური მხრით კი მათ შორის ძალიან მჭიდრო კავშირი არსებობს. ისინი ერთი საქმის ნაწილებს წარმოადგენენ; ისინი დამოუკიდებელ დაწესებულებათ გადაქცეულან, მაგრამ თითეული მათგანი ნორმალურათ სწარმოებს მხოლოდ მანამდე, სანამ რომელიმე მათთან შეკავშირებულ დაწესებულებას რაიმე დაბრკოლება არ გადაეღობება წინ. რაც უფრო მჭიდრო დამოკიდებულებაა ვაჭრობასა, კრედიტსა და მრეწველობას შორის და, რაც უფრო განცალკევებულია კაპიტალისტის სხვა და სხვა ფუნქციები, მით უფრო დამოკიდებული ხდება თვითეული კაპიტალისტი სხვებისგან. რომელიმე კუთხის — და ზოგიერთ შემთხვევებში კი მთელი ქვეყნის — კაპიტალისტური წარმოება ხდება ერთ ვებერთელა ორგანიზმათ, რომლის ნაწილებს ერთმანეთთან განუწყვეტელი კავშირი აქვთ.

იმ დროს, როდესაც მცხოვრებთა მასსა კაპიტალის-

ტებისგან უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება, თი-თონ კაპიტალისტებიც ერთმანეთისგან ხდებიან დამოკიდე-ბულნი. კაპიტალისტურ წარმოების დროს მთელი ქვეყ-ნის ეკონომიური ცხოვრება ერთ რთულ და მგრძნობია-რე მექანიზმს წარმოადგენს, რომლის განუწყვეტელი მოძრაობა უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება მის უთვალავ ბორბლების განუწყვეტელ და სასტიკათ გა-წესრიგებულ მოძრაობაზე.

წარმოების არც ერთი წესი არ ითხოვდა ისეთ სა-სტიკ გეგმაზე მოწყობილ ორგანიზაციას, როგორც თა-ნამედროვე. მაგრამ კერძო საკუთრების მიზეზით ყოვლათ შეუძლებელია, რომ თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრე-ბაში რაიმე გეგმა, რაიმე წინდაწინ შედგენილი წესრიგი შეიტანო. იმ დროს, როდესაც სამრეწველო საქმეები ერთ-მანეთისგან **ეკონომიურათ** სულ უფრო და უფრო და-მოკიდებული ხდება, უფლებრივათ, **იურიდიულათ** სრუ-ლიათ დამოუკიდებულნი რჩებიან. წარმოების ყოველგვა-რი საშუალებები კერძო საკუთრებას შეადგენენ და პატ-რონს შეუძლია, როგორც სურს, ისე მოიხმაროს.

რაც უფრო ვითარდება მსხვილი წარმოება, რაც უფრო იზრდება თვითეული სამრეწველო საქმე, მით უფრო მტკი-ცდება მათში შრომის სასტიკი წესრიგი. მაგრამ ამ დაწესე-ბულებათა ერთდროული მოქმედება და მათი ერთმანეთზე გავლენა **თავისუფალ კონკურენციის** ბრმა ძალაზე რჩება დამოკიდებული. უთვალავ ძალების და საშუალებების ფლანგვით იცავს ის არსებულ ეკონომიურ ცხოვრებას: მუდმივ რყევასა ‌ ‌ ‌

ჩევა არსებობისთვის ბრძოლაში". ნამდვილათ კი თავისუფალი კონკურენცია ისე უნიჭოებს არ რიყავს ცხოვრების გარედ, როგორც ისეთებს, რომელთაც რაიმე სპეციალური თვისება აკლიათ, უფრო ხშირათ კი—მხოლოდ **კაპიტალი.** მაგრამ დღეს კონკურენცია აღარ კმაყოფილდება მარტო ისეთების განდევნით, რომელნიც ასებობისთვის ბრძოლას ვერ უძლებენ. ყოველ დამარცხებას თან სდევს მრავალ მდგომარეობათა მოშლა: იტანჯებიან დაქირავებული მუშები, კრედიტორები, მოიჯარადრენი და სხვ., რომელთაც გაკოტრებულ წარმოებასთან ეკონომიური კავშირი აქვთ.

ბევრი დღესაც დიდი ხალისით იმეორებს ძველ თქმულებას, რომ ყოველი ადამიანი თითონ სჭედს თავის ბედსო. ეს ანდაზა წარმოიშვა წვრილ წარმოების დროს, როდესაც მწარმოებლის პირად თვისებებზე დამოკიდებული იყო როგორც მისი, აგრეთვე მისი ოჯახის ბედიც. დღეს კი კაპიტალისტური საზოგადოების წევრის მდგომარეობა დამოკიდებულია არა მის პირად თვისებებზე, არამედ ამ ათას სხვა და სხვა პირობებზე, რომლებზეც მას არავითარი გავლენა არა აქვს. დღეს კონკურენცია „უკეთესებს" სრულიათაც აღარ „სწყალობს",

3. — **მოგება**

საიდან ღებულობს კაპიტალისტთა კლასი მოგებას? **სავაჭრო** ან **სავახშო** კაპიტალის პატრონი თავის მოგებას იღებდა იმ სხვა და სხვა კლასების **ქონებიდან,** რომელთაც მათი დახმარება ან შუამავლობა სჭირდებოდა. სამრეწველო კაპიტალი კი თავის მოსაგებს **ქონებს მოკლებულ** დაქირავებულ მუშათა ექსპლოატაციაში პოულობს. მაგრამ, რაც უფრო ვითარდება კაპიტალისტური წარმოების წესი, სამრეწველო კაპიტალი მით

უფრო ჩრდილავს სხვა გვარ კაპიტალებს და თავის მოსა-
მსახურეებათ ხდის, თუმცა ამ სამსახურისთვის თავის
მოსაგების ნაწილს უთმობს მათ.

კაპიტალისტურ წარმოების განვითარების წყალობით,
ზედმეტი ღირებულება, რომელსაც პროლეტარები ქმნიან,
კაპიტალისტთა კლასის შემოსავლის უმთავრესი წყარო
ხდება. ხელოსნობა და გლეხური მეურნეობა გაქრო-
ბის გზაზე დგანან და დღევანდელ ცხოვრების შინა-
არსზე ნაკლები გავლენა აქვთ, სწორეთ ისე, როგორც
სავაჭრო და სავახშო კაპიტალის ძველ ფორმებს, რომ-
ლის შემოსავლის წყაროს არაკაპიტალისტურ კლასების
ექსპლოატაცია შეადგენდა. დღეს უკვე არსებობენ ისე-
თი ქვეყნები, სადაც ხსენებაც აღარ არის ხელოსნების
და გლეხების, მაგ. ინგლისი. მაგრამ წარმოუდგენელია
ისეთი თანამედროვე სახელმწიფო, სადაც მსხვილი წარ-
მოება არ არსებობდეს.

ვისაც კაპიტალის თანამედროვე ფორმების გაგება უნ-
და, მან სამრეწველო კაპიტალის გამოკვლევით უნდა დაი-
წყოს: კაპიტალისტთა კლასის ყოველგვარ შემოსავლის
წყაროს შეადგენს ზედმეტი ღირებულება, რომელსაც
კაპიტალისტური წარმოება ქმნის.

წინა თავში ჩვენ განვიხილეთ ზედმეტი ღირებუ-
ლება, რომელსაც სამრეწველო პროლეტარიატი ქმნის
და სამრეწველო კაპიტალისტი კი ითვისებს. ჩვენ დავი-
ნახეთ აგრეთვე, თუ როგორ იზრდება თვითეულ მუ-
შის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულება მის სამუ-
შაო ქირასთან შედარებით, — მუშის შრომის რაოდენო-
ბის გაზრდით, მანქანების შემოღებით, იაფი მუშების
მოწვევით და სხვ.

კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთათ იზრდება სა-

ყველეფ პროლეტართა რიცხვიც: ამგვარათ, სულ უფრო და უფრო ემატება იმ ნაკადულს, რომელიც კაპიტალისტთა კლასს ზედმეტ ღირებულებას უზიდავს.

მაგრამ რომელ მომაკვდავისთვის მიუცია განგებას „სრული“ ბედნიერება! და კაპიტალისტთა კლასიც იძულებულია თავის მოგება სხვას გაუყოს; და ეს მაინც უნდა ქნას, სურს თუ არა მას ეს „გაყოფა“.

შეგროვებულ ზედმეტ ღირებულებიდან მან ერთი ნაწილი **მიწათმფლობელებს** და **სახელმწიფოს** უნდა მისცეს. და ეს ნაწილი დღითი დღე იზრდება.

4. — მიწის რენტა

როდესაც ვლაპარაკობთ იმ კლასებზე, რომლებიც წარმოების საშუალებებს თანდათან ეპატრონებიან და უცილო მესაკუთრეებათ და ექსპლოატატორებათ ხდებიან, ჩვენ უნდა ვარჩევდეთ ერთმანეთისგან **კაპიტალისტებს** და **მსხვილ მიწათმფლობელებს.** მიწა სულ სხვაგვარი საწარმოო საშუალებაა. ეს საშუალება ყველაზე უფრო აუცილებელია, უიმისოთ ადამიანის მოქმედება წარმოუდგენელია; მეზღვაურს და ჰაერში მფრინავსაც კი სჭირია მიწა გასამგზავრებლათ და ჩამოსახტომათ. იმავე დროს მიწა ისეთი საწარმოო საშუალებაა, რომლის გადიდება საჭიროებისამებრ არ შეიძლება. მაგრამ დღემდე არ მოიპოვება არც ერთი კუთხე, სადაც მიწის ყოველივე ნაკერი დამუშავებული იყოს. თვით ჩინეთშიც კი თვალ უწვდენელი ადგილებია დაუმუშავებელი.

საშუალო საუკუნის ევროპაში, როდესაც იქ წვრილი გლეხური მეურნეობა იყო გამეფებული, თვითეულ გლეხს ქონდა საკუთარი სახნავი და სამოსახლო. წყლე-

ბი, ტყეები და საძოვარი ადგილები საზოგადო საკუთრებას შეადგენდენ, და დაუმუშავებელ მიწის რაოდენობა ისე დიდი იყო, რომ თვითეულ მეურნეს შეეძლო თავისუფლათ მიესაკუთრებია ის ნაჭერი, რომელსაც ამ უდაბნოში დაამუშავებდა. მაგრამ აი, დაიწყო საქონლის წარმოების განვითარება და ამას მოყვა ის შედეგები, რომლებიც ჩვენ უკვე გავიცანით. მიწის ნაწარმოები საქონელი გახდა და ღირებულება შეიძინა. ამან გავლენა იქონია მიწაზე, რომელიც ღირებულ საქონლათ გადაიქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხთა ცალკე საზოგადოებები და ამხანაგობები ეხლა იმას ცდილობდენ, რომ წევრების რიცხვი შეემცირებიათ. თვითონ წევრებიც ისე ალაგ-ალაგ უცქეროდენ მიწას, (რომელსაც საერთოთ ფლობდენ, ან ზენდახან ერთად სარგებლობდენ — წყლები, ტყეები, რომელიც საზოგადოების ან ამხანაგობის ხელუხლებელ საერთო კუთვნილებას, არამედ როგორც ერთნაირ **კერძო საკუთრებას**, რომელიც ეკუთვნის ყველა ეხლანდელ წევრებს, ან მათ ჩამოვლობას საერთოდ და გარედან შემოსულ პირებს, საზოგადოების მომავალ წევრებს, ამ საკუთრებით სარგებლობა არ შეუძლიათ.

გლეხთა საზოგადოებებს უნდოდათ, რომ მიწათმფლობელობა თავის მონოპოლიათ გაეხადათ. მაგრამ ამ მიწებს სხვა ვინმე უყურებდა ხარბი თვალით. ეს გახლდათ კეთილშობილი ბატონი, — მათი მფარველი და დამცველი. თუ რომ სათემო მიწები, რომლებსაც ახლა ფასი დაედო, ვისიმე კერძო საკუთრება გახდებოდა, რა თქმა უნდა, — **მისი** საკუთრება უნდა გამხდარიყო. და მართლაც, ბევრ ალაგას, განსაკუთრებით იქ, სადაც მსხვილი მფლობელობა იყო განვითარე-

ბული, კეთილშობილმა ბატონებმა მოახერხეს გლეხთა სათემო მიწების ხელში ჩაგდება. შემდეგ საქმე იქამდე მივიდა, რომ გლეხების კარ-მიდამო აიკლეს და სახნავ-სათესი მიწები წაართვეს. ეხლა მთელი მიწა, ისეთიც კი, რომელსაც არავინ არ სარგებლობდა, კერძო საკუთრებათ იქცა, და მიწათმფლობელობა რამდენიმე პირის პრივილეგია შეიქნა.

ამნაირათ, ეკონომიურ განვითარების და, კერძოთ, მსხვილ საკუთრების გაჩენის წყალობით, მიწათმფლობელობა ჯერ კიდევ მაშინ გახდა მონოპოლიათ, როცა ნაყოფიერი მიწა ბლომათ მოიპოვებოდა და გადასახლებაზე ლაპარაკიც კი მეტი იყო. მიწის გადიდება სურვილისამებრ, როგორც ვთქვით, შეუძლებელია; ამიტომ მას, როგორც საწარმოვო საშუალებას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მაგრამ ეს განსაკუთრებული მდგომარეობა იმით კი არ არის გამოწვეული, თითქოს მთელი მიწა უკვე **დამუშავებული იყოს,** არამედ იმით, რომ ის --- კულტურულ ქვეყნებში მაინც — მცხოვრებთა უმცირესობის საკუთრებას შეადგენს. ამ გარემოებამ თავისებური მონოპოლია შექმნა. კაპიტალისტთა კლასს, რასაკვირველია, საწარმოვო საშუალებათა მონოპოლია ეკუთვნის. მაგრამ ამ კლასის არც ერთ განსაზღვრულ წევრისთვის არ არსებობს მონოპოლია რომელიმე განსაზღვრულ საწარმოვო საშუალებაზე, და თუ ვისმე ასეთი მონოპოლია მოეპოება, ის, ყოველ შემთხვევაში, ხანგრძლივი ვერ იქნება. მაგალითად, შედგა კაპიტალისტთა კამპანია, რომ რომელიმე შესანიშნავი გამოგონება, ვთქვათ, ახალი მანქანა მონოპოლიათ გადააქციოს; მოსალოდნელია, რომ მალე გამოჩნდებიან სხვა კაპიტალისტები, რომლებიც ან იმავე მანქანას შეიძენენ, ან

ისარგებლებენ იმაზე უკეთესი გამოგონებით ან და, უკიდურეს შემთხვევაში, მოხერხებულ მიბაძავს შემოიღებენ.

მიწათმფლობელობაში ეს შეუძლებელია. მემამულეები არა მარტო ღარიბების წინააღმდეგ სარგებლობენ ამ მონოპოლიით, არამედ კაპიტალისტების წინააღმდეგაც.

მიწათმფლობელობის განსაკუთრებული თვისებები ყველაზე უფრო ნათლათ სჩანს ინგლისში, სადაც მხოლოდ რამდენიმე ოჯახი ფლობს მთელი ქვეყნის მიწას და საყიდლათაც არავის ანებებს. ვისაც მიწით სარგებლობა სურს, უნდა გადაიხადოს განსაზღვრული **საიჯარო ქირა—მიწის რენტა** *).

თუ ინგლისელმა კაპიტალისტმა მოინდომა ფაბრიკის ან საცხოვრებელ სახლის აშენება, მაღაროების დამუშავება ან მეურნეობის გაჩენა, მან საჭირო მიწა იჯარით უნდა აიღოს, რადგან ყიდვა არ შეუძლია.

გერმანიაში კაპიტალისტს, ჩვეულებრივათ, თვითონ ეკუთვნის ის მიწა, რომელზედაც მისი ქარხანა დგას; ის მაღაროები, რომლებსაც ის ამუშავებს და სხვ... მეორე მხრით, მსხვილი მემამულე, უმეტეს შემთხვევაში. მრეწველი კაპიტალისტიც არის. სასოფლო სამეურნეო წარმოება სულ უფრო და უფრო უკავშირდება მრეწველობას და, საზოგადოთ, კაპიტალისტურ წარმოების

*) სისწორით რომ ვთქვათ, საიჯარო ქირა და მიწის რენტა ერთი და იგივე არ არის. საიჯარო ქირაში. უმეტეს შემთხვევაში შედის კაპიტალის პროცენტის ნაწილი. მაგრამ ჩვენი მიზნისთვის ამ განსხვავებას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, და ეს ორი ცნება რომ ერთი აზრით ვიხმაროთ, ამით არაფერი დაშავდება.

დროს იმავე კანონებს ემორჩილება, რასაც მრეწველობის სხვა დარგები.

როდესაც კაპიტალისტი საკუთარ მიწაზე ეწევა წარმოებას, ე. ი. როდესაც ის იმავე დროს მიწათმფლობელიც არის, რასაკვირველია, არავის გაუყოფს თავის ჩედმეტ ღირებულებას. მაგრამ ეს არსებითად არ სცვლის საქმის-ჯარემოებას, რადგან ის მიწის მფლობელი იმიტომ შეიქნა, რომ მიწის პირვალნდელ პატრონს მისცა კაპიტალი, რომლის პროცენტიც მიწის რენტას უდრის. ყოველ შემთხვევაში, ის იხდის მიწის რენტას, და ეს ამცირებს მის მოსაგებს.

რაც უფრო მატულობს მიწის საჭიროება და მრავლდება ხალხი, რაც უფრო ვითარდება წარმოების კაპიტალისტური წესი და მეტი მიწა სჭირდება კაპიტალისტთა კლასს, მით უფრო მწვავდება მიწის საკუთრების მონოპოლიური ხასიათი. აქის მიხედვით იზრდება **მიწის რენტაც,** ე. ი. მიწის რენტის საზოგადო ჯამი, რომელსაც კაპიტალისტურ საზოგადოებში იხდიან. აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოვიყვანოთ, თითქოს რენტა მიწის ყოველ ნაჭერზე უეჭველათ უნდა მატულობდეს. ოენტის თეორიის განხილვას ჩვენ აქ არ შევუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მიწა—სხვა თანასწორ პირობებში—მით უფრო დიდ რენტას იძლევა, რაც უფრო ნაყოფიერია და მოხერხებული მდებარეობა აქვს (ბაზართან ახლოა და სხვ.). მაშასადამე, ახლო მიწების დამუშავებას შეუძლია ძველ, გამოფიტულ მიწების რენტის დაცემა გამოიწვიოს, მაგრამ მით უფრო მძლავრათ აიწევს რენტა ამ ახალ მიწებზე. შესაძლებელია, რომ ბაზრის ახლო მდებარე ადგილებში მიწის რენტა დაეცეს, და შორეულებში კი აიწიოს — მიმოსვლის გაუმჯობესების

წყალობით. ამ ორ უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში ერთიც მოხდა და მეორეც. ამერიკაში მიწის რენტა აიწია, რამდენათაც ამას ხელს არ უშლიდა ბაჟები შესატან პურზე; იმავე დროს კი ევროპაში ის დაეცა. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ იმ მიწებს, რომლებზეც სოფლის მეურნეობას ეწევიან, ქალაქებში კი მიწის რენტა ყველგან შეუწყვეტლივ იზრდება, რადგან წარმოების კაპიტალისტური ფორმა აუარებელ ხალხს უყრის ქალაქებში თავს. ამით, სამწუხაროთ, გაცილებით ნაკლებ ზარალობს კაპიტალისტის ჯიბე, ვინემ ხალხის უღარიბეს ნაწილის ფიზიკური და გონებრივი ცხოვრება. ბინის საკითხი ააშკარავებს ჩვენს წინაშე პროლეტარიატის ტანჯვა-წვალების არა ერთ წყაროს, მაგრამ აქ ამის განხილვას ჩვენ არ შევუდგებით.

5. — გადასახადები

თუ მიწათმფლობელი პირდაპირ, ან არა პირდაპირ — მაგალითად, მუშის შესანახ ხარჯების აწევით — უფრო და უფრო ამცირებს კაპიტალისტების წილს ზედმეტ ღირებულებაში, ამ მხრივ არა ნაკლებ ენერგიულათ მოქმედებს სახელმწიფოც. თანამედროვე სახელმწიფო განვითარდა კაპიტალისტთა კლასთან ერთათ და მისი დახმარებით და, თავის მხრივ, ამ კლასის გაძლიერების უდიდესი იარაღი შეიქნა. ისინი დიდ ერთგულებას იჩენენ ერთმანეთის სამსახურში, კაპიტალისტთა კლასი ვერ იარსებებს უსახელმწიფოთ: მას ესაჭიროება მისი მფარველობა როგორც შიგნით, ისე გარედ.

რაც უფრო ვითარდება კაპიტალისტური წარმოება, მით უფრო მწვავდებიან მის მიერ წარმოშობილი წინააღმდეგობანი და უკულმართობანი, მით უფრო იხლართე-

ბა მთელი საზოგადოებრივი მექანიზმი, მით უფრო ძლიერდება ცალკე პირების ერთმანეთთან დამოკიდებულება, მით უფრო საჭირო ხდება ისეთ ავტორიტეტის არსებობა, რომელიც ყველაზე მაღლა იდგეს და თვალყურს ადევნებდეს, რომ თვითეულმა წევრმა შეასრულოს ის მოვალეობა, რომელიც მის ეკონომიურ ფუნქციებისაგან გამომდინარეობს. წარმოების ისეთ რთულ და სათუთ წესის დროს, როგორიც თანამედროვე კაპიტალისტურია, შეუძლებელია, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა საკუთარ ძალღონით გადასწყვიტონ მათ შორის ატეხილი დავა და ინტერესთა წინააღმდეგობანი. თვითდახმარების ადგილს აქ იქერს **უფლება**, რომელიც სახელმწიფოზეა დაყრდნობილი.

კაპიტალისტური ექსპლოატაცია სულაც არ არის რომელიმე განსაზღვრულ უფლებების მიერ წარმოშობილი. პირიქით, მისმა მოთხოვნილებებმა შექმნეს დღეს არსებული უფლება და გააბატონეს იგი. უფლება არ ქმნის ექსპლოატაციას; ის მხოლოდ ცდილობს, რომ, როგორც თვითონ ექსპლოატაცია, ისე მთელი სამრეწველო ცხოვრება, რაც შეიძლება, ზომიერათ მიმდინარეობდეს. თუ შესაძლებელია ვთქვათ, რომ კონკურენცია თანამედროვე წარმოების მამოძრავებელი ძალაა, უფლება--ის ზეთია, რომელიც სამრეწველო მექანიზმის ნაწილებს უნდა წაუსვათ, რომ ნაკლები ხეხვა ვითარდებოდეს. რაც უფრო ძლიერდება, ერთი მხრით, ეს ხეხვა, რაც უფრო მწკავეა განხეთქილება მყვლეფელებსა და გაყვლეფილებს შორის, რაც უფრო იზრდება განსაკუთრებით ლუმპენ-პროლეტარების რიცხვი და, მეორე მხრით, რაც უფრო საჭიროებს თვითეული კაპიტალისტი სხვების ჩქარ დახმარებას, მით უფრო აუცილებელი ხდება მიზნის

შესაფერი უფლება, მით უფრო ფართოვდება მისი ორგანოების — იუსტიციის და პოლიციის — მოქმედება, მით უფრო აუცილებელი ხდება ძლიერი სახელმწიფო ძალა, რომელსაც უფლება ეყრდნობა.

მაგრამ კაპიტალისტისთვის არ კმარა, რომ მარტო თავის ქვეყანაში ეწეოდეს წარმოებას და ვაჭრობას. კაპიტალისტურ წარმოებაში საგარეო ვაჭრობა იმ თავიდანვე დიდ როლს თამაშობს და, რაც უფრო ბატონდება ის, მით უფრო აშკარა ხდება, რომ გარეშე ბაზრის გაფართოება და უზრუნველყოფა მთელ ნაციისთვის სამკვიდრო-სასიცოცხლო კითხვას შეადგენს. მაგრამ მსოფლიო ბაზარზე ერთი ქვეყნის კაპიტალისტების მეტოქეებათ სხვა ქვეყნების კაპიტალისტები გამოდიან; ბრძოლაში ისინი სახელმწიფოს იშველებენ, რომ მოწინააღმდეგეთ თავის უფლების წინაშე ქედი მოახრევინონ ან, რაც კიდევ უკეთესია, სულ მოიშორონ ისინი თავიდან. რადგანაც კაპიტალისტთა კლასი, რაც ხანი გადის, სულ უფრო და უფრო აძლიერებს თავის გავლენას მონარქებზე და სახელმწიფოზე, ამიტომ ჯარებიც მონარქის პირად სამსახურის ნაცვლათ ამ კლასის ინტერესების დამცველებათ გამოდიან. წინანდელი დინასტიური ომები თან და თან **სავაჭრო** და ბოლოს **ნაციონალურ** ომებათ ხდებიან, რაც უკანასკნელათ ისევ სხვა და სხვა ერის კაპიტალისტების ინტერესთა წინააღმდეგობითაა გამოწვეული.

ამიტომ კაპიტალისტურ სახელმწიფოსთვის საჭიროა არა მარტო იუსტიციის და პოლიციის (აგრეთვე ფინანსისტებისაც) უთვალავი ჯარი, არამედ ურიცხვი სამხედრო ჯარიც. ორივე ეს ჯარი განუწყვეტლივ იზრდება კაპიტალისტურ სახელმწიფოში, მაგრამ ჩვენს დროში სამხედ-

რო არმია ჩინოვნიკურ არმიაზე უფრო ძლიერ იზრდება.

სანამ სამრეწველო ტეხნიკას მეცნიერება დაიპყრობდა, სამხედრო ტეხნიკაც ნელა ვითარდებოდა. მაგრამ გაბატონდა თუ არა მრეწველობაში მანქანა, მან ძირიანათ შესცვალა ის, და სამხედრო მანქანაც ველარ გაჩერდა ერთ წერტილზე. ყოველ ახალ დღეს ახალ-ახალი აღმოჩენები და გამოგონებები მოაქვს; ვერც კი მოასწრებენ ერთის გამოცდას, რომ მეორე გამოგონება ისევ აუქმებს პირველს ⁄ აუარებელ ხარჯებს უნაყოფოთ ხდის. ⁄ რაც ხანი გადის, უფრო უზარმაზარი, რთული და ძვირი სამხედრო მანქანები ხდება საჭირო. იმავე დროს უმჯობესდება მიმოსვლა, ადვილი ხდება ბრძოლის ველზე აუარებელ ჯარების სწრაფათ თავის მოყრა, ამიტომ ჯარის რიცხვი თანდათან მატულობს.

ამ პირობების გავლენით უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში სამხედრო ხარჯები (რომლების რიცხვში უმეტეს შემთხვევებში სახელმწიფო ვალიც უნდა ჩავთვალოთ) წარმოუდგენელი სიჩქარით იზრდებიან.

სახელმწიფოს შენახვა უფრო და უფრო ძვირი ჯდება. ჩნდებიან აუარებელი გადასახადები. კაპიტალისტები და მსხვილი მიწათმფლობელები ცდილობენ, რამდენათაც საკანონმდებლო ძალა მათ ხელშია, ეს გადასახადები თვითონ მოიშორონ და სხვებს დააკისრონ, მაგრამ ამ სხვებისგან სულ უფრო და უფრო ნაკლები შემოდის, და, ათასგვარ ხრიკების მიუხედავათ, ბ. ბ. ექსპლოატატორები მაინც იძულებული ხდებიან, რაც ხანი გადის, ზედმეტ ღირებულების მით უფრო დიდი ნაწილი დაუთმონ სახელმწიფოს.

6. — მოსაგების დაცემა

განვითარების იმ პროცესის დროს, რომელსაც ჩვენ ზემოთ შევეხეთ, კაპიტალს, რომელსაც კაპიტალისტი აბანდებს, რომ „მოსაგები“ ნახოს, გიცილებით უფრო ჩქარა იზრდება, ვინემ მუშათა კლასის ექსპლუატაცია, ვინემ ამ კლასის მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულების რაოდენობა.

ჩვენ აქ არ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ ამ მოვლენის მთავარი მიზეზები, რომელთა გაგება საკმაო მოამზადებს თხოულობს, მაგრამ ვეცდებით ის მაგალითით ავხსნათ.

ავიღოთ ამ მიზნისთვის უფრო თვალსაჩინო შემთხვევა: შევადაროთ შინაურ მრეწველობაში მომუშავე ხელით მრთველი, რომელსაც ასი წლის წინათ იმ დროის კაპიტალისტი უფლობდა, დღევანდელ ფაბრიკაში მომუშავე მრთველს. რამდენი კაპიტალია საჭირო, რომ ამ უკანასკნელმა მუშაობა შეიძლოს, და რა ცოტა იყო საჭირო ის უწინ, ხელით რთვის დროს! იმ დროის კაპიტალისტი მრთველს აძლევდა სამუშაო ქირას ⅌ ნედლ მასალას: ბამბას ან სელს; სამუშაო ქირის მხრივ მას შემდეგ დიდი ცვლილება არ მომხდარა, მაგრამ დღეს, თანამედროვე მექანიკურ რთვის დროს, მუშა ასჯერ მეტ ნედლ მასალას მაინც ამუშავებს, ვინემ წინათ; ამას გარდა, რა უზარმაზარი შენობები, ორთქლის და სართავი მანქანებია საჭირო, რომ მექანიკური რთვა შესაძლებელი იქნას!

შევჩერდეთ კიდევ ერთ გარემოებაზე: ასი წლის წინათ კაპიტალისტი, რომელიც ხელით მრთველს ქირაობდა, მხოლოდ სამუშაო ქირასა და ნედლ მასალაზე ხარჯავდა კაპიტალს. ძირითად კაპიტალის თიოქმის ხსენებაც არ იყო იმ დროს, რადგანაც თითისტარი ანგარიშში მი-

საღები არის. მის კაპიტალს ჩქარა შეეძლო ტრიალი, მაგალითად, წელიწადში ოთხჯერ; ამიტომ მისთვის საკმაო იყო მხოლოდ მეოთხედი ნაწილი იმ კაპიტალის, რომელსაც წლის განმავლობაში ხმარობდა. დღევანდელ მანქანებს და მექანიკურ სართველ შენობებს შედარებით ძალიან დიდი კაპიტალი სჭირდება. ვთქვათ, სამუშაო ქირისა და ნედლ მასალისთვის საჭირო კაპიტალი წინანდელ დროს განმავლობაში ახერხებს ტრიალს, მაგრამ ეს დრო გაცილებით უფრო გრძელია კაპიტალის იმ ნაწილისათვის, რომელიც წინათ თითქმის არ არსებობდა.

თუმცა მიზეზების მთელი რიგი სულ წინაალმდეგ გავლენას ახდენს, მაგალითად კრედიტი და, განსაკუთრებით კი, შრომის განაყოფიერებით გამოწვეული ნაწარმოების ღირებულების დაცემა, მაგრამ ამ მიზეზებს არ შეუძლია ხსენებულ განვითარების შეჩერება.

ეს განვითარება მრეწველობის ყველა დარგებში ხდება, — ზოგან ჩქარა, ზოგან კი უფრო ნელა, — მაგრამ ყველგან სწრაფათ და შესამჩნევათ იზრდება კაპიტალის რაოდენობა, რომელიც მრეწველობაში თვითეულ მუშას უნდება წლიურათ.

ვთქვათ, ასი წლის წინათ ამ კაპიტალის რაოდენობა 100 მარკას უდრიდა, დღეს კი ათას მარკამდე ავიდა, ვთქვათ, მუშის ექსპლოატაციამ ხუთჯერ იმატა; თუ ასი წლის წინათ მისგან შექმნილ ზედმეტ ღირებულების რაოდენობა 50 მარკას უდრიდა, დღეს 250 მარკას უდრის; სამუშაო ქირას კი ისევ ძველებურს ღებულობს. გამოდის, რომ ზედმეტ ღირებულების რაოდენობა, აბსოლიუტურათ აღებული, ძალიან გაზრდილა, მაგრამ იმ კაპიტალის რაოდენობასთან შედარებით, რომელსაც მწარმოებელი ყოველ წელს ხარმობს, ის დაცემულა. მა-

შინ ეს დამოკიდებულება 50 პროცენტს უდრიდა, დღეს კი მხოლოდ 25 პროცენტს უდრის. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ მაგალითია, მაგრამ ტენდენცია, რომელსაც ეს მაგალითი ნათელ ყოფს, სინამდვილეში არსებობს.

ზედმეტ ღირებულების **საერთო რაოდენობა,** რომელსაც ყოველწლიურათ ქმნის რომელიმე ქვეყნის კაპიტალისტური წარმოება, ჩქარა და შეუჩერებლივ იზრდება; მაგრამ კიდევ უფრო ჩქარა იზრდება კაპიტალის საზოგადო ჯამი, რომელსაც კაპიტალისტთა კლასი სხვა და სხვა სამრეწველო საქმეებს ანდომებს, რომელთა შორის ზედმეტი ღირებულება ნაწილდება. ამას გარდა, თუ გავიხსენებთ, რომ ყოველ წლიურათ ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილი სახელმწიფო გადასახადებს უნდება, ჩვენ დავინახავთ, რომ **ზედმეტ ღირებულების წლიური ჯამი,** რომელიც საშუალო რიცხვით, **განსაზღვრულ კაპიტალზე** მოდის, **ეცემა,** მიუხედავათ იმისა, რომ **მუშების ექსპლუატაცია უფრო და უფრო მატულობს.**

მაშასადამე, მოსაგები, ე. ი. ზედმეტ ღირებულების ის ნაწილი, რომელიც კაპიტალისტის განკარგულებაში გადადის, დახარჯულ კაპიტალის საერთო რაოდენობასთან შედარებით, ეცემა, ანუ, სხვანაირათ რომ ვთქვათ, კაპიტალისტურ წარმოების განვითარებასთან ერთათ მოსაგები, რომელსაც განსაზღრული კაპიტალი იძლევა, თან და თან კლებულობს. ამას, რასაკვირველია, მნიშვნელობა აქვს, როგორც ასე თუ ისე ხანგრძლივ პერიოდის ფაქტებიდან გამოყვანილ საშუალო დასკვნას. მოსაგების დაცემის ერთ ნიშანთაგანია პროცენტების თანდათანობით დაწევა.

ამნაირათ, მუშების ყვლეფა თან და თან მატულობს, და იმავე დროს თან და თან ეცემა კაპიტალისტის მო-

გების ნორმა, ანუ, სხვანაირათ რომ ვთქვათ, **მუშების ექსპლოატაციას ემჩნევა ტენდენცია თანდათან იზარდოს, კაპიტალის მოგებას კი — თანდათან იკლოს.** ეს ერთი იმ საოცარ წინააღმდეგობათაგანია, რომლითაც ასე მდიდარია კაპიტალისტურ წარომების წესი. მოსაგების ასეთ დაცემისაგან ზოგიერთებს გამოყავდათ, რომ კაპიტალისტური ექსპლოატაცია ოდესმე თავისთავათ მოისპობაო. ერთ დროს კაპიტალი ისე ცოტა მოგებას მისცემს თავის პატრონს, რომ მშიერი კაპიტალისტები სამუშაოს ძებნას შეუდგებიანო. მაგრამ ასეთ მოლოდინს მხოლოდ მაშინ ექნებოდა რაიმე აზრი, რომ მოგება თანდათან ეცემოდეს და კაპიტალის საერთო რაოდენობა კი იმავე დროს უცვლელი რჩებოდეს. ნამდვილათ კი სულ სხვას ვხედავთ. კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალის საზოგადო ჯამი უფრო ჩქარა იზრდება, ვინემ მოსაგების რაოდენობა ეცემა, სახელდობრ, სწორეთ კაპიტალის საზოგადო რაოდენობის ზრდაა მოსაგების რაოდენობის დაცემის ერთ უმთავრეს პირობათაგანი. კაპიტალისტი, რომელიც თავის კაპიტალზე უწინ ხუთ პროცენტს ღებულობდა, შემდეგ ოთხს და დღეს კი სამს იღებს, სრულიათაც არ ღარიბდება, თუ კი ამ დროს მისი კაპიტალი თანდათან გაიზარდა: ერთი მილიონიდან ორ მილიონამდე და შემდეგ ოთხამდეც ავიდა.

მოსაგების რაოდენობის დაცემა და, მაშასადამე, პროცენტისაც, სულაც არ ნიშნავს კაპიტალისტთა კლასის შემოსავლის შემცირებას, რადგანაც მისი ხვედრი ზედმეტი ღირებულება მაინც თანდათან იზრდება. ის ამცირებს მხოლოდ იმ კაპიტალისტების შემოსავალს, რომლებსაც არ შეუძლიათ თავისი კაპიტალის შესაფერათ გადიდება. ეკონომიურ განვითარების მსვლელობასთან ერთად უფ-

რო და უფრო მაღლა იწევს ის საზღვარი, რომელს ზე-ვითაც კაპიტალს შეუძლია პატრონს „მისი ღირსებების შესაფერი“ შემოსავალი მისცეს. მინიმუმი, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ გაურჯელათ, სხვისი შრომით იცხოვროს კაპიტალისტმა, სულ მატულობს. ის, რაც ამ ორმოცდა ათი წლის წინათ სიმდიდრეთ ითვლებოდა; დღეს სახსენებლათაც კი არ ღირს.

მოსაგებისა და პროცენტის დაცემა კაპიტალისტთა კლასის მოსპობას კი არ იწვევს, არამედ მის შემცირებას. ყოველ წელს შორდებიან მას წვრილი კაპიტალისტები, რომლებიც იძულებული ხდებიან ისეთივე სამკვიდრო-საციცოცხლო ბრძოლა გასწიონ, როგორსაც წვრილი ხელოსნები, წვრილი ვაჭრები და წვრილი გლეხები ეწევიან. ეს ბრძოლა შეიძლება იყოს ხან ხანგძლივი, ხან მოკლე, მაგრამ ყოველთვის იმით თავდება, რომ ან თითონ მებრძოლნი და ან მათი ჩამომავლობა უეჭველათ პროლეტართა რაზმებში ეარდებიან. და ყოველივე ცდა, რომ ასეთ ბედს თავი დაახწიონ, მხოლოდ აჩქარებს მათ განადგურებას.

ბევრს უკვირს, რატომ არის ქვეყანაზე ამდენი სულელი, რომელიც მზათაა ყოველ შარლატანს მიაჩეჩოს თავისი ფული, ოღონდ კი ამ უკანასკნელმა კარგი პროცენტი დაპირდესო, მაგრამ ხალხი უმეტეს შემთხვევაში არც ისე სულელია, როგორც ჩვენ გვეჩვენება; შარლატნური საქმე — ეს უკანასკნელი ხავსია, რომელსაც ესენი ეჭიდებიან, რომ თავის პაწაწა კაპიტალებს მოსაგები გამოაღებინონ. იმათ ისე სიხარბე არ აბრმავებს, როგორც მოსალოდნელ გაჭირვების შიში.

7 — მსხვილ მწარმოების ზრდა. კარტელები

როგორც, ვიცით სასტიკი ბრძოლა მძვინვარებს ხელოსნობასა და მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას შორის; მაგრამ არა ნაკლებ გამწვავებულია ბრძოლა ძალიან მსხვილ და ნაკლებ მსხვილ სამრეწველო საქმეთა შორისაც. ყოველ წუთს ახალი აღმოჩენები, ახალ-ახალი გამოგონებები მოაქვს, ‌ᲐᲐ მათი შემოღება საოცრათ ანაყოფიერებს შრომას. ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი ფასს უკარგავს ძველ საწარმოო იარაღებს, აუცილებლათ ხდის ახლების შემოღებას და ხშირათ წარმოების გაფართოებასაც. ვისაც ამისთვის საკმაო კაპიტალი არა აქვს, ის ვერ უძლებს კონკურენციას და, ადრე თუ გვიან, კოტრდება ან იძულებული ხდება — თვისი კაპიტალი ისეთ დარგებში გადაიტანოს, სადაც წვრილ წარმოებას კიდევ შეუძლია კონკურინციას გაუმკლავდეს. ამნაირათ, მსხვილ მრეწველობის ფარგლებში არსებული კონკურენცია ხელს უწყობს წვრილის ავსებას და ხელოსნობას სპობს იქაც კი, სადაც მას აქამდე რამდენიმეთ კიდევ შერჩენია სიცოცხლის ნიშან-წყალი.

მსხვილი კაპიტალისტური დაწესებულებები სულ უფრო და უფრო დიდდებიან. თუ დღეს რომელიმე ქარხანაში ან ზავოდში ასი მუშაა, ხვალ მასში ათასი მუშა იყრის თავს, რის გამოც ის უზარმაზარ დაწესებულებათ ხდება. (საქსოვი ქარხნები, ლუდის, შაქრის, რკინის ქარხანები და სხვ.)

1895 წელს გერმანიაში 296 უზარმაზარი სამრეწველო დაწესებულება იყო, და თვითეულ მათგანში ათასზე მეტი მუშა ითვლებოდა. თვითეულ დაწესებულებაზე, საშუალო რიცხვით, მოდიოდა 1900 მუშა, რომელთა

ძალაც 2250 ცხენის ძალას უდრიდა. გერმანიის სახელმწიფო სტატისტიკის ცნობებით, ამ 296 დაწესებულებაში მოთავსებული იყო მთელი სამრეწველო წარმოების **ერთი მეხუთედი; ნახევარი საქონელი** კი მზადდებოდა ისეთ დაწესებულებებში, რომლებსაც ასზედ მეტი მუშა ყავდა; ისეთებში კი, სადაც ოცი ან ნაკლები მუშა იყო, მზადდებოდა მთელი საქონლის მხოლოდ **ერთი მეოთხედი.** 296 მსხვილ დაწესებულებას, რომლებშიც 262620 მუშაა, მეტი საწარმოო ძალა აქვს, ვინემ 2855802 წვრილ დაწყებულებას (ხუთი ან ნაკლები მუშით), რომლებშიაც 4661787 მუშას მოუყრია თავი. თუ ერთი ცხენის ძალა 24 კაცის ძალას უდრის, იმ შემთხვევაში 296 მსხვილ დაწესებულებაში თავმოყრილია 16599000 კაცის სამუშაო ძალა, და 2855802 წვრილ დაწესებულებაში კი მხოლოდ 14068000 კაცის სამუშაო ძალა.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ეკონომიური განვითარება ისეთ გზას ადგია, რომ სამრეწველო საქმეთა სულ მეტი და მეტი რიცხვი თავს იყრის **ერთ და იმავე პირების ხელში;** როგორც უნდა ხდებოდეს ეს თავის მოყრა — ერთი კაცის ხელში მოგროვებით, თუ კაპიტალისტთა კამპანიის (იურიდიულ პირის) ხელში გადასვლით — ეს სულ ერთია.

აქეთკენ მიმავალი გზა ბევრნაირია. ერთ ამ გზათაგანს ქმნის ის, რომ კაპიტალისტი ცდილობს კონკურენციის გარეშე იდგეს. ჩვენ დავინახეთ, რომ კონკურენცია თანამედროვე წარმოების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ის არის საქონლის წარმოების და აღებ-მიცემობის მთავარი ძარღვი. თუმცა ასე საჭიროა კონკურენცია საზოგადოთ მთელ წარმოებისთვის, მაგრამ კერ-

ძოთ თვითეული მწარმოებელი მუდამ იმის ცდაშია, რომ ბაზარზე მის საქონელს არავინ უწევდეს კონკურენციას. მარტო ერთი კაპიტალისტი რომ ყიდდეს იმ საქონელს, რომელზეც დღეს საზოგადოებაში მოთხოვნილებაა, მაშინ ის ხელში ჩაიგდებდა ამ საქონლის **მონოპოლიას,** საოცრათ აუწევდა ფასს და ყოველ მყიდველს, რომელსაც კი მისი საქონელი სჭირია, დამოკიდებულათ გაიხდიდა. თუ ბაზარზე ერთ და იმავე საქონელს რამდენიმე პირი ყიდის, მათაც შეუძლიათ ხელოვნური მონოპოლია შექმნან : შეერთდებიან, შეთანხმდებიან და მყიდველის წინაშე წარსდგებიან, როგორც ერთი გამყიდველი. თავის თავათ ცხადია, რომ ასეთ კავშირების — **კარტელების,** ტრესტების, სინდიკატების და სხვ. — შედგენა მით უფრო ადვილია, რაც უფრო მცირეა კონკურენტთა რიცხვი, რომელთა ინტერესების შეთანხმება საჭიროა კავშირის შედგენის დროს.

რაც უფრო აფართოებს კაპიტალისტური წარმოება ბაზარს და ამრავლებს კონკურენტების რიცხვს, მით უფრო აძნელებს ის მონოპოლიის შექმნას, როგორც ვაჭრობაში, ისე მრეწველობაშიც. მაგრამ მრეწველობის ყველა დარგებს, ადრე თუ გვიან, დაუდგება ისეთი დრო, როცა მისი შემდეგი განვითარება უეკველათ შეამცირებს ცელკე სამრეწველო დაწესებულებათა რიცხვს. ამ დროდან მზადდება ნიადაგი კარტელებისთვის. ასეთ დროის მოახლოებას ხელს უწყობს მფარველობითი ბაჟები, რომლებიც შინაურ ბაზარს გარეშეების კონკურენციისაგან იცავენ. კონკურენტთა რიცხვის ასეთი ხელოვნური შემცირება აადვილებს ადგილობრივ მწარმოებელთა შეთანხმებას, საშუალებას აძლევს მათ შექ-

მნან მონოპოლია და „ეროვნულ შრომის მფარველობის ქვეშ“ ტყავი აძრონ ეროვნულ მხმარებლებს.

ამ უკანასკნელ ათეულ წლებში კარტელები, რომლებიც აწესრიგებენ წარმოებას და საქონლის ფასს, ძალიან გამრავლდენ იმ ქვეყნებში, სადაც მფარველობითი სისტემაა გამეფებული: შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, გერმანიაში. სადაც კარტელი არსდება, იქ ცალკე სამრეწველო დაწესებულებები **ერთდებიან,** ერთ საქმეთ ხდებიან: ამიერიდან მათ **ერთი** გამგეობა აქვს და ფორმალურათ ერთ დირექციას ექვემდებარებიან.

ყველაზე უწინ კარტელები ჩნდებიან უფრო საჭირო საქონლების წარმოებაში: **რკინის და ნახშირის წარმოებაში.** კარტელებს უმეტეს შემთხვევებში გავლენა აქვთ იმ დარგების გარეშეც, რომლების მონოპოლიაც ხელში აქვთ ჩაგდებული. მათი წყალობით რამდენიმე მონოპოლისტი ხშირათ მთელი ქვეყნის წარმოებას ატრიალებს.

როგორც დავინახეთ, ერთ და იმავე დარგის სამრეწველო დაწესებულებები ზოგიერთ პირობებში ერთდებიან, კავშირებს ქმნიან. ასეთ მისწრაფებასთან ერთათ ვითარდება სხვაგვარი მისწრაფებაც. საქმე ის არის, რომ ერთდებიან არა მარტო ერთი დარგის, არამედ სხვა და სხვა დარგების სამრეწველო საქმეებიც, რომელთაგან ერთი მეორეს ნედლ მასალას ან საწარმოო იარაღებს აწვდის. დღეს, მაგალითად, ბევრ რკინის გზის საზოგადოებას საკუთარი ნახშირის მაღაროები აქვს და მატარებლებს თვითონ აშენებს. შაქრის ქარხნების პატრონებს თითონ მოყავთ საკუთარ პლანტაციებზე საჭირო ჰარხალი; ქართოფილის პატრონი თითონ ხდის არაყს და სხვ..,

არის კიდევ ერთი გზა რამდენიმე სამრეწველო და-

წესებულების თავის მოსაყარათ. ეს მესამე საშუალება სულ უბრალოა. ჩვენ ვიცით, რომ წარმოების თანამედროვე წესმა კაპიტალისტს მეტად მნიშვნელოვანი როლი არგუნა. რაც უნდა უსარგებლო იყოს კაპიტალისტი წარმოების სხვა წესისთვის, ის აუცილებელია კერძო საკუთრების და საქონლის წარმოების დროს. წარმოება რომ რიგიანათ მიდიოდეს და ნაწარმოები მხმარებელისთვის ადვილი შესაძენი იყოს, კაპიტალისტი აუცილებლათ თვითონ უნდა ჩაერიოს საქმეში და მოაწესრიგოს იგი. თუმცა კაპიტალისტი არაფერს არ აწარმოებს და არც რაიმე ღირებულებას ქმნის, მიუხედავათ ამისა, ის მაინც დიდ როლს თამაშობს ეკონომიურ ცხოვრებაში.

მაგრამ, რაც უფრო მსხვილდება კაპიტალისტური წარმოება, მით კაპიტალისტი უფრო იძულებული ხდება თავის აუარებელ საქმეების ნაწილი ჩამოიშოროს და სხვა დაწესებულებას ან დაქირავებულ მოხელეებს დააკისროს. თითონ კაპიტალისტი ასრულებს ამ ფუნქციებს თუ დაქირავებული მოსამსახურეები — ეს სულ ერთია, ის ღირებულებას მაინც ვერ შექმნის. კაპიტალისტი იძულებული ხდება ეს დაქირავებული მოხელეები ზედმეტ ღირებულებიდან გაისტუმროს, მაშასადამე, კიდევ შეამციროს თავისი მოგება. გამგეებზე, დირექტორებზე და სხვა მოსამსახურებზე გაწეულ ხარჯებს ის ათვლის წარმოების ხარჯებს— სახელდობრ ამ ხარჯების ნაწილს — **სამუშაო ჭირას.**

თუ წარმოების გაფართოება აიძულებს კაპიტალისტს თავისი საქმეები სხვებს დააკისროს, ზედმეტ ღირებულების ზრდა უადვილებს მას ამ ახალ ხარჯების დაფარვას. რაც უფრო რთულია წარმოება, მით მეტ შრომას იშორებს თავიდან კაპიტალისტი და თავისთვის მხოლოდ

ერთ საზრუნავს იტოვებს, სახელდობრ, — როგორ დააბანდოს ხელ საყრელ პირობებში გადარჩენილი მოსაგები.

ამგვარ სამრეწველო საქმეთა რიცხვი ყოველ წლობით მატულობს. ამას ყველაზე უფრო ნათლათ ამტკიცებს აქციონერულ კომპანიების ზრდა, სადაც მნიშვნელობა კაპიტალისტის პიროვნებას კი არ აქვს, არამედ მის კაპიტალს. ინგლისში 1845 წ. იყო 57 აქციონერული კომპანია; 1852-ს კი — 1815; 1888 წელს მათი რიცხვი ავიდა 11001-მდე, ხოლო კაპიტალი 12000 მილიონ მარკას უდრიდა. 1896 წელს ეს რიცხვი ავიდა 21223-მდე, კაპიტალი 20000 მილიონი მარკა.

ზოგიერთებს აქციონერული კომპანიები ისეთ საშუალებათ მიაჩნდათ, რომელიც შეძლებას მისცემს „წვრილ ხალხს“ მსხვილ წარმოების მონაწილე გახდეს. ნამდვილათ კი აქციონერული კომპანია, როგორც კრედიტი, ისეთი საშუალებაა, რომელიც წვრილ ხალხის ქონებას კაპიტალისტებს უგდებს ხელში.

რაკი კაპიტალისტის პიროვნებას წარმოების მსვლელობისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მას არც სჭირია წარმოების ამა თუ იმ დარგის დაწვრილებით ცოდნა, აქ საკმარისია მარტო მისი კაპიტალი. ეს გარემოება შეძლებას აძლევს კაპიტალისტს — ერთათ გააჩაღოს ისეთი წარმოებები, რომელთა შორის საერთო არაფერი არ არის. ყველაზე უფრო ადვილია კაპიტალისტისთვის აქციონერულ საზოგადოების ხელში ჩაგდება. აქ საკმარისია ბლომათ შეიძინო აქციები, რომ მთელი საზოგადოებ სრულიად დამოკიდებული გაიხადო და შენ ინტერესებს ამსახურო.

დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ მსხვილი კაპიტალი

გაცილებით უფრო ჩქარა იზრდება, ვინემ წვრილი. რაც უფრო მსხვილია კაპიტალი, მით (სხვა თანასწორ პირობებში) მეტ მოგებას აძლევს ის თავის პატრონს, მით ნის ნაკლებ ნაწილს ხმარობს თვითონ კაპიტალისტი; მაშასადამე მით მეტი წილის გადადება (შეგროვება) შეუძლია მას, რომ კაპიტალს მიუმატოს. ვსთქვათ, კაპიტალისტს წლიური შემოსავალი 10000 მარკა აქვს. ეს თანხა მას ძლივს ეყოფა, ძალიან ხელ მოკერილათაც რომ იცხოვროს. დიდი — დიდი გადინარჩუნოს წლიურათ — 2000 მარკა, ე. ი. მოგების **ერთი მეხუთედი**; მაგრამ თუ იმავე კაპიტალისტს წლიურათ შემოსდის 100000 მარკა, მას შეუძლია ხუთჯერ მეტი დახარჯოს და **სამი მეხუთედი** მაინც შეინახოს. ახლა ვთქვათ, რომ კაპიტალისტს მილიონი მარკა შემოსდის; ძალიან ხელ გაშლილათაც რომ იცხოვროს, ის ერთი მეათედის მეტს ვერ დახარჯავს; **ცხრა მეათედი კი** თავისუფლათ შეუძლია შეინახოს.

მაშინ, როდესაც წვრილ კაპიტალისტებს არსებობისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გაწევა სჭირდებათ, მდიდრების ქონება სწრაფათ იზრდება და უზარ-ბაზარი ხდება.

გავითვალისწინოთ ყველა ეს მოვლენები — წარმოების გაფართოება, მსხვილ ქონებათა ჩქარი ზრდა, სამრეწველო საქმეთა რიცხვის შემცირება და მათი კონკურენციის ძლიერ იარაღათ გახდომა რამდენიმე პირის ხელში, — და დავინახავთ, თუ რა გზას ადგია კაპიტალისტური განვითარება, დავინახავთ, რომ საწარმოო იარაღები, რომლებიც მხოლოდ კაპიტალისტთა კლასის მონოპოლიათ გამხდარან, სულ უფრო და უფრო ცოტა ხალხის ხელში იყრიან თავს. ეს განვითარება ბოლოს

იქამდე მივა, რომ რომელიმე ნაციის ან მთელი ქვეყნის საწარმოო საშუალებები ერთი პირის ან აქციონერულ კომპანიის კუთვნილებათ გახდებიან, და ეს უკანასკნელი ყველაფერს თავის ნებაზე მოიხმარს; მთელი სამრეწველო მექანიზმი გადაიქცევა უზარ-მაზარ წარმოებათ, სადაც ყველაფერი ერთი კაცის იქნება, ყველაფერი მას დაემორჩილება.

ამ გზით რომ დაუბრკოლებლათ განვითარდეს კერძო საკუთრება, საქმე იქამდე მივა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ერთს გარდა ყველას გამოეცლება ქონება ხელიდან. მაშასადამე, განვითარებას ის მიყავს თავისი თავის მოსპობისაკენ, საზოგადო პროლეტარიზაციისა და მონობისაკენ. მაგრამ სწორეთ ამით უთხრის თავის თავს სამარეს საქონლის წარმოების კაპიტალისტური წესი. ექსპლუატაციას მნიშვნელობა დაეკარგება, როცა მყვლეფელის საქონელს სხვა მუშტარი აღარ ეყოლება, გარდა თვითონ გაყვლეფილებისა. თუ მხოლოდ დაქირავებული მუშები იქნებიან მხმარებლები, მაშინ ის ნაწარმოები, რომელშიაც ჩაქსოვილია ზედმეტი ღირებულება, მყიდველს ვერ იშოვნის და თვითონ ზედმეტი ღირებულება აღარ იქნება ღირებულება.

ნამდვილათ აქ დასურათებული მდგომარეობა იმდენათვე შეუძლებელია, რამდენათაც საშინში. აქამდე საქმე არასოდეს არ მივა, რადგან ასეთი მდგომარეობის მოახლოვებაც კი ისე გააძლიერებს ტანჯვა-წვალებას, ისე გაამწვავებს საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობას, რომ მათი ატანა შეუძლებელი გახდება და მოხდება კატასტროფა, რომელიც დაგლეჯს ყველა საზოგადოებრივ ნასკვებს; ეს ასე მოხდება, თუ განვითარებას წინდაწინვე არ მიეცა სულ სხვა გვარი მიმართულება. თუმცა ასე-

თი მდგომარეობა სავსებით შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ მაინც მისკენ მივდივართ, და მივდივართ გაცილებით უფრო ჩქარა, ვინემ ეს უმრავლესობას გონია. იმ დროს, როცა ერთის მხრით, დამოუკიდებელი სამრეწველო საქმეები რამდენიმე პირის ხელში იყრის თავს (კონცენტრაცია), მეორე მხრით შრომის განაწილების წყალობით დამოკიდებული ხდება ისეთი წარმოებები, რომლებიც გარეგნულათ სრულიათ დამოუკიდებელია. და ეს დამოკიდებულება უფრო და უფრო ცალმხრივი ხდება — ის გამოხატავს მსხვილ კაპიტალისტების წვრილებზე გაბატონებას. როგორც შინაურ მრეწველობის ვითომდა დამოუკიდებელი მუშა ნამდვილათ კაპიტალისტის დაქირავებული მუშაა, ისე ბევრი ვითომდა დამოუკიდებელი კაპიტალისტები სხვა კაპიტალისტების ხელში არიან და მათი ვითომდა დამოუკიდებელი წარმოება ნამდვილათ მხოლოდ სხვისი უზარმაზარ წარმოების განყოფილებაა. და წვრილ კაპიტალისტების ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო ჩქარა ძლიერდება, ვინემ სხვადასხვა წარმოებათა თავის მოყრა რამდენიმე კერძო მესაკუთრის ხელში. კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიური მექანიზმი დღესაც კი ფაქტიურათ კაპიტალიზმის რამდენიმე გიგანტს ემორჩილება და მის მიერ იყვლიფება. ის რომ აშკარათ გადასულიყო რამდენიმე ფირმის ხელში, ამით მხოლოდ საქმის გარეგანი სახე შეიცვლებოდა.

შეერთებულ შტატებში, სადაც კაპიტალიზმის განვითარება ყველაზე ჩქარა ხდება, ჩვენ ვპოულობთ ისეთ რამეს, რაც კაპიტალიზმის „საბოლოვო მიზანს“ მოგვაგონებს. ახალ საუკუნის დამდეგს იქ დაარსდა ფოლადის ტრესტი, რომლის კაპიტალი უდრიდა 4500 მილიონ მარკას. ამ ტრესტმა თავის მონოპოლიათ გაიხადა

ფოლადის წარმოება თითქმის მთელ შეერთებულ შტატებში. მისი მთავარი მფლობელი და მესაკუთრეა ხუთი პირი: როკფელლერი, მორგანი, ვანდერბილდი, გულდ და გარიმანი. ამათ სამფლობელოს სიდიდის შესახებ ბევრი იწერება ამერიკულ ჟურნალ-გაზეთებში: მათ ეკუთვნის ქვა-ნახშირის მადნების მეტი ნაწილი შეერთებულ შტატებში, მათ ეკუთვნის ყველა ის რკინის გზები, რომელიც ამ მადნების რაიონში არის გაყვანილი, და მაშასადამე მათ შეუძლიათ იბატონონ იმ მადნებზეც, რომელიც პირდაპირ მათ არ ეკუთვნის. მათვე ეკუთვნის რკინის მადნების მეტი წილი და აგრეთვე ყველა უზარმაზარი დაწესებულებანი, სადაც მზადდება რკინა, ფოლადი და ყველა ის ნაწარმოები, რომელიც ამ ლითონიდან კეთდება; ყველა რკინის გზის წვრილ ქარხნებს მათგან მიაქვთ ნედლი მასალა. მათ საკმაო რკინის გზები და არხებიც აქვთ, რომ თავისი ნახშირი და მადნეულობა საკუთარ ქარხნებში გადაზიდონ. მათვე ეკუთვნის რკინის გზების მთელი ბადე, რომელიც ატლანტის ოკეანის ყველა ნავთსადგურებს აერთებს დიდ ოკეანის ნავთ-სადგურებთან; ამასთან სამ დიდ გზებიდან, რომლებიც მისისიპიდან წყნარ ოკეანემდე მიდიან, ორი მათია; მათვე საკუთრებას შეადგენს უზარმაზარი ფლოტი დიდ ოკეანეში. მათ თავის მონოპოლიათ გაიხადეს მთელი ნავთი. მათ ეკუთვნის დიდი წილი ოქროს, ვერცხლის, სპილენძის და ტყვიის მაღაროებისა და მრავალ ქალაქის გასათბობი და გასანათი საშუალებები. მათვე საკუთრებას შეადგენენ, უმატებს გაზეთი „ხალხი“, საიდანაც ჩვენ ეს ცნობები ამოვკრიფეთ — ურიცხვ-უთვალავი კანონმდებელნი ბ მუნიციპალიტეტების მოღვაწენი. ყოველ შემთხვევაში, ამ უზარმაზარ ტრესტს კანონმდებელნი და მრჩეველნი არ მოაკლდებიან, რომ

მან უკეთესათ შესძლოს ყვლეფა და თავის სამფლობელოს შეუჩერებელი გაფართოება.

თანდათან იზრდება მთელი მასის დამოკიდებულება კაპიტალისტებისგან; ამ ზრდასთან ერთათ ძლიერდება შიგ კაპიტალისტთა კლასში უმრავლესობის დამოკიდებულება უმცირესობისაგან. ამ უმცირესობის რიცხვს თანდა-თან აკლდება, მათი სიმდიდრე წარმოუდგენელის ძალით იზრდება ⁄ ფართოვდება. მაგრამ ეს დამოკიდებულება უმრავლესობისა. უმცირესობისაგან სულაც არ უზრუნველ ყოფს მათ მომავალს; პირიქით, მათი მდგომარეობა, როგორც ხელოსნის, გლეხის, პროლეტარის და წვრილ ვაჭრის მდგომარეობა, უფრო და უფრო საეჭვო და უნუგეშო ხდება. ყველაზე უფრო ეს დამოკიდებულება წვრილი კაპიტალისტისთვის არის საგრძნობელი, მაგრამ ჩვენს დროში ძალიან მსხვილი კაპიტალისტიც კი არ არის უზრუნველ ყოფილი.

ჩვენ უკვე დავასახელეთ ზოგიერთი მიზეზები, რომლების წყალობითაც არ არის უზრუნველ-ყოფილი კაპიტალისტური წარმოება: ყოველგვარი გარეგანი არევ-დარევა თან და თან უფრო მეტ გავლენას პოულობს კაპიტალისტურ წყობილების მექანიზმზე. ამავე დროს კაპიტალისტური წესწყობილება ამწვავებს სხვა და სხვა კლასთა და ნაციათა ინტერესების წინააღმდეგობას, აიძულებს ამ უკანასკნელთ ერთმანეთის წინააღმდეგ გამოიყვანონ მრავალ რიცხოვანი და კარგათ შეიარაღებული ჯარი და ყოველივე ამით ამრავლებს საბაბებს შეტაკებებისა და განადგურებისათვის. ამასთან შრომის საოცარი ნაყოფიერება ადიდებს არა მარტო ზედმეტ ღირებულებას, არამედ ამრავლებს საქონლის რაოდენობასაც, რომელიც კაპიტალისტებმა ბაზარზე უნდა გაასაღონ.

ექსპლოატაციასთან ერთათ იზრდება კონკურენციაც, სასტიკ სახეს ღებულობს ბრძოლა ყველა კაპიტალისტთა შორის. ამავე დროს ტეხნიკაში აუარებელი ცვლილებები ხდება, ახალი აღმოჩენები, ახალი გამოგონებები ფასს უკარგავენ და სრულიათ ზედმეტათ ხდიან არა მარტო თითო-ოროლა მუშებს და ზოგიერთ მანქანებს, არამედ მთელ წარმოებებს, მრეწველობის მთელ დარგებს.

არც ერთ კაპიტალისტს არ შეუძლია მომავლის იმედი ქონდეს, არც ერთმა არ იცის შეირჩენს და გადასცემს მემკვიდრეებს თავის ქონებას თუ ვერა.

თვით კაპიტალისტთა კლასიც თანდათან ორ ნაწილათ იყოფა. ერთი მათგანი, მრავალრიცხოვანი, თანდათან ზედმეტი ხდება ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებისათვის. იმას ისლა დარჩენია ფლანგოს თავისი ზედმეტი ღირებულება, თუ კი მისი შეგროვება საჭიროთ აღარ მიაჩნია. თუ მკითხველი გაიხსენებს ყოველივე იმას, რაც ჩვენ წინა თავში ვთქვით ნასწავლ ხალხის შესახებ თანამედროვე საზოგადოებაში, მას არ გაუკვირდება, რომ მდიდრების უმრავლესობა ფუქსავატ და გარყვნილ ცხოვრებას ანდომებს თავის ქონებას. კაპიტალისტების მეორე ნაწილი თითონ უძღვება წარმოებას. ამათი რიცხვი თანდათან მცირდება, მდგომარეობა, მოვალეობანი და პასუხის მგებლობა კი, პირიქით, დღითი დღე უფრო რთულდება. ამნაირათ, თუ კაპიტალისტების ერთი ნაწილი გარყვნილებისა და მუქთათ ყოფნის წყალობით გადაშენებისკენ მიექანება, მეორე, იმავე დროს, კონკურენტებთან სასტიკ ბრძოლაში ლევს თავის დღეებს.

ორივე მათგანის მდგომარეობა თანდათან უფრო ირყევა. ამგვარათ წარმოების თანამედროვე წესი ვერ აკმა-

ყოფილებს თვით მყვლეფელებსაც, იმათაც კი, ვინც ამ წესის უპირატესობანი თავის მონოპოლიათ გაიხადა.

8. — ზამრეწველო კრიზისები

როგორც დავინახეთ, არ არის უზრუნველყოფილი საზოგადო მდგომარეობა თვით ნორმალურ პირობებშიც კი, მაგრამ ის ძალიან საშიში ხდება კრიზისების დროს, რომელსაც იწვევს თვით საქონლის წარმოება, როცა ის განვითარების განსაზღვრულ საფეხურს აღწევს.

კრიზისებს ისე დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში და მათი მიზეზების შესახებ იმდენი ყალბი აზრებია გავრცელებული, რომ ჩვენ თავს ნებას მივცემთ მათზე კარგა ხანს შევჩერდეთ.

თანამედროვე კრიზისებს, რომლებიც არყევენ მსოფლიო ბაზარს, იწვევს გადაჭარბებული წარმოება, რომელიც გამოწვეულია საქონლის წარმოების აუცილებელ თვისებით — **გეგმის უქონლობით.** გადაჭარბებული წარმოება, ე. ი. საჭიროზე მეტი ნაწარმოების დამზადება წარმოების ყველა წესის დროს შეიძლება. მაგრამ თუ წარმოება მხოლოდ მწარმოებლის საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ხდება, მაშინ გადაჭარბებული წარმოება არაფის არ აენებს. თუ, მაგალითად, გლეხის პირველყოფილი ოჯახი მეტ ხორბალს მოიყვანს, ვინემ ეს მისთვის საჭიროა, მაშინ ის ზედმეტ ხორბალს მოუსავლიან წლისთვის შეინახავს, ან, თუ მისი ბელელი უკვე სავსეა, ის ხორბალით საქონელს გამოკვებს და უკიდურეს შემთხვევაში სულ მიანებებს მას თავს.

სულ სხვაა საქონლის წარმოების დროს. ამ უკანასკნელის დროს (თუ ის განვითარებულია, რასაკვირვე-

ლია) არავინ თავისთვის არ აწარმოებს, არამედ ყველა სხვებისთვის. ყველამ უნდა იყიდოს ის, რაც მისთვის საჭიროა. მაგრამ წარმოება მწარმოებელთა შორის კი არ არის გაწესრიგებული, თვითეული მათგანი თვითონ უნდა მიხვდეს, როგორი მოთხოვნილებაა იმ საქონელზე, რომელსაც ის ამზადებს. მეორე მხრით, საქონლის წარმოებაში, თუ მან უბრალო გაცვლის საფეხური უკვე გაიარა, არავის, გარდა ფულის მწარმოებლისა, არ შეუძლია სხვისი საქონელი იყიდოს, თუ თავისი არ გაუყიდნია. აი, ამ ორ ძირზე აღმოცენდება **კრიზისი.**

ავიღოთ მაგალითისთვის სულ უბრალო შემთხვევა. ვთქვათ, ერთ ბაზარზე შეხვდენ ერთმანეთს: ფულის პატრონი—ოქროს მწარმოებელი, რომელსაც თან ოცი მარკა აქვს, ღვინის მკეთებელი, რომელსაც ერთი კოკა ღვინო მოუტანია, ფეიქარი, რომელიც ერთ ნაჭერ ტილოს ყიდის და მეწისქვილე ერთი ტომარა ფქვილით. მაგალითი რომ არ გართულდეს, ვთქვათ, რომ ყველა ჩამოთვლილი საგნები ოც-ოც მარკათ ღირს და ამ ოთხ პირს გარდა ბაზარზე არავინ არის. შემდეგ ვთქვათ, რომ თვითეულს მათგანს სისწორით გაუგია სხვების მოთხოვნილებანი: ღვინის პატრონმა მიყიდა თავისი საქონელი ოქროს მწარმოებელს და მიღებულ ოცი მარკით ფეიქრისაგან ტილო იყიდა, ფეიქარმა კი ეს ფული მეწისქვილეს მისცა ფქვილში. ამ გვარათ, ყველა ძალიან კმაყოფილი დარჩა.

ერთი წლის შემდეგ ესენი ისევ ხვდებიან ერთმანეთს ბაზარზე და იმედი აქვთ, რომ მათ საქონელს ახლაც ის გასავალი ექნება, რაც წინა წელს. ფულის პატრონმა ახლაც გაამართლა მეღვინეს მოლოდინი, მაგრამ მეღვინეს საუბედუროთ ტილო აღარ სჭირდება ან, შეიძლება,

ძალიანაც უნდოდეს, მაგრამ ვინმე მევალე სულს ხდ
და იძულებულია დახეული პერანგი ატაროს. მიღებ
ლი 20 მარკა მას სახლში მიაქვს. აღარ დაურჩა მუშტ
რი ფეიქარს, აქედან ცხადია, მეწისქვილემაც უკან
უნდა წაიღოს თავისი ტომარა ფქვილი. მართალია, ფეიქ
რის ოჯახს ძალიან შია, მას სურს ფქვილი იყიდოს, მაგ
რამ მან ზედ-მეტი ტილო დაამზადა, რომელზედაც მოთ
ხოვნილება არ არსებობს და ამიტომ ფქვილიც ზედმე
ტი გახდა. არც ფეიქარს და არც მეწისქვილეს აღარ
აქვთ ფული, რომ საჭირო საგნები შეიძინონ, ამიტომ
მათ წარმოებაში გადაჭარბებული წარმოება მოხდა; გა
დაჭარბებულ წარმოებას ვერ ასცდენ ყველა ისინი, ვინ
ამათთვის მუშაობდა, მაგალითად, დურგალი, რომელ
ახლა ტყვილათ ელის მეწისქვილეს, რომ სტოლი მიყ
დოს მას.

ამ მაგალითში აშკარათ სჩანს სამრეწველო კრიზისის
სახე. ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, ასეთ უბრალო შემ
თხვევებში არ ხდება კრიზისი. საქონლის წარმოების და
საწყისში ყოველი ადამიანი ასე თუ ისე წარმოებას ეწ
ოდა საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.
ყოველ ოჯახში საქონლის წარმოება მთელი წარმოებ
მხოლოდ ნაწილს შეადგენს. ჩვენს მაგალითში ფეიქარსაც
და მეწისქვილესაც სახნავ-სათესი მიწა აქვთ, ცოტა სა
ქონელიც ყავთ, მათ უდარდელათ შეუძლიათ იცადონ.
სანამ მაი ი საქონლის მუშტარი გამოჩნდება, და სულ
რომ არ გამ-ჩნდეს, მაინც შეუძლიათ ცხოვრება.

საქონლის წარმოების დასაწყისში ძნელი არ არ
თავისი ვიწრო ბაზრის ცოდნა: წარმოება და ხმარება
როგორც მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება, წლით
წლამდე თითქმის არ იცვლება. ძველი დროის კავშირ

ის წევრები ერთმანეთს იცნობდენ, იცოდენ მეზობლე-
ის მოთხოვნილებები და მათი შეძლება. საზოგადოების
ეკონომიური მექანიზმი ერთი და იგივე რჩებოდა. მწარ-
ოებელთა რიცხვი, მათი შრომის ნაყოფიერება, საქონ-
ლის რაოდენობა, მხმარებელთა რიცხვი, მოთხოვნილება,
ფულის რაოდენობა და სხვა და სხვა ძალიან ნელა იც-
ვლებოდა, და ყოველ ცვლილებას მაშინვე ამჩნევდენ და
ახეში ღებულობდენ.

განვითარებულმა საქონლის წარმოებამ შესცვალა
ოველივე ეს. მისი გავლენით წარმოება საკუთარ მოთ-
ოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ თითქმის გაქრა, მწარ-
ოებლების, განსაკუთრებით ვაჭრების, არსებობა დამო-
ოიდებული შეიქნა მათი საქონლის ჩქარა გასაღებაზე.
საქონლის გასაღების დაგვიანება ან და, რაც კიდევ უფრო
ბუდია, მისი სრული შეჩერება უბედურებას ატეხს თავზე
საქონლის პატრონს და ზოგიერთ შემთხვევებში სრუ-
ლიათ აკოტრებს მას. ამავე დროს ეს შეჩერება სულ
უფრო და უფრო ადვილი ხდება.

განვითარებული ვაჭრობა ერთმანეთს უკავშირებს სხვა
და სხვა, ერთმანეთზე დაშორებულ ბაზრებს. ამით სულ
უფრო და უფრო ფართოვდება მსოფლიო ბაზარი და მი-
ი შესწავლა შეუძლებელი ხდება. ეს სიძნელე კიდევ
უფრო იზრდება მით, რომ საქმეში ერევიან სხვა და სხვა
ბუა-კაცები, რომლებიც მწარმოებლებს მხმარებლების-
კენ აშორებენ. ამასთან ვაჭრობის და მიმოსვლის გაწ-
ითარების წყალობით საქონელი უფრო მოძრავი ხდება.
საკმარისია ერთი უმნიშვნელო საბაბი, რომ აუარებელი
საქონელი მიაწყდეს რომელიმე კუთხეს.

იმის გამოანგარიშება, თუ რამდენი საქონელია ბაზა-
რზე, და, მეორე მხრით, როგორია მოთხოვნილება

სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება. სტატისტ-
კა აქ დიდ დახმარებას ვერ უწევს საქმეს; ის მხოლო
ზოგიერთ საჭირო ცნობებს იძლევა, რომლის მიღებ
უსტატისტიკოთ შეუძლებელია განვითარების ზოგიერ
საფეხურზე. მთელი ეკონომიური ცხოვრება უფრო დ
უფრო დამოკიდებული ხდება ვაჭრულ სპეკულიაციის
გან, რომელიც თავის მხრივ უფრო და უფრო სახიფათი
ხდება.

ვაჭარს არ შეუძლია სპეკულიანტი არ იყოს და სპე
კულიაცია პირველათ ბირჟაზე არ გამოუგონიათ; ის კაპი
ტალისტის აუცილებელ ფუნქციას შეადგენს. სპეკულია
ციით, ე. ი. იმით, რომ ვაჭარი წინდაწინვე ითვალის
წინებს მოთხოვნილებას, ყიდულობს საქონელს, სადაც
ის უფრო იაფია, სადაც ბევრია და ყიდის, სადაც ძვი
რია, სადაც ცოტაა,—მას ერთგვარი წესრიგი შეაქვს. უთავ
ბოლო და უგეგმო წარმოებაში. მაგრამ ის შეიძლებ
ხშირათ მოსტყუვდეს თავის ანგარიშებში, იმიტომ რო
ის ერთათ ერთი ვაჭარი როდია დედამიწის ზურგზე დ
ამდენი ფიქრის დროც არა აქვს. ასი და ათასი სხვა მის
კონკურენტები უთვალთვალებენ მარჯვე შემთხვევას დ
ვისაც პირთველათ გაუღიმებს ბედი, მეტი სარგებელიც
მისია.

ამიტომ ბევრი ფიქრისა და ძიების დრო არავის აქვს.
საჭიროა ჩქარი და „რისკიო“ მოქმედება, ვინც „რისკს“
გაურბის, ის ნუ ელის მოგებას! თუმცა წაგებაც ადვი-
ლია. როდესაც რომელიმე ბაზარზე ამა თუ იმ საქონ-
ლის მოთხოვნილება გაიზრდება, ეს საქონელი ყოველ
კუთხიდან სწრაფათ მოაწყდება მას და მანამდე იდენს,
სანამ მთელ ბაზარს არ გაავსებს. მაშინ კი უცებ ეცემ
მისი ფასი, და ვაჭარი იძულებული ხდება ნაკლებ ფას-

ში, ხშირათ ზარალითაც, ყიდოს თავის საქონელი, ან და თავისი საქონლით უკეთეს ბაზრის საძებნელათ გაუ-დგეს. ასეთი თამაშობა შეიძლება ძვირათ დაჯდეს და ბევრი ვაჭარი სრულიათ გააკოტროს.

განვითარებულ საქონლის წარმოების დროს ბაზარ-ზე ან ძალიან ცოტა საქონელია, ან ძალიან ბევრი. ბურ-ჟუაზიულ ეკონომისტებს ასეთი წესი ძალიან ბრძნულ წესათ მიაჩნიათ. ჩვენ სხვა აზრისა ვართ; მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის აუცილებელია საქონლის წარმოების განსაზღვრულ საფეხურზე. ეს ბრძნული წესი ზოგიერთ პირობებში ისე ავსებს ბაზარს, რომ ვაჭრებს მეტის მე-ტი ზარალი მოსდის და დიდძალი ხალხი კოტრდება. აი ასე იბადება კრიზისი უკეთეს შემთხვევაში.

მიმოსვლის და კრედიტის განვითარება ხელს უწყობენ ბაზრების საქონლით გავსებას, მაშასადამე, ხელს უწყო-ბენ კრიზისებს და მათ გამანადგურებელ მოქმედებას აძლიერებენ.

სანამ წვრილ წაომოებას ქონდა უპირატესობა, სავაჭ-რო კრიზისებს არ ქონდა ასეთი გამანადგურებელი ძალა. ვერავითარი საშუალებებით ვერ გამოიწვევდით მაშინ **სა-ერთო ბაზრისთვის** დანიშნულ საქონლის რაოდენობის ჩქარ ზრდას. წვრილ ხელოსნობას არ შეუძლია ნაწარმოების რაოდენობის ჩქარა გადიდება. მის დროს შეუძლებელია მუშათა რიცხვის თვალსაჩინოთ გადიდება, რადგანაც ყველა, ვისაც შრომა შეუძლია, ხელოსნობაშია ჩაბმული.

ამ შემთხვევაში ნაწარმოების გამრავლება შეიძლებო-და მხოლოდ სამუშაო დღის გაგრძელებით და უქმეებ-ში მუშაობის შემოღებით. მაგრამ ძველი დროის დამო-უკიდებელ ხელოსნებს და გლეხებს, რომელთაც მსხვი-ლი წარმოების კონკურენციისაგან გაჭირვება არ დადგო-

მიათ, ფიქრადაც არ ქონიათ ასე თავის შეწუხება. მაგრამ ზედმეტი მუშაობის დიდი ხალისიც რომ ქონოდათ, მაინც დიდი არაფერი გამოვიდოდა, რადგან შრომის ნაყოფიერება ძალიან მცირე იყო.

მსხვილი კაპიტალისტური წარმოების გაჩენამ შესცვალა საქმის ვითარება. მან არა თუ განავითარა ახალი საშუალებანი, რომლების შემწეობით წარმოუდგენელ ძალით და სიჩქარით ივსება ბაზარი ; არა თუ იმ ზომამდე გააფართოვა ბაზარი, მთელი ქვეყანა ერთ მსოფლიო ბაზრათ აქცია და მწარმოებლებსა და მომხმარებელთ შორის შუამავლების მთელი ჯარი ჩააყენა, არამედ თვითონ წარმოებას შეძლება მისცა ვაჭრობის გავლენით ძალიან ჩქარა განვითარდეს.

როგორც ვთქვით, მუშა ისე დამოკიდებული გახდა კაპიტალისტისაგან, რომ ამ უკანასკნელს შეუძლია გააადიდოს სამუშაო დღე და მოუსპოს მას კვირა - უქმე დღეებში და ღამღამობით მოსვენება. მარტო ეს გარემოებაც საკმაოა, რომ წარმოება წინანდელთან შედარებით ჩქარა ვითარდებოდეს. დღეს, როდესაც შრომის ნაყოფიერება სწორედ საარაკოა, ერთ ზედმეტ საათის მუშაობას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, ვინემ ხელოსნურ წარმოების დროს. იმავე დროს კაპიტალისტებს შეძლება მიეცათ სწრაფათ გააფართოვონ თავის წარმოების საზღვრები. კაპიტალი ერთობ მოძრავია და კრედიტის შემწეობით შეუძლიან ძალიან გაფართოვდეს. როდესაც საქმეები კარგათაა დაყენებული, იზრდება ნდობა, მატულობს ფული, მცირდება კაპიტალის ტრიალის დრო და მით ძლიერდება მისი მოქმედება და სხვა და სხვა. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა იმ გარემოებას აქვს, რომ კაპიტალის განკარგულებაში მუდამ

იმყოფება მუშების **სამრეწველო სათადარიგო ჯარი.** ამნაირათ კაპიტალისტს ყოველთვის შეუძლია გააფართოვოს თავისი ქარხანა, გაადიდოს მუშების რიცხვი და აგრეთვე თვით წარმოება და ამნაირათ სასურველათ გამოიყენოს ყოველი მოხერხებული შემთხვევა.

ამ თავის დასაწყისში ჩვენ დავანახვეთ მკითხველს, რომ მსხვილი წარმოების ბატონობის დროს სამრეწველო კაპიტალი უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს და მთელ კაპიტალისტურ წყობილებას იმორჩილებს. იმავე დროს თვითონ კაპიტალისტურ მრეწველობაში ზოგიერთი დარგები, განსაკუთრებით სართავ-საქსოვი და რკინის საკეთებელი, ხელმძღვანელ როლს თამაშობენ, თუ რომელისამე ამ დარგთაგანში საქმე გამოცოცხლებულია, მაგალითად, ჩინეთში ახალი ბაზრის აღმოჩენის ან ამერიკაში რკინის გზების გაყვანის გამო — მაშინ შესაფერ გავლენას ახდენს არა მარტოამ დარგზე, არამედ მთელ ეკონომიურ ცხოვრებაზეც. კაპიტალისტები ცდილობენ, რაც შეიძლება, ჩქარა გააფართოონ წარმოება: ამით ისინი აძლიერებენ მოთხოვნილებას ნედლ მასალებზე და დასახმარებელ საშუალებებზე, იზრდება დაქირავებულ მუშათა რიცხვი, დიდდება რენტა, მოგება და სამუშაო ქირა. იზრდება მოთხოვნილება სხვა და სხვა საქონელზე; ამ საერთო მეჯლისში მონაწილეობას იღებენ მრეწველობის სულ მეტი და მეტი დარგები, სანამ ეს გატაცება საერთო ხასიათს არ მიიღებს. ვერ შეხვდებით ისეთ წარმოებას, რომელიც გარეგნულათ მკვიდრ საფუძველზე არ იდგეს და ნდობას არ იწვევდეს; კრედიტი უსაზღვრო ხდება: ვისაც ცოტა ფული მოეპოვება, ის ცდილობს ხეირიან საქმეში დააბანდოს. როგორც რენტიორები ისე კაპიტალისტები ცდილობენ თავისი შემოსავლის რაც

შეიძლება მეტი ნაწილი აქციონ კაპიტალათ. ყველა გატაცებულია.

მალე დგება დრო, როცა ეს უზარმაზარი წარმოება აკმაყოფილებს გარეშე ბაზრის მოთხოვნილებას, მაგრამ ის მაინც არ ფიქრობს შეჩერებას. საქმის მსვლელობას ბაზარზე არავინ იცნობს, ყველა მხოლოდ თავის საქმეს უკვირდება და რომელიმე კაპიტალისტს კიდევაც რომ დაებადოს ეჭვი, ის ეცდება გულში ჩაიკლას ის. მას არ შეუძლია კონკურენტებს ჩამორჩეს და მარჯვე შემთხვევით არ ისარგებლოს. ტყვილა კი არ უთქვამთ: ადრე ამდგარ კურდღელს მწევარი ვერ დაიჭერსო. დამზადებულ საქონლის გასაღება ძნელდება, სავაჭრო სახლების საწყობები ივსება, მაგრამ საერთო გატაცება მაინც გძელდება. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე სავაჭრო სახლმა ფაბრიკანტს უნდა გადაუხადოს იმ საქონლის ვალი, რომელიც ერთი თვის წინათ ნისიათ წამოიღო, მაგრამ ეს საქონელი ჯერ კიდევ გაუყიდავია, ფული არ არის და სავაჭრო სახლი კოტრდება. ამასთან ერთად კოტრდება მოტყუილებული ფაბრიკანტი, რომელსაც ფული ვალის გადასახდელათ უნდოდა. გაკოტრება გაკოტრებას მოსდევს. ყველას დავთარი ერევა, ბრმა ნდობის ალაგს შიში იჭერს. ხდება საერთო არევ-დარევა და **კრახი** მზათ არის.

მთელი ეკონომიურ ცხოვრების ნიადაგი ირყევა. ყოველი სამრეწველო საქმე, რომელსაც ღრმათ ფესვების გადგმა ვერ მოუსწრია, იღუპება და ასე მოსდის არა მარტო იმ საქმეს, რომელიც პირდაპირ მოტყუებაზეა აგებული, არამედ იმასაც კი, რომელსაც ჩვეულებრივ დროს ასე თუ ისე არსებობა შეეძლო, თუმცა გაჭირვებით. კრიზისის დროს ყველაზე უფრო ჩქარა გლეხების, ხელო-

სნების და წვრილი კაპიტალისტების ექსპროპრიაცია ხდება. მაგრამ ხშირად ეცემიან აგრეთვე „ძლიერნი ამა სოფლისანი,“ საზოგადოთ ვერავინ ვერ იქონიებს იმედს, რომ საერთო განადგურება მასაც არ შეეხება. სამაგიეროთ, გადარჩენილ მსხვილ კაპიტალისტებს დიდი საშოვარი მოელის; კრიზისების დროს ჩქარა ხდება არა მარტო „წვრილ ხალხის“ ექსპროპრიაცია, არამედ მათი მემკვიდრეობის კონცენტრაცია. ამ დროს ყველაზე უფრო ადვილათ იბადება კოლოსალური სიმდიდრე, მაგრამ თითონ კრიზისის დროს არავინ არ არის დარწმუნებული. რომ მას გაუძლებს და არეული საქმეები ხელ ახლა ჩადგება თავის ჩვეულებრივ კალაპოტში. თანამედროვე წარმოების წესი სრულიათ ააშკარავებს თავის საშინელებას: მომავლის შიში, გაჭირვება, პროსტიტუცია და ბოროტმოქმედებანი საშინლათ იზრდებიან. ათასობით იხოცება ხალხი შიმშილით და სიცივით მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ძალიან ბევრი ტანისამოსი ჯ სასმელ-საჭმელი დაამზადეს და ბინები გააკეთეს. ამ დროს აშკარა ხდება რომ თანამედროვე საწარმოო ძალები ვერ თავსდებიან საქონლის წარმოების ფარგლებში, რომ კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე ღვთის რისხვაა პირველათ იმათთვის, ვისაც ქონება არ აქვს, შემდეგ თვითონ მესაკუთრეებისათვის.

ზოგიერთი ეკონომისტები კორტელებისგან მოელიან კრიზისების თავიდან მოშორებას. ამაზე უფრო უსაფუძლო მოლოდინის წარმოდგენა ძნელია. წარმოების მოწესრიგება კარტელების საშუალებით ნიშნავს მრეწველობის ყველა უმთავრეს დარგების შეერთებას საერთაშორისო საფუძველზე და კარტელების შემოღებას ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ჯერ-ჯერობით არც ერთს

ისეთ დარგში, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, საერთაშორისო კარტელი არ დაარსებულა. ასეთი კავშირები საზოგადოთ ძნელათ არსდება და ძნელათ მკვიდრდება ცხოვრებაში. ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ სთქვა მარქსმა, რომ არა მარტო კონკურენციას ქმნის მონოპოლიას, არამედ მონოპოლიაც კონკურენციას ბადებსო. რაც უფრო მეტ მოგებას პოულობს კავშირში შესული თვითეული წარმოება, მით უფრო მოსალოდნელია, რომ რომელიმე გარეშე კაპიტალისტი მოინდომებს ამ მოგების ხელში ჩაგდებას და ამ მიზნით ახალ მოცილე წარმოებას გააჩაღებს. რაც უფრო კარგათ მიდის კარტელის საქმე, მით უფრო მეტი მადა ეხსნება თვითეულ მის წევრს, რომელიც ცდილობს თავიდან მოიშოროს პირობის ვალდებულება და კავშირიდან გამოვიდეს. როცა ფასები ეცემა, ყველა კარტელში ეძებს ხსნას, მაგრამ აიწევს ფასები თუ არა, ყველას უნდა ვალდებულება თავიდან მოიშოროს და ბაზარზე, რაც შეიძლება, მეტი საქონელი გამოიტანოს. გადაჭარბებულ წარმოებას კარტელები ვერ მოსპობენ. ისინი, პირიქით, გადაჭარბებულ წარმოების და ძლიერ სპეკულიაციის ფაქტორს წარმოადგენენ, რადგან კაპიტალისტებს შეძლებას აძლევენ ფასები ძალიან ასწიონ და ყოველი მარჯვე შემთხვევით ისარგებლონ. შეერთებულ შტატებში, სადაც ყველაზე უფრო აყვავებულია კარტელები, აყვავებულია, აგრეთვე ყოვლად-უსირცხვილო აქციონერული დატყუილება ყალბი კარტელების შემწეობით. იმათი მიზანი ისკი არ არის, რომ გადაჭარბებული წარმოება შეაჩერონ, არამედ ის, რომ გადაჭარბებულ წარმოებით გამოწვეული უბედურება კაპიტალისტებს ააცილონ და მუშებს და ნომხმარებლებს მოახვიონ თავზე. მათი მიზანია—გაუად-

ვილონ მსხვილ კაპიტალისტებს კრიზისის ატანა, შეამცირონ დროებით წარმოება, დაითხოვონ მუშები და სხვ. ისე კი, რომ მათ მოსაგებს არა დააკლდეს რა.

მაგრამ წარმოვიდგინოთ ერთი წუთით შეუძლებელი, ვთქვათ, კარტელებმა ახლო მომავალში მოახერხეს მსოფლიო მრეწველობის საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა და კონკურენციის აღდგენა შეუძლებელი გახადეს. რა შედეგი მოყვება ამას? უკეთეს შემთხვევაში შეიძლება მოისპოს კონკურენციის მხოლოდ ერთი მხარე — კონკურენცია ერთ და იმავე დარგის კაპიტალისტთა შორის. კონკურენციის სხვა მხარეები ხელუხლებელი დარჩებიან. მაგრამ ახლა დრო არა გვაქვს, რომ ამის გამოკვლევას შევუდგეთ. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ მოვლენას: რაც უფრო სავსებით ისპობა კონკურენცია ერთ და იმავე დარგის კაპიტალისტთა შორის, მით უფრო ღრმავდება წინააღმდეგობა მათსა და სხვა დარგების კაპიტალისტთა შორის, რომელნიც მათ საქონელს ყიდულობენ. თუ ბრძოლა ერთ და იმავე საქონლის მწარმოებელთა შორის ცხრება, მით უფრო მწვავდება ის მწარმოებელთა და მხმარებელთა შორის ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ამ აზრით ყოველი მწარმოებელი იმავე დროს მხმარებელიც არის. ბამბის სართავ ქარხის პატრონი იმავე დროს არის ბამბის, ნახშირის, მანქანის, ზეთის და სხვ. მხმარებელი. ასეთ შემთხვევაში კაპიტალისტთა კლასი დაიყოფოდა არა ცალკე პირებათ, არამედ სხვა და სხვა მოწინააღმდეგე ჯგუფებათ.

თავისუფალ კონკურენციის დროს ყოველი კაპიტალისტი ცდილობს გააფართოვოს თავისი წარმოება, რომ **ბაზარზე, რაც შეიძლება, მეტი საქონელი გამოიტანოს**, რადგანაც — სხვა თანასწორ პირობებში — ის მით მეტს

გებულობს, რაც მეტი საქონელი აქვს. კაპიტალისტს რომ საქონლის გასაღება და კაპიტალის რაოდენობა არ აფიქრებდეს, მაშინ მის წარმოებას საზღვარი არ ექნებოდა. კარტელების გაბატონებას წარმოების მოწესრიგება და კრიზისების მოსპობა კი არ მოყვება, როგორც ზოგიერთი ოპტიმისტები გვპირდებიან, — არამედ ის, რომ თვითეული კარტელი ეცდება, **რაც შეიძლება ნაკლები საქონელი დაამზადოს,** რადგანაც რაც ნაკლებია ბაზარზე საქონელი, მით მეტი ფასი ექნება მას. ძველათ ვაჭრები თავის საქონლის ერთ ნაწილს სპობდენ, რომ დანარჩენ საქონელზე ხელოვნურათ ფასი აეწიათ. ეს ძველი ხრიკი კარტელების ბატონობის დროს საზოგადო მოვლენათ გადიქცეოდა. ცხადია, ასეთ წესწყობილებაში საზოგადოება ვერ შეიძლებდა არსებობას. ყოველი კარტელი ეცდებოდა, თითონ ცოტა დაემზადებინა, ხოლო ყველა იმ კარტელებს, რომელთა საქონელიც მას სჭირია, **ზედმეტი.** ეს სხვა და სხვა საშუალებებით შეიძლება. ამ საშუალებებში ყველაზე უბრალო შემდეგია: კარტელი ცდილობს, რომ მოწინააღმდეგის მიერ დამზადებულ საქონლის ხმარება ეფრო შეამციროს, ვინემ ის (მოწინააღმდეგე) მის წარმოებას ამცირებს. შეიძლება, შემდეგ, მეცნიერების შემწეობით მიიღოს მან იმ საქონლის სუროგატი (სამაგიერო), რომლის დამზადებაც ძლიერ შეზღუდულია. ანდა, მესამეთ, შეიძლება თვითონ მხმარებელი ამზადებდეს მისთვის საჭირო საქონელს.

წარმოვიდგინოთ, რომ ყველა სპილენძის მადნები შეერთდენ, შეზღუდეს სპილენძის წარმოება და ასწიეს ფასი. რა შედეგი მოყვება ამას? ზოგი სამრეწველო დაწესებულება, რომელიც სპილენძს ამუშავებს, წარმოებას შესწყვეტს. ზოგი შეეცდება, რომ სპილენძის ადგილას რა-

მე სხვა ლითონი იხმაროს, სხვები კიდევ თვითონ შეიძენენ სპილენძის მადნებს და ამ გვარათ სპილენძის სინდიკატს თავს დაახწევენ. ბოლოს კარტელი დაიშლება და გაკოტრდება, ე. ი. დადგება **კრიზისი**. ამგვარი საქმე არა ერთხელ მომხდარა ცხოვრებაში.

მაგრამ ეს ყველგან არაა შესაძლებელი. მრეწველობის ზოგიერთ დარგების მდგომარეობა — განსაკუთრებით ქვა-ნახშირის — ისეთი მკვიდრია, რომ მათი სინდიკატები ყოველ გვარ რყევას უძლებენ, მაგრამ სამაგიეროთ ისინი ხელოვნურათ ამცირებენ საჭირო ნედლ მასალების რაოდენობას სხვა დარგებში. ხელოვნური სიძვირით ისინი აიძულებენ მოწინააღმდეგეთ წარმოების შემოკლებას. გადაჭარბებულ წარმოების მიერ გამოწვეულ კრიზისებს, რომელიც თავისუფალ კონკურენციის რეჟიმს შეეფერება, ემატება კრიზისები შემცირებულ წარმოებისაგან, რომელსაც მონოპოლია ბადებს.

მაშასადამე, კარტელები ვერ სპობენ კრიზისს. ისინი ამ მხრით სხვას ვერას გააკეთებენ, გარდა იმისა, რომ უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება, მათ ახალი ფორმები მიიღებიონ, მაგრამ არა ძველზე უკეთესები. კარტელები ვერ მოსპობენ გაკოტრებას, პირიქით ეს გაკოტრება მარტო თითო-ოროლა კაპიტალისტის ხვედრი კი არ იქნება, არამედ კაპიტალისტთა მთელი ჯგუფის და მასთან ყველა იმათი, ვისაც იმათთან დამოკიდებულება აქვს. კარტელებს არ შეუძლიათ კრიზისების მოსპობა, სამაგიეროთ მათი მიზეზით შესაძლებელია კრიზისმა ისეთი გამანადგურებელი ხასიათი მიიღოს, რომლის მსგავსი ჯერ არავის უნახავს.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა კარტელები შეერთდებიან, შეაერთებენ ყველა კაპიტალისტურ ქვეყ-

ნების საწარმოვო საშუალებებს, მხოლოდ მაშინ მოსპობენ ისინი კრიზისებს. მაგრამ მაშინ ხომ კერძო საკუთრებაც ფაქტიურათ გაუქმებული იქნება. ისე კი კრიზისების მოსპობა და კერძო საკუთრების დატოვება ყოვლათ შეუძლებელია. გასაოცარ ერთგვაროობით მეორდებოდენ აქამდე კრიზისები ყოველ **ათ წლის** განმავლობაში. პელგრევის „პოლიტიკ.-ეკონომ. ლექსიკონი“ აღნიშნავს კრიზისების შემდეგ წლებს ინგლისში: 1753, 1763, 1772-3, 1783, 1793, 1815, 1825, 1836-39, 1847, 1857, 1866, 1878, 1890. ჩვენ შეგვიძლია ჩამოთვლილ წლებს კიდევ 1901 წელიც მივუმატოთ. ინგლისთან ერთათ გასულ საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში შეერთებული შტატები და გერმანიაც კრიზისების ბუდეთ გადაიქცენ. 1873 წლის დიადი კრიზისი გერმანიიდან დაიწყო. შეერთებულმა შტატებმა საშინელი კრიზისი განვლეს 1893 წელს. ეხლანდელ კრიზისს (გაზაფხული 1901 წ.) ჯერ იქ არ მიეღწევია, მაგრამ აშკარაა, რომ ადრე თუ გვიან მაინც ესტუმრება.

უკანასკნელ წლების ეკონომიურმა გამოცოცხლებამ არა მარტო ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, არამედ ზოგიერთ სოციალისტებსაც ის აზრი დაუბადა, რომ კრიზისის აუცილებლობა, რომელსაც, სოციალისტების აზრით, არსებული წესწყობილება იწვევს, დაძველებული შეხედულობაა, და კარტელებს შეუძლიათ მისი მოსპობა. უკანასკნელმა წელმა ხელახლა გაამართლა ჩვენი აზრი და დაამტკიცა, რომ კრიტიკოსების დასკვნა ნაჩქარევია.

კრიზისების თავიდან აცილება, კერძო საკუთრების მხოლოდ ცუდ მხარეების მოსპობა და თვითონ კერძო საკუთრების ხელუხლებლათ დატოვება შეუძლებელია.

9. — ხრონიკული გადაჭარბებული წარმოება

პერიოდულ კრიზისებთან და გადაჭარბებულ წარმოებასთან ერთათ, რომელთაც თან სდევს ღირებულებათა და ძალთა გაფლანგვა, უფრო და უფრო ვითარდება **ხრონიკული გადაჭარბებული წარმოება** და **ძალთა ხრონიკული გაფლანგვა.**

ჩვენ დავინახეთ, რომ საწარმოო საშუალებათა ცვლილება შეუჩერებლივ წინ მიდის; მსხვილ კაპიტალისტურ მრეწველობის სარბიელი თან და თან ფართოვდება; ის ყოველ წლობით იპყრობს ახალ ქვეყნებს და წარმოების ახალ დარგებში ვრცელდება; შეუწყვეტლივ იზრდება შრომის ნაყოფიერება და (თუ მთელ კაპიტალისტურ საზოგადოებას ავიღებთ) ეს ზრდა თანდათან უფრო მეტი სისწრაფით ხდება. ამავე დროს განუწყვეტლივ გროვდება ახალ-ახალი კაპიტალები. რაც უფრო იზრდება თვითეულ მუშის ექსპლოატაციის ნორმა და რაც უფრო მრავლდება გაყვლეფილ მუშათა რიცხვი (ლაპარაკია საერთოთ ყველა ქვეყნებზე, სადაც კაპიტალისტური წარმოებაა), მით უფრო ძლიერ იზრდება ზედმეტი ღირებულება და ის სიმდიდრე, რომელიც კაპიტალისტებს შეუძლიათ ყოველწლივ გადასდონ და ახალი კაპიტალები შექმნან. ამიტომ კაპიტალისტურ წარმოებას არ შეუძლია ერთ განსაზღვრულ დონეზე შეჩერდეს: ბაზრის განუწყვეტელი ზრდა-გაფართოება მისი არსებობის კითხვაა, შეჩერება კი სიკვდილს მოასწავებს. მაშინ, როდესაც გლეხები და ხელოსნები წინათ ყოველ წლობით ერთ და იმავე რაოდენობის საგნებს ამზადებდენ, და წარმოება მხოლოდ მცხოვრებთა რიცხვის გამრავლებასთან ერთათ იზრდებოდა, კაპიტალისტურ

წარმოების წესი თხოულობს წარმოების მუდმივ და შეუჩერებელ ზრდას. ამ ზრდის ყოველგვარი შეჩერება იწვევს საზოგადოების ტკივილებს და ეს ტკივილები მით უფრო მწვავეა, რაც უფრო ხანგრძლივი. ბაზრის გაფართოება გავლენას ახდენს წარმოების გაფართოებაზე, მაგრამ, ამას გარდა, თვით წარმოების პირობები იწვევენ წარმოების მუდმივ ზრდას და გაფართოებას. და ამ შემთხვევაში ის ბაზრის გაფართოებით კი არ არის გამოწვეული, პირიქით, ის თვითონ მოითხოვს ბაზრის გაფართოებას.

მაგრამ ეს გაფართოება ამ უკანასკნელ ოცდა ათი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით მრეწველობის ზოგიერთ დარგებში, მძიმეთ მიდის წინ. მართალია, ის არ ჩერდება, მაგრამ იმ დროს, როცა წარმოება სულ უფრო და უფრო მეტი სისწრაფით ფართოვდება, ბაზარი ამ დარგებისთვის შედარებით ნელა და მძიმეთ ვითარდება.

ჯერ კიდევ ბევრ ალაგას პოულობს ბაზარს კაპიტალისტური წარმოება. ვერც ადგილობრივი და ვერც ეროვნული ზღუდეები ვერ შეუშლიან ხელს, რომ მან მთელი დედა-მიწა თავის ბაზრათ გახადოს. მაგრამ დედა-მიწაც საკმაო აღარ არის. ჯერ კიდევ ამ ასი წლის წინათ, როცა კაპიტალისტური მრეწველობა უმთავრესათ ინგლისში იყო გავრცელებული, ბაზარს ევროპის დასავლეთ ნაწილს გარდა, მხოლოდ ზღვის განაპირა ადგილები და ზოგიერთი კუნძულები შეადგენდენ. მაგრამ კაპიტალისტებმა ისეთი ენერგია და გაუმაძღრობა გამოიჩინეს და იმდენი საშუალება წამოაყენეს, რომ მარტო ერთი საუკუნის განმავლობაში ყველა ქვეყნის კარები გაიღო არა მარტო ინგლისის, არამედ მთელი ევროპის

მრეწველობის საქონლისათვის. დაკეტილი დარჩა მხოლოდ ისეთი ბაზრები, სადაც ციებ-ცხელებისა და გვერდების დაზელვის გარდა ვერაფერ ხეირს ვერ ნახავს კაპიტალისტი.

მიმოსვლის საოცარი განვითარება ხელს უწყობს კაპიტალისტს, რომ მან სულ უფრო და უფრო მეტი სარგებლით გაყვლიფოს თვითეული ბაზარი, მაგრამ იმ ქვეყნებში, რომლებიც ველურ მდგომარეობიდან უკვე გამოსულან და კულტურის გზას დასდგომიან, თვითონ ბაზარიც განუწყვეტლივ იცვლება. მსხვილ წარმოების საქონლის შემოტანა არა მარტო ევროპაში, არამედ ყველგან სპობს ადგილობრივ წვრილ წარმოებას და გლეხსა და ხელოსანს პროლეტარებათ ხდის, რითაც ბაზრის პირობებში ორი თვალსაჩინო ცვლილება შეაქვს. პირველი ის არის, რომ ხალხის შეძლება მცირდება და ბაზარზე საქონელი გაუსაღებელი რჩება; მეორე იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატის გაჩენით საფუძველი ედება ადგილობრივ კაპიტალისტურ წესის განვითარებას. ამ გვარათ, ევროპის მსხვილი მრეწველობა თავისი ხელით ითხრის სამარეს. განვითარების განსაზღვრულ საფეხურიდან დაწყებული ბაზრის ყოველგვარი გაფართოება ახალ კონკურენტის გაჩენას ნიშნავს. შეერთებულ შტატების მსხვილმა წარმოებამ, რომლის გაჩენა დღევანდელ თაობასაც კი ახსოვს, არა მარტო მთელი ამერიკა ჩაიგდო ხელში, არამედ მსოფლიო ბაზარზეც კი მოიკიდა ფეხი. კიდევ უფრო ნორჩი კაპიტალისტური მრეწველობა რუსეთისა თვითონ აწვდის საქონელს ევროპისა და აზიის თვალუწვდენელ ადგილებს — აღმოსავლეთ ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში და ავსტრალიაში ვითარდება მრეწველობა, რომელიც ადრე თუ გვიან

თვითონ დააკმაყოფილებს ყველა ადგილობრივ მოთხოვნილებას. ერთი სიტყვით, შორს არ არის ის დრო, როცა ევროპის მრეწველობის ბაზარი ზრდისა და გაფართოვების მაგიერ შეიზღუდება კიდეც. ეს კი, მეტი რომ არ ვთქვათ, კაპიტალისტურ მრეწველობის კოტრობის დასაწყისი იქნება.

მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც ხრონიკულ გადაჭარბებულ წარმოების საფეხურზე შემდგარან, პირველი ადგილი უჭირავს საქსოვ წარმოებას. 1880 წელს ინგლისიდან სხვა ქვეყნებში გასატან ბამბეულობის, აბრეშუმეულობის, მატყლეულობის და სხვ. ფასი უდრიდა 1766 მილიონ მარკას*), 1897 წელს კი მხოლოდ 1592 მილიონ მარკას. გერმანიაში 1890 წელს ქსოვილების და ნაბდეულობის გატანა აღემატებოდა შემოტანას 500 მილიონ მარკით, 1899 წელს კი მხოლოდ 410 მილიონით.

1889 წელს ინგლისის მრეწველობაში მომუშავეთა რიცხვი უდრიდა 1034266; ამ დროდან მას თითქმის არ მოუმატია, მცხოვრებთა რიცხვი კი ცხრა პროცენტით გაიზარდა, ასე რომ მცხოვრებთა რიცხვთან შედარებით საქსოვ დარგში მომუშავეთა რიცხვი კლებულობს. ასევე ხდება გერმანიაშიც. აქ 1882 წლიდან 1895 წლამდე ხსენებულ დარგის მუშათა რიცხვს მოემატა ცხრა პროცენტი, მცხოვრებლებისას კი 14—15 პროცენტი.

ლითონის წარმოება ჯერ კიდევ ზრდის პროცესშია. მაგრამ, ადრე თუ გვიან, მასაც იგივე ბედი ეწვევა, რაც საქსოვ წარმოებას ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებში. სად უნდა წავიდენ მაშინ მუშები, რომლების რიცხვი თან და თან მატულობს?

*) მარკა ათი შაურია.

ჩვენ ერთხელ კიდეც გამოვსცადეთ საერთო ხრონიკული კრიზისი (1873—1889), რომელმაც მუშათა მასას აუტანელი ტანჯვა-წვალება მიაყენა. მაშინ ასე გეგონებოდათ — კაპიტალისტური საზოგადოება გაკოტრდაო. მაგრამ მან, როგორც იყო, გაუძლო ამ უბედურებას და კიდევ გამოცოცხლდა, მაგრამ ეს გამოცოცხლება აღარ ხვდა წილათ საქსოვ წარმოებას. მაგრამ გამოცოცხლების პერიოდი გათავდა, და ჩვენ კვლავ შევდივართ კრიზისების ხანაში. ეს ახალი კრიზისი მწვავეა წარმოების ყველა დარგთათვას, გარდა საქსოვისა, რომელიც ისედაც ძლივს იბრუნებს სულს. სასტიკი თანდათანობით მეორდებიან ეს მწვავე კრიზისები და თავისი მოქმედება სულ ახალ-ახალ ქვეყნებში გადააქვთ. ცხადია, ესევე უნდა მოყვეს ხრონიკულ კრიზისებსაც.

ყოველივე ამის გამო იზრდება საწარმოო საშუალებათა რაოდენობა, რომლითაც ან სულ ვერ სარგებლობენ ან ძალიან ნაკლებათ: აუარებელი სიმდიდრე უსარგებლოთ იღუპება, ურიცხვი მუშა ძალა გამოუყენებელი რჩება. ამ უკანასკნელს ეკუთვნის არა მარტო უსაქმოთ დარჩენილ მუშათა ურიცხვი ჯარი, რომელიც უკვე მრისხანე სოციალურ ძალას წარმოადგენს, არამედ ყველა ის უთვალავი საზოგადოებრივი პარაზიტები, რომელთაც ნაყოფიერ შრომის უნარი არა აქვთ და სხვა და სხვა, ხშირათ ზედმეც, მაგრამ აუტანელ ხელობით ათრევენ გაჯახირებულ ცხოვრების ეულელს: წვრილი ვაჭრები, ჰეტრახტირეები, აგენტები, შუაკაცები; პარაზიტებს ეკუთვნიან აგრეთვე მუქთახორა პროლეტარები, რომლებიც საეკვო საშუალებებით ირჩენენ თავს, მაღალ და დაბალ ხარისხის შარლატნები, დაუკერელი ბოროტ მომქმედნი, ხელობით პროსტიტუტკები და მათი ამყოლ-დამყოლნი.

მათვე ეკუთვნიან ის ურიცხვი პირები, რომლებიც შეძ-ლებულ კლასებს სახლში უდგანან მოსამსახურეებათ და ბოლოს სალდათები: ჯარების რიცხვის განუწყვეტელი ზრდა ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში შეუძლე-ბელი იქნებოდა, რომ გადაჭარბებულ წარმოებას შესა-ძლოთ არ გაეხადა მრეწველობისთვის ამდენ მუშა ხელის მოშორება.

კაპიტალისტურ საზოგადოებას სულს უხუთავს მი-სივე ზედმეტი სიმდიდრე. ის ველარ უძლებს მისგანვე შექმნილ საწარმოვო ძალთა განვითარებას. ამ ძალების მეტი ნაწილი გამოუყენებელი რჩება, ნაწარმოების სულ მეტი ნაწილი უსარგებლოთ იფლანგება, რომ კაპიტალი-სტური საზოგადოება სრულიათ არ დაირღვეს.

წარმოების კაპიტალისტურმა წესმა წვრილი წარმო-ება შესცვალა მსხვილით, საწარმოვო საშუალებებს რამ-დენიმე პირის ხელში მოუყარა თავი და მათ კერძო სა-კუთრებათ აქცია, მუშაობა კი თავზე მოახვია მარტო პრო-ლეტარებს, რომელთაც არავითარი საკუთრება არა აქვთ და საოცრათ გაანაყოფიერა შრომა, რომელიც უმნიშ-ვნელო იყო ხელოსნობისა და გლეხური მეურნეობის დროს. ამაში მდგომარეობს კაპიტალისტთა საქვეყნო ისტორიული მისია. მან შეასრულა ის, თუმცა საშინე-ლი ტანჯვა მიაყენა მის მიერ გაძარცულ და გაყვლე-ფილ ხალხს. ის ისეთსავე ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა, როგორც ორი მისი წარმომშობი მოვ-ლენა: საქონლის წარმოება და მასთან მჭიდროთ შეკავში-რებული კერძო საკუთრება საწარმოვო საშუალებებსა და ნაწარმოებზე.

მაგრამ თუ კაპიტალისტთა კლასი და მისი გამომწვე-ვი მოვლენები ისტორიულ აუცილებლობას წარმოად-

გენდენ, დღეს ეს აუცილებლობა აღარ არსებობს. კაპიტალისტების ფუნქციები თან და თან დაქირავებულ მუშების ხელში გადადის და კაპიტალისტთა კლასის უმრავლესობას მხოლოდ ის საქმე დარჩენია, რომ სხვების შრომით დამზადებული ნაწარმოები გაიხმაროს; კაპიტალისტი დღეს ისეთივე გამოუსადეგარი არსებაა, როგორიც ამ ასი წლის წინათ ფეოდალი იყო.

ეს კიდევ ცოტაა. როგორც მეთვრამეტე საუკუნეში ფეოდალური თავად-აზნაურობა, ისე კაპიტალისტთა კლასიც ხელს უშლის დღეს განვითარების წინ-სვლას. კერძო საკუთრებას საწარმოო საშუალებებზე აღარ შეუძლია უზრუნველ ჰყოს თვითეულ მწარმოებლისთვის საკუთრება მის ნაწარმოებზე და თავისუფლება. დღეს მისი წყალობით ცხოვრება სწრაფათ მიექანება იქითკენ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნების მცხოვრებლებმა საკუთრებაც და თავისუფლებაც დაკარგონ; თუ ის წინათ საზოგადოების საფუძველს შეადგენდა, დღეს ამ საზოგადოების ყოველ გვარ საფუძველს დანგრევას უქადის. საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება წინათ აიძულებდა საზოგადოებას ჩქარა განვითარებია თავისი საწარმოო ძალები, დღეს ის უფრო და უფრო იძულებულ ყოფს მას უსარგებლოთ ფლანგოს და მოუხმარებლათ დასტოვოს ეს ძალები.

ამ გვარათ, კერძო საკუთრებამ არა მარტო წერილი მწარმოებლებისათვის, არამედ მთელ საზოგადოებისათვის დაკარგა წინანდელი მნიშვნელობა და თავის სრულ წინააღმდეგობათ გადაიქცა. საზოგადოებრივ განვითარების მამოძრაველელ ძალის მაგიერ ის საზოგადოებრივ ცხოვრების შეჩერების და საზოგადოების გაკოტრების მიზეზი გახდა.

IV

მომავალი სახელმწიფო

1. — სოციალური რეფორმა და რევოლიუცია

საწარმოვო ძალები, რომელნიც კაპიტალისტურ საზოგადოების საშოში განვითარდენ, რაც ხანი გადის, უფრო და უფრო ველარ ურიგდებიან კერძო საკუთრებას, რომელზედაც ეს საზოგადოებაა დამყარებული. ვინც კერძო საკუთრების შერჩენას ცდილობს, მას ალბათ სურს შეუძლებელი გახადოს საზოგადოებრივი პროგრესი, ერთ წერტილზე შეაჩეროს საზოგადოება და ცოცხლათ დაალპოს ის, ე. ი. დაალპოს ისე, რომ აუტანელი ტკივილები აგრძნობიოს.

ამას იქით საწარმოვო ძალების ყოველივე გაუმჯობესება მხოლოდ ამწვავებს წინააღმდეგობას ამ ძალებსა და არსებულ საკუთრებას შორის. ამ წინააღმდეგობის მოსპობის, თუნდ შემსუბუქებისთვის, ყოველივე ცდა მუდამ უნაყოფო ყოფილა და შემდეგშიც უნაყოფო იქნება, თუ თვითონ საკუთრების წესი ხელუხლებელი დარჩება.

გაბატონებულ კლასებიდან გამოსული მეცნიერები და პოლიტიკური მოღვაწენი მთელი საუკუნის განმავლობაში სულ იმას ცდილობენ, რომ საწარმოვო საშუალებათა კერძო საკუთრების **რევოლიუციონურ** გზით შეცვლა თავიდან აიშორონ სოციალურ **რეფორმების** შემწეობით, — ეს სახელი გულისხმობს ეკონომიურ ცხოვრებაში ჩარევას იმ მიზნით, რომ კერძო საკუთრების მიერ გამოწვეული შედეგები მოსპონ ან და შეასუსტონ მაინც, მაგრამ თვითონ კერძო საკუთრება ხელუხლებლათ დასტოვონ. ბევრნაირი ზომები ცამდე აიყვანეს ქებით, ბევრი

სცადეს ცხოვრებაში, ასე რომ რაიმე ახალ ზომის გამოგონება საეჭვოა. ჩვენებურ სოციალურ მკითხავების სულ ბოლონდელი პროექტები, რომლითაც ისინი გვპირდებიან ძველი წყლულის რამდენიმე დღეში გამთელებას უავადოთ და მუქთად, წარმოადგენენ ისეთ ზომებს, რომელნიც, სხვა დროს და სხვა ალაგას უკვე უცდიათ, მაგრამ უნაყოფოთ.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ უნდა შევნიშნოთ შემდეგი. ჩვენი ფიქრით, სოციალური რეფორმები უაზროა, თუ მათი შემწეობით სურთ მოსპონ ის წინააღმდეგობა, რომელიც უფრო და უფრო მწვავდება საწარმოვო ძალებსა და საკუთრების არსებულ წესს შორის და ამავე დროს კერძო საკუთრების შერჩენას და გამაგრებას ცდილობენ. ამით რასაკვირველია იმას არ ვამბობთ, ვითომ სოციალური რევოლიუცია — საწარმოვო საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობა — თავის თავად უნდა მოხდეს, ე. ი. ვითომ განვითარების უძლეველმა, სტიქიურმა პროცესმა ეს უნდა შეასრულოს ადამიანის დაუხმარებლათ; არც იმას, ვითომ ყოველგვარი სოციალური რეფორმა უვარგისი იყოს. და **ვისაც საწარმოვო ძალთა და საკუთრებას შორის** არსებული წინააღმდეგობა აწუხებს, გულზე ხელები უნდა დაიკრიფოს და უცადოს, სანამ ეს წინააღმდეგობა არ გაქრება.

როდესაც ამბობენ, რომ საზოგადოებრივ განვითარების პროცესი უძლეველი და სტიქიური აუცილებლობაა, თავის თავათ იგულისხმება, რომ ადამიანები ადამიანები არიან და არა უსულო ავტომატები; მათ აქვთ განსაზღვრული მოთხოვნილებები, განსაზღვრული ფიზიკური და სულიერი ძალები, რომლებიც თვის საკეთილდღეოთ უნდა მოიხმარონ. თუ პასიურათ დავემორჩილთე

ყოველივე იმას, რაც ჩვენ აუცილებლობათ მიგვაჩნია, ბაშინ საზოგადოებრივ განვითარებას ბუნებრივი გზით კი არ გავუშვებთ, არამედ ხელს შევუშლით მას.

ჩვენ აუცილებლათ მიგვაჩნია საწარმოვო საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, ვითომ, ჩვენი აზრით, ერთ მშვენიერ დღეს გაყვლეფილებს ხელის გაუნძრევლათ ჩაუცვინდება პირში სოციალურ რევოლიუციების შემწვარი ხოხბები. ჩვენ აუცილებლათ ვთვლით თანამედროვე საზოგადოების დანგრევას, რადგანაც ვიცით, რომ ეკონომიური განვითარება ბუნებრივი აუცილებლობით ქმნის ისეთ პირობებს, რომლებიც აიძულებენ გაყვლეფილებს კერძო საკუთრებას ებრძოლონ; რომ ის ამრავლებს ძალას და რიცხვს გაყვლეფილთა და ასუსტებს მყვლეფელებს, რომელნიც ძველის დაცვაში არიან დაინტერესებული; რომ ის ქმნის მასისთვის ისეთ აუტანელ მდგომარეობას, რომ მას ორში ერთი დარჩენია: ან პასიურათ გადაშენდეს, ან აქტიურათ შესცვალოს საკუთრების არსებული წესი.

ამ შეცვლამ, შეიძლება, ბევრნაირი სახე მიიღოს. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პირობებში მოხდება ის. სრულიათაც არაა აუცილებელი, რომ მან უეკველათ ძალდატანება და სისხლის ღვრა გამოიწვიოს. მსოფლიო ისტორიაში ყოფილა ისეთი მაგალითები, როცა გაბატონებულ კლასებს იმდენი შორს-მჭვრეტელობა ან სისუსტე და ლაჩრობა გამოუჩენიათ, რომ თავისი ნებით მოუხრიათ ქედი აუცილებლობის წინაშე. აგრეთვე ისიც არაა აუცილებელი, რომ სოციალური რევოლიუცია ერთის დაკვრით მოხდეს. ასე, მგონი, არასოდეს არ ყოფილა. რევოლიუცია მზადდება რამდენიმე ათეულ წლის პოლიტიკურ და ეკონომიურ პრძოლით, მის დროს განუწყვეტ-

ლიეი ცვლება ძალთა განწყობილება სხვა და სხვა კლასთა და პარტიათა შორის და ხშირათ ის დიდი ხნით წყდება — დგება რეაქცია.

მაგრამ რანაირი ფორმებიც უნდა მიიღოს სოციალურმა რევოლიუციამ, ერთი რამ ცხადია. ის არასოდეს არ მომხდარა შეუმჩნეველათ, და არსებულ წესით ყველაზე უფრო დაჩაგრულ კლასებს ყოველთვის მხურვალე მონაწილეობა მიუღიათ.

შემდეგ. თუ ჩვენ უნაყოფოთ ვთვლით სოციალურ რეფორმებს, რომელნიც კერძო საკუთრების წინაშე ქედს იხრიან, ჩვენ ამით სრულიათაც იმას არ ვამბობთ, თითქოს არავითარი ბრძოლა არ შეიძლებოდეს არსებულ პირობებში; თითქოს ჩაგრულებმა ხმის ამოუღებლათ უნდა აიტანონ ყველა ის ტანჯვა და დამცირება, რომელსაც მათ კაპიტალისტური წესი აყენებს; თითქოს მათთვის, რაკი ყვლეფენ, სულ ერთი იყოს, როგორც უნდა გაყვლიფონ. ჩვენ მხოლოდ ვამტკიცებთ, რომ სოციალურ რეფორმებს დიდი მნიშვნელობა არა აქვთ, რომ მათი საშუალებით არსეულ პირობების გარდაქმნა და გაყვლეფილთა დაკმაყოფილება ყოვლათ შეუძლებელია. გაყვლეფილებმა ღრმათ უნდა ჩაუკვირდენ ყველა იმ რეფორმებს, რომელთაც მათ აწვდიან. ამ რეფორმების ცხრა მეათედი არა თუ უსარგებლო, არამედ პირდაპირ მავნებელია. ყველაზე უფრო საშიში ის რეფორმაა, რომელსაც მიზნათ გაუხდია დაღუპვის გზაზე შემდგარ კერძო საკუთრების დაცვა; ამისთვის ცდილობენ შეუთანხმონ მას საწარმოოო ძალები და ამით გააჭარწყლონ უკანასკნელ საუკუნოების ეკონომიური განვითარება. გაყვლეფილები, რომელნიც ამ პროექტებს იცავენ, უსარგებლოთ ფლან-

გვენ თავის ძალებს; ისინი ვერ გააცოცხლებენ იმას, რაც უკვე მკვდარია.

ეკონომიურ განვითარებაზე ბევრნაირათ შეიძლება გავლენის მოხდენა, — შეიძლება მისი დაჩქარება ან შეჩერება, მისი შედეგების გაძლიერება ან დასუსტება და ტკივილების გამწვავება ან დანელება, — ყველაფერი ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ შეგნებული არიან და რა საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენენ ის პირები, რომლებიც მაზე გავლენას ახდენენ.

ერთი რამ შეუძლებელია: საზოგადოებრივ განვითარების შეჩერება და, მით უმეტეს, მისი უკან დაბრუნება. პირიქით, გამოცდილება გვასწავლის, რომ ყველა იმ საშუალებებს, რომლებსაც საზოგადოებრივ განვითარების შესაჩერებლათ ხმაროობენ, სასურველი ნაყოფი ვერ მოაქვთ; პირიქით, ისინი აძლიერებენ იმ უბედურებას, რომლის მოსასპობათაც არიან გამოგონილი; მეორე მხრით, ყველა ის საშუალებები, რომლებიც მართლა ხელს უწყობენ ამა თუ იმ უბედურების ასე თუ ისე შესუსტებას, იმავე დროს განვითარების პროცესსაც შველიან.

მაგალითად, ხელოსნებმა მოინდომეს თავის ხელობის გამოსაბრუნებლათ ამქრული წესის აღდგენა; ეს ცდა უნაყოფოთ ჩაივლის, რადგან ის საწამოვო ძალთა განვითარების, მსხვილ წარმოების წინააღმდეგაა მიმართული. ვისაც ამქრულ წესის აღდგენა სურს, მან ჯერ მსხვილი მრეწველობა უნდა მოსპოს და ჩვენი დროის ტეხნიკური პროგრესი გააუქმოს. ეს კი ყოვლათ შეუძლებელია. ამიტომ ამქრულ წესის სასარგებლო მოძრაობას დღეს მოხლოდ ის მიზანი აქვს, რომ ხელოსნების ძალა, ფული და გავლენა რეაქციონურ პარტიებს ჩაუგდოს ხელში; ესენი

კი ამას „წვრილი ხალხის“ სასარგებლოთ კი არა, პირდა-
პირ მის საზარალოთ გამოიყენებენ: გააძვირებენ პურს,
მოუმატებენ გადასახადებს, გააძლიერებენ სამხედრო ბე-
გარას და სხვ.

მართალია, ზოგიერთი საშუალებები განსაზღვრულ
პირობებში ხელს უწყობენ ხელოსნების მდგომარეობის
გაუმჯობესებას, მაგრამ ეს ისეთი საშუალებებია, რომ-
ლიც ნებას აძლევს ხელოსანს თავისი სამრეწველო საქ-
მე გაფართოვოს, მასობრივ წარმოებაზე გადავიდეს, წვრი-
ლი კაპიტალისტი გახდეს. სხვა და სხვა გვარი კოოპე-
რაციები, იაფ-ფასიან მამოძრავებელ იარაღების შემო-
ღება და სხვა ამ გვარი საშუალებები, რასაკვირველია, შვე-
ლიან უფრო შეძლებულ ხელოსნებს, მაგრამ მხოლოდ
იმდენათ, რამდენათ ნებას აძლევენ მათ წვრილ წარმო-
ებას თავი დაანებონ. სამაგიეროთ, ვინ უფრო ჩქარა
კოტრდებიან ღარიბი ხელოსნები, რომელთაც ეს არ
შეუძლიათ. მაშასადამე, ასეთი საშუალება ველის მხო-
ლოდ თითო-ოროლა ხელოსანს, მაგრამ სრულიათაც არ
იცავს თითონ ხელოსნობას; პირიქით, უფრო აჩქარებს
მის გაქრობას.

პირველ ხანებში დაქირავებული მუშებიც ცდილო-
ბდენ მსხვილ მრეწველობის წინააღმდეგ ბრძოლას. ისინი
ამტვრევდენ ახალ მანქანებს, ეწინააღმდეგებოდენ ქალე-
ბის შრომის შემოღებას და სხვ. მაგრამ მუშებმა ხელოს-
ნებზე ადრე შეიგნეს ასეთ მოქმედების უსაფუძვლობა:
კაპიტალისტურ ექსპლუატაციის წინააღმდეგ მათ უფრო
საიმედო საშუალებები გამოძებნეს. ეს საშუალებები იყო
მათი ეკონომიური ორგანიზაციები (პროფესიონალური
კავშირები) და მათი პოლიტიკური მოქმედება. ეს ორი
საშუალება ერთმანეთს ავსებდა და ბევრ ქვეყანაში კარ-

გი ნაყოფიც მოიტანა. რაშიაც უნდა გამოიხატოს ეს ნაყოფი — სამუშაო ქირის მომატებაში და სამუშაო დროს შემოკლებაში, თუ მცირე წლოვანების შრომის აკრძალვაში და სანიტარულ ზომების შემოღებაში და სხვ. — სულ ერთია, ყოველივე ასეთ ნაყოფს წინ მიყავს ეკონომიური განვითარება, მაგალითად, იმით, რომ იძულებულს ხდის კაპიტალისტს გაძვირებულ მუშა ხელის მაგიერ მანქანები შემოიღოს, ან იმით, რომ საჭირო ხარჯებს ადიდებს, რაც წვრილ კაპიტალისტებისთვის უფრო ძნელი ასატანია, ვინემ მსხვილებისათვის, და მათ კონკურენციის საშუალებას უსპობს და სხვ.

ამიტომ რაც უნდა სამართლიანი, თუნდ აუცილებელიც იყოს ის, რომ ზოგიერთი ხელოსნები მცირე მამოძრავებელ იარაღების შემოღებით ცდილობენ თავის დაცვას, ან ის, რომ მუშები აარსებენ ორგანიზაციებს ან კანონმდებლობისაგან ითხოვენ სამუშაო დროს შემოკლებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას და სხვა რეფორმებს, — მაინც ამაოა იმის იმედი, ვითომ ამ რეფორმების შემწეობით სოციალურ რევოლიუციის თავიდან აცილება შეიძლებოდეს; უსაფუძვლოა აგრეთვე ის შეხედულება, რომლის ძალით არსებულ პირობებში ყოველი სოციალური რეფორმა უნდა უარვყოთ. პირიქით, ასეთ რეფორმებს ჩვენ მხარს ვუჭერთ, რადგან მათ სოციალურ რევოლიუციის თვალთახედვის ისრით ვუცქერით; ეს რეფორმები აჩქარებენ განვითარების მსვლელობას და არა თუ არ ასუსტებენ კაპიტალისტურ წესწყობილების მომსპობ ტენდენციებს, პირიქით, კიდეც აძლიერებენ მათ.

ხალხის მასების პროლეტარიზაცია, მთელი კაპიტალის რამდენიმე კაცის ხელში მოგროვება, რომელნიც კაპიტალისტურ ქვეყნების ბატონ-პატრონნი გამხდარან,

ხრონიკული გადაჭარბებული წარმოება, კრიზისები, უზრუნველყოფილ არსებობის გაუქმება, — **კაპიტალისტურ წესწყობილების ყველა ამ მტანჯველ და აღმაშფოთებელ შედეგებს ვერ მოსპობს ვერავითარი რეფორმა საკუთრების არსებულ ფორმის საფუძველზე, რაც უნდა ფართე იყოს ის.**

დღეს აღარ მოიძებნება არც ერთი, არსებულ წესწყობილების დამცველი პარტია, რომ ამას ვერ გრძნობდეს. ყველა ესენი ჯერ კიდევ დიდი ქებით იხსენიებენ ამ რეფორმებს, როგორც ისეთ საშუალებებს, რომლებმაც დიად კრახისაგან უნდა დაგვიხსნან, მაგრამ მათ თვითონ არ სჯერათ თავისი სასწავლ-მოქმედი რეცეპტების.

ყოველივე ასეთი ცდა ამაოა. წარმოების თანამედროვე წესის უფლებრივი საფუძველი — **საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება** — რაც ხანი გადის, უფრო ველარ ეგუება საწარმოო საშუალებათა ბუნებას, როგორც ეს უკვე დავინახეთ წინა თავებში. ამ კერძო საკუთრების მოსპობა მხოლოდ დროს კითხვაა. ეს ესათუოდ მოხდება, თუმცა არავინ იცის, როდის და რა სახით.

2. — კერძო საკუთრება და კოლექტიური საკუთრება

დღეს კითხვა იმაში კი არ მდგომარეობს, შესაძლებელია თუ არა ან როგორ შეიძლება საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების შერჩენა, არამედ იმაში, თუ რა უნდა დამყარდეს მის მაგიერ, რადგან საქმე ის კი არ არის, თუ რის გამოგონება შეგვიძლია ჩვენ, არამედ — რაც აუცილებელია. აგრეთვე ჩვენ ნებაზე არ არის დამოკიდებული, თუ რომელ წყობილებას შემოვიღებთ აწ არსებულის ნაცვლათ ან შევინახავთ თუ არა ამ წყო-

ბილებას. იგივე ეკონომიური განვითარება, რომელიც ჩვენ წინ აყენებს კითხვას—როგორი წყობილება უნდა დამყარდეს აწ არსებულის ნაცვლათ — თვითონ იძლევა მომავალ წყობილების საფუძველს. ძველ წყობილების საშოში უკვე ისახება ახალი ფორმა. ამ უკანასკნელის გასაგებათ ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ არა ჩვენ მრავალ გვარ სურვილებს და მიდრეკილებებს, არამედ თვალსაჩინო ფაკტებს, რომელნიც ყველასთვის ერთნაირია.

ვისაც თანამედროვე წარმოების პირობები გაეგება, მან ისიც იცის, თუ რანაირ ფორმას მოითხოვს ის მაშინ, როცა საკუთრების არსებული ფორმა შეუსაბამო გახდება. ამიტომ ჩვენ ვთხოვთ მკითხველებს, როცა მომავალს შევეხებით, არ დაივიწყონ ის, რაც ჩვენ არსებულ წესის წარსულზე და აწმყოზე ვთქვით.

როგორც ვიცით, საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების საფუძველს წვრილი წარმოება შეადგენს. ცალკ-ცალკე წარმოება აუცილებლათ თხოულობდა ინდივიდუალურ საკუთრებასაც. მსხვილი წარმოება კი, პირიქით, კოლექტიურ, **საზოგადოებრივ** წარმოებას ნიშნავს. მსხვილ წარმოებაში თვითეული მუშა კი არ არის პასუხის მგებელი; აქ კავშირია, აქ მთელი კოლექტივი ქმნის ერთ რაიმე მთელს. თანამედროვე მსხვილ მრეწველობის საშუალებები უზარმაზარი და რთულია. სრულებით წარმოუდგენელია, რომ თვითეულმა მუშამ შეიძლოს საწარმოო საშუალებების მითვისება. ამიტომ მსხვილ მრეწველობაში, თანამედროვე ტეხნიკის დროს, შესაძლებელია საკუთრების მხოლოდ ორი ფორმა: შესაძლებელია მუშათა მთელი კრებულის საწარმოო საშუალებები შეადგენდენ კერძო პირის საკუთრებას (სწორეთ ასეთია წარმოების თანამედროვე წესი თავისი განუყრელი

თანამგზავრებით: სიღატაკით და ექსპლუატაციით მუშებისათვის და აუარებელ სიმდიდრით კაპიტალისტებისათვის;) ან შესაძლებელია მუშების საერთო მფლობლობა საერთო საწარმოო საშუალებებზე ე. ი. წარმოების საზოგადოებრივი წესი, ექსპლუატაციის მოსპობა მუშებისათვის, რომელნიც თვითონ გახდებიან თავის წარმოების ბატონ-პატრონნი და მიიღებენ იმ ზედმეტ ნაწარმოებს, რასაც აქამდე კაპიტალისტი ითვისებდა. — **კერძო საკუთრების საზოგადო საკუთრებაში შეცვლა, — აი რა ხდება აუცილებელი ეკონომიურ განვითარების გავლენით.**

საზოგადო საკუთრების აუცილებლობაში დღეს მარტო სოციალდემოკრატია არაა დარწმუნებული. ის ანარხისტებსაც სწამს და ლიბერალებსაც. თუმცა ეს უკანასკნელნი ისეთ გზას გვიჩვენებენ მის მისაღწევად, რომ ვერასოდეს ვერ მივალთ დანიშნულ ალაგას. ვინც ურჩევს მუშებს მსხვილ სამრეწველო საქმის დაწყებას და გროშების მოგროვებას, ის მათ ათამაშებს და არა რჩევას აძლევს. მაგრამ აქ ჩვენ ის კი არ გვაინტერესებს, თუ რანაირათ შეიძლება საზოგადო საკუთრების განხორციელება: ამ საკითხს ჩვენ შემდეგ თავში განვიხილავთ; ახლა კი გვსურს უფრო გარკვევით განვმარტოთ მომავალ საკუთრების ხასიათი.

ყველაზე უფრო უბრალო წარმოსადგენი ისაა, რომ შეიძლება თვითეული სამრეწველო საქმე საამხანაგოთ გადაიქცეს და შიგ მომუშავეები მის მფლობელებათ. სხვა ყველაფერი უცვლელი რჩება. საქონლის წარმოება გრძელდება, თვითეული სამრეწველო საქმე დამოუკიდებლათ მოქმედებს და საქონელს ბაზრისთვის, **გასაყიდათ** აწარმოებს.

ასეთ წყობილების წარმოდგენას დიდი ფანტაზია არ უნდა. ის ძალიან გავს არსებულს. ასეთია ანარხისტების და ლიბერალების იდეალი. პირველნი მეორეთაგან განსხვავდებიან მხოლოდ იმ საშუალებით, რომლითაც აღწერილ წყობილების მიღწევას ლამობენ. პირველთ უნდათ, რომ მუშებმა საყოველთაო აჯანყებით ხელში ჩაიგდონ სხვა და სხვა სამრეწველო საქმეები; მეორენი კი უკვე ნაჩვენებ „დაზოგვაზე“ უთითებენ.

ვნახოთ, რას მოგვცემს კითხვის ასე გადაწყვეტა. ეს იმაჲ ნიშნავს, რომ მუშა უნდა გახდეს მწარმოებელი და არა კაპიტალისტი, რადგან კაპიტალისტების ხსენება გაქრება, როცა მუშები ერთად დაეპატრონებიან თავის საწარმოო საშუალებებს. კითხვის ამ გვარათ გადაწყვეტას შეუძლია დაიცვას მუშები იმ უბედურებისაგან, რომელსაც კაპიტალისტური ექსპლოატაცია ბადებს; მაგრამ ის ხიფათი, რომელიც დღეს ყოველ მხრიდან მოელის წვრილ მწარმოებელს, ისევ ძალაში რჩება: კონკურენცია, გადაჭარბებული წარმოება, გაკოტრება, კრიზისები სრულიათაც არ მოისპობა. უკეთეს პირობებში ჩაყენებული წარმოება ისევ გააძევებს ბაზრიდან სუსტ მეტოქეს და ბოლოს სულ მოსპობს მას. ერთი რომელიმე დარგის ყველა საქმეები რომ ერთ კავშირში შეიდენ, საქმეს ვერც ეს უშველის. საკმაოა მოვიგონოთ ის მოსაზრებანი, რომელნიც წინა თავში მოვიყვანეთ.

როგორც დღეს კაპიტალისტური დაწესებულებები კოტრდებიან, სწორედ ისევე გაკოტრდებიან მაშინ საზოგადო სამრეწველო საქმეებიც. მუშები დაკარგავენ თავის საწარმოო საშუალებებს და ხელახლა ამოყოფენ თავს... პროლეტარების რაზმებში, ისევ იძულებული გახდებიან ყიდონ თავისი სამუშაო ძალა, რომ შიმ-

შილით არ მოკვდენ. უფრო ბედნიერ ამხანაგობის მუშები თვითონ ალარ ინებებენ მუშაობას, არამედ სხვებს დაიქირავებენ და, ამგვარათ, გახდებიან ექსპლოატატორებათ, ე. ი. **კაპიტალისტებათ**. გაიელის რამდენიმე ხანი და ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით ძველ მდგომარეობას, ძველ კაპიტალისტურ წყობილებას.

საქონლის წარმოება მჭიდროთაა შეკავშირებული კერძო საკუთრებასთან; საქონლის წარმოება კერძო საკუთრებას მოითხოვს; ის აქარწყლებს ყოველივე მეცადინეობას, რომელსაც მისი მოსპობა აქვს სახეში.

საქონლის წარმოების ბატონობის დროს მსხვილი წარმოება აუცილებლათ კაპიტალისტურ ფორმას ღებულობს; ასოციაციის ფორმას შეხვდებით აქ მხოლოდ როგორც გამონაკლს; ის ვერასოდეს ვერ გაბატონდება.

მაშასადამე, ვისაც სერიოზულათ სწადია კაპიტალისტურ საკუთრების მაგიერ საზოგადოებრივის შემოღება, ის ანარხისტებზე და ლიბერალებზე უფრო შორს უნდა წავიდეს — **საქონლის წარმოების** მოსპობისაკენ.

3. — სოციალისტური წარმოება

საქონლის წარმოების მოსპობა იმას ნიშნავს, რომ ისპობა წარმოება **გასაყიდათ**, და მის ადგილს ჩნდება წარმოება **საკუთარ მოთხოვნილებათა** დასაკმაყოფილებლათ. ამ უკანასკნელს შეუძლია ორგვარი ფორმა მიიღოს: წარმოება კერძო პირის, რომელსაც მიზნათ ექნება საკუთარ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და წარმოება [illegible] **ან ასოციაციის** ხარჯზე, ყველა მის წევრთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ.

პირველი ფორმა არასოდეს არ ყოფილა გამეფებული — რამდენათაც ვიცით, ადამიანი ყოველთვის საზო-

გადოებრივი არსება იყო; ის მუდამ იძულებული იყო თავის მთავარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ემუშავნა სხვებთან ერთათ, ე. ი. ესარგებლა სხვების შრომით და თვითონაც სხვებისთვის ეშრომნა. ცალკე პირის წარმოება საკუთარ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ ყოველთვის უმნიშვნელო ყოფილა. დღეს ამის შესახებ ლაპარაკიც კი მეტია.

კოლექტიური წარმოება საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ გაბატონებული იყო მანამდე, სანამ საქონლის წარმოება განვითარდებოდა. ის იმდენათვე ძველია, რამდენათ წარმოება საზოგადოთ. თუ შეიძლება ვთქვათ, რომ წარმოების რომელიმე წესი ყველაზე უფრო შეეფერება ადამიანის ბუნებას, ცხადია, რომ ბუნებრივათ კოლექტიური წესი უნდა ჩაითვალოს. თუ საქონლის წარმოება ათას წლობით არსებობს, კოლექტიურ წარმოების არსებობა ათიათას წლობით უნდა ვიანგარიშოთ. საწარმოვო საშუალებების ხასიათსა და წესთან ერთად იცვლებოდა თვით მწარმოებელ ჯგუფის ხასიათი, სიდიდე, ფუნქციები. ორდას, თემს, მარკას (მიწათმფლობელ თემს), თუ შინაურ არტელს (გლეხის დიდ ოჯახს) წარმოადგენდა ეს ჯგუფი — სულ ერთია, მას ქონდა ზოგიერთი მთავარი დამახასიათებელი თვისებები. ასეთი ჯგუფი ყოველთვის თვითონ იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებებს (უმთავრესს და უსაჭიროესს მაინც) საკუთარ ნაწარმოებით. საწარმოვო საშუალებები თემის საკუთრებას შეადგენდენ. თემის წევრები მუშაობდენ ერთათ, როგორც თავისუფალი და სწორუფლებიანი ამხანაგები, მუშაობდენ ჩვეულების ან რაიმე პლანის თანახმათ, რომელსაც თვითონ ადგენდენ ამა თუ იმ პირების ხელმძღვანელობით, რომლებიც არჩეული იყვენ და პასუხსაც

აგებდენ. თემის მიერ დამზადებული ნაწარმოები თვითონ თემს ეკუთვნოდა; ეს უკანასკნელი ნაწილს საზოგადო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას (მოხმარებას ან წარმოებას) ანდომებდა, ნაწილს კი უყოფდა თავის წევრებს ან ჯგუფებს, რომელთაგან ეს თემი შესდგებოდა, იმ საზომის მიხედვით, რომელსაც ჩვეულება ან საერთო გადაწყვეტილება აწესებდა.

ასეთ სათემო წარმოებას საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ქვია **კომუნისტური** ანუ, როგორც დღეს ამბობენ, **სოციალისტური** წარმოება. წარმოების მხოლოდ ასეთ წესს შეუძლია დააკმაყოფილოს საზოგადოება, რომელიც საქონლის წარმოების ფარგლებში ველარ ეტევა.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს დღეს უნდა აღვადგინოთ ის, რაც უკვე მკვდარია და ხელ-ახლა შევქნათ თემურ საკუთრების და თემურ წარმოების ძველი ფორმები. ეს ფორმები შეეფერებოდენ განსაზღვრულ საწარმოო საშუალებებს; მაგრამ ისინი ვერ ეგუებოდენ და ახლაც ვერ ეგუებიან უფრო განვითარებულ საწარმოო საშუალებებს; ამიტომაც არის, რომ ისინიქრ ებიან ეკონომიურ განვითარების მსვლელობის დროს და საქონლის წარმოებას უთმობენ ადგილს: იქ კი, სადაც ისინი საქონლის წარმოების შემოსვლას წინ ეღობებიან, საწარმოო ძალთა განვითარებას აფერხებენ. როგორც ამქრული წესის აღდგენის სურვილია უსაფუძვლო და რეაქციონური, ისე რეაქციონური და უსაფუძვლოა მეცადინეობა, რომ საქონლის წარმოებას თავი დაახწიონ პირველ-ყოფილ **კომუნიზმის ნაშთების** დაცვით და აღდგენით, რომელნიც ჩამორჩენილ გლეხურ თემებში კიდევ შენახულან.

სოციალისტური წარმოება, რომელიც დღეს აუცილებელი გახადა საქონლის წარმოების გაკოტრების მოახლოებამ, ბევრი თვისებებით დაემსგავსა და არც შეუძლია არ დაემსგავსოს პირველ-ყოფილ კომუნიზმის ძველ ფორმებს, რასაკვირველია იმდენათ, რამდენათაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს საზოგადოებრივ წარმოების სახეს, რომელსაც საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება აქვს მიზნათ. მაგრამ ასეთი მსგავსება კაპიტალისტურ წარმოებასაც აქვს ხელოსნურთან, რამდენათაც ერთიც და მეორეც საქონლის წარმოებას წარმოადგენს. მიუხედავათ ამისა, კაპიტალისტური წარმოება — ეს უმაღლესი საფეხური საქონლის წარმოებისა — განსხვავდება ხელოსნურისგან, სწორეთ ისე, როგორც საზოგადოებრივ წარმოების აწ აუცილებელი ფორმა სრულიათ განსხვავდება მის წინანდელ ფორმებისაგან. აია პირველ-ყოფილ კომუნიზმისაგან განვითარდება მომავალი სოციალისტური წყობილება, არამედ კაპიტალისტურ წყობილებისაგან, რომელიც მისთვის საჭირო ელემენტებს ქმნის. თვითონ ის, როგორც ამას შემდეგ თავში დავინახავთ, ქმნის იმ ახალ ადამიანებს, რომლებიც ახალ წყობილებას სჭირია. ის ქმნის აგრეთვე იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ ახალ ადამიანების ხელში მომავალ წყობილების საფუძვლათ გახდებიან.

სოციალისტური წარმოება თხოულობს, ერთი მხრით, რომ კერძო კაპიტალისტურმა საქმეებმა საზოგადოებრივი ხასიათი მიიღონ. ამას ამზადებს ის გარემოება, რომ. როგორც უკვე დავინახეთ, კაპიტალისტის პიროვნება გამოუსადეგი ხდება ეკონომიურ ცხოვრებისათვის. მეორე მხრით, სოციალისტური წარმოება თხოულობს ერთ დიდ ასოციაციათ შეერთებას ყველა იმ საწარმოო საქ-

ბეებისას, რომლებიც წარმოების განსაზღვრულ საფეხურზე აუცილებელია საზოგადოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. წინა თავში ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ახდენს ამ ცვლილებას ეკონომიური განვითარება კაპიტალისტურ საქმეების რამდენიმე ფირმის ხელში მოგროვებით (კონცენტრაციით).

მაგრამ რა ზომის უნდა იყოს ამ თვითარს ასოციაციის საზღვრები? თუ სოციალისტური ასოციაცია თვითნება ფანტაზიის ნაყოფი არაა, არამედ ეკონომიურ განვითარების აუცილებელი შედეგი, რომლის გაგება მით უფრო ადვილია, რაც უფრო კარგათაა შესწავლილი პირველი, — მაშინ მისი საზღვრებიც ჩვენს სურვილზე არ იქნება დამოკიდებული, არამედ საზოგადოებრივ განვითარების საფეხურზე. რაც უფრო წინ მიდის ის, რაც უფრო ვითარდება შრომის დანაწილება, რაც უფრო განვითარებულია გაცვლა-გამოცვლა, მით უფრო ფართო იქნება მისი საზღვრებიც.

ამ ორასი წლის წინათ ერთმა კეთილმოაზრე ინგლისელმა, სახელათ ჯონ ბელერსმა, წარუდგინა ინგლისის პარლამენტს (1696 წ.) პროექტი იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა მიიღონ სილატაკის წინააღმდეგ, რომელიც იმ დროს უკვე განვითარებული იყო, თუმცა კაპიტალიზმი კიდევ ნორჩი იყო. ბელერსი თხოულობდა ისეთ ასოციაციების დაარსებას, სადაც შესაძლებელი იქნებოდა საკირო სამეურნეო და სამრეწველო ნაწარმოების დამზადება. მისი ანგარიშით თითო ასოციაციას მოუნდებოდა 200-300 მუშა. იმ დროს ახალ გამქრალი იყო წარმოების ხელოსნურ ფორმის ბატონობა და მის გვერდით კაპიტალისტური მანუფაქტურა ბატონდებოდა. იმ-

დროს ხსენებაც არსად იყო კაპიტალისტურ ფაბრიკის და მანქანურ წარმოების.

ასი წლის შემდეგ ესევე იდეა მიიღეს სოციალისტმა მოაზრეებმა, მხოლოდ უფრო გააღრმავეს და განავითარეს ის. მაგრამ ამ დროს ჩაისახა ქარხნული სისტემა, ხელოსნობა აქა-იქ მოსპობის გზას დაადგა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარების უმაღლეს საფეხურამდე ავიდა. ის თვითდამაკმაყოფილებელი ასოციაციები, რომლებსაც მე-19-ე საუკუნის დასაწყისში თხოულობდენ სოციალისტები, რომ კაპიტალისტურ წყობილების მიერ შექმნილი ბოროტებანი მოესპოთ, ამ დროს ათჯერ უფრო მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყვენ იმ ასოციაციებთან შედარებით, რომლებსაც ბელერსი თხოულობდა (მაგალითად, ფურიეს ფალანსტერიები).

თუმცა ფურიეს დროს ერთობ განვითარდა ეკონომიური ურთიერთობა ბელერსის ეპოქასთან შედარებით, მაგრამ ნახევარ საუკუნის შემდეგ ეს განვითარება სრულიათ უმნიშვნელოთ გეჩვენებოდათ; მანქანის ძლევამოსილმა მსვლელობამ ყირამალა გადაატრიალა მთელი ეკონომიური ცხოვრება, მისი შემწეობით ზოგიერთმა კაპიტალისტურმა საქმეებმა უზარმაზარი ფორმა მიიღო, ასე რომ მალე მთელი სახელმწიფოები ჩაიგდო ხელში. ამას გარდა, მან ერთმანეთს დაუკავშირა ერთ და იმავე ქვეყნის საწარმოო საქმეები, ასე რომ ეკონომიურათ დღეს ისინი **ერთ მთელს** წარმოადგენენ: ის ცდილობს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიური ცხოვრება შეაერთოს, მათი მოქმედება გააერთიანოს.

შრომის დანაწილება უფრო და უფრო ვითარდება; ცალკე საწარმოო საქმეები, რაც ხანი გადის, უფრო განსაზღვრულ საგნების დამზადებას ეკიდებიან, მაგრამ

მთელი ქვეყნის ბაზრისთვის; ეს საწარმოო საქმეები სულ უფრო და უფრო ფართოვდებიან, ასე რომ ზოგ მათგანში ათასობით ითვლებიან მუშები. ასეთ პირობებში ასოციაცია, რომელიც თვითონ შეიძლებს თავის მოთხოვნილებების დაფარვას და ამისთვის საჭირო საწარმოო საქმეებს თვითონ გაუძღვება, გაცილებით უფრო ფართე უნდა იყოს, ვინემ ფალანსტერები და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის სოციალისტური კოლონიები. დღეს არსებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში არის მხოლოდ ერთი, რომელიც თავისი სიდიდით შეიძლება გამოდგეს იმ ჩარჩოთ, რომელშიც სოციალისტურ ასოციაციას შეუძლია განვითარება

ასეთია თანამედროვე სახელმწიფო.

მეტსაც ვიტყვით. ცალკე საწარმოო საქმეების საზღვრები ისე გაფართოვდა, და სხვა და სხვა კაპიტალისტურ ნაციათა შორის ისეთი მჭიდრო კავშირი შეიკრა, რომ დღეს საეჭვოცაა, საკმაო იქნება თუ არა თანამედროვე სახელმწიფოს ჩარჩოები იმისთვის, რომ მათში სოციალისტური ასოციაცია მოთავსდეს. ყოველ შემთხვევაში, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი. თანამედროვე საერთაშორისო აღებ-მიცემის განვითარება წარმოების პირობებზე უფრო ნაკლებათაა დამოკიდებული, ვინემ ექსპლოატაციაზე. რაც უფრო გავრცელებულია კაპიტალისტური წარმოება რომელსამე ქვეყანაში და რაც უფრო ძლიერია მისგან გამოწვეული ექსპლოატაცია მშრომელ კლასებისა, მით მეტი საქონელი რჩება ადგილობრივ გაუსაღებელი და სხვა ქვეყნებში უნდა გაიტანონ. როცა რომელიმე ქვეყნის მცხოვრებთ არ მოეპოვებათ იმდენი ფული, რომ კაპიტალისტების ნაწარმოები მთლად გაასაღონ, მაშინ კაპიტალისტებს სხვა

ქვეყნებში გააქვთ გაუსაღებელი საქონელი, თუნდაც მცხოვრებლებს ძალიანაც სჭიროდეს ის. კაპიტალისტები მუშტრებს ეძებენ და არა მხმარებლებს. აი რატომ გავხდით ჩვენ იმ სისაძაგლის მოწამენი, რომ ირლანდიას შიმშილობის დროს გაქონდა ყველაზე ბევრი ხორბალი; რუსი კაპიტალისტებიც ამ გზას დაადგებოდენ შიმშილობის დროს, რომ ეს მათთვის არ აეკრძალათ.

როდესაც მოისპობა წარმოება გასაყიდათ და მის ადგილს დაიჭერს წარმოება საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, მაშინ ერთი ქვეყნიდან მეორეში საქონლის გაზიდვაც ძლიერ შემცირდება.

მაგრამ სხვა და სხვა ქვეყნებ შორის გაცვლა-გამოცვლა საესებით არ მოისპობა. ერთი მხრით, შრომის დანაწილება ისე ძალიან წავიდა წინ და გასაღება, რომელიც აუცილებელია ზოგიერთ დარგისთვის, იმდენათ გაიზარდა, მეორე მხრით საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლის განვითარების შემწეობით თანამედროვე სახელმწიფოებში მოთხოვნილებების რიცხვმა ისე ძლიერ იმატა, რომ მათი დაკმაყოფილება მხოლოდ საქონლის გარედან შემოტანით შეიძლება (მაგალითად, ყავის მოთხოვნილება ევროპაში); ამიტომ შეუძლებელია სოციალისტურ ასოციაციის ისეთ პირობებში ჩაყენება, რომ მან საკუთარ წარმოებით მოახერხოს თავის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, თუნდაც ეს ასოციაცია სივრცით თანამედროვე სახელმწიფოს ოდენა იყოს. ამიტომ ზოგიერთ საქონლის გაცვლა-გამოცვლა სხვა და სხვა ასოციაციებ შორის არ მოისპობა, პირველ ხანებში მაინც. მაგრამ ეს საშიში არ იქნება იმათ ეკონომიურ დამოუკიდებლობისა და სიმტკიცისათვის, თუ ყველა აუცილებელ ნაწარმოებს თვითონ დაამზადებენ და გაცვლიან მხოლოდ ზედმეტს,

როგორც გლეხის ოჯახი იქცეოდა საქონლის წარმოების პირველ ხანებში.

თვითეულმა სოციალისტურმა ასოციაციამ რომ შესძლოს ყველა აუცილებელ ნაწარმოების დამზადება, ამისთვის საკმარისია, რომ ის თანამედროვე სახელმწიფოს ოდენა გახდეს.

მაგრამ არც ეს სივრცეა, ჩვენი ფიქრით, უცვლელი. თანამედროვე სახელმწიფო, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, წარმოების კაპიტალისტურ წესის შედეგი და იარაღია. ის იზრდება მასთან ერთათ, მის მოთხოვნილებების თანახმათ, იზრდება არა მარტო ძალით, არამედ სივრცითაც. შინაური ბაზარი — ბაზარი თავის სახელმწიფოს საზღვრებში — ყველა ქვეყნის კაპიტალისტისთვის სხვაზე უფრო საიმედო, უფრო უზრუნველყოფილი და ადვილი გასაყვლეფია. ამიტომ, რაც უფრო ვითარდება კაპიტალისტური წესი, მით უფრო ცდილობენ კაპიტალისტები თავიანთ სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებას. ამიტომ მართალი უნდა იყოს ის სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ამტკიცებს, რომ თანამედროვე ომებს **ნაციონალური** ინტერესები იწვევენ და არა **დინასტიური**: მხოლოდ ნაციონალურ ინტერესებს ქვეშ კაპიტალისტების ინტერესები უნდა ვიგულისხმოთ. ისე ვერაფრით ვერ ააშფოთებ რომელიმე ქვეყნის კაპიტალისტებს, როგორც მათი სახელმწიფოს დაპატარავებით. საფრანგეთის ბურჟუაზია ხუთ მილიარდს ადვილათ აპატიებდა გერმანიას, მაგრამ ელზას-ლორენის დაპყრობას კი ვერ დაივიწყებს.

ყველა თანამედროვე სახელმწიფო დაინტერესებულია თავის საზღვრების გაფართოებაში: ამას ყველაზე უფრო ახერხებს შეერთებული შტატები, რომელიც ფაქტიურათ

მალე მთელ ამერიკას დაეპატრონება და ინგლისი,რომელიც ზღვაზე ბატონობის წყალობით შეუჩერებლათ აფართოებს თავის სამფლობელოებს ზღვის პირას მდებარე ახალშენებში. აქამდე არც რუსეთს უკირდა თავის საზღვრების გაფართოება ზოგიერთ ქვეყნებისაკენ.

ამ მხრივ ყველაზე უფრო ცუდ პირობებში არიან ევროპის ის სახელმწიფოები, რომლებისთვისაც მუდმივი გაფართოებაა საჭირო, მაგრამ ისე არიან ერთმანეთზე გადაბმული, რომ შეუძლებელია ერთის გაფართოება, თუ მეორე არ დაპატარავდა.

ამ სახელმწიფოების კოლონიალური პოლიტიკა მხოლოდ რამდენიმეთ აკმაყოფილებს მათ კაპიტალისტურ წარმოების გაფართოების საჭიროებას. ეს გარემოება ერთი უმთავრეს მიზეზთაგანია მილიტარიზმის განვითარების, მთელი ევროპის სამხედრო ბანაკათ გადაქცევის, რაც ევროპის სახელმწიფოებს დანგრევას უქადის. შესაძლებელია ორი გზა ამ აუტანელ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ და ეკონომიურ ცხოვრების გაფართოების საჭიროების დასაკმაყოფილებლათ: ან მსოფლიო ომი, რომელიც სრულიათ მოსპობს ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოს და ყველას გააკოტრებს, ან ყველა სახელმწიფოების ფედერატიული კავშირი.

ეჭვს გარეშეა, რომ ყველა თანამედროვე სახელმწიფო ცდილობს გააფართოვოს თავისი საზღვრები ეკონომიურ განვითარების მიხედვით. მაშასადამე, ეს უკანასკნელი თითონ ცდილობს, რომ მომავალ სოციალისტურ ასოციაციათა საზღვრები შესაფერათ გაფართოვდენ. *)

---

*) შევნიშნავთ, სხვათა შორის, რომ რაღგანაც ეკონომიურ განვითარების მსვლელობა სოციალისტურ წყობილების ღროსაც არ შეწყდება,

მაგრამ თანამედროვე სახელმწიფო არა მარტო იმითია შესანიშნავი, რომ სხვა ორგანიზაციებზე უფრო გამოსადეგია სოციალისტურ ასოციაციისათვის მხოლოდ თანამედროვე სახელმწიფოს შეუძლია მის ბუნებრივ საფუძვლათ გახდეს. ამის ასახსნელათ ცოტახნით გადავუხვიოთ ჩვენს საგანს.

4. — სახელმწიფოს ეკონომიური მნიშვნელობა

საზოგადოებას ყოველთვის უხდებოდა ზოგიერთ ეკონომიურ ფუნქციების ასრულება. პირველყოფილ კომუნისტურ საზოგადოებების შესახებ, რომლებსაც ჩვენ ხალხების ისტორიის დასაწყისში ვხედავთ, ეს თავის თავათ ცხადია. რაც უფრო ვითარდებოდენ დამოუკიდებელი წვრილი წარმოება, საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება და საქონლის გაცვლა-გამოცვლა, საზოგადო ფუნქციების მთელი რიგი ან მიუწდომელი ხდებოდა კერძო მწარმოებლებისათვის ან და ისეთი მნიშვნელოვანი, რომ შეუძლებელი იყო კერძო პირების ანაბარათ მათი მიტოვება. მოზარდ თაობაზე, ღარიბებზე, სნეულებზე და მოხუცებზე ზრუნვასთან ერთათ ხაზოგადოებას წილათ ხვდა გაცვლა-გამოცვლის მოწესრიგება და ხელის შეწყობა, — გზების გაყვანა, ფულის მოჭრა, ბაზრების პოლიცია და წარმოების ძირითად ფაქტორთა მოწესრიგება და დაცვა — სატყეო პოლიცია, წყლის წესიერათ.

ამიტომ სოციალისტურ ასოციაციების სივრცეკ თან და თან იმატებს. ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ სოციალისტური ნაციები ბოლოს და ბოლოს ერთ საზოგადოებათ შეერთდებიან. მაგრამ აქ ჩვენ ვლაპარაკობთ სოციალისტურ ფორმების დასაწყისზე და არა მის შემდეგ განვითარებაზე; მაშასადამე, საჭირო არაა ჩვენს მსჯელობაში მსოფლიო რესპუბლიკა შევიტანოთ.

მოხმარა და სხ. საშუალო საუკუნის საზოგადოებაში ეს ფუ-ნქციები წილათ ხვდა მარკებს და მისგან წამომდგარ სხვა და სხვა ქალაქისა და სოფლის თემებს, აგრეთვე საეკლე-სიო ორგანიზაციებს. საშუალო საუკუნის სახელმწიფო ძალიან ნაკლებათ ზრუნავდა ამ საქმეებზე.

ცვლილება მოხდა მაშინ, როცა ის გადაიქცა თანა-მედროვე ბიუროკრატიულ და სამხედრო სახელმწიფოთ, რაც მძლავრი იარაღი გახდა კაპიტალისტთა კლასის თვის, რომელმაც მიწის მფლობელ თავად-აზნაურო-ბასთან ერთათ იწყო ბატონობა და რომელიც ხან უფ-ლებას იყოფდა ამ აზნაურობასთან, ხან კი სრულიათ იშორებდა მას თავიდან. როგორც ყოველი სახელმწიფო, ისე თანამედროვეც კლასობრივ ბატონობის იარაღია. მაგრამ მას არ შეეძლო თავისი დანიშნულების შესრუ ლება და კაპიტალისტთა კლასის მოთხოვნილებათა და-კმაყოფილება ისე, რომდამოუკიდებლობა არ მოესპო ან სრულიათ არ დაენგრიაის ეკონომიური ორგანიზაციები, რომლებიც მას დახვდა და რომლებიც კაპიტალიზმის წინ არსებულ წარმოების საძირკველს შეადგენდა. მაგრამ ამან იძულებული გახადაის ფუნქციების მთელი რიგი თავის თავზე მიეღო.

მაგრამ საშუალო საუკუნეების ორგანიზაციები იქაც კი დაეცენ და ყველა ფუნქციების შესრულების უნარი თან და თან დაკარგეს, სადაც სახელმწიფო მათ არც კი შეხებია. ეს ფუნქციები თან და თან გაფართოვდენ კა-პიტალისტურ წარმოების განვითარებასთან ერთათ. იმა-თი შესრულება ველარ შესძლეს სახელმწიფოს შიგნით არსებულმა ორგანიზაციებმა, ასე რომ სახელმწიფო იძუ-ლებული გახდა თავის თავზე აეღო ისეთი ფუნქციები, რომლებიც მისთვის სასურველი არც კი იყო. ასე, მაგა-

ლითად, შკოლის და ღარიბთა დახმარების საქმე სახელმწიფოს აუცილებელ მოვალეობათ გადაიქცა, და ისიც რამდენიმეთ ასრულებს ამ მოვალეობას. ფულის საქმე თავიდანვე მის ხელში იყო; ტყეების დაცვა, წყლების მოვლა და გზების საქმე თან და თან მის ხელში გადადიან.

იყო დრო, როცა თავის ძლიერებით გაამაყებულ კაპიტალისტთა კლასს სრულებით არ მიაჩნდა საჭიროთ სახელმწიფოს ეკონომიური მოღვაწეობა. მას ეგონა, რომ სახელმწიფომ მხოლოდ მშვიდობიანობა უნდა უზრუნველყოს როგორც შინ, ისე გარეთ, და პროლეტარები და უცხოელი კონკურენტები ალაგმოსო; მთელი ეკონომიური ცხოვრება კი თავის ნებაზე უნდა იქნას მიშვებულიო. კაპიტალისტებს თავისი საფუძველიც ქონდათ ასეთ სურვილისათვის. თუმცა ისინი ძალიან ძლიერნი იყვენ, მაგრამ სახელმწიფო ყოველთვის მაინც არ ემორჩილებოდა მათ ისე, როგორც სასურველი იყო; სახელმწიფო ხშირათ სხვა გაბატონებულ კლასების გავლენის ქვეშ ვარდებოდა, განსაკუთრებით კი მიწის მფლობელ თავად-აზნაურობის გავლენის ქვეშ. მაგრამ იქაც კი, სადაც სახელმწიფო მეგობრულ განწყობილებას იჩენდა კაპიტალისტთა კლასისადმი, სახელმწიფო მოხელეები, რომელ თაც საქმიან ცხოვრების არაფერი გაეგებოდათ, ისეთ სულელურ მეგობრობას უწევდენ კაპიტალისტებს, როგორც ის დათვი, რომელმაც თავის მეგობარ მეუდაბნოეს — შუბლიდან ბუზს მოვაშორებო — და თავი კი გაუტეხა. ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა კაპიტალისტთა შორის მაშინ გაჩნდა, როცა სოციალისტურმა მუშათა მოძრაობამ იჩინა თავი. პირველათ ეს მოხდა ინგლისში, სადაც მან

„მანჩესტერულ შკოლის“ სახელი მიიღო და ამავე სახელით შემდეგ გერმანიაში შემოვიდა. მანჩესტერლების მოძრაობა პირველი იდეიური იარაღი იყო, რომელიც კაპიტალისტებმა მუშათა სოციალისტურ მოძრაობის წინააღმდეგ მიმართეს როგორც ინგლისში, ისე გერმანიაში. ამიტომ გასაკვირალი არ არის ის ცნებათა არევ-დარევა, რომელიც მუშის გონებაში ხდებოდა: მანჩესტერელი და კაპიტალისტი ან კაპიტალისტების მეგობარი ერთი მხრით, და სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებაში ჩარევა და სოციალიზმი, მეორე მხრით, მათ ერთი და იგივე ეგონათ. არც ის უნდა გვიკვირდეს, რომ მანჩესტერობის უარყოფა მათ კაპიტალიზმის უარყოფათ მიაჩნდათ. მაგრამ ეს ძალიან შემცდარი მოსაზრებაა. მანჩესტერობა იყო მხოლოდ თეორია, რომელსაც კაპიტალისტთა კლასი მოხერხებულ შემთხვევებში მუშების და ხან მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლაში იყენებდა; მაგრამ ამ იდეის შეურყეველათ გაყვანას ის მუდამ ერიდებოდა. დღეს მანჩესტერობამ თითქმის ყოველივე გავლენა დაკარგა კაპიტალისტთა კლასზე.

კაპიტალისტებმა არა თუ დაკარგეს თავის ძლიერების შესახებ გადაჭარბებული წარმოდგენა, რომელიც მანჩესტერობას საფუძვლათ ედო; მათ გაიგეს. რომ ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება აუცილებლათ ხდის ზოგიერთ ეკონომიურ ფუნქციების სახელმწიფოს ხელში გადასვლას.

ასეთ ფუნქციების რიცხვი დღითი დღე იზრდება. ერთი მხრით, უფრო და უფრო ფართოვდება ის ფუნქციები, რომლებიც სახელმწიფომ ზემოთ ნახსენებ ორგანიზაციებისგან მიიღო — გავიხსენოთ, მაგალითად, მდინარეების მოწესრიგება, არხების გაყვანა და სხვ. — მეო-

რე მხრით, თვითონ წარმოების კაპიტალისტური წესი ქმნის მისთვის ისეთ ფუნქციებს, რომლებზედაც საშუალო საუკუნის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წარმოდგენაც არ ქონდათ, და რომელთა წყალობითაც ის ეკონომიურ ცხოვრებაში ერევა. თუ წინანდელ საუკუნოების სახელმწიფო მოღვაწენი უმთავრესათ დიპლომატები და იურისტები იყვენ, დღევანდელი მოღვაწეები უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკოს — ეკონომისტები უნდა იყვენ. ჩვენი დროის პოლიტიკურ დებატებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ხელშეკრულობებს და პრივილეგიებს, არა წყაროებს და პრეცედენტებს, არამედ პოლიტიკურ ეკონომიის დებულებებს. საკმარისია მხოლოდ ჩამოვთვალოთ ყველა ის, რაც დღეს პოლიტიკის სფერაში შედის: საბანკო პოლიტიკა, კოლონიალური პოლიტიკა, რკინის გზის პოლიტიკა, საბაჟო პოლიტიკა, სოციალური პოლიტიკა და შრომის დაცვა, მუშათა დაზღვევა, ღარიბთა დახმარება და სხვ.

მაგრამ, ამას გარდა, ეკონომიური განვითარება აიძულებს სახელმწიფოს, რომ მან თვით-დაცვის უკეთესათ მოსაწყობათ, თავის თავზე აღებულ ფუნქციების შესასრულებლათ და თავის შემოსავლის გასადიდებლათ რაც შეიძლება, მეტი საქმე ჩაიგდოს ხელში.

საშუალო საუკუნის მეფეების ძლიერების წყაროს წარმოადგენდა მათი პირადი და სახაზინო მიწათ-მლობელობა, რომელიც ალაგ-ალაგ ძლიერ გაფართოვდა 16, 17 და 18 საუკუნეებში საეკლესიო და გლეხთა მიწების შემოერთებით. თუმცა ფულის საჭიროება აიძულებდა მეფეებს სახელმწიფო მამულები კაპიტალისტთათვის მიეყიდათ, მაგრამ ზოგიერთ ქვეყნებში მათი ნაშთები დღემდისაც შენახულან **საუფლისწულო მამულე-**

ბის და მადნების სახით. მილიტარიზმის განვითარებამ ამათ მიუმატა **არსენალები და ხომალდების საშენებელი ადგილები** (ვერფები); მიმოსვლის განვითარებამ —**ფოსტა, რკინის გზები, ტელეგრაფი**; დაბოლოს ფულის საჭიროების ზრდამ სახელმწიფოში ათასგვარ მონოპოლიების გაჩენა გამოიწვია.

კაპიტალისტურ წარმოების დასაწყისში, როდესაც მეფეებს ძლიერ უჭირდათ ფული და შემოსავალი კი ძალიან მცირე ქონდათ, მათ მოინდომეს ზოგიერთ საქონლის წარმოება თვითონ ეკისრათ, რომ სახელმწიფო მონოპოლიებისგან სარგებელი ენახათ. მაგრამ სახელმწიფო მოხელეებმა ვერ გამოიჩინეს სამრეწველო საქმეების მოწყობის ნიჭი და ამავე დროს ხარკის საქმემ გააცნო სახელმწიფოს მეტად შემოსავლიანი წყარო, ამას მიემატა მანჩესტერლების თეორიის გავლენა, რომელსაც ბურჟუაზიული სახელმწიფო მოღვაწენიც მხარს უჭერდენ. დიდ ცოდვათ ითვლებოდა კაპიტალისტების მოსაგების ხელის შეხება. ამნაირათ, მონოპოლიურმა წარმოებამ ვერ იხეირა მე-19 საუკუნის განმავლობაში და სულ უკანასკნელ დრომდე, პირიქით, ის შემოკლდა კიდეც.

მხოლოდ უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში ხელ-ახლა აღორძინდა მონოპოლიის იდეა. სახელმწიფოსთვის ფულის საჭიროება სწრაფათ იზრდება, ის იძულებული ხდება შემოსავლის ახალი წყაროები ეძებოს. მაგრამ პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადების გადიდება შეუძლებელია, რადგანაც ის ისედაც დიდია. მონოპოლია კი ახალი შემოსავლის წყაროა. მეორე მხრით, კაპიტალიზმის განვითარებამ კაპიტალისტის პიროვნება ზედმეტათ გახადა; მან თითონ შექმნა მთელი ჯარი კერძო მოსამსახურეებისა, რომლებმაც

იკისრეს და კარგათაც შეასრულეს კაპიტალისტის საქმეები; სამრეწველო საქმეების უმრავლესობა დღეს ისეთ ორგანიზაციებათ არის მოწყობილი, რომ მათ ადვილათ შეუძლიათ უპიროვნებო საკუთრებათ გადაიქცენ.

როგორც ხედავთ, რომელსამე წარმოებას დღეს უფრო ადვილათ შეუძლია მონოპოლია გახდეს და სარგებლობაც მოიტანოს, ვინემ მეთვრამეტე საუკუნეში ან მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებამდე. ამ გარემოების წყალობით და კიდევ იმის გამო, რომ სახელმწიფოსთვის ფულის საჭიროება თან და თან იზრდება, მონოპოლიის იდეა აღსდგა და აქა-იქ კიდევაც გაიმარჯვა. დღეს უკვე შეხვდებით თამბაქოს, მარილის, არყის და სპიჩკის მონოპოლიებს და ახალ მონოპოლიების პროექტებიც ბლომათაა შედგენილი.

ამნაირათ, იმ დროს, როდესაც ვითარდებიან სახელმწიფოს ეკონომიური ფუნქციები და იზრდება მისი ეკონომიური სიძლიერე, რთულდება მთელი ეკონომიური ცხოვრება, და სამრეწველო საქმეები ერთმანეთისგან უფრო დამოკიდებული ხდებიან. მაგრამ იმავე დროს უფრო იზრდება მათი დამოკიდებულება კაპიტალისტთა კლასის უზარმაზარ დაწესებულებასთან, — სახელმწიფოსთან. იმავე დროს ძლიერდება არევ-დარევა ეკონომიურ ცხოვრებაში, და მის მოსპობას კაპიტალისტები სახელმწიფოს ანდობენ, როგორც თანამედროვე საზოგადოების უმთავრეს ეკონომიურ ძალას. ამნაირათ, ჯერ კიდევ ჩვენ დროს უფრო და უფრო მეტი მონაწილეობის მიღება უხდება სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრების მოწყობაში და მოწესრიგებაში და თანდათან იზრდება იმ საშუალებათა რიცხვი, რომლებიც მას ამ მიზ-

ნის მისაღწევათ ხელთ უპყრია. სახელმწიფოს ეკონომიური ძლევა-მოსილება. რაც მანჩესტერლებს სოციალისტურ უტოპიათ მიაჩნდათ, მათ თვალ წინ მზადდება, როგორც კაპიტალისტურ განვითარების აუცილებელი შედეგი.

5. — სახელმწიფო სოციალიზმი და სოციალდემოკრატია

თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიური მოღვაწეობა ის ბუნებრივი გამოსასვლელი პუნქტია, რომლიდანაც სოციალისტურ ასოციაციის განვითარება იწყება.

ეს სრულიათაც იმას არ ნიშნავს, ვითომ რომელიმე ეკონომიურ ფუნქციის ან სამრეწველო საქმის გადასვლა სახელმწიფოს ხელში უეჭველათ სოციალისტურ ასოციაციასთან გვაახლოვებს, და რომ ეს უკანასკნელი შეიძლება განხორციელდეს, თუ რომ მთელი წარმოება სახელმწიფოს ხელში გადავა, მაგრამ ეს უკანასკნელი კი შეუცვლელი დარჩება. ასეთი შეხედულება ეგრეთ წოდებულ სახელმწიფო სოციალისტებისა დამყარებულია სახელმწიფოს უცოდინარობაზე. თანამედროვე სახელმწიფო, როგორც საზოგადოთ ყოველი სახელმწიფო, წარმოადგენს გაბატონებულ კლასთა საერთო ინტერესების დასაცავ იარაღს. საქმის ვითარებას არ ცვლის ის გარემოება, რომ სახელმწიფო ზოგიერთ ისეთ ფუნქციებსაც კი ასრულებს, რომლებიც არა მარტო გაბატონებულ კლასებისათვისაა სასარგებლო... ასეთ ფუნქციებს ის იმიტომ ღებულობს თავის თავზე, რომ ეშინია თავის უყურადღებობით განსაცდელში არ ჩააგდოს როგორც მთელი საზოგადოება, ისე გაბატონებული კლასები; მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ მოკიდებს ის ხელს იმგვარ ფუნქციებს, რომლებიც გაბატონებულ კლასების ინტე-

რესების და მით უმეტეს მათი ბატონობის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

როდესაც სახელმწიფო კიდებს ხელს წარმოების რომელიმე დარგს ან ეკონომიურ ფუნქციას, ამას იმ მიზნით კი არ ჩადის, რომ კაპიტალისტური ექსპლოატაცია შეზღუდოს, არამედ იმ განზრახვით, რომ დაიცვას და გაამაგროს კაპიტალისტური წარმოება, ან თვითონ მიიღოს მონაწილეობა ამ ექსპლოატაციაში და მით თავისი შემოსავალი გააფართოვოს; ან კიდევ შეამციროს კაპიტალისტების ხარჯი, რომელიც მის შესანახათ არის საჭირო. როგორც ექსპლოატატორს, სახელმწიფოს კერძო კაპიტალისტები ვერ შეედრებიან, რადგანაც მას კაპიტალის ეკონომიურ ძალასთან ერთათ პოლიტიკური ძალაც — სახელმწიფო უფლებაც — ხელთა აქვს.

როგორც აქამდე, ისე შემდეგშიაც სახელმწიფო მხოლოდ იმდენათ ჩაერევა ეკონომიურ ცხოვრებაში, რამდენათაც ეს კაპიტალისტთა კლასისთვის იქნება ხელსაყრელი. მაშასადამე, სანამ **მდიდარი** კლასები იმავე დროს **გაბატონებულიც** არიან, მანამდე ეკონომიურ ფუნქციების სახელმწიფოს ხელში გადასვლა არაფერს არ შესცვლის, არასოდეს არ იქნება კაპიტალისტთა და მემამულეთათვის მავნებელი, არასოდეს არ შეზღუდავს მათ ბატონობას და მშრომელთა ექსპლოატაციას.

მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფოში მშრომელი კლასები გაბატონდებიან, როცა სახელმწიფო აღარ იქნება კაპიტალისტური დაწესებულება, შესაძლებელი იქნება, რომ ის სოციალისტურ ასოციაციათ გადაიქცეს.

ამის გაგებამ სოციალდემოკრატიას ასეთი უმთავრესი მიზანი დაუყენა წინ: ის ცდილობს **მშრომელმა კლა-**

სებმა ხელში ჩაიგდონ პოლიტიკური უფლება და მისი შემწეობით სახელმწიფო გადააქციონ უზარმაზარ ეკონომიურ ასოციაციათ, რომელიც საკუთარ ძალებით დააკმაყოფილებს თავის მთავარ მოთხოვნილებებს.

ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ მარტო კრიტიკას უნდებით და განსაზღვრული მიზანი არ გაქვთ, არ იცით, თუ არსებულ წყობილების მაგიერ როგორი უნდა დამყარდესო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ არც ერთ სხვა პარტიას არა აქვს ისეთი გარკვეული მიზანი, როგორც სოციალდემოკრატიას. იმასაც კი ვერ ვიტყვით, აქვს თუ არა სხვა პარტიებს რაიმე მიზანი ყველანი მაგრათ ჩასჯიდებიან არსებულ წყობილებას, თუმცა ყველას ესმის, რომ ის ხანმოკლე და აუტანელია. მათი პროგრამა არაფერს არ შეიცავს, გარდა წვრილმან შეკეთებისა, რომლითაც ისინი ფიქრობენ და გვპირდებიან შეუძლებელი შესაძლოთ გახადონ, აუტანელი — ასატანათ.

სოციალდემოკრატია კი, პირიქით, თავის პროგრამას დაპირებებზე და იმედებზე კი არ აშენებს, არამედ ეკონომიურ განვითარების სასტიკ აუცილებლობაზე. ვისაც ეს სწამს, იმას ჩვენი მიზანიც უნდა სწამდეს. ვისაც სურს ჩვენი მიზნის სიყალბე დაამტკიცოს, იმან უნდა დაგვანახვოს, რომ ჩვენი მოძღვრება ეკონომიურ განვითარების შესახებ არაა მართალი, რომ წვრილი წარმოება მსხვილს არ უთმობს ალაგს, რომ დღესაც იმდენი ნაწარმოები მზადდება, რამდენიც ამ 100-200 წლის წინათ, რომ ყველაფერი მუდამ ისე ყოფილა, როგორც დღეს არის. თუ კი ვინმე ამას დაამტკიცებს, მას უფლება აქვს თქვას. რომ მომავალშიც ყველაფერი ისე დარჩება, როგორც დღეს არის. მაგრამ ვისაც ცოტა გონიერება აქვს და იცის, რომ საზოგადოებრივი წყობილება მუდამ ერთი და

იგივე არ ყოფილა, ის არც დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ არსებული წყობილება მუდამ უცვლელი დარჩებაო. მაგრამ შეუძლია თუ არა რომელსამე სხვა პარტიას გვიჩვენოს, თუ როგორ და რით შეიცვლება თანამედროვე წყობილება?

ყველა დანარჩენი პარტიები მხოლოდ არსებულ წყობილებით, დღევანდელი დღით ცხოვრობენ; სოციალდემოკრატია ერთათ ერთი პირტიაა, რომელსაც მომავლისთვის გარკვეული მიზანი აქვს და თავის მოქმედებას ამ დიად მიზანს უფარდებს. მაგრამ სხვა პარტიები ვერ ხედვენ და ვერც დაინახვენ ამ მიზანს, რადგანაც სოციალდემოკრატიას შეუძლია მიახწიოს თავის მიზანს მხოლოდ ამ პარტიების გადალახვით. სწორეთ იმიტომ, რომ მათ არ შეუძლიათ და არც სურთ ამის დანახვა, სწორეთ იმიტომ, რომ ისინი სადღაც შორეულ ბურუსს ჯიუტათ მისჩერებიან — აი სწორეთ ამიტომ ისინი ამტკიცებენ, თითქოს ჩვენ არავითარი გარკვეული მიზანი არ გვქონდეს, თითქოს ჩვენ გზა დაკარგული მივდიოდეთ და რაც არსებობს — ვანადგურებდეთ.

6. — მომავალ სახელმწიფოს ორგანიზაცია

ყველა იმ ბრალდებებს, გაუგებრობას და აზრების დამახინჯებას, რასაც ჩვენი მოწინააღმდეგენი იჩენენ, ჩვენ პასუხს ვერ გავცემთ. შეუძლებელია სულელ და ბოროტ ადამიანის გასწორება. ხელებიც რომ დაგვიკოჟრდეს წვრილ, მაინც ვერას გავაწყობთ.

აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ ბრალდებას, რომლის საბაბიც თვითონ ჩვენ, სოციალისტებმა, მივეცით. ის იმდენათ საგულისხმოა, რომ საჭიროა ყურადღებით გავარჩიოთ. ამ ბრალდების თავიდან აცილება საშუალებას

მოგვცემს კიდევ უფრო გარკვევით განვმარტოთ სოციალიზმის თვალთა ხედვის ისარი და მისი საბოლოო მიზანი.

ჩვენი მოწინააღმდეგენი ამბობენ: წარმოგვიდგინეთ შესწავლილი და გამოკვლეული გეგმა სოციალისტურ ასოციაციის, დაგვიმტკიცეთ, რომ ის სასარგებლო და მისახწევია და მაშინ დავიჯერებთ, რომ მისი მოთხოვნა არ არის სისულელე. ჭკვიანი ადამიანი ისე სახლის შენებას არ დაიწყებს, თუ მას შემუშავებული არა აქვს შენობის გეგმა, მცოდნე პირების მიერ მოწონებული;მით უმეტეს არავინ დაანგრევს თავის ერთათ ერთ სახლს, რომ მეორისთვის ადგილი გასწმინდოს, თუ ამ მომავალშენობის გეგმა შემუშავებული არა აქვს. ამიტომ ყველაზე უწინ ჩვენ უნდა დავხატოთ „მომავალ სახელმწიფოს“ ან, როგორც ამბობენ, სოციალისტურ ასოციაციის, ან საზოგადოების სურათი. თუ ჩვენ ამ სურათს ვფარავთ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ თვითონ არ ვიცით, რა გვინდა, და არ გვწამს ჩვენი საკუთარი საქმე.

ამ სიტყვებს ისეთი გავლენა აქვს, რომ არა თუ ჩვენი მოწინააღმდეგენი, ბევრი სოციალისტიც კი აუცილებლათ თვლის გეგმის შემუშავებას. და მართლაც, მომავალ წყობილების გეგმა აუცილებლათ უნდა ჩათვლილიყო მანამდე, სანამ არ ვიცოდით საზოგადოებრივ განვითარების კანონები და გვეგონა, რომ საზოგადოებრივი ფორმები ჩვენ სურვილზეა დამოკიდებული, როგორც შენობის აგება. ზოგი დღესაც ხმარობს სიტყვას: „სოციალური შენობა“. .

დიდი ხანი არაა მასშემდეგ, რაც საზოგადოებრივ განვითარების იდეა დაიბადა. ძველათ ეკონომიური განვითარება

ისეთი ნელი ნაბიჯით მიდიოდა, რომ მისი შემჩნევა ძნელი იყო. ხალხი საუკუნოებით და ათას წლობით კულტურის ერთ და იმავე საფეხურზე რჩებოდა. ზოგიერთ ჩამორჩენილ ქვეყნებში, მაგალითად რუსეთში, გლეხები დღესაც იმავე იარაღებს ხმარობენ, რასაც ისტორიის წინა ხანაში ხმარობდენ.

ამიტომ ძველ დროში ცალკე მწარმოებელს ეგონა, რომ არსებული წესი უცვლელიაო. როგორც თვითონ ის, ისე აწარმოებდენ მისი მამა-პაპა, და მისი შვილი და შვილის შვილიც ასე მოიქცევიანო. არსებული საზოგადოებრივი წყობილება, მათი აზრით, მუდმივი, ღვთისგან გაჩენილი იყო და ვინც მას შეეხებოდა, იმას ღმერთი არ სწამდა. რაც უნდა დიდი ყოფილიყო ის ცვლილებები, რომლებსაც ომები და კლასთა ბრძოლა ახდენდა, ისინი მხოლოდ ცხოვრების ზედა პირს ეხებოდენ. რასაკვირველია, ომი და კლასთა ბრძოლა საზოგადოების საფუძველზეც დიდ გავლენას ახდენდა, მაგრამ ეს გავლენა შეუმჩნეველი რჩებოდა კერძო პირთათვის — მაშინდელ მეთვალყურეთათვის.

ჩვენი ისტორიული მეცნიერება, არსებითათ, ასეთ მეთვალყურეების გადმოცემების გროვას წარმოადგენს. ამიტომ ის ვერ ეხება ცხოვრების მოვლენებს ღრმათ და თუმცა იმას, ვინც წარსულ საუკუნოებს იკვლევს, ადვილათ შეეძლო საზოგადოებრივ განვითარების პროცესის გაგება, მაგრამ ჩვენი ისტორიკოსები მას ვერ ამჩნევენ.

მხოლოდ კაპიტალისტურმა წარმოებამ დააჩქარა საზოგადოებრივი განვითარება იმდენათ, რომ ხალხმა მას ყურადღება მიაქცია. სრულიათ არ არის გასაკვირველი, რომ პირველათ ცხოვრების ზედა პირზე ეძებდენ ისინი მიზეზებს, მაგრამ ბოლოს უფრო ღრმათ ჩაუკვირდენ

საქმის ვითარებას. მაგრამ ის, ვინც მოვლენების მხოლოდ ზედაპირს ეხება, ხედავს იმ ძალებს, რომელნიც **პირდა-პირ** მოქმედებენ საზოგადოებრივ განვითარების მსვლელობაზე; ასეთ ძალებს წარმოადგენენ არა წარმოების ცვალებადი პირობები, არამედ ადამიანის ცვალებადი იდეები.

გაჩნდა თუ არა კაპიტალისტური წარმოება, მან მისგან დამოკიდებულ პირებს — კაპიტალისტებს და პროლეტარებს — ახალი მოთხოვნილებები დაუბადა; ეს მოთხოვნილებები სრულებით არ გვანან იმ ხალხის მოთხოვნილებებს, რომელიც ეკონომიურათ ფეოდალურ წარმოების ნაშთებთან იყო შეკავშირებული — მაგალითად, მსხვილ მემამულეების, ამქრულ ხელოსნების და სხვ. მოთხოვნილებების ასეთ სხვადასხვაობაზე აღმოცენდა იდეების სხვადასხვაობა იმის შესახებ, თუ რა არის სამართლიანი და უსამართლო, აუცილებელი და ზედმეტი, სასარგებლო და საზარალო. რაც უფრო ვითარდებოდა კაპიტალისტური წარმოება, რაც უფრო ძლიერდებოდენ ის კლასები, რომლებიც მაში მონაწილეობას იღებდენ, მით უფრო ირკვეოდა და დამოუკიდებელი ხდებოდა ის იდეები, რომლებიც ამ წესს შეეფერებოდენ; მით უფრო ვრცელდებოდენ ისინი სახელმწიფოში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენას ახდენდენ, სანამ ახალმა საზოგადოებრივმა კლასებმა ხელში არ ჩაიგდეს სიხელმწიფო და საზოგადოება და ერთიც და მეორეც თავის გემოზე და იდეების მიხედვით არ მოაწყვეს.

ერთი სიტყვით, იმათ, ვინც საზოგადოებრივ განვითარების მიზეზს ეძებდა, მამოძრავებელ ძალათ ადამიანის იდეები მოეჩვენა. იმათ რამდენიმეთ სწამდათ, რომ ის იდეები **მატერიალურ** მოთხოვნილებებს ეთანხმებიან, მაგრამ მათ-

თვის კიდევ დაფარული იყო ის, რომ ეს მოთხოვნილებები იცვლებიან, და ეს ცვლილება დამოკიდებულია ეკონომიურ, საწარმოო ცვლილებაზე. იმათ ეგონათ, რომ ადამიანთა მოთხოვნილებები — ეგრეთ წოდებული „ადამიანის ბუნება“ — არ იცვლება. ამიტომ, მათი აზრით, არსებობდა მხოლოდ ერთი „ჭეშმარიტი“, „ბუნებრივი“ „სამართლიანი“ წყობილება, რადგანაც მხოლოდ ერთი წყობილება შეეფერება ადამიანის ჭეშმარიტ ბუნებას. ყველა სხვა საზოგადოებრივი ფორმები შეცდომის ნაყოფია და თუ არსებობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ წინათ ხალხს არ ესმოდა, რა იყო მისთვის აუცილებლათ საჭირო; არ ესმოდა, ზოგიერთების აზრით, იმიტომ, რომ ადამიანი ბუნებით სულელია, სხვები კი ფიქრობდენ, რომ მღვდლებმა და მეფეებმა განზრახ გაასულელეს ხალხი.

ამ შეხედულების ძალით, საზოგადოების განვითარება გონების, იდეების განვითარების შედეგია. რაც უფრო ჭკუიანია ხალხი, მით უფრო ადვილათ ქმნის ის ადამიანის ბუნების შესაფერ წყობილებას, მით უფრო კარგი და სამართლიანი იქნება თვითონ საზოგადოება.

ასეთი იყო ბურჟუაზიულ-ლიბერალურ მოაზრეთა შეხედულება. ეს შეხედულება ძალაშია იქ, სადაც მათი გავლენა ბატონობს. ასეთ შეხედულების დროშის ქვეშ იდგენ პირველი სოციალისტებიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. ისინიც ლიბერალებივით ფიქრობდენ, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოების და ბურჟუაზიულ სახელმწიფოს დაწესებულებანი მეთვრამეტე საუკუნის მოაზრეთა — ეკონომისტთა და განმანათლებელთა — იდეებზე აღმოცენდენ. მაგრამ ისინი აგრეთვე ხედავდენ, რომ ახალი ბურჟუაზიული საზოგადოება არც ისე უნაკლულო იყო, როგორც მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფოსები მოელო-

დენ. მაშასადამე, რაკი ეს საზოგადოება არ იყო სრული, ცხადია მოაზრეებს თავის გამოკვლევებში შეცდომა მოსვლიათ; საჭირო იყო ამ შეცდომის მოძებნა და ახალ საზოგადოებრივ ფორმის გამოგონება, რომელიც უფრო შესაფერი იქნებოდა ადამიანის ბუნების. საჭირო იყო ახალ საზოგადოებრივ შენობის გეგმის უკეთესათ შემუშავება, ვინემ ეს კენემ, ადამ სმიტმა, მონტესკიემ და რუსომ ქნეს; საჭირო იყო დიდი სიფრთხილე, რომ რაიმე მოულოდნელ გარემოებას არ წაეხდინა მთელი საქმე. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ მეთვრამეტე საუკუნის სოციალისტები ვერ ხედავდენ ვერც ისეთ საზოგადოებრივ წყობილებას, რომლის დაღუპვაც აშკარა ყოფილიყო, და ვერც ამ წყობილების გაქრობაში დაინტერესებულ ძლიერ საზოგადოებრივ კლასს. ახალ საზოგადოებას, რომელიც მათ იდეალს შეადგენდა, ისინი იცავდენ არა როგორც **აუცილებელს**, არამედ როგორც **სასურველს.** ამიტომ ისინი ცდილობდენ ისეთი თვალწარმტაცი სურათებით დაეხატათ თავისი საზოგადოებრივი იდეალი, რომ ხალხს ეპვიც ველარ შეეტანა მის სიკარგეში.

საზოგადოების შესწავლაში ჩვენი მოწინააღმდეგენი ვერ გასცილებიან იმ შეხედულებას, რომელიც გასულ საუკუნის დასაწყისში მეფობდა მეცნიერებაში. ამიტომ მათი სოციალიზმი იგივეა, რაც უკვე დახასიათებული უტოპიური სოციალიზმი, რომელიც იმავე ძირითად მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რომელზედაც თვითონ ისინი დგანან. ჩვენი მოწინააღმდეგნი ისე უყურებენ სოციალისტურ საზოგადოებას, როგორც რაიმე სამრეწველო საქმეს, მაგალითად აქციონერულ ამხანაგობას, რომელიც ვილაცამ უნდა „დააარსოს“, და ხელის მოწერაზე უარს

ამბობენ, სანამ მისი „დამაარსებლები“ ბებელი, ზინგერი და კომპანია დაბეჯითებით არ დაანახვებენ, რომ ახალი საქმე შესაძლებელიც არის და შემოსავლიანიც.

ასეთ შეხედულების გამართლება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კიდევ შეიძლებოდა. დღეს კი სოციალისტურ საზოგადოების განსახორციელებლათ სულაც არაა საჭირო ამ ვაჟბატონების კრედიტი.

კაპიტალისტური საზოგადოება მალე მოჭამს თავის დროს; მისი მოსპობა მხოლოდ დროს კითხვაა; შეუჩერებელი საზოგადოებრივი განვითარება ბუნების პროცესის აუცილებლობით მიდის კაპიტალისტურ წყობილების გაკოტრებისკენ. დღეს არსებულ საზოგადოებრივ ფორმის ადგილას ახალის დამყარება **სასურველ** რამეს კი არ შეადგენს, არამედ **აუცილებელს.**

სულ უფრო და უფრო იზრდება იმ მუშების რიცხვი და ძალა, რომლებისთვისაც არსებული წესი აუტანელი შეიქნა, რომლებიც მისი მოსპობით არაფერს წაგებენ და ყველაფერს კი მოიგებენ, რომლებიც თავის ინტერესების შესაფერ წყობილების შემოღებას ცდილობენ, რომ ნამდვილი ადამიანური ცხოვრება მოიპოვონ.

ყველაფერი ეს ფანტაზია არაა; თანამედროვე წარმოებიდან აღებულ **ფაქტებით** ეს უკვე **დაამტკიცეს** სოციალდემოკრატ მეცნიერებმა. ეს ფაქტები უფრო გასაგები ენით ლაპარაკობენ, ვინემ მომავალ საზოგადოების თუნდ გენიოსურათ დახატული სურათები. ასეთ სურათებს, უკეთეს შემთხვევებში, შეუძლიათ მხოლოდ ის დაამტკიცონ, რომ სოციალისტური საზოგადოება შეუძლებელი არაა; მაგრამ ისინი ვერასოდეს ვერ გამოხატვენ მომავალ ცხოვრების მთელ შინაარსს, და ამით ჩვენი მოწინააღმდეგენი ისარგებლებენ. თუ დავამტკიცებთ ჩვენ,

რომ რომელიმე მოვლენა **აუცილებელია,** ამით არა მარტო იმის დამტკიცება შეიძლება, რომ ის **შესაძლებელია,** არამედ იმისაც, რომ **მარტო ის არის შესაძლებელი.** სოციალისტური საზოგადოება რომ შეუძლებელი ყოფილიყო, მაშინ მოისპობოდა თვით ეკონომიური განვითარებაც. ამ შემთხვევაში თანაქედროვე საზოგადოება უნდა გახრწნილიყო, როგორც ეს ორასი წლის წინათ რომის იმპერიას მოუვიდა, რომ ხელახლა ბარბაროსობას დაბრუნებოდა.

კაპიტალისტურ ცივილიზაციაში დარჩენა შეუძლებელია; ასარჩევია ორი გზა: ან წინ, სოციალიზმის სამყაროში, ან უკან, ბარბაროსობისაკენ.

რაკი საქმის ვითარება ასეთია, სულაც არაა საჭირო, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი რაიმე თვალწარმტაცი სურათით მოვხიბლოთ, ჩვენ მხარეზე გადმოვიყვანოთ და მათი კრედიტით ვისარგებლოთ. ვინც თანამედროვე წარმოების რეალურ ფაქტებს სოციალისტურ საზოგადოების აუცილებლობაში არ დაურწმუნებიათ, ის, სულ ერთია, მაინც ვერაფერს გაიგებს და ვერც წარმოიდგენს იმ წყობილების შესახებ, რომელიც ჯერ არ არსებობს.

დღეს მომავალ სახელმწიფოს გეგმის შემუშავება არა მარტო უმიზნო და უნაყოფოა, ის მეცნიერული მხრითაც შეუძლებელია. უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში ეკონომიურ ცვლილებებთან ერთად ადამიანის აზროვნებაშიც დიდი ცვლილებები მოხდა. დიდი ნაბიჯი წასდგეს წინ საზოგადოებრივ პროგრესის მიზეზების აღმოჩენაში. მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე წლებში მარქსმა და ენგელსმა დაგვანახვეს ჩვენ, — და შემდეგ თვითეულმა წინ გადადგმულმა ნაბიჯმა მეცნიერებაში ეს დაადასტურეს, — რომ კაცობრიობის ისტორიის ბედს

განაგებენ არა ადამიანთა იდეები, არამედ ეკონომიური განვითარება, რომელიც შეუჩერებლათ მიდის წინ. და ემორჩილება არა ადამიანთა სურვილს და ჟინს, არამედ განსაზღვრულ კანონებს. წინა თავებში ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ხდება ეს განვითარება, როგორ ქმნის ის წარმოების ახალ ფორმებს, რომლებიც, თავის მხრივ, საზოგადოების ახალ ფორმებს იწვევენ; ის ბადებს ახალ მოთხოვნილებებს, რომლებიც აიძულებენ ადამიანებს თავის საზოგადოებრივ ურთიერთობაზე იფიქრონ და გამოძებნონ ისეთი საშუალებანი, რომ საზოგადოება წარმოების ახალ პირობებს შეუთანხმონ. ეს შეთანხმება თავის თავად არ ხდება, ის წარმოუდგენელია უაზროთ, უიდეოთ. ამიტომ უაზროვნებოთ, უიდეოთ პროგრესიც შეუძლებელია. მაგრამ საზოგადოებრივ პროგრესის საქმეში იდეები მხოლოდ შუამავლის როლს თამაშობენ. ისინი კი არ იწვევენ ეკონომიურ განვითარებას, როგორც ეს ზოგიერთებს დღესაც გონიათ, არამედ ეკონომიურ ურთიერთობაში მომხდარი ცვლილება.

ამიტომ არა მოაზრენი და ფილოსოფოსნი აძლევენ მიმართულებას საზოგადოებრივ პროგრესს, არამედ თვით ეკონომიური განვითარება. მეცნიერებს შეუძლიათ **გაიგონ** ეს მიმართულება; გაგებით კი მით უფრო კარგათ გაიგებენ, რაც უფრო ღრმათ ჩაუკვირდებიან წინანდელ განვითარების მსვლელობას; მაგრამ მათ არ შეუძლიათ თავის სურვილისამებრ კანონი **დაუწერონ** მას.

მაგრამ ისტორიულ პროგრესის მიმართულების გაგებასაც თავისი საზღვრები აქვს. ადამიანთა საზოგადოების მოქმედება ერთობ რთულია და არც ერთ მკვლევარს, რა რიგ გონება მახვილიც უნდა იყოს ის, არ შეუძლია ისეთი ყურადღებით შეისწავლოს ყველა მისი მხარეები,

რომ დაბეჯითებით შეეძლოს თქმა, როგორი საზოგადოებრივი ფორმები წარმოსდგებიან ამ ძალების ერთმანეთზე გავლენით.

ახალ საზოგადოებრივ ფორმის წარმოშობა ისე კი აო უნდა წარმოვიდგინოთ, ვითომ გამჭრიახ ჭკუის პატრონი ადამიანები შეადგენენ მომავალ საზოგადოების საუკეთესო გეგმას, შემდეგ ნელნელა დაარწმუნებენ სხვებს, რომ ეს გეგმა სასარგებლოა, შეიძენენ საჭირო საშუალებებს და ბოლოს სოციალური შენობის დადგმას შეუდგებიან.

არა, აქამდე ახალი საზოგადოებრივი ფორმები ყოველთვის ხანგრძლივ და ცვალებადობით სავსე ბრძოლის შედეგი ყოფილან. ებრძოდენ ერთმანეთს სხვადასხვა კლასები, ებრძოდენ გაყვლეფილები მყვლეფელებს, რეაქციონერები პროგრესისტებს და რევოლიუციონერებს. ამ ბრძოლის დროს სხვადასხვა კლასთა შორის მრავალგვარი დამოკიდებულება მყარდებოდა მოპირდაპირე კლასების წინააღმდეგ. ხშირათ გაყვლეფილთა ბანაკში რევოლიუციონერები და რეაქციონერები ერთათ იყრიდენ თავს; რევოლიუციონერთა ბანაკში მყვლეფელები და გაყვლეფილები ერთდებოდენ.

ერთ და იმავ კლასში ხშირათ შეხვდებით სხვადასხვა მიმართულებას იმისდა მიხედვით, თუ ვინ რა განვითარების და ტემპერამენტისაა, როგორია მისი სოციალური მდგომარეობა. დასასრულ, ყოველი კლასის ძალა მუდამ იცვლებოდა: ის იზრდებოდა ან ეცემოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო მისი წევრების შეგნება, ორგანიზაცია, კავშირი და მნიშვნელობა ეკონომიურ ცხოვრებაში.

ამ კლასების ცვალებად ბრძოლის პროცესში ნელნელა იხრწნებოდა ძველი საზოგადოებრივი ფორმები, და მათ ალაგას ახლები ჩნდებოდა. მაგრამ ის ახალი, რომელიც ძველს ცვლიდა, ყოველთვის არ წარმოადგენდა ქეშმარიტ ფორმას; ამისთვის საჭირო იყო,რომ რევოლიუციონურ კლასებს ხელში ჩაეგდოთ ბატონობა, და მათ შეგნებას უმაღლეს წერტილამდე მიეხწია. მაგრამ იქ, სადაც ეს არ იყო, ყოველთვის შეცდომები ხდებოდა. ხშირათ ის ახალი ფორმა ისეთივე შეუსაბამო იყო, როგორც უვარგისი ძველი. მაგრამ რაც უფრო მეტ გავლენას ახდენდა ეკონომიური განვითარება, მით უფრო ირკვეოდა მისი მოთხოვნები და უფრო იზრდებოდა რევოლიუციონურ კლასების ძალა, რომლებსაც ისინი ცხოვრებაში უნდა გაეყვანათ. რევოლიუციონურ კლასების მიერ შექმნილი დაწესებულებანი, რომელნიც ეკონომიურ განვითარებას წინ ეღობებოდენ, ნელნელა ეცემოდენ და მალე დავიწყებას ეძლეოდენ; ისეთი დაწესებულება კი, რომელიც აუცილებლობით იყო გამოწვეული, ღრმა ფესვებს იდგამდა და ძველის მოტრფიალეთ ადვილათ არ შეეძლოთ მისი მოშლა.

ასე ჩნდებოდა დღევანდლამდე ყოველი ახალი საზოგადოებრივი ფორმა; ეგრეთ წოდებული რევოლიუციონური ეპოქები სხვებისგან მით განირჩეოდენ, რომ ამ დროს ასეთი ცვლილებები უფრო ჩქარა და უფრო ტრაგიკულათ თავდებოდა, ვინემ ჩვეულებრივ დროს.

ცხადია, რომ საზოგადოებრივი ფორმები ისე არ ჩნდებიან, როგორც არხიტექტურული შენობები. წინდაწინ შედგენილ გეგმას აქ არა აქვს მნიშვნელობა. ამის შემდეგ მომავალ სახელმწიფოს „პროექტების“ წერა ისე-

თივე ბრძნული და სასარგებლოა, როგორც რომელიმე მომავალ ომის ისტორიის შედგენა.

არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს განვითარების მსვლელობა ცალკე პირებზე არ იყოს დამოკიდებული. ვინც მონაწილეობას იღებს საზოგადოების ცხოვრებაში, ყველას აქვს მაზე ესა თუ ის გავლენა. კერძო პიროვნებებს, რომლებიც შესანიშნავი არიან თავისი ნიჭით ან სოციალურ მდგომარეობით მთელ სახელმწიფოს ცხოვრებაზე შეუძლიათ გავლენა იქონიონ, ხან რამდენიმე ათ წლის განმავლობაში. ზოგი პიროვნება ხელს უწყობს პროგრესს მით, რომ ნათელს ფენს საზოგადოებრივ ურთიერთობას, უხსნის ამას ხალხის მასსებს, აკავშირებს რევოლიუციონურ კლასებს, აერთებს მათ ძალებს და მიზნის შესაფერათ ამოქმედებს. ზოგი კი სულ წინააღმდეგ მოქმედებს და ამით ხელს უშლის პროგრესს. პირველი აჩქარებს განვითარებას და ამცირებს ტანჯვას და მსხვერპლებს; მეორე კი უკან ეწევა ცხოვრების ჩარხს, რითაც ამრავლებს მსხვერპლებს და ტანჯვას ამწვავებს. **განვითარების მიმართულების** თავის ნებაზე შეცვლა და მის მომავალ ფორმის წინდაწინ განსაზღვრა არავის არ შეუძლია, — არც უძლიერეს მონარქს და არც უბრძნეს მეცნიერს. ამიტომ სასაცილოა, როცა ჩვენგან მოითხოვენ „მომავალ სახელმწიფოს“ გეგმას. ასეთი მოთხოვნა, რომელიც ჯერ არც ერთ პარტიისთვის არავის წარუდგენია, იმდენათ სასაცილოა, რომ არც კი ღირს მაზე ამდენი სიტყვის დახარჯვა; და თუ ჩვენ მაინც მივაქციეთ მას განსაკუთრებული ყურადღება, ეს იმიტომ, რომ ის უმთავრესი ბრალდებაა, ჩვენ წინააღმდეგ მომართული. სხვები კიდევ უფრო სასაცილოა.

მსოფლიო ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ისეთი რევოლიუციონური პარტია, რომელსაც წინდაწინ შესძლებოდა ეთქვა, მით უმეტეს თავის ქეიფზე დაედგინა, თუ როგორ ფორმას მიიღებს ის საზოგადოება, რომლისკენაც ის მიილტვის. პროგრესისათვის ისიც დიდი იქნებოდა, თუ ასეთი პარტია შეიგნებდა იმ ტენდენციებს, რომლებსაც ამ საზოგადოების დამყარებისთვის ხელი უნდა შეეწყოთ. ასეთ პირობებში რევოლიუციონურ პარტიის მოღვაწეობა არ იყო ინსტინქტიური, არამედ **შეგნებული.** მეტის მოთხოვნა არც სოციალდემოკრატიისაგან შეიძლება.

მაგრამ ჯერ არც ერთ პარტიას არ გამოუკვლევია თავის ეპოქის საზოგადოებრივი ტენდენციები ისე ღრმათ და გარკვევით, როგორც ეს სოციალდემოკრატიამ ქნა.

ეს პარტიის ბედნიერებაა და არა ღვაწლი. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ სოციალდემოკრატია ეყრდნობა ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაზე, რომელმაც პირველმა მიყო ხელი საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამოკვლევას და ხელი შეუწყო რევოლიუციონურ კლასებს, რომლებმაც ფეოდალური წყობილება დაამხვეს, უკეთესათ გაეგოთ თავისი საზოგადოებრივი დანიშნულება და მეტი იმედით ეცქირათ მომავლისათვის, ვინემ ეს სხვა რომელიმე რევოლიუციონურ კლასს შეეძლო. მაგრამ სოციალდემოკრატი მეცნიერები კიდევ უფრო შორს წავიდენ. იმათ უფრო ღრმათ ჩაიხედეს ცხოვრების გულში, ვინემ ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა. მარქსის „კაპიტალი“ საზოგადო აზრით, თანამედროვე ეკონომიურ მეცნიერების ქვა-კუთხედი შეიქნა და რამდენათაც „კაპიტალი“ მაღლა დგას კენეს, ადამ სმიტის და რიკარდოს ქმნილე-

ბებზე, იმდენათ უფრო ღრმათ ესმის თავის დანიშნულება სოციალდემოკრატიას მეთვრამეტე საუკუნის გასულის და მეცხრამეტის დასაწყისის რევოლიუციონურ კლასებთან შედარებით. თუმცა სოციალდემოკრატია უარს ამბობს წარუდგინოს პატივცემულ საზოგადოებას „მომავალ სახელმწიფოს“ სურათი, მაგრამ ბურჟუაზიულ მწერლებს არავითარი საბუთი არა აქვთ დაგვცინონ და აქედან ის დასკვნა გამოიყვანონ, თითქოს ჩვენ არ ვიცოდეთ, რა გვინდა. სოციალდემოკრატიას მომავალი გაცილებით უფრო ნათლათ აქვს წარმოდგენილი, ვინემ თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილების წინამორბედთ — ბურჟუაზიულ ეკონომისტებს.

ჩვენ ვთქვით, რომ რომელიმე მეცნიერს შეუძლია თავისი ეპოქის ეკონომიურ განვითარების **ტენდენციები** გაიგოს, მაგრამ მას არ შეუძლია წინდაწინვე გაითვალისწინოს ის **ფორმა,** რომელშიც ეს ტენდენციები ჩამოყალიბდება. ამ მოსაზრების დასამტკიცებლათ საკმაოა არსებულ ურთიერთობას გადავავლოთ თვალი. კაპიტალისტურ წარმოების ტენდენციები ერთნაირია ყველა იმ ქვეყნებში, სადაც ის გაბატონებულია, და იმავე დროს შეხედეთ, როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისგან სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ფორმები სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში—ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და ამერიკაში !... თანამედროვე წესის მიერ შექმნილ მუშათა მოძრაობის ისტორიული ტენდენციები ყველგან ერთნაირია, მაგრამ ფორმა, რომელსაც ეს მოძრაობა ღებულობს, ყველა ქვეყნებში თავისებურ ხასიათისაა.

დღეს უკვე დანამდვილებით ვიცით კაპიტალისტურ წარმოების ტენდენციები, მაგრამ იმას მაინც ვერავინ იტყვის, თუ როგორ ფორმას მიიღებს კაპიტალისტური

წარმოება 10, 20, 30 წლის შემდეგ, თუ ის აქდენ-ხანს გაგრძელდა! ჩვენგან კი თხოულობენ იმ საზოგადოებრივ ფორმების დახატვას, რომლებიც კაპიტალიზმის შემდეგ დამყარდებიან!

მაგრამ როცა უარს ვყოფთ ჩვენ „მომავალ სახელმწიფოს“ პლანის შედგენას და იმ თანდათანი ცვლილებების აღნუსხვას, რომლებიც მასთან გვაახლოვებენ, ამით იმის თქმა კი არ გვინდა, თითქოს ყოველგვარი მსჯელობა სოციალისტურ საზოგადოების შესახებ უსარგებლო და მავნებელი იყოს. ეს იმას ემგვანებოდა, რომ ვანიდან წყალი გადაასხათ და ბავშვიც თან გადააყოლოთ. უსარგებლო და მავნებელი მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოების ორგანიზაციის **„უტყუარ, განსაზღვრულ პროექტების“** თხზვაა. საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნის განსაზღვრულ პროექტების შედგენა მხოლოდ იმ ადგილისთვის შეიძლება, რომლის შესწავლა მოსახერხებელია, როგორც სივრცის, ისე დროს მხრით და რომელზედაც ჩვენ გავლენა გვაქვს. ამიტომ სოციალდემოკრატიას შეუძლია **დადებითი პროექტები** მხოლოდ აწმყოსთვის შეადგინოს, და არა მომავლისათვის. ის პროექტები, რომლებიც ამაზე შორს მიდიან, ჩვენ წარმოდგენაზე უნდა იქნას დამყარებული და არა **ფაქტებზე** და ეს მათ ფანტაზიის ხასიათს აძლევს. თუ ასეთ პროექტების ავტორი ნიჭიერი კაცია და სხვებზე გავლენა აქვს, ის ბევრს დააშორებს ჭეშმარიტ გზას და ძალების უსარგებლო ფლანგვას გამოიწვევს.

ასეთ ფანტაზიებთან, რომლებიც გადაჭრით უნდა უარვყოთ, საერთო არაფერი აქვს იმის გამოკვლევას, თუ რა მიმართულებას მიიღებს ეკონომიურ განვითარების ტენდენცია მას შემდეგ, როცა ეს განვითარება სო-

ციალიზმის საფუძველზე იქნება დაყრდნობილი. ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა „მომავალ სამზარეულოს რეცეპტებზე“, არამედ იმ მასალების მეცნიერულათ შემუშავებაზე, რომლებიც განსაზღვრულ ფაქტების გამოკვლევამ მოგვცა. ამ გვარი გამოკვლევა სრულებითაც არ არის უსარგებლო, რადგანაც, რაც უფრო ნათლათ გვექნება წარმოდგენილი მომავალი, მით უფრო ნაყოფიერათ მოვიხმართ აწმყოში ჩვენს ძალებს. სოციალდემოკრატიის უფრო შესანიშნავი წარმომადგენლები არ ერიდებოდენ ასეთ გამოკვლევებს. მარქსის და ენგელსის თხზულებებში ბლომათაა გაფანტული ასეთი გამოკვლევები. ასეთ გამოკვლევების სინტეტიური დალაგება ჩვენ მოგვცა ბებელმა თავის ცნობილ წიგნში: „დედა-კაცი და სოციალიზმი“.

ეჭვი არაა, რომ ამაზე არა ერთხელ უფიქრია ყოველ მოაზრე სოციალისტს; და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგანაც, ვისაც რაიმე დიადი მიზანი აქვს დასახული, ის ყოველთვის ცდილობს თავის თავს ანგარიში მისცეს იმაში, თუ რა პირობებში შეიძლება მისი განხორციელება. ამ ნიადაგზე ათასი სხვადასხვა გვარი შეხედულება დაიბადა იმისდა მიხედვით, თუ ვის როგორი ეკონომიური მომზადება ქონდა, როგორი იყო მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა, ტემპერამენტი და იცნობდა თუ არა სხვა რომელიმე არაკაპიტალისტურ საზოგადოებრივ წყობილებას (განსაკუთრებით კომუნისტურს). მაგრამ ეს სხვადასხვაობა სრულიათაც არ არღვევს სოციალდემოკრატიის მთლიანობას.

რა ვუყოთ, რომ ის მომავალი, რომელიც ჩვენ მიზანს შეადგენს, სხვადასხვა მოაზრეს სხვადასხვა ნაირათ აქვს დასურათებული; საქმე ის არის, რომ თვითონ **მიმართუ-**

ლება, რომელშიაც ეს მიზანი მოსჩანს, ერთი და იგივე იყოს და მასთან სწორიც.

ამით შეგვეძლო ეს თავი დაგვესრულებია, რადგანაც თვითეულ სოციალდემოკრატის წარმოდგენას „მომავალ სახელმწიფოზე“ არავითარი დამოკიდებულება არა აქვს იმ კითხვასთან, თუ **რა უნდათ სოციალდემოკრატებს.** ჩვენ გვინდა სახელმწიფოს გარდაქმნა თვითმართველ ეკონომიურ ასოციაციათ. ამ კითხვის შესახებ სოციალდემოკრატები ერთი აზრის არიან. თუ როგორ განვითარდება ეს ასოციაცია და რა ტენდენციებს წარმოშობს იგი — ამაზე ფიქრი სრულიათაც არაა მეტი; მაგრამ ასეთ ფიქრის შედეგი მხოლოდ კერძო პიროა საქმეა, და არ ეხება მთელ პარტიას, რადგან პარტიის მოქმედებაზე არავითარი გავლენა არა აქვს.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ, ერთი მხრით, როგორც უტოპიურ სოციალიზმის ნაშთების გავლენით და მეორე მხრით, გაუნათლებელ ლიტერატორების წყალობით, იმდენი შემცდარი აზრი ვრცელდება საზოგადოებაში იმის შესახებ, თუ რანაირათ აპირებენ სოციალდემოკრატები „მომავალ სახელმწიფოს“ მოწყობას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ზოგიერთ მათგანის სიყალბე არ დავამტკიცოთ. ამიტომ, თუმცა წინა თავიდან ყოველ ქკუაში მყოფ ადამიანისთვის აშკარაა, თუ როგორ უნდა ვუცქეროდეთ „მომავალ სახელმწიფოს“, მაგრამ ჩვენ მაინც დავანახვებთ მკითხველს რამდენიმე მაგალითით იმას, თუ როგორი ფორმის მიღება შეუძლია სოციალისტურ საზოგადოებაში ეკონომიურ განვითარების ტენდენციებს.

7. — „ოჯახის დარღვევა“.

ერთი იმ ცრუმორწმუნეობათაგანი, რომლებიც ყველაზე უფროა გავრცელებული, იმაში მდგომარეობს, თით-

ქოს სოციალდემოკრატიას ოჯახის მოსპობა უნდოდეს. ამის შესახებ ჩვენ მეორე თავში კიდეც ვილაპარაკეთ და ახლა შეგვიძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ.

ოჯახის „მოსპობა“ ე. ი. მისი კანონის ძალით გაუქმება და ძალით დანგრევა პარტიაში ფიქრათაც არავის მოსვლია. მხოლოდ იმას შეუძლია ამის თქმა, ვინც ფაქტებს ტლანქათ ამახინჯებს, და სწორეთ ბრიყვი უნდა იყოს ადამიანი, რომ ოჯახის ამა თუ იმ ფორმის დეკრეტებით შექმნა ან გაუქმება შესაძლებელათ დასახოს.

თანამედროვე ოჯახი სრულიათაც არ ეწინააღმდეგება სოციალისტურ წარმოების შინაარსს. ამიტომ სოციალისტურ წყობილების განხორციელება თავის თავათ სულაც არ თხოულობს ოჯახის არსებულ ფორმის დანგრევას.

არა სოციალისტურ წარმოების არსება, არამედ ეკონომიურ განვითარების მსვლელობა იწვევს თანამედროვე ოჯახის დანგრევას. წინა თავებში ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ იხრწნება ოჯახი **ჩვენ დროში,** როგორ შორდებიან ერთმანეთს ქმარი, ცოლი და შვილი და დაუქორწინებლათ დარჩენა და პროსტიტუცია მასობრივ მოვლენათ ხდება. სოციალისტური საზოგადოება არ შეაფერხებს ეკონომიურ განვითარებას, პირიქით, დააჩქარებს კიდეც. შინაურ მეურნეობის ფუნქციები წინანდებურათ თანდათან სპეციალურ სამრეწველო დაწესებულებების ფუნქციებათ გადიქცევიან, და დედაკაცი შინაურ კერძო მეურნეობაში მომუშავისგან მსხვილ წარმოების მომუშავე გახდება. მაგრამ ეს აღარ იქნება შინაურ მონობის გაცვლა დაქირავებულ შრომის მონობაზე, ოჯახის მფარველობის გაცვლა უმწეო პროლეტარულ მდგომარეობაზე. საზოგადოებრივ მსხვილ წარმო-

ებაში შრომა დედაკაცს ეკონომიურათ მამაკაცთან გაათანასწორებს და საზოგადოებრივ საქმეებში თანასწორ უფლებას მიანიჭებს; ქალი გახდება მამაკაცის თავისუფალი მეგობარი და თავს დაახწევს არა მარტო შინაურ მეურნეობის, არამედ კაპიტალის მონობასაც. ის თავისი თავის სრული ბატონი შეიქნება და ბოლოს მოუღებს ყოველგვარ პროსტიტუციას, როგორც კანონიერს, ისე უკანონოს. და მაშინ მსოფლიო ისტორიაში პირველათ განხორციელდება მონოგამიური ქორწინება, რომელიც მამაკაცისთვისაც და დედაკაცისთვისაც ერთნაირი იქნება.

ყველაფერი ეს უტოპიური პროექტები კი არაა, არამედ ფაქტებით დასაბუთებული მეცნიერული დებულება. ვისაც მისი უარყოფა სურს, მან ჯერ ჩვენი საბუთების სიყალბე უნდა დაამტკიცოს. რადგანაც ეს ჯერ ვერავინ მოახერხა, ამიტომ ორივე სქესის იმ ბატონებს, რომელთაც არ სურთ განვითარების აღნიშნულ პროცესს ანგარიში გაუწიონ, ისღა დარჩენიათ, რომ თავისი ზნეობრივი აღშფოთება გამოსთქვან და სიცრუისა და ფაქტების დამახინჯების წყალობით მაღალ ზნეობით იყოყოჩონ. მაგრამ, ცხადია, ასეთ საშუალებებით ისინი ერთი წუთითაც ვერ შეაჩერებენ აუცილებელ განვითარებას.

ყოველსავე ეჭვს გარეშეა, რომ ოჯახის ტრადიციულ ფორმას ხრწნის არა სოციალდემოკრატია ან სოციალისტურ წარმოების არსება, არამედ ეკონომიური განვითარება, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში ჩვენ თვალ წინ ხდება. სოციალისტური საზოგადოება ვერ შეაჩერებს ამ განვითარებას; ის მოსპობს მხოლოდ იმ ტანჯვა-წვალებას და დაბეცირებას, რომელიც მას თან სდევს კაპიტალისტურ წყობილებაში. და თუ ეს

უკანასკნელი არღვევს ყოველგვარ ოჯახურ კავშირს, ყოველგვარ ცოლქმრულ განწყობილებას, სოციალისტურ საზოგადოებაში თანამედროვე ოჯახის მოსპობას იმდენათ ექნება ადგილი, რამდენათაც მას განდევნის ახალი, უმაღლესი ფორმა.

აი როგორ უყურებს სოციალდემოკრატია ოჯახის და ქორწინების მოსპობის საკითხს.

8. — საკუთრების კონფისკაცია.

ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, თუმცა ჩვენზე უკეთ იციან ჩვენი მისწრაფებანი, და მეტი საშუალებაც აქვთ უფრო კარგათ დახატონ „მომავალ სახელმწიფოს“ სურათი, მაგრამ მაინც მოიგონეს, რომ სოციალდემოკრატია თავის ბატონობას ისე არ შემოიღებს, თუ არ ხელოსნებისა და გლეხების ექსპროპრიაციით (საკუთრების ჩამორთმევით), რომლებსაც ჩამოერთმევა ყველა ქონება—არა მარტო მიწა და სახლი, არამედ ყოველგვარი უსაჭიროესი მოძრავი ქონება და,ასე წარმოიდგინეთ, კასებში შენახული ფულებიც კი. ზემოთ მოყვანილ ბრალდებასთან ერთად, რომელიც ჩვენ ოჯახის ძალით დარღვევის სურვილს გვაწერს, ეს ბრალდებაც ერთი იმ მთავარ საშუალებათაგანია, რომ ლითაც ჩვენ წინააღმდეგ ილაშქრებენ.

ამაზე უნდა ვუპასუხოთ, რომ სოციალისტურ საზოგადოების არსება სულაც არ მოითხოვს ასეთ კონფისკაციას.

სოციალდემოკრატიის პროგრამა არაფერს არ ამბობს კონფისკაციის შესახებ. ამ კითხვაზე ის განზრახ კი არ სდუმს იმ მოსაზრებით, რომ ხალხი არ დააშინოს. საქმე ისაა, რომ ამ საგანზე არაფრის თქმა არ შეიძლება დაბეჯითებით. აშკარაა მხოლოდ ის, რომ ეკონომიურ

განვითარების ტენდენცია აუცილებელს ხდის **მსხვილ საწარმოვო საქმეების** საზოგადო საკუთრებათ გადასვლას. თუ როგორი გზით მოხდება ეს გადასვლა: აუცილებელი ექსპროპრიაცია კონფისკაციის სახეს მიიღებს, თუ გამოსყიდვის, მშვიდობიანი გზით მოხდება თუ ძალდატანებით, — ამას დღეს ვერავინ ვერ იტყვის. შესაძლებელია, რომ ეს გადასვლა მოხდეს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადა სხვა ნაირათ სწორეთ ისე, როგორც ფეოდალურ ბეგრის მოსპობა სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ნაირათ მოხდა. ეს დამოკიდებული იქნება იმ საზოგადო პირობებზე, რომლებიც მაშინ იქნება გაბატონებული და რომელთა წინდაწინ აღნიშვნა ყოვლათ შეუძლებელია — დაინტერესებულ კლასების ძალაზე, მათ შორს მკვრეტელობაზე და სხვ. და სხვ. — ისტორიულ განვითარებაში მოულოდნელი შემთხვევები დიდ როლს თამაშობენ.

სოციალდემოკრატებს, რასაკვირველია, ის უნდათ, რომ მსხვილ სამრეწველო საქმეთა ექსპროპრიაცია, რომელიც აუცილებელი შეიქნა, მოხდეს, რაც შეიძლება, ნაკლებ ტკივილებით, მშვიდობიანათ და საყოველთაო მოწონებით. მაგრამ ისტორიული განვითარება არაა დამოკიდებული არც ჩვენსა და არც ჩვენ მოწინააღმდეგეთა სურვილებზე.

არავითარ შემთხვევაში იმის თქმა არ შეიძლება, თითქოს სოციალდემოკრატიულ პროგრამის განსახორციელებლათ უეჭველათ საჭირო იყოს იმ საკუთრების კონფისკაცია, რომლის ექსპროპრიაციაც აუცილებელი იქნება.

მაგრამ იმის თქმა კი ხელ-აღებით შეგვიძლია, რომ ეკონომიური განვითარება აუცილებლს გახდის არსე-

ბულ საკუთრების მხოლოდ ერთი **ნაწილის** ექსპროპრიაციას. ის თხოულობს საზოგადო საკუთრებას **საწარმოვო საშუალებებზე** და სრულიათაც არ ეხება **პირად მოხმარების საგნებს.** ეს ითქმის არა მარტო სასმელ-საქმლის, ავეჯის და სხვ. შესახებ. მოიგონეთ, თუ რა ვთქვით ჩვენ წინა თავში შემნახველ კასებზე. ისინი წარმოადგენენ ისეთ საშუალებებს, რომლის წყალობითაც არა კაპიტალისტთა კლასების ქონება კაპიტალისტთა განკარგულებაში გადადის. ყოველი უმნიშვნელო დაზოგვა სრულებითაც არაა საკმაო კაპიტალისტურ საქმის დასაწყებათ. შეერთებით კი შესაძლებელია კაპიტალისტური ფუნქციები მიეცეს მათ. როცა კაპიტალისტური საქმეები საზოგადოების ხელში გადასვლას დაიწყებენ, ამით თან და თან შეიზღუდება შემნახველ კასებში მიბარებულ ფულებზე პროცენტების მიღება. ისინი დაკარგვენ **კაპიტალის** ხასიათს და **უპროცენტო** ანუ უბრალო სახმარებელ ფონდათ გადაიქცევიან. მაგრამ ასეთი გადაქცევა სხვაა და მოგროვილ ფულების **კონფისკაცია** კიდევ სხვა.

ასეთი კონფისკაცია საჭირო არ არის ეკონომიურათ, მაგრამ ის პირდაპირ წარმოუდგენელია **პოლიტიკურ** მოსაზრებით. ასეთი მცირე თანხები ეკუთვნის უმეტეს შემთხვევებში გაყვლეფილ კლასებს, რომელთა ძალამაც უნდა მოახდინოს თანამედროვე საზოგადოების სოციალისტურათ გარდაქმნა. სრულებით უანგაროთ უნდა ჩავთვალოთ ეს კლასები, რომ დავიჯეროთ, ვითომ ისინი საწარმოვო საშუალებათა ხელში ჩაგდებას იქიდან დაიწყებენ, რომ თავის ორიოდ გროშს თავის ნებით დაკარგვენ!

მაგრამ სოციალისტურ წარმოების განხორციელება არ თხოულობს არა თუ სახმარ საგნების ექსპროპრიაციას, არამედ არც ყველა მესაკუთრეების საწარმოვო საშუალებათა.

სწორეთ **მსხვილი წარმოება** ხდის აუცილებელს სოციალისტურ წყობილებას. სოციალისტური წარმოება ისე შეუძლებელია, თუ საწარმოვო საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება არ არსებობს. მაგრამ როგორც საწარმოვო საშუალებათა კერძო საკუთრება ეწინააღმდეგება კოლექტიურ შრომას მსხვილ წარმოებაში, სწორეთ ისე სოციალისტური საკუთრება საწარმოვო საშუალებებზე ეწინააღმდეგება წარმოების წვრილ ფორმას.

ამ უკანასკნელის არსებობისათვის, როგორც დავინახეთ, კერძო საკუთრებაა საჭირო. მისი გაუქმება წვრილ წარმოებაში მით უფრო უაზრო იქნებოდა, რადგან სოციალიზმის ტენდენცია თვითონ იქითკენ მიდის, რომ მუშებს საჭირო საწარმოვო საშუალებანი მისცეს. ამიტომ წვრილ წარმოებისთვის ექსპროპრიაციის მოხდენა ნიშნავს იმას, რომ ეხლანდელ მესაკუთრეთ საკუთრება ჩამოვართვათ და შემდეგ ისევ დავუბრუნოთ. ეს კი სისულელე იქნებოდა.

ამიტომ, სოც-ალისტურ საზოგადოებაში გადასვლა სულაც არ თხოულობს წვრილ გლეხების და ხელოსნების ექსპროპრიაციას. ეს გადასვლა არა თუ არაფერს წაართმევს მათ, პირიქით, განსაზღვრულ სარგებლობასაც მოუტანს. აი რაშია საქმე. რადგანაც, როგორც უკვე დავინახეთ, სოციალისტურ საზოგადოებას ექნება ტენდენცია საქონლის წარმოება შესცვალოს საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ წარმოებათ, ის ეცდება აგრეთვე, რომ ანგარიშების გასწორება —

გადასახადები ან, მაგალითად, საზოგადოების კუთვნილებაში გადასულ იპოტეკების (თუ ესენი ამ დროს კიდევ არ იქნებიან მოსპობილი) პროცენტები — ფულის მაგიერ ნატურით ხდებოდეს — მაგალითად პურით, ღვინით, შინაურ პირუტყვით და სხვ.

ეს კი ძალიან შეამსუბუქებს გლეხების მდგომარეობას. ისინი დღესაც ხშირათ ნატრობენ ასეთ ცვლილებას. მაგრამ ეს შეუძლებელია, სანამ საქონლის წარმოება ბატონობს. მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებას შეუძლია ამის შემოღება და მით გლეხთა გაღატაკების ერთ უმთავრეს მიზეზის მოსპობა.

როგორც დავინახეთ, გლეხებისა და ხელოსნების ექსპროპრიაციას ფაქტიურათ თვითონ კაპიტალისტები ეწევიან. **ამ ექსპროპრიაციას სოციალისტური საზოგადოება მოუღებს ბოლოს.**

რა თქმა უნდა, ეკონომიური განვითარება არ შეჩერდება სოციალიზმის დამყარებით. პირიქით ამ განვითარებას მხოლოდ სოციალიზმი მისცემს საშუალებას, რომ განსაზღვრულ საფეხურს გაშორდეს.

როგორც თანამედროვე საზოგადოებაში, ისე სოციალისტურშიც უფრო და უფრო განვითარდება მსხვილი წარმოება და წვრილ წარმოების ადგილს დაიჭერს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მართალია ის, რაც ჩვენ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ ვთქვით. განვითარების მიმართულება იგივე დარჩება, მაგრამ სოციალიზმი ბოლოს მოუღებს ყველა იმ საძაგელ და მტანჯველ მოვლენებს, რომლებიც დღეს თან დაყვებიან ამ განვითარებას; ამას ის მოახერხებს მით, რომ ამ განვითარების ყოველივე ნაყოფს საზოგადოებას გადასცემს.

დღეს გლეხის ან ხელოსნის გადაქცევა მსხვილ წარმოების მუშათ ნიშნავს **მესაკუთრის** პროლეტარათ გადაქცევას. სოციალისტურ საზოგადოებაში კი, როცა გლეხი ან ხელოსანი მსხვილ საწარმოვო საქმის მუშა ხდება, ამით საშუალებას პოულობს მსხვილ წარმოების ნაყოფებით ისარგებლოს; მისი გადასვლა წვრილ წარმოებიდან მსხვილში არ იქნება ქონების პატრონ ადამიანის პროლეტარათ გახდომა, არამედ მცირე ქონებიანის დიდ ქონებიანათ გადაქცევა.

დამოუკიდებელ წვრილ წარმოებას აუცილებლათ მოსპობა მოელის. მაგრამ მხოლოდ სოციალდემოკრატია აძლევს შეძლებას გლეხებს და ხელოსნებს — ისე გახდენ მსხვილ წარმოების მუშები, რომ არ გაპროლეტარდენ. მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში ნიშნავს გლეხურ მეურნეობის და ხელოსნობის დაცემის აუცილებლობა გლეხებისა და ხელოსნების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ეკონომიურ განვითარების მამოძრავებელი ძალა აქ **კონკურენცია** კი არ იქნება, რომელიც ჩამორჩენილ სამრეწველო საქმეებს აქრობს და მათ პატრონებს ექსპროპრიაციას უშვრება, არამედ **მიმზიდველობითი ძალა,** რომლითაც წარმოების უფრო განვითარებული ფორმები და სამრეწველო საქმეები იმოქმედებენ იმაზე, ვინც ასეთ ჩამორჩენილ წარმოებაში მუშაობს.

ეს პროცესი არა თუ არავითარ ტანჯვას არ გამოიწვევს, არამედ უფრო ჩქარაც განვითარდება, ვინემ ის, რომელიც კონკურენციაზეა დამოკიდებული. დღეს, როდესაც წარმოების უმაღლეს ფორმების შემოღება იწვევს ჩამორჩენილ მესაკუთრეთა ექსპროპრიაციას და უზომო ტანჯვა-წვალებას აყენებს მუშათა მასებს, რომელნიც

წარმოებისთვის მეტ ბარგათ ხდებიან, — დღეს ყოველ ასეთ ნაბიჯის გადადგმა სასტიკ წინააღმდეგობას იწვევს. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ თავგამოდებით იცავენ მწარმოებლები ბევრ შემთხვევაში წარმოების ჩამორჩენილ ფორმებს, როგორ თავგანწირვით ეჭიდებიან მათ, სანამ ჯერ კიდევ შერჩენიათ უკანასკნელი ძალა. არასოდეს წარმოების არც ერთი წესი არ ყოფილა ისე რევოლიუციონური, როგორც თანამედროვე; არც ერთს არ მოუხდენია ადამიანის მოქმედების ყველა დარგებში ამდენი ცვლილებები, მაგრამ მაინც რამდენი დახავსებული, ჩამორჩენილი ფორმებია დარჩენილი!.. კერძოთ, მიწათმოქმედებაში ჩვენ დავინახეთ, რომ თუმცა გლეხური მეურნეობა ეცემა და ზოგან იხრწნება კიდეც, მაგრამ მსხვილი წარმოება ვერც ისე ჩქარა სპობს მას.

როდესაც მწარმოებელს იმის შიში აღარ ექნება, რომ დამოუკიდებლობის დაკარგვა მას გააპროლეტარებს, როდესაც მსხვილ საზოგადოებრივ წარმოების უპირატესობა ყველასთვის თვალსაჩინო გახდება; როდესაც ყველას სახსარი მიეცემა ამ უპირატესობით ისარგებლოს — მაშინ მხოლოდ გიჟები მოინდომებენ დაძველებულ ფორმების დაცვას.

ის რაც მსხვილმა კაპიტალისტურმა წარმოებამ მთელი საუკუნის განმავლობაში ვერ მოახერხა, მას სულ მოკლე დროში განახორციელებს სოციალისტური მსხვილი წარმოება: ის შთანთქავს წვრილ წარმოების დახავსებულ ფორმებს, მაგრამ ისე კი, რომ ექსპროპრიაციას არ მიმართავს — მეტ სარგებლობის მიმზიდველ ძალით.

იქ, სადაც გლეხის მეურნეობა ჯერ საქონლის წარმოებათ არ გადაქცეულა, არამედ უმთავრესათ საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება, შესაძ-

ლებელია ამ მეურნეობამ რამდენიმე ხანს სოციალიზმის დროსაც იარსებოს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს გლეხებიც დარწმუნდებიან სოციალისტურ მსხვილ წარმოების უპირატესობაში.

სოფლის მეურნეობაში წვრილი წარმოებიდან მსხვილზე გადასვლას დააჩქარებს და გააადვილებს ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ წინააღმდეგობის მოსპობა; წარმოება ქალაქიდან გადატანილ იქნება სოფელში, — ასეთი ტენდენცია აუცილებლათ ექნება სოციალისტურ საზოგადოებას. სამწუხაროთ, ახლა ნათქვამით უნდა დავკმაყოფილდე, რადგან უფრო დაწვრილებით აღწერა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

9. — ნაწარმოების განაწილება „მომავალ სახელმწიფოში".

ჩვენ გვინდა განვიხილოთ კიდევ მხოლოდ ერთი მუხლი, რომელიც „მომავალ სახელმწიფოს" ეხება და რომელიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანათ მიაჩნიათ. პირველი კითხვა, რომელსაც სოციალისტს აძლევენ, ჩვეულებრივ ასეთია: „როგორ-ღა გაყოფთ თქვენს სიმდიდრეს? ნუ თუ თვითეული ისეთ ნაწილს და იმდენს მიიღებს, რამდენსაც მეორე?"

გაყოფვა! ეს სიტყვა ფილისტერს ჟრუანტელს გვრის ტანში. მთელ მის წარმოდგენას სოციალიზმზე მარტო სიტყვა „გაყოფვა" გამოხატავს.

ჯერ კიდევ არ გასულა დიდი ხანი მას შემდეგ, როცა გერმანიის წარჩინებული მსწავლულნიც იმ აზრისანი იყვენ, რომ კომუნისტებს უნდათ მთელი სიმდიდრე ხალხს გაუყონო.

თუ დღეს ასეთ შეხედულებას, სოციალდემოკრატების პროტესტების მიუხედავათ, მაინც აქვს გადგმული

ფესვები, ამის მიზეზია არა მარტო ჩვენ მოწინააღმდეგეთა უსინდისობა, აქ დამნაშავეა და, შეიძლება, კიდევ უფრო მეტათ, ის გარემოება, რომ მათ არ შეუძლიათ გაიგონ ის ურთიერთობა, რომელიც მსხვილ წარმოების განვითარებამ დაბადა. მათი გონებრივი ჰორიზონტი ვერ გასცილებია იმ შეხედულებას, რომელიც წვრილ მწარმოებელს შეეფერება. ამ უკანასკნელის თვალთა ხედვის ისრით კი „გაყოფვა“ ერთად ერთი შესაძლებელი ფორმაა თავისებურ სოციალიზმის. და მართლაც, გაყოფვა ისეთი ცნებაა, რომელიც ძალიან ახლოს დგას გლეხებთან და წვრილ ბურჟუებთან. საქონლის წარმოების გაჩენის შემდეგ ძველ დროში არა ერთხელ მომხდარა, რომ, როდესაც ზოგიერთი ოჯახები — ვაჭრების და მსხვილ მემამულეების—აუარებელ სიმდიდრეს მოუყრიდენ ხოლმე თავს და გლეხებსა და ხელოსნებს გაჭირვებაში ჩააგდებდენ, ეს უკანასკნელნი მითი შველიდენ თავს, რომ გარეკდენ ხოლმე მდიდრებს და მათ საკუთრებას დაიყოფდენ. სულ ასი წლის წინათ — საფრანგეთის რევოლიუციის დროს, რომელიც კერძო საკუთრების უფლებას ხაზს უსვამდა, გლეხებმა და ხელოსნებმა, მაგალითად, საეკლესიო მამულები დაიყვეს. **დაყოფვა — ეს წვრილ მწარმოებლების სოციალიზმია, ეს არის სოციალიზმი „კონსერვატიულ“ წრეების „სახელმწიფოს ბურჯების‘, —მაგრამ ეს არ არის მსხვილ მრეწველობის პროლეტარიატის სოციალიზმი.**

ბევრი დრო დაიხარჯა, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, გერმანელ ბრძენთაც კი ჩაუტენეს თავში, რომ სოციალდემოკრატები სულაც არ ცდილობენ **დაყოფვას,** არამედ, პირიქით, მათ უნდათ საზოგადოების ხელში მოუყარონ თავი იმ საწარმოო საშუალებებს, რომელიც

მრავალ მესაკუთრეთა შორის არის დაქსაქსული.

მაგრამ ამან კიდევ არ მოსპო კითხვა გაყოფის შესახებ. თუ საწარმოვო საშუალებები საზოგადოებას ეკუთვნის, ცხადია, რომ ამ საშუალებათა შემწეობით დამზადებული ნაწარმოებიც მის განკარგულებაში იქნება. როგორ გაანაწილებს ის თავის წევრთა შორის ამ ნაწარმოებს? თანასწორობის პრინციპის, თუ შრომის მიხედვით? და ამ უკანასკნელ შემთხვევაში ერთნაირათ დაჯილდოვდება თუ არა ყოველგვარი შრომა — ძნელი იქნება ის თუ ადვილი, სასიამოვნო თუ არა სასიამოვნო, წინასწარი მომზადება იქნება მისთვის საჭირო თუ არა?

ამ კითხვის პასუხი საზოგადოთ სოციალიზმის დედა ძარღვათ მიაჩნიათ. არა მარტო ჩვენი მოწინააღმდეგნი, არამედ თვითონ წინანდელი სოციალისტებიც უმთავრეს ყურადღებას ნაწარმოების განაწილებას აქცევდენ. ფურიედან დაწყებული ვეიტლინგამდე და ვეიტლინგიდან ბელლამამდე ბევრს ეცადენ ამ კითხვის გადაწყვეტას და საკვირველი ჭკუამახვილობაც გამოიჩინეს. არც „დადებითი პროექტები“ გვაკლია, რომელთაგან ბევრი იმდენათვე მარტივია, რამდენათაც პრაქტიკული.

მაგრამ ეს საკითხი არსებითათ არც ისე დიდ მნიშვნელოვანია, როგორც ეს ხშირად გვეჩვენება.

წინათ ჩვეულებრივ ნაწარმოების განაწილებას ღებულობდენ, როგორც წარმოებისგან სრულიათ დამოუკიდებელ რამეს. რადგანაც კაპიტალისტურ წარმოების უკულმართობანი და უბედურებანი ყველაზე უწინ ნაწარმოების განაწილების სფერაში იჩენდენ ხოლმე თავს, ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ გაყვლეფილები და მათი მეგობრები ყოველ უბედურების დასაწყისს ნაწარმო-

ების „უსამართლო“ განაწილებაში ხედავდენ.

თავისთავად იგულისხმება, რომ მათ — მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გამეფებულ შეხედულებათა თანახმათ — ეგონათ, ნაწარმოების არსებული განაწილება გაბატონებულ იდეების, უფლებრივ შეხედულებების შედეგი იყო. მაშასადამე, უსამართლო განაწილების მოსასპობათ საჭირო იყო, მათი აზრით, უფრო სამართლიანის და უკეთესის გამოგონება და ხალხის დარწმუნება იმაში, რომ ეს სასარგებლოა. მაგრამ სამართლიანი სხვა რომელი იქნებოდა, თუ არ ის, რომელიც არსებულის წინააღმდეგი იყო. დღეს ტლანქი უთანასწორობა მეფობს. ამიტომ — ერთნი ამბობდენ — განაწილებას პრინციპათ **თანასწორობა** უნდა დაედოსო. დღეს მუქთა ხორა სიმდიდრეში იხრჩობა, მუშას კი შია. ამიტომ — ამბობენ მეორენი — **ყველამ თავის მუშაობის თანაბრათ უნდა მიიღოს** ანუ ახალი რედაქციით, **ყველას მისი შრომის ნაყოფი უნდა მიეცეს.** მაგრამ როგორც პირველს, ისე მეორე ფორმულას მოწინააღმდეგენი გამოუჩნდენ; გაჩნდა მესამე: **ყველას — მოთხოვნილების დაგვარათ.**

მას შემდეგ სოციალისტები იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ ნაწარმოების განაწილება დამოკიდებულია არა საზოგადოებაში გავრცელებულ უფლებრივ შეხედულებებზე და ფორმულებზე, არამედ წარმოების არსებულ წესზე. მემამულეების, კაპიტალისტების და დაქირავებულ მუშების წილი ნაციონალურ სიმდიდრეში განისაზღვრება იმით, თუ თანამედროვე წარმოებაში რა როლს თამაშობენ მიწა, კაპიტალისტურ საკუთრების საგნები და სამუშაო ძალა. რა თქმა უნდა, სოციალისტურ საზოგადოებაში ნაწარმოების განაწილება აღარ იქნება დამოკიდებული ბრმათ მომქმედ კანონებზე, რომლებიც წარ-

მოების მონაწილეთა სურვილის წინააღმდეგ მოქმედებენ. როგორც დღეს რომელიმე მსხვილ სამრეწველო საქმეში წარმოება და ქირის გასწორება წინ და წინ შედგენილ და მოფიქრებულ გეგმის თანახმათ ხდება, სწორეთ ასეე იქნება სოციალისტურ საზოგადოებაში, რომელიც ერთ მთლიანს, ვეებერთელა სამრეწველო საქმეს წარმოადგენს. მაშინ მონაწილენი თვითონ შეიმუშავებენ იმ წესებს, რომლის თანახმათაც უნდა მოხდეს განაწილება. მაგრამ ამ წესების შედგენა თვითონ მონაწილეების ქეიფზე არ იქნება დამოკიდებული, არც რომელიმე პრინციპზე; არა, მას განსაზღვრავს საზოგადოებაში არსებული ფაქტიური ურთიერთობა და ყველაზე უწინ კი **საწარმოო** ურთიერთობა.

მაგალითად, ნაწარმოების განაწილებაზე დიდი გავლენა ექნება შრომის ნაყოფიერების ხარისხს. შესაძლებელია, მრეწველობაში მეცნიერების გამოყენებამ მომავალში ისე ასწიოს შრომის ნაყოფიერება, რომ ხალხს ყველაფერი ჭარბათ ექნეს, რაც კი დასჭირდება; მაშინ ფორმულა: „თვითეულს — მოთხოვნილების დაგვარათ“ ადვილათ, თითქმის თავის თავად გავა ცხოვრებაში. მაგრამ რაც მტკიცეთ უნდა გვწამდეს ამ ფორმულის სამართლიანობა, მაინც ვერაფერს გავხდებით, თუ შრომის ნაყოფიერება ისე მცირე იქნება, რომ გადაჭარბებულ შრომითაც ვერ დავამზადებთ საჭირო ნაწარმოებზე მეტს.

ყოველ შემთხვევაში, ფორმულა: „თვითეულ ადამიანს — მისი შრომის ნაყოფი“ — წარმოების მოთხოვნილებებს შეეჯახება. თუ ამ ფორმულას რაიმე აზრი აქვს, მას სახეში უნდა ქონდეს, რომ საზოგადო შრომის მთელი ნაყოფი სოციალისტურ საზოგადოების წევრთა შორის ნაწილდება. ეს აზრი და აგრეთვე შეხედულება

იმ დიდებულ გაყოფვაზე, რომლითაც ვითომ სოციალისტური რეჟიმი უნდა დაიწყოს, ვერ გასცილებია იმ ცნებებს, რომლებიც წარმოების თანამედროვე წესმა წარმოშობა. მთელი წლის ნაწარმოების ყოველ წლობით დაყოფვა, — ეს იმას ნიშნავს, რომ დაიყოს არა მარტო **პირად** სარგებლობის საგნები, ამ წლის განმავლობაში დამზადებული, არამედ ისეთი საგნებიც, რომლებიც თვით წარმოებისთვისაა საჭირო. ეს ნიშნავს იმას, რომ ნელ-ნელა ხელი შეეუწყოთ საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების შემოღებას.

თვითონ სოციალისტურ წარმოების არსება მოითხოვს, რომ განაწილებულ იქნას მხოლოდ **ერთი ნაწილი** განსაზღვრულ დროს განმავლობაში დამზადებულ ნაწარმოების. რასაკვირველია, ვერ განაწილდება ის საგნები, რომლებიც წარმოების განსაგრძობათ და გასაფართოებლათ (და აგრეთვე მოსალოდნელ ზარალის დასაფარავათ) არიან დანიშნული. ესევე ითქმის აგრეთვე იმ საგნებზე, რომლების დანიშნულებაა ემსახურონ **საზოგადო საჭიროებას** ე. ი. ხელი შეუწყონ საზოგადო დაწესებულებათა — მაგალითად, სასწავლებლების, საავათმყოფოების და სხვ. — დაარსებას, შენახვას და გაფართოებას.

ჯერ კიდევ თანამედროვე საზოგადოებაში ფართოვდებიან ასეთი დაწესებულებანი და მათი რიცხვიც იზრდება; ამ სფერებშიაც მსხვილი წარმოება თანდათან სპობს წვრილს— ამ შემთხვევაში შინაურს. ცხადია, სოციალისტურ საზოგადოებაში განვითარება კიდევ უფრო ჩქარი ნაბიჯით წავა წინ.

ამიტომ სოციალისტურ საზოგადოებაში შედარებით (ნაწარმოების მთელ რიცხვთან) ნაკლები იქნება იმ ნაწარმოების რიცხვი, რომელიც კერძო პირების ხელში

გადავა პირად სარგებლობისათვის, მაშინ როდესაც თანამედროვე საზოგადოებაში ყველა ნაწარმოები კერძო მესაკუთრეების საგნებს — საქონელს წარმოადგენენ. არა მთელი ნაწარმოები, როგორც ეს დღეს არის, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი იქნება დაყოფილი საზოგადოების წევრთა შორის.

მაგრამ ვერც ამ ნაწილს მოიხმარს სოციალისტური საზოგადოება საკუთარ ნებისამებრ; თვით მის განაწილებაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება წარმოების გაფართოების მოთხოვნილებებს. და რადგანაც წარმოება მუდმივ განვითარების და ცვალებადობის პროცესში იქნება, ცხადია, წარმოების განაწილების ფორმაც არა ერთხელ შეიცვლება სოციალისტურ საზოგადოებაში.

სრულიათ უტოპიურია ის აზრი, თითქო საჭირო იყოს განაწილების რაღაც განსაკუთრებულ სისტემის შემუშავება და მისი სამუდამოთ გამოყენება. ამ სფერაშიც, როგორც ყველგან, სოციალისტური საზოგადოება ნახტომებს არ გააკეთებს, არამედ განაგრძობს იმას. რაც მას დახვდება. სიმდიდრის განაწილება სოციალისტურ საზოგადოებაში კიდევ დიდ ხანს მოხდება იმ ფორმით, რომელიც **სამუშაო ქირის** დღევანდელ ფორმის განვითარება იქნება. ის ამ ფორმიდან უნდა გამოვიდეს და რადგანაც სამუშაო ქირის ფორმა არა მარტო დროთა ვითარების გამო იცვლება, არამედ ერთ ჯ იმავე დროსაც კი სხვა და სხვა ნაირია სხვა და სხვა ადგილას, — შესაძლებელია, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში განაწილების ბევრ სხვა და სხვა ფორმებს ექნეს ადგილი; — ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი ტრადიციები და ჩვეულებები დარჩებიან მცხოვრებლებში და როგორ შეიცვლება წარმოების მოთხოვნილებები. სო-

ციალისტური საზოგადოება არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც რაიმე უცვლელი, ერთნაირი, არამედ როგორც მუდამ მოძრავი, ცვალებადი; ის მუდამ ვითარდება, მისი ფორმები მუდმივ იცვლებიან შრომის დანაწილების, მსოფლიო გაცვლა-გამოცვლის და საზოგადოებაში მეცნიერების და ხელოვნების გამეფების წყალობით.

„დაყოფვის“ საკითხთან ერთათ ჩვენი მოწინააღმდეგენი ძალიან იტეხენ თავს „თანასწორობის“ საკითხზე. სოციალდემოკრატებს, მათი სიტყვით, ის უნდათ, რომ საზოგადო ნაწარმოებიდან ყველას თანასწორათ ერგოს. მაშასადამე მუყაითი მუშაც იმდენსვე მიიღებს, რამდენსაც ზარმაცი, მძიმე და არა სასიამოვნო სამუშაოც ისე დაფასდება, როგორც ადვილი და სასიამოვნო; უბრალო მექანიკურ შრომას და ხელოვნურ შემოქმედებას, რომელსაც ხანგრძლივი ვარჯიშობა უნდა, ერთი ფასი ექნება. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში, ყველა ეცდება, რაც შეიძლება, ცოტა იშრომოს, არავინ არ მოკიდებს ხელს მძიმე და არა სასიამოვნო სამუშაოს, არავის არ ექნება ხალისი რამე ახალი შეისწავლოს. ყოველივე ამას ის მოყვება, რომ საზოგადოება გაიხრწნება და ბარბაროსობას დაუბრუნდება. აქედან აშკარაა, რომ სოციალდემოკრატების მისწრაფებანი ვერ განხორციელდებიან.

იმის შემდეგ, რაც ზემოთ უკვე ვთქვით, საჭირო აღარაა ბევრი მტკიცება, რომ ასეთი შეხედულება მეტათ ბრიყვულია. ჩვენ ისე შორს მჭვრეტელები არა ვართ, როგორც ჩვენი მოწინააღმდეგენი, და ამიტომ საბოლოოთ ვერ გადავწყვეტთ საკითხს — დაიკანონებს „მომავალი სახელმწიფო“ შემოსავლის თანასწორობას, თუ არა. მაგრამ რომც მოესურვოს რომელსამე სოცია-

ლისტურ საზოგადოებას ასეთ კანონების გამოცემა და ამას ის დამღუპველი შედეგები მოყვეს, რასაც ჩვენი მოწინააღმდეგენი წინასწარმეტყველობენ, ასეთ შემთხვევაში უნდა უარვყოთ მხოლოდ თანასწორობის პრინციპი, და არა სოციალისტური წარმოება.

შემოსავლის თანასწორობიდან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ სოციალისტური საზოგადოება ვერ განხორციელდება, ჩვენს მოწინააღმეგეებს იმ შემთხვევაში შეეძლოთ, თუ დაამტკიცებდენ: 1) რომ ის თანასწორობა ეწინააღმდეგება წარმოების ინტერესებს. აქამდე მათ ეს არ დაუმტკიცებიათ და ვერც ვერასოდეს დაამტკიცებენ, რადგანაც ადამიანის მოქმედება წარმოებაში დამოკიდებულია არა მარტო სასყიდელზე, არამედ მრავალ სხვა პირობებზე, როგორიცაა მაგალითად: მოვალეობის გრძნობა, თავმოყვარეობა. მოცილეობა, ჩვეულება, შრომის მიმზიდველობა და სხვა. რა სახეს მიიღებს ეს პირობები მომავალ საზოგადოებაში, ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით და შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ჩვენი მოწინააღმდეგენი გამტყუნდებიან. გარდა ამისა მათ უნდა დაამტკიცონ კიდევ 2) რომ შემოსავლის თანასწორობა აუცილებლათ გამომდინარეობს სოციალისტურ წარმოების თვისებისაგან, ასე რომ ის წარმოუდგენელია თანასწორობის გარეშე. მაგრამ ვერც ამას დაამტკიცებენ ისინი, რადგანაც კომუნიზმის — პირველ-ყოფილ ველურების პრიმიტიულ კომუნიზმიდან დაწყებული ჩვენებურ გლეხების სასოფლო და საგვარეულო თემებამდე — დღემდე არსებულ ფორმების ზერელე განხილვაც კი გვიჩვენებს, თუ განაწილების რამდენ ნაირ ფორმების შეთანხმება შეიძლება საწარმოო საშუალებათა საზოგადო საკუთრებას-

თან. დაჯილდოების აწ არსებულ სისტემის ყველა ფორმები — მუდმივი ჯამაგირი, დღიური ქირა, ქირა ნაჭრებზე, პრემია ზედმეტ მუშაობისთვის, სხვა და სხვა მუშაობისთვის სხვა და სხვა ქირა — დაჯილდოების ყველა ეს ფორმები ზოგიერთ ცვლილებებით, რასაკვირველია, შესაძლებელია სოციალისტურ საზოგადოებაში და თვითეულ ამ ფორმას შეუძლია ეს თუ ის ადგილი დაიჭიროს იმის მიხედვით, თუ როგორი იქნებიან საზოგადოების წევრთა ჩვეულება — მოთხოვნილებანი ამა თუ იმ დროს და როგორი იქნება თვით წარმოების მოთხოვნილებები.

ამით ჩვენ, რასაკვირველია, იმის თქმა არ გვინდა, თითქოს შემოსავლის ან სხვა საარსებო პირობების **თანასწორობის** პრინციპი (რომელიც, რასაკვირველია, ერთგვარობათ არ უნდა გვქონდეს წარმოდგენილი) არავითარ როლს არ ითამაშებს სოციალისტურ საზოგადოებაში. მაგრამ ეს თანასწორობა თავს იჩენს არა როგორც ძალ-დატანებით გათანასწორების მიზანი, არამედ როგორც განვითარების ბუნებრივ პროცესის მიზანი, ე. ი. როგორც **განსაზღვრული ტენდენცია.**

ჩვენი მოწინააღმდეგენი გზას უბნევენ მუშებს და წვრილ მესაკუთრეებს, როცა არწმუნებენ, რომ შემოსავლის გათანასწორება კიდევ უფრო დასცემს მათ მდგომარეობას, რადგანაც შეძლებულ კლასების საერთო შემოსავალი, თუ ის დაიყოფება — საკმაო არ იქნება, რომ ღარიბი კლასები საშუალო მდგომარეობის მუშებს გაუთანასწოროს. ამიტომ „თანასწორობის“ გულისთვის თავისი შემოსავლის ნაყოფი უნდა დაკარგონ წვრილმა მესაკუთრეებმა და კარგი ქირის მქონე მუშებმა. სოციალიზმი მათ ზარალს მოუტანს და არა სარგებლობასო.

აქ მხოლოდ ერთი რამ არის მართალი: ღატაკების და ბოსიაკების (ლუმპენ-პროლეტარების) რიცხვი, მათი გაჭირვება ისე დიდია, რომ არა გვგონია მდიდრების აუარებელ შემოსავლის დაყოფვამ მათი მდგომარეობა კარგ ქირის მქონე მუშების მდგომარეობას გაუთანასწოროს. მაგრამ კითხვა იმაშია, ჩაითვლება თუ არა ეს გარემოება იმის საბუთათ, რომ დღევანდელი მშვენიერი წყობილება დავიცვათ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გაჭირვებულ მდგომარეობის ცოტაოდენი შემსუბუქებაც კი, რომელსაც ასეთი განაწილება გამოიწვევს, ნაბიჯის წინ გადადგმა იქნებოდა.

მაგრამ, როგორც ვიცით, კითხვა „გაყოფვას“ კი არ ეხება, არამედ თვითონ **წარმოების წესის შეცვლას. წარმოების კაპიტალისტურ წესიდან სოციალისტურზე გადასვლამ აუცილებლათ უნდა გამოიწვიოს ნაწარმოების რაოდენობის ჩქარი ზრდა.** ნუ დაგვავიწყდება, რომ კაპიტალისტური საქონლის წარმოება დღეს წინ ეღობება ეკონომიურ განვითარებას, ხელს უშლის თანამედროვე საზოგადოების საწარმოო ძალთა ყოველ მხრივ ზრდას. მას არა თუ შეუძლია შთანთქას წვრილი წარმოება, რამდენათაც მას ნებას აძლევს, ხან კიდეც თხოულობს ტეხნიკის პროგრესი, არამედ ყველა არსებულ სამუშაო ძალებსაც ვერ აძლევს ადგილს. ის ფლანგვას ამ ძალებს მით, რომ სულ უფრო და უფრო მეტ ნაწილს ერეკება უსაქმოთ დარჩენილების, ლუმპენ-პროლეტარების, მუქთახორების და სხვ. ბანაკში, მეორე ნაწილს კი მუდმივ ჯარში გზავნის, რაც წარმოებისთვის გამოუსადეგარია.

ყველა ამ სამუშაო ძალებს სოციალისტური საზოგადოება სასარგებლო საქმეს მოუძებნის; ამ წყობილე-

ბის დროს იმატებს მუშების რიცხვი წარმოებაში, შეიძლება ორჯერაც გაიზარდოს, რაც შესაფერათ გაამრავლებს დამზადებულ ნაწარმოების რაოდენობას. წარმოების ასეთი გაფართოებაც საკმაო იქნება იმისთვის, რომ არა მარტო ულარიბეს მუშების, არამედ ყველა მუშების მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

მაგრამ სოციალისტურ საზოგადოებაში გადასვლა, როგორც ზევით დავინახეთ, აგრეთვე ძალიან დააჩქარებდა მსხვილ წარმოების მიერ წვრილის გაქრობას და ამას თან ერთად შესამჩნევათ გაანაყოფიერებდა შრომას საზოგადოთ. მაშინ შესაძლებელი იქნებოდა არა მარტო მუშების შემოსავლის გადიდება, არამედ სამუშაო დროს შემოკლებაც.

ამიტომ მეტის მეტი სისულელეა იმის მტკიცება, თითქოს სოციალიზმი ყველასათვის სიღატაკის თანასწორობას ნიშნავდეს. სოციალისტურ წარმოებაზე გადასვლა აუცილებლათ აამაღლებს **ყველა მშრომელ კლასების** კეთილდღეობას, მათ შორის გლეხების და წვრილ მწარმოებლებისაც. ეს ამაღლება მეტი ან ნაკლები იქნება იმის მიხედვით, თუ რა პირობებში და როგორ ეკონომიურ ურთიერთობის დროს მოხდება ეს გადასვლა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ის **თვალსაჩინო** იქნება. ყოველი შემდეგი ნაბიჯი ეკონომიურ პროგრესის გზაზე უფრო და უფრო წინ წასწევს საზოგადო კეთილდღეობას.

ამას უნდა მივუმატოთ კიდევ ერთი უპირატესობა, რომლითაც სოციალისტური საზოგადოება განსხვავდება კაპიტალისტურისგან. სოციალიზმი მოგვცემს არა მარტო **კეთილდღეობას**, არამედ **არსებობის ისეთ უზრუნველყოფას**, რომლის მოცემა დღეს უდიდეს სიმ-

დიდრესაც არ შეუძლია. თუ კეთილდღეობის გაუმჯობესება დღევანდელ გაყვლეფილებს ეხება, არსებობის უზრუნველყოფა ძვირფასი საჩუქარი იქნება თვით მყვლეფელთათვისაც, რომელთა კეთილდღეობას გაზრდა არც შეუძლია და არც სჭირია. უზრუნველყოფა კი მდიდრებსაც ისევე აკლია, როგორც ღარიბებს და ეს მათ უფრო აწუხებს, ვინემ გაჭირვება; ის არ ასვენებს იმათაც კი, ვინც ფიზიკურ გაჭირვებას არა გრძნობს, ის ისეთი მოჩვენებაა, რომელიც სასახლეებსაც არ სტოვებს.

ყველა მკვლევარნი, რომლებიც კომუნისტურ საზოგადოებებს, მაგალითად ინდოეთის ან რუსეთის თემებს ეცნობოდენ (მათ დარღვევამდე, რომელიც გამოიწვია საქონლის წარმოებამ, სახელმწიფოს ძალდატანებამ, ფულის მეურნეობამ ჭ მის ნიადაგზე აღმოცენებულმა მევახშეობამ), ამჩნევდენ ამ საზოგადოებების წევრთა სულიერ სიმშვიდეს, სასოებას და აუღშფოთებლობას. საქონლის ბაზრის ცვალებადობა მათ არ აფიქრებდათ, საწარმოვო საშუალებანი მათ სრულ განკარგულებაში იყვენ; ისინი თავიანთ მოთხოვნილებისამებრ აწესრიგებდენ შრომას და კარგათაც იცოდენ, თუ რა მოელოდა მათ.

მიუხედავათ ამისა, მაინც არ ყოფილა სრული ის უზრუნველყოფა, რომელსაც ეს პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოებები იძლეოდენ. მათი ბატონობა ბუნებაზე არ იყო დიდი, თვითონ თემებიც პატარები იყვენ. გადამდებ სენს, მოუსავლობას, წყალ-დიდობას და სხვ. ხშირათ დიდი ზარალი მოჰქონდა, და ამ შემთხვევაში მთელი თემი იტანჯებოდა. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ — რამდენათ უფრო უზრუნველყოფილი იქნება სოციალისტურ საზოგადოების არსებობა, რომელიც სიდიდით დღევანდელ სახელმწიფოს საზღვრებს გაუ-

ტოლდება და თანამედროვე მეცნიერების ყოველგვარ ნაყოფით ისარგებლებს

19 — სოციალიზმი და თავისუფლება.

სოციალისტური საზოგადოება რომ თავის წევრებს კეთილდღეობას და უზრუნველყოფას მიანიჭებს — ეს ბევრმა ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა გაიგეს კიდეც, მაგრამ— გვეკამათებიან ისინი—ეს კეთილდღეობა ძალიან ძვირათ დაგვიჯდება, რადგან ის თავისუფლების სრული დაკარგვით იქნება ნაყიდიო ჩიტს გალიაში საჭმელი არ აკლია; ის უზრუნველყოფილია შიმშილისა და სიცივისაგან; მას არ აშინებს მტრის თავ დასხმა. მაგრამ მას აკლია თავისუფლება და ეს უწამლავს მას სიცოცხლეს; ამიტომ ხიფათსა და გაჭირვებაში ცხოვრება ურჩევნია, არსებობისათვის ბრძოლა სწყურია და გამოფრენას ცდილობსო.

სოციალიზმი — ამტკიცებენ ისინი — მოსპობს ეკონომიურ თავისუფლებას, თავისუფლებას შრომისას. ის მიგვიყვანს ისეთ დესპოტიზმამდე, რომელთან შედარებით განუსაზღვრელი აბსოლიუტიზმიც კი თავისუფლებაა, რადგანაც უკანასკნელი ადამიანის მხოლოდ **ერ**-ს მხარეს იმონავებს, სოციალისტური დესპოტიზმი კი **მთელ** ადამიანს.

შიში სოციალიზმის წინაშე ისე დიდია, რომ მისგან ზოგიერთი სოციალისტებიც არ არიან თავისუფალი, მაგალითად ანარხისტები. იმათ ისევე ეშინიათ კომუნიზმის, როგორც საქონლის წარმოების და ცდილობენ ორივეს თავიდან აშორებას... მათი შეერთებით. მათ უნდათ კომუნიზმი და მასთან ერთად საქონლის წარმოება. თეორიაში ეს აბსურდია, პრაქტიკაში კი იგივეა, რაც უკვე დახასიათებული ლიბერალურ „თვითდახმარების“ მუშათა ასოციაციები.

მართალია ის, რომ სოციალისტური წარმოება ვერ შეურიგდება შრომის სრულ თავისუფლებას, ე. ი. მუშის თავისუფლებას იმუშაოს, სადაც, როდესაც და როგორც მას უნდა. მარგამ შრომის ამგვარი თავისუფლება შეუძლებელია ყველგან, სადაც კი რამდენიმე პირი ერთად მუშაობს, კაპიტალისტურ წარმოებაში იქნება ეს, თუ ასოციაციებში. შრომის თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ **წვრილ წარმოებაში,** და ისიც რამდენიმეთ. იქაც კი, სადაც წვრილი წარმოება თავისუფალია სხვა დასხვა შემავიწროებელ წესებისგან --- სავალდებულო მორიგეობითი თესვა, ამქრული ძალდატანება—მუშა დამოკიდებულია ბუნებრივ ფაქტორებზე გლეხი, მაგალითად, დამოკიდებულია ამინდზე, ხელოსანი — ბაზრის მდგომარეობაზე და სხვ. რაც უნდა იყოს, წვრილი წარმოება რამდენიმეთ შესაძლებლათ ხდის შრომის თავისუფლებას და ეს თავისუფლება შეადგენს მისთვის იდეალს, რომელზე უფრო რევოლიუციონერი მიუწდომელია წვრილ ბურჟუასათვის, რომლის გონება წვრილ წარმოებით არის შეპყრობილი.

ასი წლის წინათ, საფრანგეთის რევოლიუციის დროს, ამ იდეალს კიდევ ქონდა ნიადაგი ეკონომიურ პირობებში. დღეს მას ყოველივე ფასი დაეკარგა და ალაგი აქვს მხოლოდ იმ ადამიანების თავში, რომლებიც მას შემდეგ მომხდარ ეკონომიურ რევოლიუციას ვერ ამჩნევენ. წვრილ წარმოების მოსპობა აუცილებლათ იწვევს შრომის თავისუფლების მოსპობას. სოციალდემოკრატები კი არ სპობენ მას, არამედ მსხვილ წარმოების შეუჩერებელი პროგრესი. და სწორეთ ისინი ყველაზე უფრო უწყობენ ხელს შრომის თავისუფლების მოსპობას, ვინც ყველაზე მეტს ყვირის - - კაპიტალისტები.

თავისუფლება არ არსებობს არა მარტო ქარხნულ შრომაში, არამედ ყველგან, სადაც კი პიროვნება ერთი მთელის ნაწილს შეადგენს. ეს თავისუფლება არა აქვს მათ, ვინც მანუფაქტურაში ან შინაურ მრეწველობაში სამუშაოს რომელიმე ნაწილს ასრულებს, ის არ აქვს აგრეთვე იმ მუშაკებს ინტელიგენციიდან, რომლებიც სხვადასხვა გვარ დაწესებულებებში მსახურობენ. არც საავათმყოფოს ექიმმა ტ შკოლის მასწავლებელმა, არც რკინისგზის მოსამსახურემ, ჟურნალისტმა ტ სხვ. შრომის თავისუფლება არ იციან, რადგან იძულებულნი არიან განსაზღვრულ წესებს დაემორჩილონ და განსაზღვრულ დროს და ადგილას იმუშაონ. და რადგანაც — როგორც ზემოთ შევნიშნეთ — მსხვილი წარმოება გონებრივ მოქმედების სფერაშიც არ ასვენებს წვრილს, ამიტომ „გონებრივ მუშაკთათვისაც“ უკვე თანამედროვე საზოგადოებაში მცირდება შრომის თავისუფლება.

რა თქმა უნდა, მსხვილ კაპიტალისტურ წარმოების დროს მუშა რამდენიმეთ კიდევ სარგებლობს თავისუფლებით. თუ მას არ სურს იმუშაოს რომელსამე სამრეწველო დაწესებულებაში, შეუძლია სხვაგან ეძიოს ადგილი; მისი ნებაა ერთი ხელობიდან მეორეზე გადავიდეს. სოციალისტურ საზოგადოებაში კი ყველა საწარმოო საშუალებები **ერთ ხელში** მოიყრის თავს; აქ ალაგი ექნება მხოლოდ ერთს „სამუშაოს მიმცემს“, რომლის გამოცვლაც შეუძლებელი იქნება. მაშასადამე, ამ მხრივ დღევანდელ დაქირავებულ მუშას მეტი თავისუფლება ქონია, ვინემ სოციალისტურ საზოგადოების წევრს. მაგრამ ამას ჩვენ ვერ ვუწოდებთ შრომის თავისუფლებას. საქმე ისაა, რომ რამდენი ქარხანაც უნდა გამოიცვალოს მუშამ, ის ვერც ერთში ვერ პოებს შრომის თავისუფლებსა. ყოველ-

გან ცალკე მუშის შრომა განსაზღვრული და სასტიკათ გაწესრიგებულია. ამას მოითხოვს ტეხნიკური აუცილებლობა.

თავისუფლება, რომლის დაკარგვაც მოელის მუშას სოციალისტურ წარმოების დროს, არ არის შრომის თავისუფლება; არა, ეს არის ბატონის ძებნის თავისუფლება. დღეს ამ თავისუფლებას თავისი მნიშვნელობა აქვს: ეს ერთგვარ მფარველობას უწევს მუშას. ეს კარგათ იცის ყველამ, ვისაც კი ისეთ დარგში უმუშავია, რომელიც მონოპოლიათ არის გადაქცეული. მაგრამ ამ თავისუფლებასაც თანდათან საეჭვოთ ხდის ეკონომიური განვითარება. საქმე ისაა, რომ თავისუფალ ადგილების რიცხვი ყოველთვის ნაკლებია კანდიდატების რიცხვზე. საზოგადოთ უმუშევარი მოხარული უნდა იყოს, თუ ადგილი იშოვა. საწარმოვო საშუალებათა რამდენიმე პირის ხელში მოგროვება იწვევს იმას, რომ მუშას ყველგან ერთი და იგივე „სამუშაოს მიმცემი“ ხვდება, ან ყოველ შემთხვევაში, შრომის ერთი და იგივე პირობები.

ის, რაც ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა კულტურის და თავისუფლების მტერ სოციალდემოკრატების ბოროტ განზრახვათ მონათლეს, წარმოადგენს ეკონომიურ განვითარების ბუნებრივ ტენდენციას თანამედროვე საზოგადოებაში. ეს მართალია როგორც ამ შემთხვევაში, ისე სხვებშიაც.

სოციალდემოკრატია კი არ სპობს სამუშაოს არჩევის თავისუფლებას, როგორც არ სპობს თავისუფლებას თვით მუშაობის დროს, — მას სპობს ეკონომიურ განვითარების მსვლელობა. სოციალდემოკრატიას არ სურს და არც შეუძლია ამ განვითარების შეჩერება, მაგრამ აქაც, როგორც სხვაგან, ის ამ განვითარებას მუშებისათვის უფ-

რო სასარგებლო სახეს აძლევს. მას არ შეუძლია დამოუკიდებელი გახადოს მუშა საწარმოოო ერთეულისგან, რომლის ერთ ბორბალსაც ის შეადგენს; მუშის დამოკიდებულებას კაპიტალისტისაგან, რომლის ინტერესები მის ინტერესებს ეწინააღმდეგებიან, ის შესცვლის დამოკიდებულებათ საზოგადოებისგან, რომელიც სწორუფლებიან ამხანაგებისაგან იქნება შემდგარი და მის ინტერესებს დაიცავს. შესაძლებელია, ასეთი დამოკიდებულება აუტანელათ ეჩვენოს რომელსამე ლიბერალ ადვოკატს ან ლიტერატორს, მაგრამ ასე არ შეხედავს მას თანამედროვე პროლეტარი, როგორც ამას **პროფესიონალური მოძრაობა მოწმობს.** სწორეთ პროფესიონალური კავშირები იძლევიან „სოციალისტურ სახელმწიფოს მტარვალობის“ იმ სურათს, რომელზედაც ჩვენი მოწინააღმდეგენი ყბედობენ. მათში დღეს უკვე სასტიკათ და სისწორით არის მოწესრიგებული თვითეულ წევრის შრომის პირობები, მაგრამ ჯერ არც ერთ წევრს არ მოჩვენებია ეს პირად თავისუფლების აუტანელ შეზღუდვათ. თუ ვინმე საჭიროთ სცნობდა ასეთ „ტეროროიზმისგან“ „შრომის თავისუფლების“ დაცვას — ხშირათ იარაღით ხელში და სისხლის ღვრასაც არ ერიდებოდა — ისევ ექსპლოატატორები, და არა მუშები.. საბრალო თავისუფლება, რომელსაც დღეს სხვა არავინ ყავს დამცველი, გარდა მონათმფლობელებისა!

მაგრამ შრომის თავისუფლების უქონლობა არა მარტო დაკარგავს დამჩაგვრელ ხასიათს სოციალისტურ საზოგადოებაში, პირიქით, ის **საფუძველი შეიქნება** იმ **უმაღლეს თავისუფლებისათვის**, როგორიც აქამდე შესაძლებელი ყოფილა ადამიანთა საზოგადოებაში.

ეგ წინააღმდეგობას გავს, მაგრამ მხოლოდ პირველ შეხედვით.

მსხვილ მრეწველობის გაჩენამდე მწარმოებელი შრომა, ე. ი. შრომა ცხოვრების საშუალებების საპოვნელათ და დასამუშავებლათ ყველა მომქმედ ძალებს ნთქავდა; ის თხოულობდა ყველა ძალების — როგორც ფიზიკურის, ისე სულიერის — მაძრაობაში მოყვანას. ეს მართალია არა მარტო მონადირის და მეთევზის, არამედ გლეხის, ხელოსნის და ვაჭრის შესახებაც: მწარმოებლის მთელ ცხოვრებას მხოლოდ მისი სამრეწველო მოქმედება შეადგენდა. შრომაში იწრთობოდა მისი გრძნობები და ნერვები, ვითარდებოდა მისი შემოქმედების ნიჭი და იბადებოდა ცოდნის წყურვილი. მაგრამ რაც უფრო ვითარდებოდა შრომის დანაწილება, მით უფრო ცალ-მხრივი ხდებოდა თვითონ მწარმოებლის განვითარება. თავის სხეულს და გონებას ის უკვე აღარ ავარჯიშებდა სხვა და სხვა გვარ საქმეზე, აღარ ანვითარებდა ყოველ-მხრივ. ერთ რომელიმე სპეციალურ საქმეში გართულნი, მწარმოებლები კარგავდენ უნარს ცხოვრების მოვლენები გაეგოთ ისე, როგორც ერთი მთელი. ფიზიკურ და სულიერ ძალების ყოველ-მხრივი, ჰარმონიული განვითარება, ბუნების და საზოგადოების საფუძვლიანი შესწავლა, ფილოსოფიური აზროვნება ე. ი. უმაღლეს ჭეშმარიტების ძებნა მხოლოდ ჭეშმარიტებისათვის — ყოველივე ეს მაშინდელ პირობებში მხოლოდ მათთვის იყო მისაწდომი, ვინც საწარმოო შრომისგან თავისუფალი იყო. მანქანურ წარმოების გაჩენამდე ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ თავისი შრომის სხვებზე დაკისრებით, ე. ი. ექსპლოატაციის შემწეობით.

ათინის მიწათ-მფლობელობა და მიწათ-მფლობელი

არისტოკრატია საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა იდეალისტთა და ფილოსოფოსთა თაობის და ერთად ერთ მაგალითს ისეთ მეცნიერთა და მხატვართა, რომელნიც მეცნიერებასა და ხელოვნებას თვითონ მეცნიერებისა და ხელოვნებისთვის ემსახურებოდენ. ის ,ისე უყურებდა შრომას — არა მარტო მონურ შრომას, არამედ თავისუფალსაც — როგორც რაღაც დამამცირებელს და არც უსაფუძვლოთ. ამაყურ გაზვიადებათ არ უნდა ჩაითვალოს **სოკრატის** სიტყვები: „მედუქნეებს ⁄ ხელოსნებს არ აქვთ საკმაო განათლება, რის მიზეზია თავისუფალ დროს უქონლობა, ურომლისოთაც შეუძლებელია კარგი აღზრდა. **ისინი სწავლობენ მხოლოდ იმას, რასაც მათი პროფესია თხოულობს;** მეცნიერებას თავის თავად მათთვის არა აქვს არავითარი მიმზიდველობა. მაგალითად, არითმეტიკას ისინი სწავლობენ მხოლოდ ვაჭრობისათვის და არა იმისთვის, რომ რიცხვების ბუნებას გაეცნონ. მათში დახშულია მაღალი მისწრაფებანი. მრეწველი ამბობს: სიამოვნება, რომელსაც მეცნიერება და სახელი იძლევა, ფულების მოგებას ვერ შეედრება. როგორ დახელოვნებულიც უნდა იყონ თავიანთ საქმეში მჭედელი, დურგალი და მეჩექმე, ისინი უმეტეს შემთხვევაში მონები არიან ,მათ არ იციან ,რა არის მშვენიერება, სათნოება ⁄ სამართლიანობა“ მას შემდეგ ეკონომიური განვითარება წინ წავიდა, შრომის დანაწილება უმაღლეს ხარიხსამდე ავიდა და საქონლის წარმოების ბატონობამ ექსპლოატატორები და განათლებული პირები მრეწველობის მორევში ჩააგდო. როგორც ხელოსნები და გლეხები, ისე მდიდარი ხალხიც სავსებით ჩაითრია სამრეწველო მოქმედებამ. არა გიმნაზიებში ⁄ აკადემიებში იკრიბებიან ისინი, არამედ ბირჟებზე ⁄ ბაზრებზე. სპეკულიაცია,

რომელსაც ისინი მისდევენ, არ ეხება სამართლიანობის და ჭეშმარიტების ცნებებს, არამედ მატყლს, არაყს, რუსეთის სესხებს და პორტუგალიის კუპონებს. ეს სპეკულიაცია ნთქავს მათ სულიერ ძალებს. ასეთ „მუშაობის“ შემდეგ მათ რჩებათ დრო და ხალისი მხოლოდ მსუბუქ სიამოვნებისათვის.

რაც შეეხება განათლებულ ხალხს, მისთვის განათლება, როგორც დავინახეთ, საქონელი გახდა. არც მას აქვს დრო და სურვილი, რომ ჭეშმარიტება და იდეალი უანგაროთ ეძიოს. ყველა თავის სპეციალურ საქმეს უნდება და დაკარგულათ მიაჩნია ის დრო, რომელიც ისეთ რამის შესწავლას მოანდომა, რაც ცხოვრებაში არ გამოადგება. ეს არის იმის მიზეზი, რომ დღეს საშუალო სასწავლებლებიდან ბერძნულ და ლათინურ ენების განდევნას ცდილობენ. მათ ამოქმედებს არა პედაგოგიური მოსაზრებები, არაემდ იმის სურვილი, რომ ახალგაზდობამ შეისწავლოს მხოლოდ ის, რაც ცხოვრებაში „გამოადგება“ ე. ი. ფულათ გადაიქცევა.

როგორც მეცნიერების, ისე ხელოვნების წარმომადგენლებიც ჰკარგვენ მისწრაფებას ყოველ მხრივი, ჰარმონიული განვითარება მიიღონ. ყველგან მხოლოდ ცალმხრივ სპეციალიზაციას ვხედავთ. მეცნიერება და ხელოვნება უბრალო ხელობამდე ჩამოქვეითდა. მათ შეეფერება სწორედ ის, რაც სოკრატმა ხელოსნებზე თქვა. ფილოსოფიური სული ქრება — ე. ი. ქრება ხსენებულ კლასებში.

მაგრამ დროთა ვითარების გამო გაჩნდა ახალ ჯურის შრომა — მანქანური — და ახალი კლასი — პროლეტარიატი.

მანქანა შრომას ყოველივე სულიერ შინაარს უკარგავს.

მანქანაზე მომუშავეს ფიქრი არ სჭირია — ის პასიურათ უნდა ემორჩილებოდეს მანქანას. მანქანა უჩვენებს მას, რაც უნდა ქნას; ის მანქანის მაჩანჩალა ხდება. რაც მანქანურ შრომის შესახებ ვთქვით, თითქმის იგივე უნდა ვთქვათ მანუფაქტურასა და შინაურ მრეწველობაში მუშაობის შესახებაც, თუ ის საქმის მხოლოდ ნაწილს ხმარდება. ხელოსნის შრომის დაყოფვა რამდენიმე პატარა სამუშაოებათ, რომელთაგან თვითეული — ერთ ან რამდენიმე ოპერაციის შემწეობით — ნაწარმოების მხოლოდ ერთ რომელიმე ნაწილს ქმნის, როგორც ვიცით, მანქანურ შრომის დასაწყისს წარმოადგენს.

ცალმხრივი და იდეას მოკლებული მუშაობა თავდაპირველათ პროლეტარის სულის თვალსაჩინოთ დაცემას იწვევს.

მაგრამ ამას გარდა ხდება ისიც, რომ პროლეტარი გრძნობს აღშფოთებას მეტად გრძელ სამუშაო დროს წინააღმდეგ. მისთვის მუშაობა და ცხოვრება ერთი და იგივე აღარ არის. მისთვის ცხოვრება იწყება იქ, სადაც მუშაობა თავდება. როცა მისი ცხოვრება და მუშაობა ერთდებიან, მაშინ **შრომის თავისუფლება** მისთვის იგივეა, რაც **თავისუფალი ცხოვრება**. მაგრამ მუშა, რომელიც მხოლოდ მაშინ ცხოვრობს, როცა არ მუშაობს, **თავისუფალი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა შრომისგან განთავისუფლდება.** რა თქმა უნდა, ამ კატეგორიის მუშათა მოთხოვნილება ყოველგვარ სამუშაოსგან განთავისუფლებამდე ვერ მივა, რადგან შრომა ცხოვრების აუცილებელი პირობაა. ისინი ცდილობენ იმდენათ შეამოკლონ აუცილებელი სამუშაო, რომ ცხოვრებისათვის დარჩეს დრო.

ეს მისწრაფება ერთი იმ უძლიერეს საფუძველთაგა-

ნია, რომელზედაც დაყრდნობილია პროლეტარების ბრძოლა სამუშაო დღის შესამოკლებლათ. ძველ მიმართულების გლეხები და ხელოსნები ამ ბრძოლას გაშტერებით უყურებენ. ეს ბრძოლა არ არის მიმართული წვრილმან ეკონომიურ გაუმჯობესებისაკენ, როგორიცაა მაგ. სამუშაო ქირის გადიდება ან უმუშევართა რიცხვის შემცირება; ყველა ამას მნიშვნელობა აქვს სამუშაო დროსთვის ბრძოლაში, მაგრამ არსებითად ეს ბრძოლა არის **ბრძოლა ცხოვრებისათვის.**

ამავე დროს იმ ფაქტიდან, რომ მანქანამ შრომას სულიერი შინაარსი დაუკარგა, გამომდინარეობს კიდევ ერთი შედეგი: საწარმოო მოქმედებისგან პროლეტარის სულიერი ძალები ისე არ სუსტდება, როგორც სხვა მწარმოებლების; ამ დროს განმავლობაში მათ სძინავთ. სამაგიეროთ მით მეტი სურვილი აქვთ პროლეტარებს, რომ ეს ძალები მუშაობის გარეშე აამოქმედონ, თუ კი ეს უკანასკნელი მათ რამდენიმეთ მაინც ამის ნებას აძლევს. თანამედროვე საზოგადოების ერთ დამახასიათებელ თვისებათაგანს შეადგენს პროლეტარიატის მისწრაფება განათლებისადმი. იმ დროს, როცა სხვა კლასები ცდილობენ, რაც შეიძლება, უშინაარსოთ გაატარონ თავისუფალი დრო, პროლეტარიატი დაუცხრომელ ენერგიით მიისწრაფვის განათლებისაკენ. მხოლოდ მას შეუძლია სრული წარმოდგენა იქონიოს პროლეტარიატის განათლებისაკენ მასწრაფების შესახებ, ვისაც პროლეტარებს შორის უმოქმედნია. მაგრამ გარეშე პირსაც შეუძლია ამის გაგება, თუ ის შეადარებს მუშების გაზეთებს და ბროშიურებს იმ ლიტერატურას, რომელიც საზოგადოების სხვა კლასებშია გავრცელებული.

და ეს მისწრაფება განათლებისადმი სრულიათ უან-

გარეა. მანქანაზე მომუშავეს განათლება შემოსავალს ვერ მოუმატებს. ის ეძებს ჭეშმარიტებას თვითონ ჭეშმარიტებისათვის, და არა ნივთიერ სარგებლობისათვის. ამიტომ ის არ კმაყოფილდება ერთ რომელიმე ვიწრო დარგით; მისი ყურადღება მთელისკენ არის მიპყრობილი; მას უნდა გაეცნოს მთელ საზოგადოებას, მთელ ქვეყნიერებას. ყველაზე უფრო მას უძნელესი კითხვები აინტერესებს, განსაკუთრებულ სიყვარულით კიდებს ის ხელს ფილოსოფიას და მეტაფიზიკას და ხშირად ძალიან ძნელია მისი ზეციდან კვლავ დედამიწაზე ჩამოყვანა.

არა თვითონ ცოდნა, არამედ მისდამი მისწრაფება ქმნის ფილოსოფოსს. აბუჩათ აგდებულ და გაუთლელ პროლეტარებში ხელ-ახლა იღვიძებს ფილოსოფიური სული რომის არისტოკრატიის გამოჩენილ მოაზრეთა. მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში შეუძლებელია ამ სულის თავისუფალი განვითარება. პროლეტარებს არა აქვთ სწავლის საშუალება: სისტემატიურ სწავლისათვის მოუმზადებელნი, ისინი უსისტემო თვით-განვითარების ყოველგვარ სიძნელეს იტანენ და ყველაზე უწინ მათ არ მოეპოებათ თავისუფალი დრო: მეცნიერება და ხელოვნება მათთვის აღთქმული ქვეყანაა, რომელსაც ისინი შორიდან უცქერენ, რომლისთვისაც იბრძვიან, მაგრამ შიგ შესვლას კი ვერ ახერხებენ.

მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვება მოუპოებს პროლეტარიატს განათლების ყოველ-გვარ წყაროებს; მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვება შეამოკლებს მუშის არსებობისთვის საჭირო შრომას იმდენად, რომ მას საკმაო დრო ქონდეს ცოდნის შესაძენად. წარმოების კაპიტალისტური წესი ულვიძებს პროლეტარებს ცოდნის წყურვილს,

მაგრამ მხოლოდ სოციალისტურ წყობილებას შეუძლია მისი დაკმაყოფილება.

არა შრომის თავისუფლება, არამედ შრომისგან განთავისუფლება, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებაში სავსებით შესაძლებელი იქნება მანქანურ წარმოების წყალობით, მიანიჭებს კაცობრიობას **სიხარულით** სავსე **ცხოვრებას, მეცნიერების და ხელოვნების თავისუფლებას, თავისუფლებას უკეთილშობილეს სიამოვნებისათვის.**

ის ბედნიერი ჰარმონიული განვითარები, რომელსაც მსოფლიო ისტორიაში აქამდე მხოლოდ ერთხელ ქონდა ალაგი, როგორც არისტოკრატთა რჩეულ ჯგუფის პრივილეგიას, ყველა განათლებულ ხალხების საზოგადო კუთვნილებათ გადაიქცევა; რასაც პირველისთვის მონა აკეთებდა, უკანასკნელთათვის მას მანქანა შეასრულებს და ესენი იგემებენ შრომის განთავისუფლების ყველა სიტკბოებას, მაგრამ ისე კი, რომ თავს დაახწევენ ყველა იმ გავლენას, რომლის წყალობით მონათ-მფლობელობამ ათინის არისტოკრატიის გადაშენება გამოიწვია. და რამდენათაც მეცნიერების და ხელოვნების წყარო დღეს უფრო მდიდარია, ვინემ ორი ათასი წლის წინათ; რამდენათაც თანამედროვე კულტურული ქვეყანა მაღლა დგას პაწია საბერძნეთზე, იმდენათ სოციალისტური საზოგადოება თავისი ზნეობრივი სიდიადით და მატერიალურ კეთილ-დღეობით წინ გაუსწრებს თვით საუკეთესო საზოგადოებას, რომელსაც ოდესმე ალაგი ქონია ისტორიაში.

ბედნიერია ის, ვისაც წილათ ხვდა ასეთ მშვენიერ იდეალისთვის ბრძოლას მოახმაროს თავისი ძალ-ღონე!

V.

კლასობრივი ბრძოლა.

1. — სოციალიზმი და შეძლებული კლასები.

როგორც ზემოთ უკვე დაწვრილებით განვმარტეთ, კაპიტალისტურ წარმოების სოციალისტურით შეცვლა არა მარტო ღარიბების და გაყვლეფილებისთვისაა სასარგებლო, არამედ მთელი საზოგადოებრივი განვითარებისთვის, ე. ი. რამდენიმეთ შეძლებულებისა და მყვლეფელებისათვისაც. წარმოების თანამედროვე წესის უკუღმართობა მათაც სტანჯავს; ერთს უსაქმობა უხუთავს სულს, მეორე მოსაგების ძებნაში ღუპავს თავის ძალას, და საზოგადოთ, ყველას თავს დასტრიალებს დამოკლის მახვილი გაკოტრების და პროლეტარების ბანაკში გადასროლისა.

მაგრამ მიმოიხედეთ გარეშემო — და თქვენ დარწმუნდებით, რომ შეძლებულების და მყვლეფელების დიდი უმრავლესობა არა მარტო უნდოთ და ეჭვის თვალით უცქერის სოციალიზმს, არამედ მისი სასტიკი მტერიცაა.

არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს მარტო ცოდნის და საკმაო დაკვირვების უქონლობა იყოს ამის მიზეზი. სიციალიზმის მტრების წინამძღოლობას სწორეთ ისინი კისრულობენ, ვისაც ისეთი ალაგი უჭირავს სახელმწიფოში, საზოგადოებაში და მეცნიერებაში, რომ შეძლება აქვს საზოგდაოებრივი ურთიერთობა შეისწავლოს და საზოგადოებრივ განვითარების მიმართულებას ალღო აუღოს. საზოგადოების მდგომარეობა კი იმდენათ უნუგეშოა, რომ ვერც ერთი ადამიანი, რომელიც მეცნიერებასა და პოლიტიკასთან დაახლოვებულია, ვერ უარ-

ყოფს სოციალისტურ კრიტიკის სამართლიანობას. პირიქით, არასოციალისტურ პარტიების უგანათლებულესი წევრებიც კი თანახმა არიან, რომ ის რამდენიმეთ სიმართლეს შეიცავს. ზოგი პირდაპირ აცხადებს, რომ სოციალიზმის გამარჯვება აუცილებელია ,რასაკვირველია. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება არ გასწორდება, რაც სრულებით არაა ძნელი — საკმაოა დააკმაყოფილოთ იმ პარტიის სოციალური სურვილები, რომელსაც მრჩეველი ეკუთვნის.

ამნაირათ, ლოლიკურ ნახტომების შემწეობით იშორებენ თავიდან იმ დასკვნას, რომელიც სოციალისტურ კრიტიკისაგან გამოდის — ასე გასინჯეთ, არასოციალისტურ პარტიების ის მომხრეებიც კი, რომლებსაც ყველაზე უფრო კარგათ ესმით ეს კრიტიკა.

ძნელი არ არის ამ უცნაურ მოვლენის მიზეზის პოვნა.

საქმე ის არის, რომ თუმცა მესაკუთრეთა ზოგიერთი თვალსაჩინო ინტერესები ვერ ეგუებიან საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრებას, მაგრამ, სამაგიეროთ, სხვა უფრო დიდმნიშვნელოვანი ინტერესები მის შენახვას მოითხოვენ.

თავისთავათ ცხადია, რომ ყველაზე უწინ ეს ითქმის მსხვილ მესაკუთრეების, **მდიდრების** შესახებ. საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობა მათ ვერ მოუტანს პირდაპირ სარგებლობას; ამ მოსპობის კეთილი შედეგები, რასაკვირველია, მათაც მოუტანს სარგებლობას, მაგრამ შედარებით ის მცირე იქნება, ზარალი კი აქედანვე ცხადათ სჩანს, როგორც ხელის გულზე; ძლიერების და პატივის დაკარგვის გარდა, შეიძლება, ზოგიერთმა კმაყოფილებით სავსე ცხოვრე-

ბაც კი დაკარგოს — იმ გარემოების მიხედვით, რომელ-შიაც სოციალური რევოლიუცია მოხდება.

სულ სხვაა მესაკუთრეთა დაბალი, გაყვლეფილი წრეები — წვრილი ხელოსნები, წვრილი გლეხები და სხვ. მათ არ უნდა აშინებდეს პატივის და გავლენის დაკარგვა, მათი ცხოვრება კი მხოლოდ გაუმჯობესდება სოციალისტურ წყობილების დამყარებით და განვითარებით. მაგრამ ამის გასაგებათ საჭიროა, რომ ისინი თავის კლასის შეხედულებების წრეს გასცილდენ. „მეშჩანინის“ ან წვრილ გლეხების ვიწრო შეხედულებით გაუგებარია კაპიტალისტური წყობილება, რომლის შედეგებს ისინი საკუთარ ზურგზე გრძნობენ, მაგრამ კიდევ უფრო გაუგებარია მათთვის თანამედროვე სოციალიზმი. მათთვის თავისთავათ იგულისხმება მხოლოდ ის, რომ მათი კერძო საკუთრება იმ საწარმოო საშუალებებზე, რომლებსაც ისინი ფლობენ, ხელუხლებელი უნდა დარჩეს.

სანამ ხელოსანს ხელოსნათ ეგულება თავი, გლეხს — გლეხათ და წვრილ ვაჭარს — წვრილ ვაჭრათ, სანამ მათი კლასობრივი შეგნება ძლიერია, ისინი მაგრათ ეჭიდებიან კერძო საკუთრებას საწარმოო საშუალებებზე და რა ცუდათაც უნდა ცხოვრობდენ, სოციალიზმს მაინც არ მიემხრობიან.

ზემოთ ერთ ერთ თავში ჩვენ უკვე დავინახეთ, როგორ მიუჯაჭვავს კერძო საკუთრებას დაღუპვის გზაზე შემდგარი მეშჩანები და წვრილი გლეხები მათ ჩამორჩენილ წარმოებაზე იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს წარმოება მათ მცირე მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებს და მხოლოდ დაქირავებულ მუშებათ გახდომას შეეძლო მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. ასე, კერძო საკუთრების ძალამ წარმოების არსებულ წესს მიაკრა

ყველა კლასები, ის გაყვლეფილებიც კი, რომელთა ქონება „საკუთრების“ მხოლოდ მწარე კარიკატურას წარმოადგენს.

წვრილ ბურჟუებსა და წვრილ გლეხებს შორის მხოლოდ ისეთებს შეუძლიათ სოციალიზმს მიემხრონ, რომელთაც აღარ სწამო თავიანთ კლასის მომავალი და რომელნიც უკვე შეურიგდენ იმ აზრს, რომ წარმოების ის ფორმები, რომელნიც მათი ხელობის წყაროს შეადგენენ, გაქრობას ვერ ასცდებიან. მაგრამ უმეცრება და თვალთახედვის სივიწროვე — გლეხების და წვრილ ბურჟუაზიის ცხოვრების ბუნებრივი შედეგი — ძალიან უშლის მათ ხელს, რომ თავიანთი უნუგეშო კლასობრივი მდგომარეობა გაიგონ. დღევანდლამდე გაჭირება და მისგან თავის დასახწევ საშუალებათა ძებნა მათ ხშირათ ხდიდენ ურცხვ დემაგოგების მსხვერპლათ, რომელნიც მათ გაკეთებას“ პირდებოდენ.

მესაკუთრე კლასთა საშუალო წრეები უფრო განათლებული არიან, მათი თვალთახედვის ისარი უფრო ფართეა. აქა-იქ ნასწავლ პირებს შორის დღეს კიდევ შეხვდებით ძველ იდეალიზმის ნაშთებს, რომელიც „განმანათლებელთა“ და ახლათ გამოღვიძებულ ბურჟუაზიის რევოლიუციონურ ბრძოლის ეპოქიდან მომდინარეობს. მაგრამ ვაი იმ ბურჟუას, რომელიც სოციალიზმს ყურადღებას მიაქცევს და მის სასარგებლოთ მუშაობას დაიწყებს! ის მალე უნდა გამოეთხოვოს იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც, მართალია, მას ზღუდავს, მაგრამ იმავე დროს ეხმარება კიდეც. მხოლოდ ზოგიერთებს აქვთ საკმაო გამბედაობა და დამოუკიდებლობა, რომ აქამდე მივიდენ, და ამ ზოგიერთებში მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლია თავის კლასს აშკარათ ჩამოშორდეს. მაგრამ

ამ რჩეულთაგანაც უმრავლესობა მალე იქანცება, „ქკვიანდება“ და თავის „უმაწვილურ გატაცებებს“ აბუჩათ იგდებს. ქონებიან ბურჟუაზიიდან მხოლოდ **იდეალისტებს** თუ შეუძლიათ სოციალიზმს მიემხრონ, მაგრამ ამ იდეალისტების დიდი უმრავლესობა, რომელსაც უფრო ღრმათ აქვს შეგნებული საზოგადოებრივი ურთიერთობა და მის მიერ წამოყენებული საკითხები, ამაოთ ეძებს „სოციალურ კითხვის“ „მშვიდობიანი“ გზით გადაწვეეტას, ისეთ გადაწყვეტას, რომლის შემწეობით შესაძლებელი გახდება მათი ცოტათ თუ ბევრათ სოციალისტურ შეგნების და სინდისის შეთანხმება ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებთან; სხვანაირათ რომ ვთქვათ, ისინი ეძებენ სველ ცეცხლს და მგზნებარე წყალს. ბურჟუაზიიდან მხოლოდ იმ იდეალისტებს შეუძლიათ ნამდვილი სოციალისტები გახდენ, რომლებიც არ კმაყოფილდებიან აუცილებელ თეორეტიულ შეგნებით და შინაგან კავშირთან ერთათ ბურჟუაზიასთან გარეგან კავშირსაც სწყვეტენ.

ერთი სიტყვით, ქონებიანი კლასები სოციალიზმისთვის თავს არ შეიწუხებენ· ამ კლასების თითო-ოროლა წარმომადგენლებს შეუძლიათ მას მიემხრონ, მაგრამ ამ შემთხვევაში ესენი თავის შეგნებით აღარ იქნებიან იმ კლასების წევრები, რომელთაც თავისი ეკონომიური მდგომარეობით ეკუთვნიან. ასეთების რიცხვი მუდამ უმნიშვნელო იქნება, რევოლიუციონურ ხანას გარდა, როცა სასწორი თვალსაჩინოთ გადიხრება სოციალიზმისაკენ. მაშინ, უეჭველია, შეძლებულ კლასების დროშის ქვეშ მდგომთა რიცხვი შესამჩნევათ იკლებს. ჯერჯერობით კი სოციალისტურ ჯარის მოსაკრეფათ ერთად ერთს ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენენ არა ის კლასები, რომლებსაც რისიმე დაკარგვა შეუძლიათ — თუნდაც ძალიან

უმნიშვნელო იყოს ეს — არამედ ისინი, „რომლებიც არაფერს დაკარგვენ, გარდა თავის ბორკილებისა, და მთელ ქვეყანას კი შეიძენენ“.

2. — ქარგლები და მოსამსახურეები.

მაგრამ ქონებას მოკლებულთა ყველა წრეები როდი წარმოადგენენ ნაყოფიერ ნიადაგს სოციალდემოკრატიის პროპაგანდისათვის.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, ვერ შევეხებით პროლეტარიატის ბუნებით ისტორიას: მისი უმთავრესი მუხლები ჩვენ კიდეც აღვნიშნეთ მე-II-ე თავში, როცა ლაპარაკი გვქონდა პროლეტარიატის მნიშვნელობაზე წარმოების თანამედროვე წესისთვის. მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ რა როლს თამაშობენ თანამედროვე ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლაში პროლეტარიატის სხვადასხვა წრეები.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ფილისტერების საყვარელი თქმულება, ვითომ ღარიბები მუდამ არსებობდენ, ტყუილია; მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ სიღარიბეც ისეთი ძველი მოვლენაა, როგორც საქონლის წარმოება. მართალია, ძველ დროში ის ჩვეულებრივ მხოლოობით მოვლენას წარმოადგენდა. მაგალითად, საშუალო საუკუნოებში დიდი არ იყო იმათი რიცხვი, ვისაც დამოუკიდებელ წარმოებისთვის საკმაო საშუალებები არ ქონდა, და ბევრ იმათგანს ადვილათ შეეძლო რომელსამე შეძლებულ ოჯახში დამდგარიყო თანაშემწეთ, ქარგლათ, მუშათ ან მოსამსახურეთ. უმეტეს შემთხვევაში ესენი იყვენ ისეთი ახალგაზდები, რომლებსაც იმედი ქონდათ, რომ ახლო მომავალში საკუთარ

წარმოებას და საკუთარ სახლ-კარს გაიჩენდენ; ყოველ შემთხვევაში მათ მასპინძელთან ერთად უხდებოდათ მუშაობა და თავიანთ შრომის ნაყოფითაც ერთად სარგებლობდენ. როგორც მასპინძლის ოჯახის წევრები, ისინი პროლეტარები არ იყვენ, მასპინძლის ჭირი და ლხინი მათი ჭირი და ლხინი იყო. აქა-იქ, მიყრუებულ ადგილებში, დღემდე არსებობს ამგვარი პატრიარქალური ურთიერთობა. იქ, სადაც მუშა მასპინძლის ოჯახს ეკუთვნის, ის საკუთრების მომხრეა, თუმცა თვითონ მოკლებულია ამ საკუთრების, იქ სოციალიზმისთვის ნიადაგი არ მოიპოება.

ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდენ ხელოსანი ქარგლებიც (იხ. თავი II. 1)

მუშებისა და ქარგლების გვერდით წარმოიშვა განსაკუთრებული კლასი მოსამსახურეთა. ქონებას მოკლებულთა ერთი ნაწილი მსხვილ ექსპლუატატორებთან შევიდა მოსამსახურეთ — ასეთი ექსპლოატატორები იყვენ საშუალო საუკუნოებში და ახალ საუკუნოების დასაწყისში თავადები და აზნაურები, მაღალი სამღვდელოება და ვაჭრები. ამათთან პროლეტარები მუშებათ კი არ დგებოდენ, არამედ სალდათებათ და ლაქიებათ, რომ ბატონების დაცვა და მათი ჟინის დაკმაყოფილება ეკისრნათ. აქ ალაგი არ ქონდა პატრიარქალურ ურთიერთობას, ერთად მუშაობას და სმა-ჭამას, და ამიტომ არც სოლიდარობა არსებობდა ბატონებსა და მოსამსახურეთა შორის. სამაგიეროთ განვითარდა სულ სხვაგვარი სოლიდარობა. სადაც ბევრი მოსამსახერეებია ერთად, იქ ალაგი აქვს **იერარქიულ განსხვავებას,** იქ თვითეული მოსამსახურეს იმედი აქვს, რომ დაწინაურდება, ჯამაგირს მოუმატებენ, ძალას და პატივს მოიპოვებს. ყველაფერი ეს ბატონის

ჟინზე ჰკიდია, და გამარჯვებაც იმ მოსამსახურეს რჩება, რომელიც ბატონს შეეგუგება და თავის ამხანაგებს აჯობებს. ამიტომ მოხერხებული მოსამსახურე ბატონს თავის მომხრეთ თვლის და ამხანაგებში ფარულ მტრებს ხედავს. ბატონსა და მოსამსახურეს შორის სხვა გვარი სოლიდარობაც არსებობს. რაც უფრო დიდია ბატონის შემოსავალი, ძალა და პატივი, მით მეტი სარგებელი ექნება მოსამსახურესაც. ეს ითქმის განსაკუთრებით იმ მოსამსახურეებზე, რომლების მოვალეობაა — დაანახვონ სხვებს, თუ როგორ ფუფუნებით ცხოვრობს მათი ბატონი, როგორ თავზე საყრელათ აქვს მას ფულები და დაეხმარონ ამ ფულების ჩქარა და სასიამოვნოთ გაფლანგვაში, უშიშრათ და „ერთგულათ“ შეუწყონ ხელი მის ყოველგვარ ჟინს და ბიწიერებას. ამიტომ მოსამსახურე მყვლეფელს და მჩაგვრელს გაყვლეფილისა და დაჩაგრულის წინააღმდეგ მხარს უჭერს, ხშირათ თვითონ ბატონზე უფრო უდიერათ ეპყრობა ამ უკანასკნელებს. ბატონი, თუ ის რამდენიმეთ მაინც ჭკვიანი კაცია, არ დაკლავს ისეთ ქათამს, რომელიც ოქროს კვერცხებსა სდებს. ის ეცდება შეინახოს იგი, როგორც თავისთვის, ისე თავის ჩამომავლობისათვის: მოსამსახურისათვის ასეთი ანგარიში არ არსებობს.

საკვირველი არ არის, რომ ხალხს ისე ძლიერ არაეინ სძულს, როგორც ეს მოსამსახურეები; მათი მონური მორჩილება უფროსების წინაშე და თავხედობა უმცროსების მიმართ ანდაზათაა გადაქცეული. „ლაქიას“ საზოგადოთ ისეთ ადამიანს ეძახიან, რომელშიაც ყოველგვარი სისაძაგლეა თავმოყრილი.

ცხადია, ამ პროფესიას არა მარტო დაბალ წოდებიდან გამოსულების ხასიათზე აქვს ასეთი გავლენა, არა-

მედ იმათზედაც, რომელნიც მაღალ წოდებას ეკუთვნიან, მაგრამ სულ უსახსრონი ან ნაკლებ შეძლებისანი არიან — მაგალ. გაღარიბებული აზნაურები, რომლებიც, ბედნიერებას მაღალ ხარისხის მოსამსახურეობაში — კარისკაცობაში*) პოულობენ.

სხვაფრივ ჩვენ უნდა შევეხოთ მოსამსახურეების დაბალ წრეებს და ამიტომ თავი დავანებოთ მათსა და აზნაურებიდან გამოსულ შინა-ყმებს შორის მგსავსების ძებნას. თვითონ მკითხველი ადვილათ მოახერხებს ამას. ჩვენ საჭიროთ ვთვლიდით მხოლოდ გვეჩვენებინა, — რატომ მოსამსახურეთა კლასი სოციალიზმის გასავრცელებლათ უნაყოფო ნიადაგს წარმოადგენს, თუმცა მას სრულებით არა გააჩნია არავითარი საკუთრება. ის არსებულ წყობილების ბურჯათ უფრო გამოდგება.

ექსპლოატაციის ზრდა, ყოველ წლიურათ შექმნილ ზედმეტ ღირებულების გადიდება და აქედან წამომდგარი ფუფუნების ზრდა ხელს უწყობს მოსამსახურეთა კლასის მუდმივ გაფართოებას. საზოგადოებრივ განვითარების საბედნიეროთ, ამ კლასის მეორენაირი სახე — **დაქირავებული სალდათობა** — იმ ცვლილების შემდეგ, რომელიც სამხედრო საქმეში საფრანგეთის რევოლიუციამ გამოიწვია და მას შემდეგ, რაც ჯარების შე-

---

*) თუ როგორ ახლო დგანან ერთმანეთთან მოსამსახურე და კარის კაცი, ეს საოხუნჯო კილოთი დასურათებული აქვს ლესაჟს თავის რომანში: „ჟილ ბლიას“, რომელიც შინაყმების ბუნებით ისტორიის კლასიკურ ნიმუშათ უნდა ჩაითვალოს. მეორე მხრით, მოსამსახურე რამდენიმეთ ბოგანო პროლეტარს გავს, რომელსაც განსაზღვრული ხელობა არა აქვს. ჟილ ბლიასი სულ უკანასკნელი შინა ყმა იყო, შემდეგ ესპანიის სასახლის პირველ მინისტრის მდივანი და მახლობელი შეიქნა, მაგრამ ხასიათი ისევ ძველი შერჩა.

დგენა საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემწეობით დაიწყეს, — თან და თან ქრება. მართალია, ის ჯერ კიდევ არ გამქრალა სავსებით და უმთავრესათ მისი ნაშთების არსებობით აიხსნება ის, რომ „შეიარაღებული ხალხი“ ჯერ-ჯერობით ვერ წარმოადგენს დემოკრატიულ დაწესებულებას.

მაგრამ, როგორც ყოველგვარ შინაყმების, ისე მოსამსახურეების — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით— გამრავლებასაც წინ ეღობება ერთი ტენდენცია, თუმცა ფუფუნება იზრდება, — ეს ტენდენცია ასეთია: ოჯახის ძველი ფორმები ირღვევა და შრომის დანაწილება სხვა და სხვა გვარ ოჯახურ საქმეს და პირად სამსახურს ცალკე დამოუკიდებელ პროფესიების ხასიათს აძლევს (დალაქები, ტრაქტირის მოსამსახურეები, მეეტლეები და სხვ.). მართალია, ეს განცალკევებული პროფესიები დიდხანს არ ტოვებენ თავის ძველებურ თვისებებს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ნელნელა ისევ სამრეწველო პროლეტარიატის ხასიათს და შეხედულებებს ითვისებენ.

3. — ბოგანო პროლეტარიატი (ლუმპენ-პროლეტარიატი).

რაც უნდა დიდი ყოფილიყო ზოგიერთ დროს მოსამსახურეების, ქარგლების ღა დაქირავებულ სალდათების რიცხვი, დასახელებულ პროფესიებს მაინც არ შეეძლოთ მთელი ქონებას მოკლებულ ხალხის დატევა. თავისთავათ ცხადია, მათ არასოდეს არ შეეძლოთ იმათი გამოკვება, ვისაც შრომის უნარი არა აქვთ — მაგალითად, ბავშვების, მოხუცების, სნეულების. მაგრამ, როგორც დავინახეთ, ახალ ეპოქის დასაწყისში უწინდელ უმუშევრების რიცხვს კიდევ მიემატენ ახლები—გლეხები, რომლებიც ძალით გამორეკეს, ან სასტიკ მოპყრობას გა-

მოექცენ — და ამან ისე გაამრავლა სამუშაოს მაძიებელთა რიცხვი, რომ მრავალს ჯანით და ღონით სავსე მუშებსაც ბებრების და სნეულ-საპყრების ბედი ეწვია. ამათ სხვა რაღა დარჩენოდათ, რომ მათხოვრობა - ქურდობა - პროსტიტუციისათვის არ მიეყოთ ხელი. მათ უნდა აერჩიათ ან შიმშილი, ან და დარღვევა ყველა იმ შეხედულებისა, რომელნიც სირცხვილისა და პატიოსნება — რიგიანობის შესახებ არსებობდენ. მათ ასე თუ ისე არსებობა შეეძლოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავის პირად გაჭივრებას კეთილ სახელზე მაღლა დაუყენებდენ. ცხადია, თუ რა გამათახსირებელი გავლენა უნდა ქონოდა ამგვარ მდგომარეობას.

ეს გათახსირება მატულობდა და მატულობს კიდევ იმის გამო, რომ საზოგადოებისათვის უსაქმოთ დარჩენილი ღარიბები სრულებით არ არიან საჭირონი, მისთვის არა სასურველ ტვირთს წარმოადგენენ. ყოველი კლასი, რომელიც ზედმეტია, რომელიც არც ერთს, საზოგადოებისათვის საჭირო ფუნქციას არ ასრულებს, ეცემა; ეს ერთნაირათ მართალია როგორც ძალიან მაღალ, ისე ძალიან დაბალ კლასების შესახებ.

და ღატაკებს საკუთარ თავალშიაც კი არ შეუძლიათ ამაღლდენ თავისი თავის მოტყუებით, არ შეუძლიათ დაარწმუნონ თავისი თავი, რომ ისინი საჭირონი არიან; მათი კლასის წარსულიდან არავითარი მოგონებები არ არსებობს მათი საზოგადოებრივ ღვაწლის შესახებ; მათ არ შეუძლიათ აგრეთვე თავის საკუთარ ძალას დაეყარონ და საზოგადოებას თავისი პარაზიტიზმი მოახვიონ თავზე. მათ მხოლოდ უთმობენ, ამიტომ თავ-დაბლობა — მათხოვრის პირველი მოვალეობაა, ღატაკის პირველი სათნოებაა. როგორც მოსამსახურეები, ისე

პროლეტარების ეს ჯგუფიც მონურათ იხრის ქედს ძლიერთა წინაშე: არსებულ საზოგადოებრივ წყობილების წინააღმდეგ ის ოპოზიციაში არ დგება. პირიქით, მან როგორ უნდა ისურვოს მდიდრების გაქრობა, როცა მათი სუფრიდან გადმოყრილ ნამცეცებით იკვებება? თვითონ მას ექსპლოატაცია არ ეხება, და რაც უფრო დიდია მუშების ექსპლოატაცია, მით მეტია მდიდრის შემოსავალი; რაც უფრო უხვია ეს უკანასკნელი, მით მეტს უნდა ელოდენ მისგან მათხოვრები. როგორც მოსამსახურეებს, ისე მათაც აქვთ თავისი წილი ექსპლუატაციაში, მაშ რაღათ უნდა იბრძოლონ მის წინააღმდეგ? რეფორმაციის დასაწყისში გერმანიაში, როცა კათოლიკური ეკლესია ყველა კლასებს სძულდა, რადგან ის ყველას ექსპლოატაციას ეწეოდა, სწორეთ ეს პროლეტარები იყვენ მისი ერთგულნი, რადგანაც მისგან უფრო უხვ სამოწყალოს იღებდენ, ვინემ ძუნწ მოქალაქეთაგან ან გატყავებულ გლეხებისაგან.

ბოგანო პროლეტარიატი საკუთარ თაოსნობით არასოდეს არ გამოსულა ექსპლოატაციის წიინააღმდეგ. მაგრამ ის არც მისი ბურჯია, როგორიც ოდესღაც სამხედრო შინაყმები იყვენ. ზარმაცი და უდარდელი, ის ღვთის ანაბარათ სტოვებს იმათ, ვისი მოწყალებითაც იკვებებოდა, როცა მათ ძალა და სიმდიდრე გამოელევათ. ის არასოდეს არ მდგარა როვოლიუციონურ მოძრაობის მოწინავე რაზმებში, მაგრამ არც თავი შეურცხვენია. ხანდახან მას უკანასკნელი იერიში მიქონდა დაღუპვის პირზე მდგარ გაბატონებულ კლასებზე, ჩვეულებრივ რევოლიუციის დროს ისინი კმაყოფილდებოდენ იმით, რომ ექსპლოატაციას უშვებოდენ და სახელს უტეხდენ მათ, რომ პირველ შემთხვევაშივე ეღალატნათ მათთვის.

წარმოების კაპიტალისტურმა წესმა საშინლათ გაამრავლა უმუშევარი პროლეტარიატი და, რაც ხანი გადის, მათ ახალ-ახალ წევრებს მატებს. დიდ ქალაქებში მაინც ის მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს შეადგენს. ამ ბოგანო პროლეტარიატს ძალიან უახლოვდება თავისი ხასიათით და შეხედულებებით წვრილ გლეხობის და წვრილ ხელოსნების გაღარიბებული ნაწილი, რომელმაც დაკარგა თავისი ძალის იმედი და თავის მდგომარეობის შესარჩენათ იძულებულია მიმართოს სამოწყალოს, რომელსაც მისთვის მაღალი კლასები იმეტებენ.

4. — **დაქირავებულ პროლეტარიატის გაჩენა**

სწორეთ ამ უკანასკნელ წრეებიდან განსაკუთრებულ ხალისით კრეფდა საჭირო სამუშაო ძალებს ახალ ფეხმოკიდებული კაპიტალისტური წარმოება და კერძოთ **მსხვილი მრეწველობა**. მას იმდენათ **დახელოვნებული** მუშები არ ესაჭიროებოდა, რამდენათაც **მომთმენი** და **მორჩილი** მუშები, რომელნიც თანამედროვე ფაბრიკის უზარმაზარ მექანიზმის ყურმოჭრილი ყმები უნდა გამხდარიყვენ; ამ მექანიზმს მხოლოდ მაშინ შეუძლია წესიერათ მუშაობა, როცა თვითეული მის ურიცხვ ბორბალთაგანი სისწორით და შეუჩერებლივ ასრულებს დანიშნულ საქმეს. და რადგანაც ახალ ფეხმოკიდებული მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობა საჭირო მუშების უმრავლესობას კრეფდა ან თვითონ მათხოვრების წრეებიდან ან მცხოვრებლების იმ ნაწილიდან, რომელიც მათხოვრებს ძალიან უახლოვდება, ამიტომ მუშებიც ისეთ მოპყრობას იტანდენ კაპიტალისტებისაგან, როგორსაც მცხოვრებლების დასახელებული წრეები იყვენ მიჩვეული. თვითონ შრომა, რომლის გამპა-

ტიოსნებელ გავლენაზე ასე ყვირიან ბურჟუაზიული ეკონომისტები და მორალისტები, პროლეტარებისათვის ყველაზე უწინ კიდევ მეტ დამცირების, და არა ამაღლების წყაროს წარმოადგენდა. მუშების უმწეობა ნებას აძლევდა კაპიტალისტებს უზომოთ გაედიდებიათ სამუშაო დრო. მე-II-ე თავში ჩვენ უკვე გავეცანით იმ მოტივებს, რომლებიც მსხვილ მრეწველებს მოყავთ ასეთ მოქმედების გასამართლებლათ. კაპიტალისტი თავის ნებით არ მისცემს პროლეტარს თავისუფალ დროს, რომ მან იცხოვროს და ისწავლოს. სადაც ის შეზღუდული არ არის, იქ იმდენ ხანს ამუშავებენ მუშას, სანამ მას ღონე არ გამოელევა. თუ მუშას ცოტა თავისუფალი დრო კიდევ რჩება მუშაობას და ძილს შუა, ის საკმაოა მხოლოდ იმისთვის, რომ მან ალკოჰოლით ჩააჩუმოს გაჟივრების შეგნება და სქესური მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს. ქალების და კაცების, დიდების და ბავშვების ერთად მუშაობა, რაც ჯანსაღ, თავისუფალ და შეგნებულ ადამიანებისათვის სულიერ სიფხიზლის და ზნეობრივ გაპატიოსნების წყარო უნდა ყოფილიყო, მხოლოდ აძლიერებდა კაპიტალისტურ ფაბრიკის დამაუძლურებელ და გამათახსირებელ გავლენას და გარყვნილებას ხელს უწყობდა.

საკვირველი არაა, თუ კაპიტალისტურ მსხვილ მრეწველობის დასაწყისში მუშა პროლეტარი თითქმის არ განსხვავდებოდა მათხოვრისაგან. თუ როგორ ღრმათ იყო ის ჩაფლული ბიწიერებისა და ლოთობის მორევში, სულიერ და ფიზიკურ წუმპეში, ამას ყველაზე უფრო ნათლათ გვიჩვენებს ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობის გაცნობა მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში, რაც **ფრიდრიხ ენგელსის** კლასიკურ თხზულებაშია აწერილი.

5. მუშა პროლეტარიატის ამაღლება

ცნება „პროლეტარი“ უკიდურეს გარყვნილების სინონიმათ მიაჩნდათ. დღესაც შეხვდებით „მოწინავე“ პირებს, რომლებიც სწორეთ ამ აზრისანი არიან. მაგრამ ჯერ კადევ იმ დროს, როცა მუშა პროლეტარი გარეგნობით ძალიან გავდა მათხოვარს და მაწანწალას, მათ შორის უკვე თან და თან ღრმა ჯურღმული ჩნდებოდა.

მათხოვრობა, არსებითად, მუდამ ერთნაირია, სადაც და როდესაც უნდა არსებობდეს ის, როგორც მასობრივი მოვლენა. თანამედროვე ბერლინის ან ლონდონის ლუმპენ-პროლეტარები ბევრით არაფრით განსხვავდებიან ძველი რომის მაწანწალებისაგან. პირიქით, თანამედროვე მუშა პროლეტარიატი ისეთ თავისებურ მოვლენას წარმოადგენს, რომლის მსგავსს მსოფლიო ისტორიაში ჯერ ალაგი არ ქონია.

ლუმპენ-პროლეტარიატსა და კაპიტალისტურ წარმოების მუშა პროლეტარიატს შორის ის კოლოსალური, ძირითადი განსხვავებაა, რომ პირველი — პარაზიტია, ხოლო მუშა პროლეტარიატი — საზოგადოების მარჩენალი, ამასთან უმთავრესი მარჩენალი, რომელიც ბოლოს და ბოლოს **ერთად ერთი** ხდება. მუშა პროლეტარიატი მოკლებულია საკუთრებას, მაგრამ ის **სამოწყალოთი** არ ცხოვრობს. ის არჩენს თავის შრომით საზოგადოებას, და არა საზოგადოება მას. მართალია, კაპიტალისტურ წარმოების დასაწყისში მუშა პროლეტარი თავის თავს ისე უცქერის, როგორც გლახაკს, ხოლო ექსპლუატატორს — კაპიტალისტს — როგორც კეთილის მყოფელს, რომელიც მას სამუშაოს აძლევს და. მაშასადამე, პურსაც. ასეთი „პატრიარქალური“ ურ-

თიერთობა, რასაკვირველია, ძალიან სასიამოვნოა კაპიტალისტებისათვის. ისინი დღესაც კი თხოულობენ დაქირავებულ მუშებისაგან სავალდებულო სამუშაოს შესრულებას გარდა პატივისცემას და მადლობას.

მაგრამ კაპიტალისტურ წარმოებას არსად არ შეუძლია დიდხანს არსებობა ისე, რომ ეს მშვენიერი პატრიარქალური ურთიერთობა არ დაირღვეს. რაც უნდა დაბეჩავებული და შეუგნებელი იყვენ მუშები, ადრე თუ გვიან მაინც შენიშნავენ, რომ ისინი თვითონ აძლევენ კაპიტალისტს ლუკმას, და არა კაპიტალისტი მათ. ისინი ისევ უსახსროთ რჩებიან ან კიდევ უფრო ღარიბდებიან მაშინ, როდესაც კაპიტალისტები სულ უფრო მდიდრდებიან, და როცა ფაბრიკანტს, ამ ვითომდა პატრიარქს, პურს სთხოვენ, პურის ნაცვლათ ქვას ღებულობენ.

მათხოვრებისა და მოსამსახურებისაგან მუშა პროლეტარები იმით განსხვავდებიან, რომ ექსპლოატატორების ექსპლოატაციით არ ცხოვრობენ; ქარგლებისა და იმ მუშებისაგან, რომლებსაც მეურნეობაში დასახმარებლათ ქირაობენ, იმით, რომ აღარ მუშაობენ და არც ცხოვრობენ თავის ექსპლოატატორთან ერთად, მასთან ყოველივე კავშირი გაწყვეტილი აქვთ. ისინი თვითონ საძაგელ სარდაფებში ცხოვრობენ, ექსპლოატატორს კი სასახლეებს უშენებენ, თვითონ შიმშილს იტანენ იმისთვის, რომ ის საუკეთესო საპმელებს შეექცეს. ისინი მუშაობით წელს იწყვეტენ, რომ მან და მისმა დამქაშებმა უსაქმოთ იხეტიალონ და ფულები ფლანგონ.

ეს წინააღმდეგობა სულ სხვა ხასიათისაა, ვინემ ის, რომლებიც მდიდრებსა და „წვრილ ხალხს“, კაპიტალისტურ წყობილების წინა დროის მათხოვრებს შორის არსებობდა. ესენი შურით და გაკვირვებით უცქეროდენ

მდიდრებს, მათ მდგომარეობას იდეალათ თვლიდენ, ოცნებობდენ მათი ალაგის დაჭერას, ექსპლოატატორებათ ყოფნას. „პატარა კაცს“ აზრათაც არ მოდიოდა ექსპლოატაციის გაუქმება. მუშა პროლეტარი შურით არ უცქერის მდიდარს, მისი ალაგის დაჭერაზე არ ოცნებობს, მას **სძულს** და **ათვალწუნებული** ყავს იგი: სძულს, როგორც ექსპლოატატორი, ათვალწუნებული ყავს, როგორც მუქთახორა. პირველათ მას სძულს მხოლოდ ის კაპიტალისტი, რომელთანაც პირდაპირ უხდება საქმის დაჭერა, მაგრამ მალე რწმუნდება, რომ ყველა ისინი მას ერთნაირათ ექცევიან და მის პირად სიძულვილიდან ვითარდება შეგნებული მტრობა კაპიტალისტთა მთელ კლასისადმი.

ეს მტრობა, რომელიც მიმართულია ყველა ექსპლუატატორების წინააღმდეგ, მუშა პროლეტარიატის ერთი ადრინდელ დამახასიათებელ თვისებათაგანია. კლასობრივი ბრძოლა სულაც არ არის სოციალისტურ პროპაგანდის ნაყოფი, მის არსებობის კვალს გაცილებით უფრო ადრე ვამჩნევთ. მოსამსახურეებში, ქარგლებში და იმ მუშებში, რომლებსაც მეურნეობაში ქირაობენ დასახმარებლათ, კლასობრივი სიძულვილი მაღალ ხარისხამდე ვერ მიახწევს. რადგანაც მჭიდრო პირადი დამოკიდებულება არსებობს ამ პროფესიების წარმომადგენლებსა და მათ „ბატონებს“ შორის, ამიტომ ასეთი სიძულვილი შეუძლებლათ გახდიდა ერთად მუშაობას. ამ პროფესიებშიაც არა ერთხელ ხდება უთანხმოება დაქირავებულ მუშებსა და ხაზეინებს შორის, მაგრამ საქმე ყოველთვის მორიგებით თავდება. წარმოების კაპიტალისტურ წესის დროს შესაძლებელია, რომ მუშები ხაზეინებისადმი საშინელ მტრობით იყვენ გამსჭვალულნი, მაგრამ წარმოება

კი არ შეჩერდეს და ხაზეინებმა არც კი მიაქციონ ამას ყურადღება.

ეს სიძულვილი პირველათ გაუბედავათ და მხოლოდ სპორადიულათ იჩენდა ხოლმე თავს. თუ პროლეტარები ერთბაშათ ვერ ამჩნევენ იმას, რომ ფაბრიკანტი თავისი გულკეთილობით კი არ აძლევს მათ სამუშაოს, მით მეტი დროა საჭირო იმისთვის, რომ „ხაზეინებთან“ აშკარა შეტაკებისთვის **გამბედაობა** შეიძინონ.

ბოგანო პროლეტარიატი მორჩილი და გულგატეხილია, რადგან გრძნობს, რომ მეტი ბარგია და ყოველგვარ მატერიალურ საფუძველს მოკლებული. პირველათ ასეთივე თვისებები ემჩნევა მუშა პროლეტარიატსაც, რამდენათაც ის უსახსრო მაწანწალებისაგან და მათ ახლოს მდგომ წრეებიდან იკრიფება. თავის თავად ცხადია, რომ ის კარგათ ამჩნევს იმ პანღურს, რომლითაც მას აჯილდოებენ, მაგრამ მხოლოდ თავის გულში აცხადებს პროტესტს. განსაკუთრებულ ენერგიით და ცოცხალ ბუნებით დაჯილდოებულ პირების აღშფოთება ფარულ ბოროტმოქმედებით თავდება.

საკუთარ ძალის შეგნება და წინააღმდეგობის უნარი მხოლოდ მაშინ განვითარდება დაქირავებულ მუშების აღნიშნულ წრეებში, როცა ისინი თავის ინტერესების ერთობას, **სოლიდარობას** იგრძობენ. სოლიდარობის გრძნობის გამოღვიძებასთან ერთად იწყება პროლეტარიატის ზნეობრივი განახლება, ამოსვლა იმ ჭაობიდან, რომელშიაც მათხოვრები ჩაიფლენ.

თვით მუშაობის პირობები კაპიტალისტურ წარმოებაში უთითებენ პროლეტარებს შეთანხმებულ მოქმედების საჭიროებაზე და იმაზე, რომ ნაწილი მთელს უნდა ემორჩილებოდეს. მაშინ როდესაც ხელოსნობაში თვი-

თეული ერთეული თავის თავად ერთ მთელს წარმოადგენს, კაპიტალისტური მრეწველობა დამყარებულია ერთად მუშაობაზე, **კოოპერაციაზე**. ცალკე მუშას აქ არაფერი შეუძლია უამხანაგებოთ, სამაგიეროთ ვეგმაზე მოწყობილი ერთად მუშაობა აორკეცებს და ასამკეცებს თვითეულ ერთეულის შრომის ნაყოფიერებას. ამ გვარათ თვითონ მუშაობა იწვევს შეგნებას, რომ ძალა შეერთებაშია, ანვითარებს მუშებში ნებაყოფლობით დისციპლინას, რომელიც წინასწარ პირობას წარმოადგენს კაპიტალისტურ წარმოებაში ყოველგვარ ნაყოფიერ ბრძოლისათვის და თვით ამხანაგურ, სოციალისტურ წარმოებისათვის. ერთი სიტყვით, კაპიტალიზმი თვითონ ზრდის პროლეტარიატს თავის მოსასპობათ და სოციალისტურ საზოგადოებაში სამოქმედოთ.

შრომის პირობების თანასწორობა კიდევ უფრო უწყობს ხელს პროლეტარიატის სოლიდარობის გრძნობის გამოღვიძებას, ვინემ ერთად მუშაობა. ფაბრიკაში სულ არ არსებობს ან თითქმის არ არსებობს იერარქია, მუშების ხარისხებათ დაყოფვა. უმაღლესი თანამდებობები ჩვეულებრივ ან სულ მიუწდომელია მუშებისათვის, ან მათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. მუშების მხოლოდ მცირე ნაწილს თუ გარყვნიან ასეთი თფილი ალაგებით. უმრავლესობისათვის კი შრომის პირობები ერთგვარია და ცალკე მუშას თავისი ძალღონით არ შეუძლია უკეთესის მოპოება; მისი მდგომარეობა მხოლოდ მაშინ უმჯობესდება, როცა უმჯობესდება ყველა მის ამხანაგების მდგომარეობა. მართალია, ფაბრიკანტები ცდილობენ მუშებში უთანხმოების ჩამოგდებას და ამიტომ ხელოვნურათ შემოაქვთ შრომის პირობების უთანასწორობა. მაგრამ თანამედროვე მსხვილ მრეწველობის გამათანასწო-

რებელი გავლენა იმდენათ ძლიერია, რომ მათ ხრიკებს (ნაპრობით ქირის ძლევა, საჩუქრები და სხვ.) არ შეუ-ძლიათ დიდი ხნით ჩააჩუმონ მუშებში ინტერესთა სოლი-დარობის გრძნობა. რაც უფრო დიდ ხანს არსებობს კაპიტალისტური წარმოება, მით უფრო ძლიერ ვითარ-დება პროლეტარიატის სოლიდარობა, მით უფრო ღრმათ იდგამს ის ფესვებს, მით უფრო და უფრო ხდება ის პროლეტარიატის დამახასიათებელ თვისებათ. .

საკმაოა გავიხსენოთ ის, რაც ზემოთ მოსამსახურეების შესახებ ვთქვით, რომ დავინახოთ, თუ როგორ ძლიერ განსხვავდება მათგან ამ მხრით პროლეტარიატი. და არა მარტო მოსამსახურეები და ის მუშები, რომლებსაც მეურნეობაში დასახმარებლათ ქირაობენ, არამედ ქარ-გლები(ც ვერ შეედრებიან პროლეტარებს სოლიდარობის მხრით.

სოლიდარობა, რომელიც ქარგლებში არსებობდა, განსაზღვრულ საფეხურს ვერ გაშორდა, პროლეტარების სოლიდარობა კი უფრო შორს წავიდა. როგორც ქარ-გლების, ისე პროლეტარების სოლიდარობა არ განისა-ზღვრება მხოლოდ იმ მუშების წრეებით, რომელიც ერთ და იმავ სამრეწველო საქმეს ეკუთვნის. როგორც პრო-ლეტარები, ისე ქარგლებიც ის შეგნებამდე მიდიოდენ, რომ მუშებს ყველგან ერთი მტერი ყავთ და საერთო ინტერესები აქვთ. ერთი პროფესიის ქარგლები ნაციონა-ლურ ორგანიზაციებს ადგენდენ, მაშინ როდესაც ბურ-ჟუაზია პროვინციის და ქალაქის ფარგლებში იყო კარ-ჩაკეტილი. თანამედროვე პროლეტარიატი თავისი გრძნო-ბებით დი მოქმედებით სავსებით ინტერნაციონალურია; იმ დროს, როცა ერთა შორის სასტიკი მტრობა მძვინ-ვარებს, როცა გაბატონებული კლასები სამხედრო მზა-

დებაში არიან, მთელი ქვეყნის პროლეტარები ერთდებიან.

საერთაშორისო ორგანიზაციების ჩანასახს უკვე ქარგლებშიაც ქონდა ადგილი. იმათაც შეეძლოთ ნაციონალური კარჩაკეტილობა უკუეგდოთ. მაგრამ მათ არ შეეძლოთ **პროფესიის** საზღვრებიდან გამოსვლა. გერმანელი მექუდე ან მექვაბე სასურველი სტუმარი იყო შვეიცელ ან შვეიცარიელ ამხანაგების ოჯახში, მაგრამ სამშობლო ქვეყნის ან სამშობლო ქალაქის მეჩექმე ან დურგალი მისთვის უცხო იყო ხელოსნობაში პროფესიები სასტიკათ იყო განსაზღვრული. შეგირდს მთელი წლები უნდა ესწავლა, სანამ ქარგალი გახდებოდა და შემდეგ მთელ თავის სიცოცხლეს სწირავდა თავის ხელობას. ამ უკანასკნელის აყვავება და ძლიერება მისთვისაც აყვავებას და ძლიერებას მოასწავებდა. მართალია ქარგალი მტრულათ უცქეროდა თავის ხაზეინს, მაგრამ არა ნაკლებ მტრულათ უცქეროდა ის სხვა ხელობების ხაზეინებს და ქარგლებს. ხელოსნობის აყვავების ხანაში ჩვენ ვხვდებით საშინელ მტრობას და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას სხვა და სხვა ხელობის ქარგალთა კავშირებს შორის.

კაპიტალისტური წარმოება კი, პირიქით, სხვა და სხვა პროფესიებს ერთად უყრის თავს. კაპიტალისტურ წარმოებაში უმეტესათ ერთად მუშაობენ სხვა და სხვა პროფესიების მუშები ერთ საზოგადო მიზნისათვის. მეორე მხრით, კაპიტალისტურ წარმოებას მიზნათ აქვს სულ გააუქმოს ცნება პროფესია. მანქანას რამდენიმე კვირამდე, ხშირათ რამდენიმე დღემდე, ჩამოყავს სწავლისათვის საჭირო დრო, რომელიც წინათ რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა. ის ნებას აძლევს მუშას დაუბრკოლებლივ გადავიდეს ერთი ხელობიდან მეორეზე; ხშირათ

აიძულებს კიდეც, რომ ასე მოიქცეს. მანქანა მეტად ხდის მუშის წინანდელ ხელობას და აიძულებს მას ქუჩაში გამოვიდეს და ახალი საქმე ეძიოს. ხელობის არჩევის თავისუფლებას, რომლის დაკარგვა „მომავალ სახელმწიფოში“ ასე აშინებს ფილისტერს, დღეს უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს მუშისათვის.

ასეთ გარემოებაში პროლეტარს ადვილათ შეუძლია გასცილდეს იმ ზღუდეს, რომელსაც ქარგალი ვერ მოშორდება. პროლეტარიატის სოლიდარობა, გარდა იმისა, რომ ის ინტერნაციონალურია, ვრცელდება **მთელ მუშათა კლასზე**.

დაქირავებული შრომა სხვა და სხვა სახით ძველ დროშიაც არსებობდა და საშუალო საუკუნოებშიაც. დაქირავებულ მუშების ბრძოლა ექსპლოატატორების წინააღმდეგ არ წარმოადგენს აგრეთვე ახალ მოვლენას. მაგრამ მხოლოდ კაპიტალისტურ მსხვილ წარმოების დროს აღორძინდა განუყოფელი კლასი დაქირავებულ მუშათა, რომელნიც კარგათ ხედვენ თავის ინტერესების ერთგვარობას და მზათ არიან **კლასის** საერთო, მთავარ ინტერესებს დაუმორჩილონ როგორც პირადი და ადგილობრივი, ისე განსაკუთრებული პროფესიონალური ინტერესები, თუ ასეთები კიდევ არსებობენ. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში მიიღო მუშების ბრძოლამ ექსპლუატაციის წინააღმდეგ **კლასობრივ ბრძოლის** ხასიათი. და მხოლოდ უკანასკნელ გარემოების წყალობით შეეძლო ამ ბრძოლას სხვა, უფრო უმაღლესი მიზანი დაესახა, ვინემ თანამედროვე წესის უსამართლობის მოსპობა, და მუშათა მოძრაობას — **რევოლიუციონურ** მოძრაობათ გადაქცევა.

თვითონ ცნება „მუშათა კლასი“ უფრო და უფრო

ფართოვდება. ყველაფერი, რაც აქ ვთქვით, უწინარეს ყოვლისა, მსხვილ მრეწველობაში მომუშავე პროლეტარიატს ეხება. მაგრამ როგორც სამრეწველო კაპიტალი უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საზოგადოთ მთელი კაპიტალისათვის, ყველა კაპიტალისტურ ნაციების სამრეწველო საქმეებისათვის, — ისე მსხვილ მრეწველობაში მომუშავე პროლეტარიატის აზრები და გრძნობები უფრო და უფრო იმორჩილებენ საზოგადოთ დაქირავებულ მუშების აზროვნებას და სულიერ განწყობილებას. ინტერესთა ერთგვარობის შეგნება ვრცელდება აგრეთვე კაპიტალისტურ მანუფაქტურის და ხელოსნობის მუშებშიაც, უკანასკნელთა შორის მით უფრო ჩქარა, რაც უფრო უახლოვდება ხელოსნობა მანუფაქტურას ან კაპიტალისტურათ გაყვლეფილ შინაურ მრეწველობათ ხდება.

ამათ თან და თან ემატებიან დაქირავებული მუშები ქალაქების არა სამრეწველო პროფესიებიდან, როგორიცაა ვაჭრობაში, გზებზე, რესტორანებში და სასტუმროებში სამსახური. სოფლის მუშებშიც შედის იმის შეგნება, რომ მათ და საზოგადოთ ყველა დაქირავებულ მუშებს ერთგვარი ინტერესები აქვთ. ეს ხდება მას შემდეგ, როცა კაპიტალისტური წარმოება იწყებს ძველებურ პატრიარქალურ სოფლის მეურნობის დარღვევას და მის მრეწველობათ გადაქცევას, სადაც მუშაობენ პროლეტარები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ხაზეინის ოჯახთან, რომლის წევრსაც წინანდელი მოჯამაგირე შეადგენდა. ბოლოს და ბოლოს ინტერესთა საერთო სოლიდარობა ედება იმ დამოუკიდებელ ხელოსნებსაც, რომლების მდგომარეობაც მეტაო შევიწროებულია და განსაზღვრულ პირობებში — გლეხებსაც. ამნაირათ მშრომელი კლასები უფრო და უფრო ერთდებიან ერთ

მუშათა კლასათ, რომლის სულსა და გულს შეადგენს მსხვილ მრეწველობის პროლეტარიატი, რომელიც ძლიერდება როგორც რიცხვით, ისე ეკონომიურ მნიშვნელობით. ამ მუშათა კლასში უფრო და უფრო ვრცელდება მსხვილ მრეწველობის პროლეტარიატის დამახასიათებელი თვისებები — ამხანაგური განწყობილება, ამხანაგური დისციპლინა, კაპიტალის სიძულვილი და აგრეთვე უზომო ცოდნის მოყვარეობა, რაც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ წინა თავის დასასრულში.

ასე, ათვალწუნებულ, დაბეჩავებულ და დაღუპულ პროლეტარიატისგან თან და თან დგება მსოფლიო ძალა, რომლის წინაშე ძრწიან ძველი ძალები; იზრდება ახალი კლასი ახალ მორალით და ახალ ფილოსოფიით. კლასი, რომლის რიცხვი, მთლიანობა, ეკონომიური მნიშვნელობა, თვითგამორკვევა და შორს-მჭვრეტელობა დღითი დღე მატულობს.

6. — ბრძოლა პროლეტარიატის ამმაღლებელ და დამამდაბლებელ ტენდენციებს შორის.

პროლეტარიატის დაბალ საფეხურიდან მაღლა აწევა აუცილებელი და გარდუვალი ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ის არ სწარმოებს მშვიდობიანათ და ერთგვარათ. როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ მე-II-ე თავიდან, წარმოების კაპიტალისტურ წესის ტენდენციაა — დასცეს მუშა ხალხის ცხოვრების პირობები. პროლეტარიატის ზნეობრივი განახლება ხდება მხოლოდ ამ ტენდენციის და მის მატარებლების—კაპიტალისტების წინააღმდეგ **ბრძოლით**. ის შესაძლებელი ხდება მაშინ, როცა პროლეტარიატის რაზმებში საკმაოთ მაგრდებიან მოწინააღმდეგე ძალები და მოპირდაპირე ტენდენციები, რასაც მი-

სი ცხოვრების და შრომის ახალი პირობები იწვევენ. მაგრამ პროლეტარიატის დამამდაბლებელი კაპიტალისტურ წარმოების ტენდენციები სულაც არ არის ერთნაირი ყოველ დროს, ყველგან და მრეწველობის ყველა დარგებში; ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია ბაზარი, რამდენათ ძლიერია კონკურენცია ცალკე სამრეწველო საქმეთა შორის, რამდენათ გავრცელებულია მანქანები მრეწველობის ამა თუ იმ დარგებში, რამდენათ შეგნებული აქვთ კაპიტალისტებს თავისი ინტერესები და სხვ. აგრეთვე ის მოპირდაპირე ტენდენციები, რომლებიც პროლეტარიატის ცალკე ჯგუფებში ვითარდებიან, დამოკიდებულია მრავალგვარ პირობებზე, მაგალითად: მცხოვრებლების იმ წრის მოთხოვნილებებზე და ჩვეულებებზე, რომლიდანაც უმთავრესათ იკრიფება პროლეტარიატის რაზმები, იმ ღონეზე და დახელოვნებაზე, რომელიც მრეწველობის განსაზღვრულ დარგშია საჭირო; იმაზე, თუ რამდენათ გავრცელებულია ქალების და ბავშვების შრომა; რამდენათ დიდია სათადარიგო სამრეწველო ჯარი, რომლის რიცხვი მრეწველობის ყველა დარგში ერთნაირი არ არის, რამდენათ შეგნებულებია მუშები; დაბოლოს იმაზე, იწვევს თუ არა განსაზღვრული სამუშაო განცალკევებას და დაქუცმაცებას, ან შეერთებას და მაგარ კავშირის შეკვრას და სხვა.

თვითეული ამ პირობათაგანი, რომელნიც სხვადასხვანაირია მრეწველობის სხვა და სხვა დარგში და მუშათა სხვა და სხვა ჯგუფებისათვის, განუწყვეტლივ იცვლება, რადგანაც ტეხნიკური და ეკონომიური პროგრესი შეუჩერებლივ სწარმოებს. რაც დღე გადის სულ ახალ-ახალ ქვეყნებში და პროფესიებში იკიდებს ფეხს კაპიტალის-

ტური ექსპლოატაცია და პროლეტარიზაცია, ყოველ-
დღე ჩნდება წარმოების ახალი დარგები და განუწყვეტ-
ლივ იცვლება ძველები. როგორც კაპიტალისტურ წესის
დასაწყისში, ისე ჩვენ დროშიაც პროლეტარდებიან მცხ-
ოვრებლების ახალი ჯგუფები, ლატაკდებიან, ცვივიან
ლუმპენ-პროლეტარიატის ბანაკში და აქედან ისევ დგებ-
ბიან ახალი ჯგუფები. თვითონ მუშა პროლეტარიატის
სხვა და სხვა წრეებს განუწყვეტელი მოძრაობა ემჩნევა
ზევით და ქვევით იმის დამიხედვით, თუ რომელი ტენ-
დენცია სჭარბობს — ამმაღლებელი, თუ დამმდაბლებელი.

საზოგადოების შემდეგ განვითარების საკეთილდღეოთ,
პროლეტარიატის უმეტეს წრეებში ადრე თუ გვიან დგებ-
ბა ისეთი მომენტი, როცა ამმაღლებელი ტენდენციები
უპირატესობას პოულობენ და თვითშეგნების გამოღვიძე-
ბას იწვევენ. და თუ პროლეტარების რომელიმე წრეში
კლასობრივი თვითშეგნება განვითარებულია თუ მან უკვე
შეიგნთ სოლიდარობა, რომელიც აკავშირებს ყველა
მის წევრებს ერთმანეთთან და მთელ მუშათა კლასთან
და იგრძნო ამ მჭიდრო შეერთების ძალა; თუ მან და-
ინახა, რომ უმისოთ ეკონომიური ცხოვრება ვერ იარსე-
ბებს, შეითვისა თავისი თავის პატივისცემა და გაიმსჭვა-
ლა იმ რწმენით, რომ მუშათა კლასი უკეთეს მომავალს
მოიპოვებს; მაშინ ერთობ ძნელია პროლეტარიატის ის
წრე, რომელიც ასეთ მაღალ საფეხურზე ავიდა, ისევ
გაუთანასწოროთ ჩლუნგ და საცოდავ ბრბოს, რომელსაც,
მართალია, შეუძლია სიძულვილი, მაგრამ არ შეუძლია
ხანგრძლივ ბრძოლისთვის შეერთება, რომელსაც არა
აქვს არც თავისი და არც მომავლის იმედი, რომელიც
ღვინოში ეძიებს დავიწყებას, და ტანჯვა-ვაება მასში
ანვითარებს არა აღშფოთების და პროტესტის გრძნობას,

არამედ მხოლოდ ძაბუნ მორჩილებას. როცა პროლეტარიატის რომელიმე წრეში უკვე შესულია კლასობრივი თვითშეგნება, მისი იქიდან აღმოფხვრა თითქმის შეუძლებელია. როგორც უნდა შეავიწროვოს შემდეგში წარმოების კაპიტალისტურ წესის დამამცირებელმა ტენდენციამ, მას შეუძლიან პროლეტარიატის ასეთი ჯგუფი დაამდაბლოს მხოლოდ **ეკონომიურათ** და არა **მორალურათ,** — თუ, რასაკვირველია, ეს არ იქნება მარტო შევიწროება, არამედ სრული განადგურება, როგორც ეს ხდება შინაურ მრეწველობის ზოგიერთ დარგებში. ყოველ სხვა შემთხვევებში ჩაგვრა მხოლოდ წინააღმდეგობას გამოიწვევს; ის უფრო გაბრაზებას გამოიწვევს, ვინემ დამშვიდებას; პროლეტარი მისი წყალობით ღატაკ მაწანწალას არ დაემსგავსება, არამედ მოწამის შარავანდედით შეიმოსება.

7. — ფილანტროპია და შრომის დაცვა კანონმდებლობის მიერ.

პროლეტარიატის თვითეული ჯგუფი რომ მხოლოდ საკუთარ ძალების ამარა ყოფილიყო დარჩენილი, მაშინ ამაღლების პროცესი, უმეტეს შემთხვევაში, უფრო გვიან დაიწყებოდა, მისი მიმდინარეობა უფრო ნელი, მეტი ტკივილებიანი იქნებოდა, ვინემ ეს მართლა მოხდა. ყოველივე დასაწყისი ძნელია, მით უფრო ძნელია პირველ ნაბიჯის გადადგმა იმ ჭაობიდან ამოსასვლელათ, სადაც კაპიტალისტურმა ევოლიუციამ ჩააგდო პროლეტარიატი, და გარედან დაუხმარებლათ პროლეტარიატის მრავალი ჯგუფები, რომლებსაც დღეს საპატიო ალაგი უჭირავთ, დაბრკოლებებს ვერ გაუმკლავდებოდენ. მათ ხელი გაუმართეს მათზე მაღლა მდგომმა საზო-

ვადოებრივმა ჯგუფებმა — როგორც მუშა **პროლეტა-ტრიატიდან,** ისე **მქონებელ კლასებიდან.**

ამ უკანასკნელების დახმარებას განსაკუთრებული მნი-შვნელობა ქონდა კაპიტალისტურ მსხვილ მრეწველობის პირველ ხანაში.

საშუალო საუკუნოებში სიღარიბე ისე ნაკლებათ იყო გავრცელებული, რომ საზოგადოებრივი (სახელდობრ საეკლესიო)და კერძო ქველ-მოქმედება ადვილათ აუდი-ოდა მას. ის მაშინ არავითარ საძნელო „საკითხს“ არ წარმოადგენდა და თუ ვისმეს გულის ხმაში აგდებდა, ამას გამწვრთნელი ხასიათი ქონდა: მასში ხედავდენ რაღაც პედაგოგიურ ზომას ღმერთის მხრივ; როცა ის ბიწიერ ადამიანებს ეწვეოდა, მაშინ ღვთის რისხვათ თვლიდენ, ხოლო როცა მართლმორწმუნენი ღარიბდე-ბოდენ, ეს ითვლებოდა ღვთისგან მოვლენილ სასჯელათ, რათა მათი რწმენა ღვთის მოწყალებაში კიდევ უფრო განმტკიცებულიყო. სიღარიბე მდიდრებისათვის სათნო-ბაში სავარჯიშო ასპარეზს წარმოადგენდა, ის იმდენათვე საჭირო იყო მათი სულის საცხოვნებლათ, რამდენათაც ტურნირები სხეულის გასამაგრებლათ.

მაგრამ როდესაც საქონლის წარმოების განვითარებამ დაარღვია ძველი ფეოდალური სოფლის მეურნეობა, რო-დესაც გლეხებმა, რომლებსაც მიწები წაართვეს, ქალა-ქებში იწყეს დენა და ამასთან ერთად გაჩნდა მცხოვრებ-ლების გადაჭარბებული რიცხვი და უმუშევრობა, რო-დესაც სიღარიბემ მასსიური ხასიათი მიიღო — ამ ახალ-მა და მრისხანე მოვლენამ ყველა მოაზრე და მგრძნო-ბიარე ადამიანების ყურადღება მიიპყრო. საშუალო სა-უკუნოების ქველ-მოქმედება უძლური იყო მასსიურ სი-ღარიბის წინააღმდეგ და ამას გარდა რეფორმაციამ მოს-

პო მოწყალების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წყარო — კათოლიკურ ეკკლესიის ქველ-მოქმედება. ყველა ღარიბების შეწყნარება საზოგადოებას შეუძლებელ საქმეთ მიაჩნდა; წამოყენებულ იქმნა ახალი პრობლემა: სიღარიბის მოსპობა. იმისდამიხედვით, თუ ვინ რამდენათ ჰუმანიურათ და დაკვირვებით ეკიდებოდა საქმეს, ჩნდებოდა ათასგვარი საშუალებები — ყველაზე უფრო ადვილიდან დაწყებული, რომელიც მდგომარეობდა სიღარიბესთან ერთად ღარიბების მოსპობაში სახრჩობელების და გადასახლების შემწეობით, საზოგადოების კომუნისტურ წყობილების ღრმათ მოფიქრებულ პლანებამდე. ამ პლანებმა ღიდი თანაგრძნობა მოიპოვეს მსწავლულთა შორის, მაგრამ მმართველებს და სახელმწიფო მოღვაწეთ მხოლოდ მარტივი და მოხერხებული საშუალებები ესმოდათ. მაგრამ რაც მეტს პროლეტარებს ახჩობდენ ან დაღავდენ, მით მეტი თავი ებმოდა სიღარიბეს.

თანდათან სიღარიბის სხვა მხარეს მიაქციეს ყურადღება. გაჩნდა კაპიტალისტური წარმოება, უფრო და უფრო გაფართოვდა, საზოგადოებაში უპირატესობა მოიპოვა და ამასთან ერთად ბურჟუაზიულ მსწავლულებმა სიღარიბის მოსპობაზე ფიქრს თავი დაანებეს. კაპიტალისტური წარმოება პროლეტარიატზეა დაყრდნობილი; ამ უკანასკნელის მოსპობა კაპიტალისტურ წარმოების საფუძვლის მოსპობას ნიშნავს. მასსობრივი სიღარიბე — კაპიტალისტურ მასსობრივ სიმდიდრის საფუძველია, ვინც კიცხავს მასსობრივ სიღარიბეს, ის სიმდიდრის წინააღმდეგ ილაშქრებს. ვისაც ჩვენ დროში სურს მუშების უსახსროობას ბოლო მოუღოს, ის ძირს უთხრის საკუთრებას, ის ამაოხრებელია, საზოგადოების მტერია.

მართალია, თანაგრძნობა და შიში — სიღარიბე მთე-

ლი საზოგადოებისთვის საშიშროებას წარმოადგენს, რადგანაც ეპიდემიებს და ბოროტებას იწვევს — ძველებურათ არსებობს ბურჟუაზიულ წრეებში და უფრო შორსმჭვრეტელ და მგრძნობიერ წევრებს აიძულებს ცოტა რამ გააკეთონ პროლეტარებისათვის; მაგრამ ასეთ ბურჟუების უმრავლესობისათვის, რომელსაც არც ძალა შესწევს და არც გამბედაობა თავის კლასთან კავშირის გასაწყვეტათ, მიუწდომელია **პროლეტარიატის მოსპობის** საკითხი, საკითხი მხოლოდ **პროლეტარების მდგომარეობის გაუმჯობესებას** ეხება. საჭიროა, რომ პროლეტარებმა შრომის უნარი არ დაკარგონ და თავისი მდგომარეობით კმაყოფილნი იყვენ, მაგრამ ისინი უნდა დარჩენ კმაყოფილ პროლეტარებათ. ბურჟუაზიული კაცთმოყვარეობა ამ ფარგლებს არ სცილდება.

აღნიშნულ საზღვრებში მრავალგვარათ იჩენს ხოლმე თავს ბურჟუაზიული ფილანტროპია. მის საშუალებების უმრავლესობას ან სრულიათ არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ან უკეთეს შემთხვევებში მხოლოდ კერძო პირების მდგომარეობის შემსუბუქება შეუძლია დროებით. მაგრამ როდესაც მე-XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში კაპიტალისტური მსხვილი წარმოება ინგლისში შეიჭრა (ყველაზე უწინ საქსოვ და სართავ მრეწველობაში) და გამოიწვია ყველა ის საშინელება, რომელიც კი მას ეხერხება, უფრო შორსმჭვრეტელი ფილანტროპები იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ მუშების სრულ გადაშენებისაგან დასახსნელათ მსხვილ მრეწველობაში მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს: **მუშების დაცვა სახელმწიფოს** მიერ — უკიდურეს შემთხვევაში მათი უფრო უმწეო ნაწილის — ქალების და ბავშვების.

იმ დროს მსხვილი კაპიტალისტ—მწარმოებლები არ შე-

ადგენდენ შეძლებულთა კლასის გავლენიან ნაწილს, როგორც ეს დღესაა. მქონებელ კლასთა—მემამულეების და წვრილ ბურჟუების—მრავალნაირი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები მოითხოვდენ კაპიტალისტების უფლების შეზღუდვას მუშებზე. შემდეგ ასეთ შეზღუდვის სასარგებლოთ ლაპარაკობდა ის მოსაზრება, რომ უამისოთ დაიღუპება ინგლისის მრეწველობის საფუძველი — მუშათა კლასი, და ეს მოსაზრება აიძულებდა შეძლებულ კლასების მოაზრე წევრებს, რომელთაც წარმავალ ინტერესებზე მაღლა დგომა შეეძლოთ, შრომის დაცვაზე ეზრუნათ; დასასრულ ამას მოითხოვდენ აგრეთვე ზოგიერთი მსხვილი ფაბრიკანტები, რომელთაც საკმაო სახსარი ქონდათ დასახელებულ შევიწროების ასატანათ და მასთან წარმოების შესათანხმებლათ, მაშინ როდესაც მის წვრილ მეტოქეებს, რომელნიც მუშების უსაძაგლეს გაყვლეფით ძლიეს იბრუნებდენ სულს, განადგურება არ ასცდებოდათ. თუმცა, ამას გარდა, თვით მუშათა კლასში დაიწყო ძლიერი მოძრაობა შრომის დასაცველათ, მაგრამ სულ უმნიშვნელო მფარველ კანონების შემოღებას და მათი მოქმედების ასპარეზის გაფართოებას ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლა დასჭირდა.

თუმც ამ ბრძოლის შედეგი პირველ ხანებში სრულებით უმნიშვნელო იყო, მაგრამ მან უმოძრაობიდან გამოიყვანა პროლეტარიატის ის ჯგუფები, რომლებმაც ამ შედეგით ისარგებლეს, და მათი სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია დაბადა. ეს კიდევ ცოტაა: თვითონ ბრძოლა გამარჯვების მოპოებამდე უჩვენებდა პროლეტარებს, თუ რა ძალაა მათში და რამდენათ საჭირონი არიან ისინი საზოგადოებისათვის. ბრძოლა თავისთავათ აღვიძებდა მათ, იწვევდა მათში თვით-

შეგნებას და თავისთავის პატივისცემას, გამოყავდა ისინი სასოწარკვეთილებიდან და ისეთ მიზანს უყენებდა, რომელიც დღიურ ჭირ-ვარამის ჩარჩოებიდან გამოდიოდა.

მეორე საშუალება მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, რომელსაც ბურჟუაზიაც ემხრობა, **სახალხო შკოლაა.** ვრცლათ ლაპარაკი ამ საგანზე აქ მეტი იქნებოდა. შკოლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რასაც ჩვენ საკმაო ყურადღება უნდა მივაქციოთ, მაგრამ პროლეტარიატის ასამაღლებლათ, როგორც **კლასის**, ეს საშუალება ნაკლებ მნიშვნელობისაა, ვინემ კანონმდებლობის მიერ შრომის ენერგიული დაცვა.

რაც უფრო ვითარდება წარმოების კაპიტალისტური წესი და მსხვილი მრეწველობა ან სულ სპობს ან რადიკალურათ ცვლის წარმოების სხვა ფორმებს, მით უფრო საჭირო ხდება შრომის დაცვის გაძლიერება და გავრცელება არა მარტო მსხვილ მრეწველობის ყველა დარგებში, არამედ ხელოსნობაში და შინაურ მრეწველობაში. მაგრამ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ბურჟუაზიულ საზოგადოებაში იზრდება სამრეწველო კაპიტალისტების გავლენაც — შეძლებულ კლასების არა კაპიტალისტური წარმომადგენლები, წვრილი ბურჟუები და მიწათმფლობელები კაპიტალისტურ სულით იყლინთებიან, და ბურჟუაზიის მოაზრენი და სახელმწიფო მოღვაწენი მის შორსმჭვრეტელ წინამძღოლებიდან ხდებიან უბრალო დაქირავებულ პირებათ, რომელნიც მზათ არიან მის წუთიერ ინტერესებისათვის იბრძოლონ.

აოხრება, რომელსაც კაპიტალისტური წარმოება იწვევს მუშათა შორის, იმდენათ საშინელია, რომ შრომის დასაცველათ რაიმე კანონის — ძალიან უმნიშვნე-

ლო 5 — გამოცემას ეწინააღმდეგებიან მხოლოდ ყოვლათ გაუმაძღარი და უსირცხვილო კაპიტალისტები და კაპიტალის მეგობრები. მაგრამ შეძლებულ კლასებში იშვიათად შეხვდებით ისეთებს, რომელნიც იბრძვიან შრომის დაცვის უფრო გაფართოვებისათვის, მაგალითად, რვა საათის სამუშაო დღისათვის, რასაც ახლა იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც მე-40-ე წლებში ათი საათის სამუშაო დღეს ქონდა ინგლისის სამრეწველო პროლეტარიატისათვის. ბურჟუაზიული ფილანტროპია თან და თან მეტ სიფრთხილეს და წინდახედულებას იჩენს. ის, რაც ხანი გადის, თვითონ მუშებს უტოვებს შრომის ჯეროვან დაცვისთვის საჭირო ბრძოლის წარმოებას. ეს ბრძოლა სულ უფრო და უფრო ხდება **კლასობრივ ბრძოლათ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის.** ხმელეთის ევროპაში, სადაც ბრძოლა შრომის დასაცველათ გაცილებით უფრო გვიან დაიწყო, ვინემ ინგლისში, ამ ბრძოლას იმ თავიდანვე ემჩნეოდა ასეთი ხასიათი. პროლეტარიატი ვერ იქონიებს იმის იმედს, რომ მის მისწრაფებას სოციალურ წარმოებისაკენ შეძლებული კლასები დაუჭერენ მხარს. ეს სავსებით დაყრდნობილია თავის საკუთარ ძალებზე, ე. ი. ყველაზე უწინ იმ ჯგუფების ძალებზე, რომელთაც შეინარჩუნეს ან მოიპოვეს ბრძოლის უნარი და აღფრთოვანება.

8. — პროფესიონალური მოძრაობა

დაქირავებულ მუშების ბრძოლა ექსპლოატატორების წინააღმდეგ სრულებითაც არ არის ახალი მოვლენა. საშუალო საუკუნოების გასულს ჩვენ უკვე ვხვდებით მას, სახელდობრ ქარგლებსა და ხაზეინებს შორის, როცა უკანასკნელებმა საქონლის წარმოების და მსოფ-

ლიო აღებ-მიცემობის გავლენით უკვე იწყეს კაპიტალისტურ მიდრეკილებების გამოჩენა. ბევრმა იმათგანმა უკვე მე-XV საუკუნეში სცადა ისე გაედიდებია ქარგლების რიცხვი, რომ მათი შრომით უდარდელათ ეცხოვრა ან, ყოველ შემთხვევაში, შრომის უდიდესი ნაწილი ქარგლებისათვის მოეხვია თავზე. თავი იჩინა მისწრაფებამ სამუშაო დღის გადიდებისა, უქმეების რიცხვის შემოკლებისა და, ასე გასინჯეთ, კვირაობით მუშაობის შემოღების. ამავე დროს ხაზეინები ცდილობდენ ქარგლებისაგან განცალკევებულიყვენ, აიძულებდენ მათ უფრო ცუდი სასმელ-საჭმელით დაკმაყოფილებულიყვენ, ვინემ თვითონ მათ ქონდათ და სხვ. ქარგლებთან გაწყვეტილ იქნა კავშირი, როგორც ოჯახის წევრებთან. დასასრულ ამქრების ოსტატებმა ქარგლებს ოსტატათ გახდომის გზა მოუსპეს; ვინც ოსტატის შვილი ან სიძე არ იყო, მისთვის ძალიან ძნელი, ხშირათ პირდაპირ შოუხერხებელი იყო ოსტატის ხარისხის მიღება. ამ რიგათ ქარგლობა თან და თან კარგავდა შეგირდობიდან ოსტატის ხარისხამდე გადასასვლელ საფეხურის ხასიათს და ნელ-ნელა ცალკე წოდების ხასიათს ღებულობდა.

რა კი ოსტატებმა კაპიტალისტების სახე მიიღეს, ამას ის ბუნებრივი შედეგი მოყვა, რომ მათსა და მათ მუშებს შორის დამოკიდებულება გამწვავდა, რაც წინამორბედი იყო მრეწველ კაპიტალისტებსა და მათ დაქირავებულ პროლეტარებს შორის მომავალ ურთიერთობის. მაგრამ ქარგლები როდი გავდენ მსხვილ მრეწველობის დასაწყისის მშვიდ და მორჩილ პროლეტარებს. მედგარი და გამბედავები, ისინი არა მარტო სამაგიეროს უხდიდენ მტერს, არამედ, სადაც კი შესაძლებელი იყო, ცდილობდენ მეტი ზიანი მიეყენებიათ მისთვის. ქალაქები პატა-

რები იყვენ, ქარგლების რიცხვი თვითეულ მათგანში შედარებით მცირე იყო. შეერთება მით უფრო ადვილი იყო, რომ რომელიმე ხელობის სახელოსნოები ერთ და იმავ ქუჩაზე იყო თავმოყრილი. მართალია, **მუშაობა** ანცალკევებდა: ერთ ხაზეინთან იშვიათად შეხვდებოდით ერთ-ორ ქარგლის მეტს, მაგრამ მუშაობა არ ავსებდა მათ ცხოვრებას. უქმეების რიცხვი მეტის მეტათ დიდი იყო, საზოგადოებრივი ცხოვრება არა ნაკლებ იპყრობდა თვითეულ პიროვნების ყურადღებას, ვინემ მისი სამუშაო და ეს აკავშირებდა ქარგლებს. მათი საქეიფო ადგილები მათ ორგანიზაციების ცენტრი იყო. აქ ემზადებოდენ ბრძოლისთვის, რომელსაც შემდეგ ხაზეინების წინააღმდეგ იწყებდენ. ვინც განზე იდგა, მას ალმაცერათ უცქეროდენ. რადგანაც პროფესიები განცალკევებული იყო, ამ-ხანაგობიდან გამორიცხვა საზოგადოებიდან გამორიცხვას ნიშნავდა. ამიტომ ქარგლების ორგანიზაციებში ამა თუ იმ ხელობის **ყველა** ქარგლები შედიოდენ. სათადარიგო სამრეწველო ჯარი თითქმის არ არსებობდა, მუშების მოყვანა სხვა პროფესიებიდან ხაზეინებისათვის შეუძლებელი იყო სხვა და სხვა მიზეზების გამო; ამიტომ საკვირველი არაა, რომ ქარგლები შედარებით კარგ პირობებში იყვენ ჩაყენებული. მათი იარაღი გაფიცვა და ბოიკოტი იყო და ისინიც უხვათ სარგებლობდენ ამ იარაღით. ფანტაზიორებს, რომელნიც მუშებსა და ექსპლოატატორებს შორის მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ საშუალო საუკუნოების ხელოსნობის აღდგენაზე ოცნებობენ, თმა ყალხზე დაუდგებოდათ, რომ გაფიცვები დღესაც ისე ხშირი და მედგარი იყოს, როგორც ეს XV და XVI საუკუნოებში ხდებოდა.

მხოლოდ გაძლიერებულმა თანამედროვე სახელმწი-

ფომ მოახერხა ქარგლების ალაგმვა. მუშების ჩაჩუმება ერთი უმთავრეს სამსახურთაგანი იყო, რომელიც უკანასკნელ დროის სახელმწიფომ გაუწია ბურჟუაზიას, და ეს სამსახური დღესაც მთავრობის მთავარ მოვალეობას შეადგენს. დადგა პერიოდი სამუშაო ქირის ტაქსაციისა, ე, ი. მისი მაქსიმუმის დაწესების, დაქირავებულ მუშათა ორგანიზაციების აკრძალვის ან, ყოველ შემთხვევაში, მათი პოლიციურ ზომებით შევიწროების. მიუხედავათ ამისა სახელმწიფომ მაინც ვერ მოახერხა ქარგლების საბოლოოთ ჩაჩუმება. მათ მტრებზე ნაკლებათ არ ესმოდათ შეერთების ძალა და ისიც, თუ რა უძლურებას გამოიწვევდა მათთვის განცალკევება და ამიტომ ყველგან თავგამოდებით იცავდენ თავიანთ ორგანიზაციებს. სადაც კავშირებს აშკარათ არ შეეძლოთ არსებობა, იქ საიდუმლოთ მოქმედებდენ. სასტიკი სასჯელი და დევნა უძლური გამოდგა ქარგლების სოლიდარობის დასარღვევათ. ის ტანჯვა — გაჭირვება, რომელიც გერმანიის მუშებს 1878 წელს სოციალისტების წინააღმდეგ გამოცემულმა კანონმა მიაყენა, სრულიათ უმნიშვნელო იყო იმასთან შედარებით, რაც სხვა და სხვა ქვეყნებში გამოსცადეს მუშებმა ბოლო საუკუნოებში მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე. მაგრამ მუშები მაინც გამარჯვებულები გამოვიდენ ყოველგვარ დევნიდან.

კაპიტალისტურ **მანუფაქტურის** მუშათა უმრავლესობას არ შეეძლო ისეთ მედგარ წინააღმდეგობის გაწევა, როგორც ქარგლებს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მანუფაქტურაში სხვა და სხვა ოპერაციები, რომლებიც ნაწარმოების მოსამზადებლათ არის საჭირო, სხვა და სხვა პირებს აქვს მინდობილი და თვითეულ მუშას მხოლოდ ერთის ან რამდენიმე უბრალო მანიპულიაციის შესრუ-

ლება უხდება. ამიტომ ხელობის შესასწავლის დრო მოკლდება, შესაძლებელი ხდება ქალების და ბავშვების შრომით სარგებლობა. ამას გარდა მანუფაქტურის ბატონობის დროს სამრეწველო ქალაქებში მუშების მრავალრიცხოვან რაზმებს ვხვდებით. აქ მუშებისათვის შეუძლებელია ერთმანეთს პირადათ იცნობდენ, როგორც საშუალო საუკუნოების პატარა ქალაქებში იცნობდენ ერთმანეთს ქარგლები. რასაკვირველია, დიდ ქალაქების აღორძინებამ ცოტა ზიანი ქარგლებსაც მოუტანა, მაგრამ არც ისე ძლიერ, რადგანაც მათ რიცხვთან ერთად გაიზარდა მათი მტრების — ოსტატების — რიცხვი და განცალკევება. პირიქით, კაპიტალისტურ წარმოებაში მუშებს ბრძოლა უხდებათ კაპიტალისტების მცირე რიცხვთან, რომლებსაც ადვილათ შეუძლიათ ერთმანეთში შეთანხმება.

გარდა ამისა ამქრების ბატონობა ხელს უშლიდა მანუფაქტურის განვითარებას ძველ ქალაქებში, და ამიტომ მანუფაქტურულ წარმოებას აარსებდენ იქ, სადაც ამქრული სისტემა არ მოქმედებდა, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც უფრო ადვილი იყო მუშებისთვის თვალყურის გდება, სადაც იმათ მუშების სხვა ჯგუფებში მხარის დამჭერი არავინ ყავდათ, სამუშაოს შოვნა კი მხოლოდ მანუფაქტურაში შეეძლოთ.

დასასრულ საშუალო საუკუნოების დღესასწავლების მოსპობამ ძალიან შეამცირა ის დრო, რომელსაც უმთავრეს შემაერთებელ საშუალებას — ამხანაგურ კრებებს ანდომებდენ. მართალია, მანუფაქტურაც აერთებს მუშების დიდ მასსებს და საჭიროთ ხდის მათ ერთად მოქმედებას — კოოპერაციას. მაგრამ აქედან მიღებული გამაბედნიერებელი შედეგი მუშებში კავშირის შესაკვრელათ სუს-

ტდება იმ არა სასურველ გარემოებით, რომ მუშები მცხოვრებთა სხვა და სხვა წრეებიდან იკრიფებიან და გარდა ამისა განსაკუთრებით მით, რომ სხვა დას ხვა ოპერაციებისთვის სხვა და სხვა ქირას იძლევიან; აქ მუშებში მთელი იერარქია არსებობს, როგორც მდიდარ ოჯახში მოსამსახურეთა შორის და თუმცა მუშა ამა თუ იმ საფეხურს ეკუთვნის არა გაიძვერაობის წყალობით, არამედ ცოდნით და ამნაირათ იერარქია არ ანვითარებს მუშებში ლაქიურ თვისებებს, მაგრამ თავის ინტერესების სოლიდარობას ისინი დიდი გაჭირვებით იგებენ.

მაგრამ მანუფაქტურის მუშებს კიდევ რჩებათ ერთი დიდი უპირატესობა: მართალია, სწავლას აქ ნაკლები დრო სჭირდება, ვინემ ხელოსნობაში, მაგრამ სამაგიეროთ მოხერხება და დახელოვნება აქ მხოლოდ ხანგრძლივი ვარჯიშობით მოიპოვება. ამიტომ მუშების გამოცვლა ადვილი არ არის. და თუმცა მრეწველობის განვითარების იმ საფეხურზე, რომელსაც ჩვენ აქ ვეხებით, დიდია უმუშევარ პროლეტარების რიცხვი, მაგრამ დახელოვნებული მუშები მათში ცოტაა — სამრეწველო სათადარიგო ჯარი მანუფაქტურულ ხანაში საზოგადოთ სუსტ გავლენას ახდენს მუშების მდგომარეობაზე. მხოლოდ მანქანა ცვლის ყველა ამას, რადგანაც უმუშევართა მთელ მასსას მრეწველობისთვის გამოსადეგათ ხდის და ბაზარზე ქალების და ბავშვების ახალი ბრბოები გამოყავს. ჩვენ ხომ დავინახეთ, როგორ ასუსტებს ყოველივე ეს მუშების წინააღმდეგობას.

მანქანების შემოღებით მეტის მეტ სწრაფ მსვლელობას ღებულობს მთელ მრეწველობის კაპიტალისტურათ გადაქცევის პროცესი. მაგრამ კაპიტალისტური საქმეები ყველა დარგებში ხელათ როდი ხდება ფაბრიკე-

ბათ, რომელიც მანქანების შემწეობით მუშაობენ. ზოგან, მაგალითად ასოთ-აწყობის საქმეში, მანუფაქტურა დღესაც ძალაშია. არის ისეთი დარგებიც, სადაც კაპიტალისტურ წარმოების დროსაც დიდხანს შეუძლია არსებობა ხელოსნურ წარმოებას, მაგალითად, მკერვალობას, რამდენათაც მის მიზანს არ შეადგენს შეკერილ ტანისამოსების მასსიური დამზადება. იმ დარგის კაპიტალისტური ექსპლოატაცია, რომელიც ჯერ კიდევ არ გაშორებია ხელოსნობის საფეხურს, ჩვეულებრივ იწვევს არა მსხვილს, არამედ წვრილ, შინაურ წარმოებას, სახლში მომუშავე მუშები კი ყველაზე უფრო უმწეონი არიან.

მსხვილ კაპიტალისტურ მრეწველობაშიც, სადაც მანქანები მუშაობენ, კიდევ რჩებიან დარგები — თუმცა მათი რიცხვი ყოველ წლობით კლებულობს — რომელნიც აუცილებლათ მოითხოვენ ნასწავლ, ერთნაირ გამოცდილების მქონ მუშებს. მსხვილი მრეწველობა თვითონ ქმნის შრომის ახალ დარგების მთელ რიგს ან აფართოებს უკვე არსებულ დარგებს, რომელშიაც საჭიროა განსაკუთრებით ღონიერი, მოქნილი და სპეციალურ ცოდნით აღჭურვილი მუშები, რომლებსაც ვერას დააკლებს უსწავლელ მუშების ან ქალების და ბავშვების კონკურენცია. ასეთები იყვენ და უმეტესათ დღესაც დარჩენ შრომის სხვა და სხვა დარგები მადნების ამოსაღებათ და დასამუშავებლათ.

ამის და მიხედვით, მუშა პროლეტარიატიც იყოფა ორ დიდ — უმაღლეს და უდაბლეს ჯგუფათ. უმაღლესს ეკუთვნიან ნასწავლი, დახელოვნებული მუშები, რომელთა მდგომარეობა შედარებით უფრო საიმედოა. ქვევით დგას მუშების მასსა, რომლის რაოდენობა დღითიდღე იზრდება და ისეთ პროფესიებს ეკუთვნის, სადაც

საჭირო არ არის განსაკუთრებული ცოდნა, ნიჭი და დახელოვნება: რაც უნდა ნიჭიერები, მოხერხებულები და თავის საქმის მცოდნენი უნდა იყვენ ზოგიერთები ამ მუშებში, მათ მაინც უსწავლელ, გამოუცდელ მუშების ჯგუფში ჩარიცხავენ; მათი მოადგილეების შოვნა ადვილია, მათთან დიდი ბოდიში არ არის საჭირო, ისინი ძალიან ძლიერი წინააღმდეგობის გაწევას ვერ მოახერხებენ.

უფრო კარგ პირობებში ჩაყენებული, ნასწავლი მუშები წარმოადგენენ მუშათა კლასის ავანგარდს უკეთეს მომავლისთვის ბრძოლაში. ისინი პროლეტარიატის სხვა ჯგუფებზე უფრო მებრძოლ ელემენტებს წარმოადგენენ, რომელთაც ყველაზე ადრე შეუძლიათ კაპიტალის წინააღმდეგ გალაშქრება. და მათ არა ერთხელ გამოიჩინეს ბრძოლის უნარი შეტაკებების დროს.

მათი მდგომარეობა რამდენიმეთ ამქრულ წყობილების ქარგლების მდგომარეობას გავს, მათ ბევრი მხრით შეირჩინეს ამ უკანასკნელების ტრადიციები და მათი ბრძოლის და ორგანიზაციების წესით ისარგებლეს. მუშათა ბრძოლის ახალი ეკონომიური ორგანიზაციები—პირველათ მხოლოდ ნასწავლ მუშების ორგანიზაციები — **პროფესიონალური კავშირები** ზოგიერთ შემთხვევებში პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენენ ძველ **ქარგალთ ამხანაგობების** და ხშირათ, პროფესიონალურ მოძრაობის დასაწყისში მაინც, დგებიან იმ ტრადიციების თანახმათ, რომელიც ამქრულმა ამხანაგობებმა უანდერძეს დაქირავებულ მუშებს.

პროფესიონალურ მოძრაობის თავდაპირველი ნათესაობა ქარგლების ამქრულ მოძრაობასთან არ განისაზღვრება პროფესიონალურ კავშირების ძალით. ხან და

ხან მათ ემჩნევათ აგრეთვე ქარგლებისებური ვიწრო, წმინდა პროფესიონალურ ინტერესებისთვის თავგამოდება და მუშათა საერთო ინტერესებისადმი გულგრილობა. ზოგიერთ შემთხვევებში საქმე ისე მიდის, რომ ნასწავლ მუშების კავშირები არა თუ ივიწყებენ სოლიდარობის მოვალეობას მთელ მუშათა კლასთან, არამედ ცდილობენ თავისი კეთილ-დღეობა დანარჩენ მუშების უბედურებაზე ააშენონ — მაგალითად, თავიანთ პროფესიაში შეგირდების რიცხვის შეზღუდვით. ამით ისინი ამცირებენ შრომის მიწოდებას თავიანთ დარგში, მაგრამ სამაგიეროთ ვნება მოაქვთ სხვა დარგების მუშებისათვის, რომელთაც ძალა არ შესწევთ ასეთივე შეზღუდვა შემოიღონ თავიანთ პროფესიებში, რომელსაც წინანდელზე მეტი მუშები ეტანებიან.

ზოგიერთ შემთხვევებში მხოლოდ ამა თუ იმ დარგის შეკავშირებული მუშები შორდებიან „ბრბოს“, როგორც „შრომის არისტოკრატები“, რომ ამ ბრბოს ზურგზე შედგენ და თავიანთი მდგომარეობა გაიუმჯობესონ. სულ ცოტა ხანია მას შემდეგ, რაც ამ გვარათ იქცეოდა ასოთ-ამწყობების უმრავლესობა გერმანიაში. მაგრამ ინგლისში საზოგადოთ ყველა ნასწავლი მუშები განცალკევდენ შავ მუშებისაგან. პირველთ შეუერთდენ კიდევ ისეთ დარგებში მომუშავენი, რომლებსაც საქარხნო კანონები შეეხო და ამიტომ მათი მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. ეს უკეთეს პირობებში ჩაყენებული მუშები ამ უკანასკნელ დრომდე, და რამდენიმეთ დღესაც, წარმოადგენენ მუშათა არისტოკრატიას, რომელიც განცალკევებული დგას დაქირავებულ მუშათა დანარჩენ მასისაგან.

სადაც პროფესიონალური მოძრაობა კარგ პირობებში

მყოფ მუშებში არისტოკრატიულ კარ-ჩაკეტილობას იწ-ვევს და კასტიურ სულს ნერგავს, იქ ის არა თუ ხელს არ უწყობს პროლეტარიატის ამაღლებას, **როგორც კლასის**, არამედ ის ასუსტებს და **აფერხებს** მას და ამასთან გაცილებით უფრო ძლიერ, ვინემ ის უგუნური და მოუხეშავი ზომები, რომელსაც დახავსებული სახელმწიფოებრივი სიბრძნე მიმართავს ხოლმე მუშების შესავიწროებლათ. ასეთი ზომები, პროფესიონალურ კავშირების წინააღმდეგ მიმართული, პირიქით, საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ ნასწავლ მუშების შავ მუშებთან შესაერთებლათ საერთო ბრძოლისათვის.

დღეს მხოლოდ ყოვლათ უვიცი და უტვინო მთავრობის მოხელენი ფიქრობენ ასეთი ზომებით პროლეტარიატის ალაგმვას. პროლეტარიატის უსაშინელესი მტრები, პირიქით, მის მეგობრების სახით გამოდიან და ზემოთ დახასიათებულ პროფესიონალურ მოძრაობის განვითარებით ცდილობენ დააშორონ ერთმანეთს მუშები და პროლეტარიატის უფრო გაბედული, მოწინავე რაზმებში მებრძოლი ჯგუფები თავიანთ უფრო უმწეო ძმების მჩაგვრელებათ გადააქციონ. მუშათა კლასის ეს ცრუ მეგობრები გერმანიაშიც „მუშაობენ", ჯერ-ჯერობით უმთავრესათ უნივერსიტეტებში, მაგრამ ცდილობენ პირდაპირ მუშებზე იქონიონ გავლენა. საბედნიეროთ, გაბატონებული პარტიები ერთობ მოკლებული არიან შორს მხედველობას, გერმანელ მუშებს საკმაოთ აღებული აქვთ ალღო და ეკონომიური ურთიერთობანიც იმდენათ განვითარებული არიან, რომ ამ ვაჟბატონებს სერიოზულ ზიანის მოტანა არც კი შეუძლიათ.

როგორც უნდა ამაყობდეს და პროლეტარიატის მასას განზე ედგეს ესა თუ ის, შედარებით უფრო კარგ

პირობებში ჩაყენებული, მუშათა ჯგუფი, მას არ შეუძლია, დროთა ვითარების გამო, ეკონომიურ ევოლიუციის გავლენას თავი დაახწიოს და მთელ მუშათა კლასს არ შეუერთდეს. თუ რამდენი დრო იქნება საჭირო მუშათა რომელიმე ჯგუფის არისტოკრატიულ ტენდენციების დასათრგუნავათ, ეს დამოკიდებულია ხსენებულ მუშების შეგნებაზე, მრეწველობის იმ დარგის განვითარებაზე, სადაც ისინი მუშაობენ, მის მნიშვნელობაზე შინაურ და მსოფლიო ბაზარზე; მაგრამ ადრე იქნება თუ გვიან, ამ ტენდენციებს ბოლო მოეღება.

მრეწველობის არც ერთი დარგი არაა დაზღვეული ტეხნიკურ რევოლიუციისაგან, რომელიც ნასწავლ მუშის ალაგას უსწავლელს აყენებს და მამაკაცის მეტოქეთ ქალები და ბავშვები გამოყავს. მაგრამ, გარდა ამისა, თვითეულ ორგანიზაციის მქონ პროფესიაში, თან და თან იზრდება ნასწავლ მუშების რიცხვი, რომლებიც ვერ ღებულობენ იმდენ ქირას, რომ ორგანიზაციაში შევიდენ და ამიტომ მის გარეთ რჩებიან, რაც საშუალებას აძლევს კაპიტალისტებს კავშირში მყოფ მუშების წინააღმდეგ გამოიყენონ ისინი. საუკეთესო ორგანიზაციის მქონე მუშებიც კი, რომელთა საკავშირო კასები საუკეთესო მდგომარეობაში არიან, თან და თან რწმუნდებიან, რომ ცალკე პროფესიონალური ორგანიზაციები უძლურია კაპიტალიზმის მჩაგვრელობის წინააღმდეგ, კაპიტალიზმის სრულ დამარცხებაზე ხომ ლაპარაკიც კი მეტია მათთვის. ისინი იძულებულნი არიან დარწმუნდენ, რომ, რაც უფრო უძლურია პროლეტარიატი, როგორც მთელი, იმდენათ უძლურნი არიან თვითონ ისინი, ხოლო პროლეტარიატის ძალა — მათი ძალაა. ისინი იმ დასკვნამდე უნდა მივიდენ, რომ არ არის კარგი პოლიტიკა

თავის ასამაღლებლათ ვინც ჭაობში იხრჩობა იმათ მხრებზე შედგომა და ამით მათი კიდევ უფრო ღრმათ ჩაძირვა. მკვიდრი ნიადაგი უნდა გქონდეთ ფეხ ქვეშ, თუ გსურთ, რომ მაღლა აიწიოთ და ძირს აღარ ჩამოვარდეთ. ამისთვის კი საჭიროა ქვევით მდგომ ჯგუფებს ჭაობიდან ამოსვლა უშველოთ.

ასე მუშების „არისტოკრატიული“ ჯგუფები თან და თან მიდიან იმ შეგნებამდე, რომ მათი ბრძოლა ექსპლოატაციის წინააღმდეგ არ წარმოადგენს მათ განსაკუთრებულ ბრძოლას განსაკუთრებულ ინტერესებისათვის, არამედ ნაწილს დიად კლასობრივ ბრძოლისას, რომელსაც მთელი პროლეტარიატი ეწევა. ისინი რწმუნდებიან, რომ პროლეტარიატის სხვა ჯგუფების ბრძოლას მათთვისაც აქვს მნიშვნელობა, რომ ეს ბრძოლა მათი საქმისთვის გამოსადეგია და ამიტომ ისინი ვალდებულნი არიან შეძლების დაგვარათ მასში მონაწილეობა მიიღონ. ისინი რწმუნდებიან, რომ მათი მოვალეობაა, სადაც კი შესაძლებელია, დაიცონ ინტერესები პროლეტარიატის იმ ჯგუფისა, რომელიც მუშათა მოძრაობის გარეშე სდგას და საკუთარ ძალ-ღონით თავის ინტერესების დაცვა არ შეუძლია.

ამავე დროს უბრალო მუშებიც თან და თან მაღლდებიან. ნასწავლ მუშების ბრძოლის მხოლოდ ერთ გარეგან სახეს გამამხნევებელი და გამომაფხიზლებელი გავლენა აქვს მათ უსწავლელ თანამოძმეებზე. მუშათა კანონმდებლობის ამგვარსავე მოქმედებაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. სხვა მრავალი მიზეზებიც აგრეთვე სურვილს უღვიძებენ მუშების ცალკე ჯგუფებს მებრძოლ პროლეტარიატის რაზმებში გადასვლისათვის.

უბრალო მუშების ბრძოლის პირდაპირი ეკონომიური

შედეგები ჩვეულებრივ ერთობ უმნიშვნელოა. მისი ისტორია — „ეს არის მთელი რიგი დამარცხებათა, რომელთაც ხან და ხან თითო-ოროლა გამარჯვება ცვლის“ (ენგელსი). მაგრამ პროლეტარიატი, თითქოს საბერძნეთის მითოლოგიის გმირი ანტეიაო, ბრძოლაში ყოველ გამარჯვებიდან ახალ ძალებს იკრებს. თვითონ ბრძოლა, როგორიც უნდა იყოს მისი შედეგი, ზნეობრივათ ამაღლებს მუშებს, აღვიძებს და ამაგრებს მათში ყველა იმ თვისებებს, რომლებიც ჩვენ უკვე მოვიხსენეთ, როგორც პროლეტარიატის დამახასიათებელი. ბრძოლას მიყავს ის ზნეობრივ და სოციალურ განახლებისაკენ იმ შემთხვევაშიაც კი, როცა სრულებით არ აუმჯობესებს მის ეკონომურ მდგომარეობას, ან როცა კიდევაც აქვეითებს მას.

ასე ნასწავლ და უსწავლელ მუშებისაგან თან და თან დგება მუშათა კლასის ჯგუფი, რომელიც მუდამ მოძრაობაშია, დგება მუშათა მოძრაობა. ეს — პროლეტარიატის ის ნაწილია, რომელიც თავის კლასის საერთო ინტერესებისათვის იბრძვის, მისი ecclesia militans (მებრძოლი ეკკლესიაა). ამ ჯგუფში თან და თან გადადიან როგორც ამაყი, ვიწრო ეგოიზმით გატაცებული „შრომის არისტოკრატები“, ისე შეუგნებელი „ბრბო“ პროლეტარიატის ჩამორჩენილ წრეებისა, რომელნიც უიმედობის და უძლურების მორევში არიან ჩაფლული. ჩვენ დავინახეთ, რომ მუშა პროლეტარიატის რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება; ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ის ყველა მშრომელ კლასებისათვის ხმის მიმცემი ხდება, ისინი ითვისებენ მის ყოფა-ქცევას, შეხედულებებს და სულიერ განწყობილებას; ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მასსა დღითი დღე მატულობს რიცხვით და თანაც იზრდება მისი ბრძოლის უნარი, როგორც აბსოლიუტურათ,

ისე შედარებით. რაც უნდა სწრაფათ მრავლდებოდეს პროლეტარიატი, მისი **მებრძოლი ნაწილი** კიდევ უფრო ჩქარა იზრდება.

9. — პოლიტიკური ბრძოლა

როცა პროლეტარიატი თავის პირველ ორგანიზაციებს ქმნის წინააღმდეგობის გასაწევათ, ის ხელოსანქარგლების ორგანიზაციების ფორმებს ბაძავს; აგრეთვე სადაც ის შეკავშირებულათ გამოდის, მისი ბრძოლის პირვანდელი საშუალებებიც ისეთია, როგორც ქარგლების — ბოიკოტი და, განსაკუთრებით, გაფიცვა.

მაგრამ პროლეტარიატი ვერ დაკმაყოფილდება ბრძოლის მხოლოდ ასეთ საშუალებებით. რაც უფრო ერთდებიან მისი ცალკე ჯგუფები ერთ მუშათა კლასათ, მით უფრო **პოლიტიკური ხასიათი** უნდა მიიღოს მისმა ბრძოლამ, ყოველი კლასობრივი ბრძოლა არის ბრძოლა პოლიტიკური, როგორც ეს უკვე გამოთქმულია „კომუნისტურ მანიფესტში“.

ჯერ მარტო წმინდა პროფესიონალურ ბრძოლის ინტერესები აიძულებენ მუშებს პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენონ. როგორც ზემოთ დავინახეთ, თანამედროვე სახელმწიფომ თავის მთავარ საგნათ დაჭირავებულ მუშების მიმართ დაისახა ის, რომ მათი ორგანიზაცია შეუძლებელი გახადოს. ფარული ორგანიზაცია შეიძლება სურროგატი იყოს აშკარა ორგანიზაციის და თანაც იმდენათ გამოუსადეგი, რამდენათაც დიდია რიცხვით ის მასსები, რომლის ერთად თავის მოყრაა საჭირო. ამიტომ, რაც უფრო წინ მიდის პროლეტარიატის განვითარება, მით უფრო საჭიროა მისთვის ორგანიზაციების, კავშირების თავისუფლება.

მაგრამ მარტო ასეთი თავისუფლება არ არის საკმაო იმისთვის, რომ პროლეტარიატმა შეიძლოს თავის ორგანიზაციების სავსებით განვითარება და მათი გამოყენება მიზნის შესაფერათ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა ადვილი იყო ხელოსნების ქარგლებისათვის შეერთება. თითო ქალაქში ერთ და იმავ ხელობაში შედარებით ცოტა ხალხი მუშაობდა, ამასთან ხელოსნები ერთ რომელსამე ქუჩაზე იყვენ თავმოყრილი, ასე რომ ერთმანეთში განუწყვეტელი პირადი კავშირი ქონდათ. ხშირათ სირაჯხანის ერთი ოთახი რომელიმე ხელობის ყველა ქარგლებს იტევდა. ამავე დროს ეკონომიურის მხრით ქალაქი წარმოადგენდა ერთს ცოტათ თუ ბევრათ დამოუკიდებელ მთელს. კარგი გზები არ არსებობდენ, ქალაქს ქალაქთან სუსტი დამოკიდებულება ქონდა. ასეთ პირობებში რამდენიმე მოსიარულე ქარგალი საკმაო იყო იმისთვის, რომ მათ ორგანიზაციებს შორის კავშირი ყოფილიყო ცალკე ქალაქებში.

ჩვენ დროს მრეწველობის მსხვილ ცენტრებში ათასობით შრომობენ მუშები და თვითეული იმათგანი უფრო მეტიდროთ არის შეკავშირებული თავის ხელობის ყველა წარმომადგენლებთან კი არა, არამედ ერთ ჭერს ქვეშ მომუშავეებთან. რომ შევაკავშიროთ ეს მასები, რომ გავულვიძოთ მათ ინტერესთა საერთო სოლიდარობის შეგნება და ამ ინტერესებისათვის მებრძოლ ორგანიზაციებში შევიყვანოთ, ამისთვის საჭიროა, რომ თავისუფლება გვქონდეს ამ მასებს თავისუფალ სიტყვით მივმართოთ, საჭიროა კრებების და მწერლობის თავისუფლება. ქარგლებისთვის საჭირო არ იყო მწერლობა. ისეთ ვიწრო ფარგლებში, რომლებშიც ისინი ცხოვრობდენ, პირადი დამოკიდებულებაც საკმაო იყო.

თანამედროვე დაქირავებულ მუშების უთვალავ მასებს პრესის დაუხმარებლათ ვერ შეეაერთებთ ორგანიზაციებათ და ვერ ვაიძულებთ ერთად მოქმედებას.

და ეს მით უფრო შეუძლებელია, რაც უფრო ფართოთაა განვითარებული მისვლა-მოსვლის თანამედროვე საშუალებები. ამ საშუალებათა განვითარება ძლიერ იარაღს აძლევს კაპიტალისტებს მუშებთან საბრძოლველათ. დღევანდელი გზები ნებას აძლევენ მწარმოებლებს სწრაფათ გადაიყვანონ მოზრდილ მანძილზე მუშების დიდი რიცხვი. თუ ხაზეინსა და მუშებს შორის ბრძოლა დაიწყო, ხაზეინს ადვილათ შეუძლია მათ ალაგას სხვა კუთხეებიდან დაიბაროს მუშები, თუ თვითონ მუშებს ერთმანეთში კავშირი არ აქვთ. მისვლა-მოსვლის განვითარება სულ უფრო და უფრო საჭიროთ ხდის ცალკე კუთხეების მუშათა მოძრაობის შეერთებას მუშათა საერთო მოძრაობათ, რომელშიაც მონაწილეობას უნდა იღებდენ რომელიმე ქვეყნის ყველა მებრძოლი მუშები, და ყველა სამრეწველო ქვეყნების მუშათა ორგანიზაციებიდან ერთი ორგანიზაციის შექმნას. სამრეწველო მუშების ნაციონალურ და საერთაშორისო შეერთების საქმეში **ბეჭვდითი სიტყვის** დახმარება კიდევ უფრო საჭიროა, ვინემ ადგილობრივ ორგანიზაციულ მუშაობაში.

ამ გვარათ ყველგან, სადაც კი მუშათა კლასი ამოძრავდა, სადაც მან მხოლოდ სცადა თავის მდგომარეობის გაუმჯობესება, ეკონომიურ მოთხოვნილებებთან ერთად ჩვენ ვხდებით პოლიტიკურ მოთხოვნილებებსაც: კავშირების, კრებების, ბეჭვდითი სიტყვის თავისუფლების. ამ უფლებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მუშათა კლასისთვის; ისინი ეკუთვნიან იმ საარსებო პირობებს, რომლებიც მისთვის აუცილებლათ საჭიროა. ეს უფლებები

პროლეტარიატისთვის იგივეა, რაც სინათლე და ჰაერი; ვინც ამ უფლებებს ფრთებს აკვეცს ან სულ არ იძლევა, ვინც ცდილობს მუშებს ხელი ააღებინოს მათ შესაძენათ ან გასაფართოებლათ ბრძოლაზე — ის მუშათა კლასის უსაძაგლესი მტერია, რა დიდ სიყვარულსაც უნდა უცხადებდეს ის გულწრფელათ თუ ფარისევლურათ და რა სახელებიც უნდა ერქვას მას: ანარხისტი, ქრისტიან-სოციალისტი თუ კიდევ სხვა რამე. რაც უნდა ამოქმედებდეს ასეთ კაცს, ბოროტი განზრახვა თუ გაუგებრობა, სულ ერთია, მას ისეთივე ვნება მოაქვს პროლეტარიატისთვის, როგორც აშკარა მტრებს და მის წინააღმდეგაც ისეთივე ბრძოლაა საჭირო, როგორც ცნობილ მტრების წინააღმდეგ.

ხშირათ უპირდაპირებდენ ერთმანეთს პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლას და ამბობდენ პროლეტარიატმა მთელი თავისი ძალღონე ერთს ან მეორეს უნდა შესწიროსო. ნიმდვილათ კი მათი გაყოფვა შეუძლებელია. ეკონომიურ ბრძოლისთვის საჭიროა პოლიტიკური უფლებები, რის შესახებაც ამ წამში გვქონდა საუბარი; მაგრამ ეს უფლებები ზეციდან არ ცვივიან და მათი შეძენა და ბოლომდე შერჩენა პოლიტიკურ მოქმედებას ითხოვს. თვითონ პოლიტიკური ბრძოლა ბოლოს და ბოლოს, ხან კი დამოუკიდებლათ, როგორც მაგალითად ბაჟების, მუშათა კანონმდებლობის და სხვ. საკითხში — იგივე ეკონომიური ბრძოლაა. პოლიტიკური ბრძოლა მხოლოდ განსაკუთრებული, უფრო ფართოთ და ღრმათ გამომხატველი ფორმაა ეკონომიურ ბრძოლის.

არა მარტო იმ კანონებს, რომლებიც პირდაპირ მუშათა კლასს ეხებიან, არამედ აგრეთვე სხვა კანონების დიდ ნაწილს ესა თუ ის გავლენა აქვს მის ინტერესებზე.

როგორც სხვა კლასები, ისე მუშათა კლასიც უნდა ეცადოს პოლიტიკურ გავლენის, პოლიტიკურ ძალის მოპოებას, უნდა ეცადოს, რომ მთავრობამ მის ინტერესებს ემსახუროს.

თანამედროვე სახელმწიფოში ამის მისახწევათ ორი გზაა შესაძლებელი. პირველია — სახელმწიფოს გამგის პიროვნებაზე გავლენის მოხდენა. თვითმპყრობელურ სახელმწიფოებში ეს ერთათ ერთი საშუალება იყო (და არის) ქვეყნის მართვა-გამგეობაზე გავლენის მოსაპოებლათ. ამიტომ მართვა-გამგეობის ასეთ ფორმის შერჩენა სასარგებლოა ისეთ კლასებისათვის, რომლების წევრებს სახელმწიფოს გამგესთან მისვლა-მოსვლა აქვთ, შეუძლიათ მისი გულის მოგება, თავის გავლენის ქვეშ ყოლა ან დამტკიცება, რომ ისინი მისთვის საჭირონი არიან. აი ეს კლასები, კარის-კაცები, ბიუროკრატიის და ჯარის უმაღლესი პირები, დასასრულ ფინანსიურ ქვეყნის მესვეურნი — კრედიტორები არიან თვითმპყრობელობის ბუნებრივი დამცველები.

მცხოვრებლების ყველა სხვა კლასებს თანამედროვე მსხვილ სახელმწიფოში მხოლოდ მათ მიერ არჩეულ პარლამენტის საშუალებით შეუძლიათ ქვეყნის მართვა-გამგეობაზე გავლენის მოხდენა. პარლამენტი საზღვრავს იმ პირობებს, რომლებშიაც მის მიერ წარმოდგენილმა კლასებმა ნება უნდა დართონ სახელმწიფო ბიუჯეტისთვის საჭირო გადასახადების აკრეფა. გადასახადებზე უარის თქმის უფლება და ამ უარის სისრულეში მოყვანა ის საფუძველია, რომელზედაც აღმოცენდა კანონების მიღების და უარყოფის და სამინისტროს ჩამოგდების უფლება. ეს უფლებები ყოველ პარლამენტს აქვს, თუ ის მართლა პარლამენტია და არა ლეღვის ფურცელი აბ-

სოლიუტიზმის დასაფარავად, როგორც ეს ვიღაცამ სთქვა.

პირდაპირ სახალხო კანონმდებლობაზე ლაპარაკი აქ მეტია ჩვენთვის, მას არ შეუძლია გააუქმოს პარლამენტის საჭიროება, ყოველ შემთხვევაში თანამედროვე მსხვილ სახელმწიფოებში და ჩვენ ხომ აქ ასეთ სახელმწიფოზე გვაქვს ლაპარაკი. მას მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლია იმოქმედოს, როგორც პარლამენტის დამატება. სრულიათ შეუძლებელია ყველა კანონების გამოცემა პირდაპირი სახალხო კანონმდებლობის შემწეობით და აგრეთვე შეუძლებელია მისი საშუალებით აღმასრულებელ ძალისთვის თვალ-ყურის გდება და როცა საჭიროა, მაზე გავლენის მოხდენა. სანამ თანამედროვე მსხვილი სახელმწიფოები არსებობენ, მათ პოლიტიკურ ცხოვრების ღერძათ პარლამენტები იქნებიან.

პარლამენტარიზმის უკანასკნელი საფეხური პარლამენტარული რესპუბლიკაა; რჩება თუ არა მონარქია დეკორაციის მსგავსათ, როგორც ინგლისში, მაგალითად — ეს სულ ერთია. საქმით ყველა ქვეყანაში, სადაც კი პარლამენტარული მართვა-გამგეობაა, ხალხელმწიფო ძალა პარლამენტის სრულ განკარგულებაშია, რადგანაც მის ხელშია ფულის ტომარა — თანამედროვე სახელმწიფოს და ყოველგვარ თანამედროვე საქმის სული და გული. ჩვენ დროში უფულო მეფე უფრო ცუდ ყოფაში იქნება, ვინემ უმამულო მეფე.

თანამედროვე სახელმწიფოში ყველა კლასები, რომლებიც პოლიტიკურ ძალით და დამოუკიდებლობით სარგებლობენ და თავის მიზნის უფრო ადვილათ განხორციელებას სახელმწიფოს გამგის პიროვნებაზე გავლენით არ ფიქრობენ, ცდილობენ გააძლიერონ პარლა-

შენტის გავლენა და თვითონაც გაძლიერდენ პარლამენ-ტში. პალამენტის ძალა დამოკიდებულია მის მომხრე კლასების ძალასა და ენერგიაზე და აგრეთვე იმათ ძ-ლასა და გამბედაობაზე, რომლებსაც ის თავის სურვილს ახვევს თავზე. რომელიმე კლასის ძალა პარლამენტში თავდაპირველათ საარჩევნო უფლების ორგანიზაციაზეა დამოკიდებული. პარლამენტში, რასაკვირველია, წარ-მოდგენილი ვერ იქნებიან ის კლასები, რომლებსაც საარჩევნო უფლება არა აქვთ. შემდეგ პარლამენტში წარ-მოდგენილ კლასის ძალა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გავლენა აქვს მას არჩეულებზე და აგრეთვე როგორ ნიჭს იჩენს ის პარლამენტარულ მოღვაწეობაში.

პირველ ორ მუხლს განმარტება არ სჭირია, მხოლოდ უკანასკნელის შესახებ უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ყველას არ შეუძლია პარლამენტში მოქმედება. ის თხოულობს ერთგვარ გამოცდილებას, რის შესაძენათ საჭიროა ცოტა თუ დიდ ხანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება, განსაკუთრებით ორატორული ვარჯიშობა. შემდეგ ამისთვის საჭიროა ერთნაირი თვალთახედვის ისარი, ფართო შეხედულება, რომ საერთო ნაციონალური და საერთაშორისო კითხვები გაარჩიოს. გლეხობას და აგრეთვე წვრილ ბურჟუაზიის უმრავლესობას ასეთი, პარლამენტარულ მოღვაწეობისათვის საჭირო, თვისებები არა აქვთ. როგორც უკვე დავინახეთ, ცხოვრებისთვის სახსრის ძებნა მათ თავისუფალ დროს აღარ უტოვებს. ამას გარდა მუშაობა აცალკევებს მათ წეკრებს, აშორებს ერთმანეთს და ნაცნობების ვიწრო წრეს იქით არ უშვებს.. მათი თვალთახედვის ისარი ერთობ ვიწროა, ამიტომ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ სიქმეებს თავიანთ პირად საჭიროე-

ბის ან და, უკეთეს შემთხვევაში, ადგილობრივ წუთიერ საჭიროებათა საზომით ზომავენ. მათი არსებობის პირობები ხელს უშლიან როგორც პარლამენტარულ პოლიტიკურ მოღვაწეების გაჩენას მათ წრეში, ისე ამ კლასების მიერ ერთ ნაციონალურ პარტიის დაარსებას (ე. ი. ისეთ პარტიის, რომელშიც უნდა შედიოდეს რომელიმე ნაციის მთელი კლასი). ეს კლასები წარმოადგენენ ხალხის ბრბოს, რომელსაც შინაგანი კავშირი არა აქვს და წუთიერ გატაცების მსხვერპლი ხდება; მათ არა თუ არ ეხერხებათ პარლამენტში თავის წრიდან გაგზავნონ წარმომადგენლები. მათ ისიც კი არ შეუძლიათ, რომ ამ წარმომადგენლებს კანტროლი უყონ. ხელოსანს ან ნამდვილ გლეხს პარლამენტში ისე ხშირათ შეხვდებით, როგორც თეთრ ყორანს. ესენი წარმომადგენლებს პარლამენტში თავიანთ წრიდან კი არ ირჩევენ, არამედ, როცა ლიბერალურათ არიან მომართული, ადვოკატებს და პროფესორებს გზავნიან, ხოლო როცა კონსერვატიულათ, — მაშინ მსხვილ მემამულეებს, მღვდლებს და დიდ ჩინოვნიკებს. ცხადია, რომ ასეთ წარმომადგენელს, რაც უნდა პატიოსანი განზრახვები ქონდეს, არ შეუძლია ხელოსნების ან გლეხების ინტერესების ჭეშმარიტი გამომხატველი იყოს. მაგრამ ხშირათ ის უპატიოსნო განზრახვით გამოდის. და რა კი მას, როცა პარლამენტში მოყვება, საშუალება აქვს თავის ნებაზე იმოქმედოს, მისი ამრჩევლები მასთან ვერას გახდებიან. უკეთეს შემთხვევაში მათ შეუძლიათ ახალ არჩევნების დროს გააშავონ მოღალატე და... მის ალაგას სხვა მისივე მსგავსი აირჩიონ.

ამიტომ საკვირველი არაა, თუ ასეთი ამრჩევლები ბევრათ იხსენიებენ პარლამენტარიზმს. სულ სხვაა ბურჟუ-

ზაზიის მდგომარეობა. მის განკარგულებაშია ყველა მატერიალური და სულიერი საშუალებანი, რომ თავისი ინტერესები დაიცვას როგორც საარჩევნო ბრძოლაში, ისე პარლამენტში. ბურჟუაზია არა მარტო ფულის პატრონია; მის ბანაკში თავმოყრილია ბევრი განათლებული კაცები, რომლებიც ცხოვრებას იცნობენ, რომელნიც შეჩვეულნი არიან მსხვილ საზოგადოებრივ ორგანიზაციების მართვას, რომლებსაც ხელობათ გაუხდიათ კანონების შესწავლა და ორატორული ხელოვნება, ადვოკატები და პროფესორები. აქამდე ბურჟუაზიასავით შორს ამ მხრით არც ერთი კლასი არ წასულა. სულ უკანასკნელ დრომდე ბატონობდა ის პარლამენტებში და პარლამენტარიზმი ყველაზე უფრო შესაფერ და ჭეშმარიტ საშუალებას წარმოადგენდა, რომ მისი ძალა სახელმწიფოში უზრუნველყოფილიყო და დაბალი კლასები ბურჟუაზიის პოლიტიკური მოსამსახურეები გამხდარიყვენ.

ამიტომ წვრილ ბურჟუაზიის რადიკალური ელემენტები, რომელთაც სურთ კაპიტალიზმს კისერი მოუგრიხონ, ფიქრობენ, რომ პარლამენტარიზმი უმთავრესი ძალაა, რომელიც დაბალ კლასების დაბეჩავებას ხელს უწყობს და სამარადისოთ ამტკიცებს. ასეთ რადიკალებს პარლამენტის სახელსაც კი ვერ გააგონებთ და დარწმუნებულები არიან, რომ მხოლოდ მისი სავსებით მიტოვებით შეიძლება ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა. ამიტომ ამათგან ერთნი თხოულობენ პარლამენტის ნაცვლათ პირდაპირი სახალხო კანონმდებლობის შემოღებას, მეორენი კიდევ უფრო შორს მიდიან და რა კი ხედვენ, რომ თანამედროვე სახელმწიფოში პოლიტიკას და პარლამენტარიზმს ერთმანეთში მჭიდრო კავშირი აქვთ, უარყოფენ საზოგადოთ ყოველგვარ პოლიტიკურ მოქმედე-

ბას. თუმცა ერთი შეხედვით, ეს დიდი რევოლიუციონერობაა, მაგრამ ნამდვილათ ეს ნიშნავს დაბალ კლასების პოლიტიკურ კოტრობის აღიარებას, და სხვას არაფერს.

პროლეტარიატი ამ მხრით უფრო კარგ პირობებშია ჩაყენებული, ვინემ წვრილი ბურჟუაზია და გლეხობა. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ წარმოების თანამედროვე წესი აფართოებს პროლეტარიატის თვალთახედვის წრეს, უღვიძებს მას ცოდნის წყურვილს, ინტერესს დიად საზოგადოებრივ კითხვებისადმი და უადვილებს ცხოვრების მოვლენათა შორის კავშირის დანახვას. მარტო ეს გარემოება უპირატესობას აძლევს მას, როგორც პოლიტიკოსს, ბურჟუასა და გლეხთან შედარებით. პროლეტარისთვის უფრო ადვილია პარტიულ პრინციპების შეთვისება. მას იზიდავს პრინციპიალური პოლიტიკა, რომელსაც საერთო არა აქვს რა წუთიერ გატაცებასთან, პირად და ადგილობრივ ინტერესებთან. ამავე დროს პროლეტარის ცხოვრების პირობები აიძულებენ მას ამხანაგებთან შეერთებას, დიდ-დიდ ჯგუფებათ მოქმედებას. მისი ცხოვრების პირობები აჩვევენ მას სასტიკ დისციპლინას და თავის ხელმძღვანელებისაგანაც ასეთსავე დისციპლინას მოითხოვს ის. ამიტომ პროლეტარულ ორგანიზაციების სასარგებლოთ ან თვითონ ორგანიზაციებში მოქმედება პარლამენტარიზმის საუკეთესო შკოლას წარმოადგენს. ეს მოქმედება აჩვევს პარლამენტარულ ფორმებს, ამზადებს ორატორებს, კანონების მცოდნეთ და ორგანიზატორებს.

აი რატომ არის, რომ პროლეტარიატს შეუძლია შექმნას თავისი საკუთარი, სხვა კლასებისაგან დამოუკიდებელი, პარტია, რაც მან საუცხოვოთ დაამტკიცა, განსაკუთრებით გერმანიაში. ვერც გლეხებს და ვერც წვრილ

ბურჟუაზიას ვერ მოუხერხებიათ და ვერც მომავალში მოახერხებენ ასეთ პარტიის შექმნას. პროლეტარიატი მშვენივრათ ახერხებს კონტროლი უყოს თავის წარმომადგენლებს, თავის ინტერესების თანახმათ ამოქმედოს; *) დასასრულ თვით პროლეტარიატის რაზმებში უფრო და უფრო მატულობს ისეთების რიცხვი, რომლებსაც ღირსეულათ შეუძლიათ პარლამენტში წარმომადგენლობა გასწიონ.

ყველგან, სადაც კი კლასობრივ თვითშეგნებით აღჭურვილი პროლეტარიატი მონაწილეობას ღებულობს როგორც საარჩევნო ბრძოლაში, ისე შიგ პარლამენტში, თვითონ პარლამენტარიზმის მნიშვნელობა იცვლება. ამიერიდან ის აღარ არის ბატონობის უბრალო იარაღი ბურჟუაზიის ხელში. სწორეთ ეს ბრძოლა შეიქნა ერთობ ძლიერი იარაღი, რომ პროლეტარიატის ჯერ კიდევ გამოუღვიძებელი წრეები შეენძრია, დაებადნა მისთვის თავის თავისადმი რწმენა და მომავლის იმედი; ის ყველაზე უფრო ძლიერი საშუალება გახდა პროლეტარიატის ცალკე ჯგუფების შესაერთებლათ ერთ მუშათა კლასში. დასასრულ, იმ საშუალებათა შორის, რომლებიც პროლეტარიატის განკარგულებაშია, პარლამენტარულ ბრძოლას ყველაზე უფრო ძლიერ შეუძლია მთავრობას ძალა დაატანოს და დაათმო-

*) ამის წინააღმდეგ შეიძლება მიგვითითონ ინგლისელ „მუშათა წარმომადგენლებზე“, რომლებსაც არა ერთხელ უღალატნიათ პარლამენტში მუშათა კლასის ინტერესებისათვის; მაგრამ ამ ვაებატონების არჩევა მთელი მუშათა კლასის საქმე როდია, არამედ ამქრულ ჩარჩოებში ჩაკეტილ თავმოწონე მუშათა არისტოკრატიის, რომელიც ცდილობს თავისი მდგომარეობით პროლეტარიატზე მაღლა დგომას. ბატონნი ბროდგორსტი და კომპანია ყოველთვის ამ მრწმუნებლების სურვილისამებრ მოქმედებდენ.

ბინოს მას ის, რისიც დათმობა შესაძლებელია. მოკლეთ რომ ვთქვათ, პარლამენტარული ბრძოლა ის უძლიერესი ბერკეტია, რომელსაც შეუძლია აამაღლოს პროლეტარიატი მის ეკონომიურ, საზოგადოებრივ და ზნეობრივ დაცემისაგან.

ამიტომ მუშათა კლასს არავითარი საბუთი არა აქვს პარლამენტარიზმს ზურგი შეაქციოს; პირიქით, ის ყველგან თავგამოდებით უნდა ეცადოს, რომ პარლამენტის უფლება გაფართოებულ იქნას აღმასრულებელ ძალის წინააღმდეგ და პარლამენტში მისი წარმომადგენლობა გაძლიერდეს. კავშირებისა და პრესის თავისუფლებასთან ერთად საყოველთაო საარჩევნო უფლება ერთი იმ აუცილებელ პირობათაგანია, რომელიც პროლეტარიატის განვითარებისთვისაა საჭირო.

10. — მუშათა პარტია.

პროლეტარიატს ყველგან ჯერ კიდევ არ მოუპოვებია ეს, თავისუფალ განვითარებისთვის საჭირო, პირობები და სავსებით თითქმის არსათ არ სარგებლობს ის ამ პირობებით; თითქმის ყველგან ცდილობენ ფრთები შეაკვეცონ იმას, რაც უკვე ბრძოლით მოუპოვებია. მუშათა კლასმა ხანგრძლივი, მსხვერპლებით სავსე ბრძოლა უნდა აწარმოოს იმისთვის, რომ მოიპოვოს და უზრუნველყოს თავისთვის საჭირო პოლიტიკური უფლებები.

პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლის დასაწყისში საქმეს აადვილებს ის გარემოება, რომ თვითონ ქონებიანი კლასები ებრძვიან ერთმანეთს. მრეწველ კაპიტალისტებს, ვაჭრებს, მემამულეებს, კარის-კაცებს და აბსოლიუტიზმის სხვა მსახურებს ძალიან ხშირათ მოსდით ერთმანეთში უთანხმოება. ასეთ შემთხვევებში თვითეული

ამ კლასთაგანი მოკავშირეებს ეძებს და მცირედი დათ-მობით ცდილობს იმათ შემოერთებას. ხშირათ, გამარჯვეების შემდეგ, მოკავშირეს ატყუებენ, როცა საქმე ნადავლის გაყოფვაზე მიდგება; მეორე მხრით, არა ერთხელ მომხდარა, რომ პოლიტიკური პარტია იძულებული ყოფილა ერთ-ერთ დაბალ კლასისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლებები დაეთმო და ამით თავის მიზნისთვის გამოეყენებია იგი.

გაბატონებულ პარტიებს არა ერთხელ მიუმართავთ პროლეტარიატისთვის; მათ თვითონ გამოიყვანეს ის პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე. მანამდის, სანამ ის **არ შეუდგა** დამოუკიდებელ პოლიტიკის წარმოებას, ესენი მას უბრალო ხმის მიმცემ „პირუტყვათ“ თვლიდენ, რომელიც ისევე ადვილათ ხდება თავის ექსპლოატატორების საწველ ფურათ, როგორც გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია. და მართლაც, პროლეტარიატი არა ერთხელ მოქცეულა ამ გვარათ. მაგრამ პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ინტერესთა შორის ისეთი სხვადასხვაობაა, რომ ამ ორი კლასის დიდ ხანს შერიგება შეუძლებელია. ყველა ქვეყანაში, სადაც კი წარმოების კაპიტალისტური წესია დამყარებული, მუშათა კლასის მონაწილეობა პოლიტიკაში იწვევს იმას, რომ ის შორდება ბურჟუაზიულ პარტიებს და დამოუკიდებელ **მუშათა პარტიას** აარსებს. ეს სრულიათ ბუნებრივი მოვლენაა და მას შემდეგ, რაც ჩვენ უკვე ვთქვით ორთავე კლასის ინტერესებზე, მიდრეკილებებსა და შეხედულებებზე, ამას არავითარი განმარტება აღარ ესაჭიროება.

მომენტი, როცა პროლეტარიატი ამა თუ იმ ქვეყანაში ასეთ გადაჭრილ ნაბიჯის გადადგმას იწყებს და კავშირს სწყვეტს იმ ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან,

რომლის საშოში ის ჩაისახა, დამოკიდებულია ეკონომიურ განვითარებაზე, რადგანაც უმთავრესათ ის საზღვრავს პროლეტარიატის რიცხვს, ძალას და კავშირს. არსებობს აგრეთვე პირობების მთელი რიგი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მუშათა კლასის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის ნომენტის ადრე თუ გვიან დადგომაზე. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ორი პირობა: რამდენათ ნათლათ აქვს მუშათა კლასს წარმოდგენილი ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა და როგორ ეპყრობიან მას ბურჟუაზიული პარტიები. აქამდე ორთავე ეს პირობა გერმანიაში ძალიან უწყობდა ხელს მუშათა კლასს, რომ ბურჟუაზიასთან პოლიტიკური კავშირი გაეწყვიტა, გაცილებით უფრო ძალიან, ვინემ სხვა რომელსამე მსხვილ სახელმწიფოში; სწორეთ ეს არის იმის მიზეზი, რომ მუშათა მოძრაობამ გერმანიაში თავისი დამოუკიდებლობით ბურჟუაზიულ პარტიებისგან წინ გაუსწრო სხვა ქვეყნების მუშათა მოძრაობას.

თუმცა შესაძლებელია, რომ მრავალგვარ მიზეზების გავლენით ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ერთ დროს არ მოხდეს მუშათა მოძრაობის ერთ დამოუკიდებელ მუშათა პარტიათ დარაზმვა, მაგრამ ეკონომიური განვითარება ბუნებრივ აუცილებლობით გამოიწვევს ამ მოვლენას.

ოვითეული პოლიტიკური პარტია აუცილებლათ პოლიტიკურ ბატონობისკენ მიისწრაფვის. მან უნდა ეცადოს, რომ მთავრობა ემსახუროს მას, ე. ი. იმ კლასს, რომელსაც ეს პარტია წარმოადგენს, მან უნდა ეცადოს გაბატონებული პარტია გახდეს. მუშათა კლასი, როცა დამოუკიდებელ პარტიას აარსებს, ბუნებრივ აუცილებლობით ამ მიზნისკენ მიისწრაფვის და ეკონომიურ გან-

ვითარებას ასეთივე ბუნებრივი აუცილებლობით მიყავს პროლეტარიატი ამ მიზნის განხორციელებისაკენ. აქაც, როგორც ბურჟუაზიულ პარტიებისგან გათიშვის საქმეში, ამ მოვლენის დაწყების მომენტი მარტო ეკონომიურ განვითარებაზე არაა დამოკიდებული; ამ გარემოებასთან ერთად გავლენა აქვს მთელ რიგს ნაციონალურ და საერთაშორისო ხასიათის პირობებისას. აგრეთვე ერთნაირი არ იქნება ფორმები, რომლებსაც ის მიიღებს. მაგრამ ვინც კი თვალ-ყური ადევნა თანამედროვე საზოგადოების ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში, მისთვის დღესავით ცხადი უნდა იყოს **პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების ბუნებრივი აუცილებლობა.** პროლეტარიატის რიცხვი, ზნეობრივი და პოლიტიკური ძალა და ეკონომიური აუცილებლობა სულ უფრო იზრდება, კლასობრივი ბრძოლა აჩვევს მას სოლიდარობას და დისციპლინას და აფართოვებს მის თვალთახედვის წრეს; განუწყვეტლივ იზრდება პროლეტარულ ორგანიზაციების სივრცე და სიმაგრე და კაპიტალისტურ წარმოებაში ის თან და თან ხდება უმთავრეს და ბოლოს ერთად ერთ მშრომელ კლასათ, რომლის მოღვაწეობაზე დამოკიდებულია მთელი საზოგადოება. ამავე დროს პროლეტარიატის მოწინააღმდეგე კლასები რიცხვით სულ უფრო და უფრო კლებულობენ, შესამჩნევათ კარგვენ ზნეობრივ და პოლიტიკურ ძალას და არა თუ ზედმეტი ხდებიან, არამედ კიდევაც ხელს უშლიან წარმოების განვითარებას, რომელიც მათი ხელმძღვანელობის ქვეშ კიდევ უფრო იხლართება, ცხოვრებას კიდევ უფრო აუტანელ პირობებში აყენებს.

ყველა ამის გამო რაღა ძნელი გამოსაცნობია, თუ

ვის მხარეზე იქნება ბოლოს და ბოლოს გამარჯვება. უკვე დიდი ხანია, რაც გაბატონებული კლასები აღსასრულის მოახლოვების შიშმა შეიპყრო. მაგრამ მათ არ სურთ საკუთარ თავის წინაშე აღიარონ თავის მდგომარეობის საშიშროება, ისინი ცდილობენ თავი მოიტყუილონ იმედებით ინუგეშონ; ისინი თვალებს იხვევენ იმისთვის, რომ ვერ შეამჩნიონ ის უფსკრული, რომლისკენაც მიექანებიან, და ვერ ატყობენ, რომ თავისი თავის დაბრმავებით აჩქარებენ და უფრო აძლიერებენ თავის დაცემას.

პროლეტარიატს, რომელიც გაყვლეფილ კლასებში ყველაზე უფრო დაბლა დგას — ლუმპენ-პროლეტარიატი არ იყვლიფება, ის თვითონ პარაზიტებს იკუთვნის — არ შეუძლია, როგორც ამას სხვა კლასები ჩადიოდენ, ისარგებლოს თავის გამარჯვებით და ექსპლოატაციის ტვირთი სხვას აჰკიდოს, ხოლო თვითონ კი მყვლეფელი გახდეს. მან აუცილებლათ უნდა ისარგებლოს თავისი ძალით იმისთვის, რომ ბოლო მოუღოს თავის გაყვლეფას და ამასთან ერთად ყოველგვარ გაყვლეფას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. მაგრამ ექსპლოატაციის სათავე — ეს საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრებაა. და თუ საკუთრებისგან თავისუფლება შეძლებას აძლევს პროლეტარიატს საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრების უფლების მოსპობის მომხრეთ გამოვიდეს, ექსპლოატაცია აიძულებს მას სისრულეში მოიყვანოს ეს მოსპობა და წარმოების კაპიტალისტურ წესის ალაგას კოოპერატიული წარმოება შემოიღოს.

მაგრამ ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ საქონლის წარმოების დროს კოოპერატიულ წარმოებას არ შეუძლია საერთო ფორმა გახდეს. კაპიტალისტურ წარმოების ალაგას კოოპერატიულის შემოსაღებათ საჭიროა, რომ

საქონლის წარმოებამ — წარმოებამ ბაზრისათვის — ადგილი დაუთმოს წარმოებას საზოგადოებისათვის. ამიტომ სოციალისტური წარმოება პროლეტარიატის გამარჯვების აუცილებელი შედეგია. ფაქტების ლოგიკა მაინც განახორციელებს მას, თუნდაც პროლეტარიატმა შეგნებულათ არ მოინდომოს სახელმწიფოში თავისი ძალით სარგებლობა იმისთვის, რომ ამ ძალის შემწეობით ხელში ჩაიგდოს საწარმოო საშუალებები და კაპიტალისტურ საქონლის წარმოების ალაგას სოციალისტური შემოიღოს; მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს მოხდებოდა ალბათ მრავალ-გვარ შეცდომების და უსარგებლო მსხვერპლების და დროს დაკარგვის შემდეგ. მაგრამ სოციალისტურ წარმოების დრო დადგება და დადგება აუცილებლათ. მისი გამარჯვება აუცილებელი შეიქნა მას შემდეგ, რაც აუცილებელი შეიქნა პროლეტარიატის გამარჯვება. პროლეტარიატს არ შეუძლია არ ეცადოს, რომ თავის გამარჯვებით თავის ექსპლოატაციის მოსასპობათ არ ისარგებლოს და მას **არ შეუძლია** ამ მიზნის მიღწევა ისე, თუ წარმოება სოციალისტურათ არ მოაწყო. ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება მსხვილ სამრეწველო საქმეებში, სინდიკატებში, სახელმწიფო წარმოებაში თვითონ იძლევა ამისთვის საჭირო ნიადაგს, ის თვითონ აქარწყლებს რომელიმე ქვეყნის ძლევა-მოსილ პროლეტარიატის სხვა გზით მსვლელობის სურვილს და ამიტომ პროლეტარიატს მაინც მოუხდება სოციალიზმის გზაზე დადგომა, თუნდაც პირველათ ის მტრულათაც უცქეროდეს მას.

მაგრამ ჩვენ საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ რომელიმე ქვეყნის პროლეტარიატი, რაკი ასეთ ბატონობას მოიპოვებს, სოციალიზმის წინააღმდეგ წავა. ამ შემ-

თხვევაში უნდა წარმოვიდგინოთ, რომ პროლეტარიატის შეგნება და ცოდნა ჯერ კიდევ პირველ საფეხურზეა გაჩერებული, მაშინ როდესაც ის ეკონომიურათ პოლიტიკურათ და ზნეობრივათ მომწიფებულია და ძალაც შესწევს დაამარცხოს და თავის ნებას დაუმორჩილოს თავისი ძლიერი მტრები. მაგრამ განვითარების ასეთი შეუსაბამობა ძალიან საეჭვოა პროლეტარიატის შესახებ. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ მანქანის შემწეობით ვითარდება პროლეტარიატის თეორეტიული აზრი და უნარი მნიშვნელოვანი საქმეები და მიზანი წუთიერ ინტერესებზე მაღლა დააყენოს, — რასაც სხვა მშრომელ და მწარმოებელ კლასებისთვის, რომლებიც მაზე უფრო მაღლ დგანან იშვიათად შეეხვდებით. ამავე დროს თანამედროვე საზოგადოების ეკონომიური განვითარება ისე ჩქარა მიდის წინ და ისეთ საკვირველ მასიურ მოვლენებს იწვევს, რომ მათი გაგება ყოვლათ უვიც ადამიანებსაც კი შეუძლიათ, როცა მათზე მიუთითებენ. ამ მხრით ნაკლულოვანობა არ არის, რადგანაც მას შემდეგ, რაც **კარლ მარქსმა** ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიის მიერ დაწყებული შრომა დაასრულა, მეტის-მეტათ გაფართოვდა და გაღრმავდა ეკონომიურ განვითარების და საზოგადოებრივ წარმოების მამოძრავებელ ძალთა მსვლელობის შეგნება.

ყველაფერი ხელს უწყობს იმას, რომ მებრძოლ პროლეტარიატს სოციალისტურ მოძღვრების მიღება გაუადვილდეს. სოციალიზმს მოაქვს მისთვის არა სამწუხარო, არამედ სასიხარულო ამბავი, ახალი სახარება. გაბატონებული კლასები ვერ იწამებენ სოციალიზმს ისე, თუ მორალური თვითმკვლელობა არ მოახდინეს, პროლეტარიატისთვის კი ის ახალ ცხოვრების, ახალ ძალ-

ბის, აღფრთოვანების და სასიხარულო იმედების წყაროა. განა ადვილი დასაჯერებელია, რომ პროლეტარიატი მუდამ ჟამს გულგრილათ ან მტრულათ მოექცევა ასეთ მოძღვრებას?ს ადაც უკვე დაარსებულია დამოუკიდებელი მუშათა პარტია, იქ ადრე თუ გვიან მან ბუნებრივ აუ-ცილებლობით სოციალისტური ტენდენციები უნდა შეი-თვისოს, თუ იმ თავიდანვე აღფრთოვანებული არაა ამ ტენდენციებით, და ბოლოს **სოციალისტური** მუშათა პა-რტია, ე. ი. **სოციალდემოკრატია** უნდა გახდეს.

ახლა ჩვენთვის ცხადია, თუ უმთავრესათ საღ პოულობს თავის მომხრეებს სოციალდემოკრატია. მოკლეთ რომ ვთქვათ, ყველა ზემოთ ნათქვამის აზრი ასეთია: სამრეწ-ველო პროლეტარიატის მებრძოლი, პოლიტიკურ შეგ-ნებამდე მისული წრეები—აი ვინ არიან სოციალისტურ მოძრაობის მატარებელნი. მაგრამ რაც უფრო იზრდება პროლეტარიატის გავლენა მასთან ახლოს მდგომ საზო-გადოებრივ ჯგუფებზე, რაც უფრო დიდი გავლენა აქვს მას მათ გონებასა და სულიერ გ:ნწყობილებაზე, მით უფრო იზიდავს სოციალისტური მოძრაობა ამ ჯგუფებსაც.

პროლეტარიატის კლასობრივ ბრძ:ლის ბუნებრივი მიზანი — სოციალისტური წარმოებაა; ეს ბრძოლა ვერ დასრულდება, სანამ ასეთი წყობილება არ დამყარდება. სოციალიზმის გამარჯვება ექვს გარეშეა სწორეთ ისე, როგორც ექვს გარეშეა ის, რომ დაბოლოს პროლე-ტარიატი გაბატონებული კლასი გახდება სახელმწიფოში.

11. — მუშათა მოძრაობა და სოციალიზმი

სოციალისტებს არ შეეძლოთ წინ და წინ სცოდნო-დათ ის როლი, რომელიც მებრძოლ პროლეტარიატს უნდა ეთამაშნა სოციალისტურ მოძრაობაში და ეს შეუ-

ძლებელიც იყო, სანამ მებრძოლი პროლეტარიატი სრულებით არ არსებობდა. სოციალიზმი პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაზე ადრე არსებობდა. ის წარმოიშვა მაშინ, როცა გაჩნდა პროლეტარიატი, როგორც მასობრივი მოვლენა. ეს უკანასკნელი კი დიდხანს არსებობდა ისე, რომ დამოუკიდებელ არსებობის და მოძრაობის ნიშნები არ ეტყობოდა. მაშინ სოციალიზმის პირველს და ერთად ერთ წყაროს შეადგენდა მაღალ კლასებიდან გამოსულ ფილანტროპების **სიბრალული** ღარიბებისა და ტანჯულ ადამიანებისადმი. ყველაზე უფრო გაბედულები და გამჭრიახნი კაცობრიობის ამ მეგობართა შორის სოციალისტები იყვენ; ისინი ყველაზე უფრო ნათლათ ხედავდენ, რომ პროლეტარიატის არსებობის სათავე საწარმოო საშუალებთა კერძო საკუთრებაა და არც ეშინოდათ აქედან უკიდურესი დასკვნა გამოეყვანათ. სოციალიზმი ყველაზე უფრო გაბედული, ღრმა და სულგრძელური გამოხატულება იყო ბურჟუაზიულ ფილანტროპიის. იმ დროს არ არსებობდა ისეთი კლასობრივი ინტერესი, რომლის სახელითაც მათ შესძლებოდათ თავის მიზნისთვის ვინმე საბრძოლველათ გამოეწვიათ; ისინი მხოლოდ მაღალ კლასებიდან გამოსულ იდეალისტების ენტუზიაზმს და შებრალების გრძნობას მიმართავდენ ხოლმე; ისინი ცდილობდენ ერთი მხრით სოციალისტურ წყობილების თვალწარმტაცი აღწერით და მეორე მხრით გაბატონებულ გაჭირვების დასურათებით თავის მხარეზე გადმოეყვანათ ეს კლასები. არა ბრძოლით, არამედ მშვიდობიან რჩევით უნდა დაეთანხმებიათ მდიდარნი და ძლიერნი ამ ქვეყნისანნი, რომ მათ საშუალება მიეცათ გაჭირვების მოსასპობათ და იდეალურ საზოგადოებრივ წყობილების შემოსაღებათ. როგორც ვიცით,

ამ დროის სოციალისტები ამაოთ და დაჟინებით ელოდენ იმ მილიონერებს და თავადებს, რომელთა სულგრძელებასაც კაცობრიობა უნდა ეხსნა.

მე-19-ე საუკუნის პირველ ათეულ წლებში პროლეტარიატს დამოუკიდებელ ცხოვრების ნიშნები დაეტყო. მეოცდაათე წლებში საფრანგეთში, განსაკუთრებით ინგლისში, ჩვენ უკვე ძლიერ მუშათა მოძრაობას ვხვდებით.

მაგრამ სოციალისტებს ამის არა გაეგებოდათ რა მათ ვერ წარმოედგინათ, რომ ღარიბი, ტლანქი და უვიცი პროლეტარები ოდესმე მიახწევდენ იმ ზნეობრივ სიმაღლეს და საზოგადოებრივ ძალას, რომელიც აუცილებელია სოციალისტურ ლტოლვილების განსახორციელებლათ. და არა მარტო უბრალო უნდობლობას გრძნობდენ ისინი მუშათა მოძრაობისადმი. მათ აწუხებდა ეს მოძრაობა თუნდაც მარტო იმით, რომ ერთ უმთავრეს საბუთთაგანს აცლიდა ხელიდან. ბურჟუაზიული სოციალისტები ფიქრობდენ, სოციალიზმის საჭიროებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევაგნებიებთ გულჩვილ ბურჟუებს, თუ დავუმტკიცებთ, რომ ეს ერთად ერთი საშუალებაა სიღარიბის წინააღმდეგ, რომ ყოველივე ცდა არსებულ გაჭირვების შესამსუბუქებლათ და პროლეტარიატის ასამაღლებლათ თანამედროვე საზოგადოებაში ამაოა, თავის საკუთარ ძალ-ღონით კი პროლეტარიატს არ შეუძლია ამაღლებაო. მუშათა მოძრაობა კი ისეთ საფუძველს ეყრდნობოდა, რომელიც ამ არგუმენტაციას არღვევდა. ამას ზედ დაერთო კიდევ ერთი გარემოება. კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ცხადია, ამ უკანასკნელს გამოღვიძებულ პროლეტარების წინააღმდეგ ამხედრებდა. ოდესღაც საცოდავი გლახაკები, რომლებიც სამოწყალოს თხოულობდენ, ისინი ბურჟუაზიის თვალ-

ში **საძაგელ არსებათ** გადაიქცენ, რომლის ალაგმვა და მორჩილებაში ყოლა საჭიროა. სოციალიზმის უმთავრესი წყარო ბურჟუაზიულ წრეებში, ღარიბთა შებრალება, თან და თან შრებოდა. დამფრთხალ ბურჟუაზიის თვალში სოციალისტურმა მოძღვრებამ დაკარგა უბრალო გასართობის ხასიათი და ისეთ საშინელ იარაღათ გადაიქცა, რომელსაც ბრბოს ხელში გამოუთქმელ უბედურების გამოწვევა შეუძლია. ერთი სიტყვით, რაც უფრო ძლიერდებოდა მუშათა მოძრაობა, მით უფრო ფერხდებოდა სოციალისტური პროპაგანდა გაბატონებულ კლასებში, მით უფრო მტრულათ ექცეოდენ ეს უკანასკნელები სოციალიზმს.

და სანამ სოციალისტები იმ აზრს ადგენ, რომ მათი მიზნისთვის საჭირო საშუალებების მოცემა მხოლოდ მაღალ კლასებს შეუძლიაო, ისინი არა თუ უნდოთ უყურებდენ მუშათა მოძრაობას, არამედ ხშირათ მტრულათაც კი, რადგანაც ფიქრობდენ, რომ სოციალიზმის საქმეს ისე ვერაფერი ავნებს, როგორც კლასობრივი ბრძოლაო.

ბურჟუაზიულ სოციალისტებს არ მოსწონდათ მუშათა მოძრაობა და ამ გარემოებამ, ცხადია, გავლენა იქონია მუშების სოციალიზმისადმი დამოკიდებულებაზე, რადგანაც პროლეტარიატის ახლათ გამოღვიძებული ნაწილი არა თუ დახმარებას არ პოულობდა ბრძოლაში სოციალისტებისაგან, არამედ უბრალო მოწონებასაც კი არ ხედავდა მათი მხრით. რადგანაც ამათი მოძღვრება მას წელს სწყვეტდა და არა ამხნევებდა, ამიტომ სრულიათ არ არის საკვირველი, თუ პროლეტარიატმა უნდობლობა და სიძულვილი გამოუცხადა საზოგადოთ სოციალისტურ მოძღვრებას, და არა მარტო მის მიმდინარე ბრძოლისთვის შეფარდებას. ამას კიდევ ხელს უწყობდა

შეტის-მეტი უვიცობა და აზროვნობის სისუსტე, რომელიც მუშათა მოძრაობის დასაწყისში მებრძოლ პროლეტარიატის მასსაში ძალიან იყო ფეხგადგმული. თვალთახედვის სივიწროვე უძნელებდა მათ სოციალიზმის საბოლოო მიზნების გაგებას, ამასთანავე მათ ნათლათ არ ქონდათ წარმოდგენილი თავის კლასის საზოგადოებრივი მდგომარეობა და მოვალეობა; ისინი გრძნობდენ მხოლოდ ერუ **კლასობრივ ინსტინქტს**, რომელიც მათ ეუბნებოდა უნდოთ მოქცეოდენ ყველაფერ იმას, რაც ბურჟუაზიიდან გამოდიოდა, მაშასადამე მაშინდელ სოციალიზმსაც, როგორც საზოგადოთ ბურჟუაზიულ ფილანტროპიას.

მუშების ზოგიერთ წრეებში — განსაკუთრებით ინგლისში — სოციალიზმისადმი უნდობლობამ იმ დროს ღრმათ გაიდგა ფესვები. რამდენიმეთ ამით — რასაკვირველია, მრავალ სხვა მიზეზებთან ერთად — აიხსნება ის გარემოება, რომ ინგლისი თითქმის უკანასკნელ ათეულ წლებამდე მიუწდომელი იყო სოციალისტურ მისწრაფებებისათვის, თუმცა თანამედროვე სოციალიზმი სულ სხვა ნაირათ ეპყრობოდა მუშათა მოძრაობას, ვინემ ბურჟუაზიული უტოპისტები.

თუმცა ძალიან ღრმა იყო დროებით ჯურღმული, რომელიც პროლეტარიატს და სოციალიზმს შორის არსებობდა, მაგრამ უკანასკნელი იმდენათ ეთანხმება პროლეტარიატის უფრო შეგნებულ ნაწილის მოთხოვნილებებს, რომ იქაც კი, სადაც მასსა მტრულათ უცქეროდა სოციალიზმს, მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები ხალისით ითვისებდენ მას, როცა კი მისი გაცნობის საშუალება ეძლეოდათ. მაგრამ ბურჟუაზიულ სოციალისტების მოძღვრება იმათ შესამჩნევათ გადააკეთეს. მუშები ვერ დაიჭერდენ საქმეს ბურჟუაზიასთან, რომე-

ლიც მათ სძაგდათ და რომლის წინააღმდეგ სასტიკათ იბრძოდენ; მშვიდობიანი სოციალიზმი ბურჟუაზიულ უტოპისტებისა, რომელთაც უმაღლეს კლასების საუკეთესო წარმომადგენლების შემწეობით სურდათ კაცობრიობის ხსნა, მუშების ხელში გადაიქცა ძალდატანებით, რევოლიუციონურ სოციალიზმათ, რომლის განხორციელება პროლეტარების ხელებს უნდა ეკისრნათ.

ვერც ეს პირველი მუშური სოციალიზმი ეპყრობოდა შეგნებულათ მუშათა მოძრაობას; მანც მტრულათ შეხედა კლასობრივ ბრძოლას, განსაკუთრებით ამ ბრძოლის უმაღლეს ფორმას, პოლიტიკურ ბრძოლას, თუმცა რასაკვირველია, სულ სხვა მოსაზრებით, ვინემ ბურჟუაზიული უტოპისტები. საგნის უფრო ღრმათ გათვალისწინების ნებას არ იძლეოდა მუშების თეორეტიული მოუმზადებლობა. პროლეტარს შეუძლია, უკეთეს შემთხვევაში, შეითვისოს ნაწილი იმ ცოდნის, რომელსაც ბურჟუაზიული მეცნიერება იმუშავებს, და თავის მიზნისა და საჭიროებისათვის გამოიყენოს; მაგრამ, სანამ ის პროლეტარია, მას არ აქვს დრო და საშუალება მეცნიერების შემუშავებაში დამოუკიდებლათ წავიდეს ბურჟუაზიულ მკვლევარებზე უფრო შორს. ამიტომ თვითარს მუშურ სოციალიზმსაც თან უნდა დაჰყოლოდა უტოპიზმის მთავარი თვისებები: მან ვერ აუღო ალღო ეკონომიურ განვითარებას, რომელიც სოციალისტურ წარმოებისთვის მატერიალურ ელემენტებს ქმნის და კლასობრივ ბრძოლის საშუალებით წრთვნის იმ კლასს, რომელმაც ხელში უნდა ჩაიგდოს ეს ელემენტები და მათგან ახალი საზოგადოება განავითაროს. ბურჟუაზიულ უტოპისტების მსგავსათ ეს პროლეტარებიც დარწმუნებული იყვენ, რომ საზოგადოებრივი ფორმა — შენობაა, რომლის აგება

შესაძლებელია წინ და წინ შედგენილ გეგმის თანახმათ, თუ კი მასალები და დასადგამი ალაგი იქნება. ენერგიულ და მხნე, მაგრამ გულუბრყვილო უტოპისტ-პროლეტარებს იმედი ქონდათ, რომ ასეთ შენობას ააგებდენ — თავი და თავი მხოლოდ ის იყო, რომ საჭირო ალაგი და მასალები გამოეძებნათ. ისინი, რასაკვირველია, ვიღაც მილიონერებზე და მეფეებზე არ ამყარებდენ იმედებს. მათი აზრით მხოლოდ **რევოლიუციას** შეეძლო ყველაფრის მოცემა, მხოლოდ მას შეეძლო ძველი წყობილების მოშლა, ძველი მთავრობის **დამხობა** და დიქტატურის გადაცემა ახალ გეგმის შემდგენლების ხელში, რომ თანამედროვე მესიებს სოციალისტური საზოგადოება დაემყარებიათ.

ასეთ შეხედულებიდან სრულებით განდევნილი იყო კლასობრივი ბრძოლა. უტოპისტი-პროლეტარები ერთობ მწვავეთ გრძნობდენ გაჭირვებას და ამიტომ სურდათ მისი დაუყოვნებლათ მოსპობა. კიდეც რომ დაერწმუნებიათ ისინი, რომ კლასობრივი ბრძოლა თან და თან აამაღლებს პროლეტარიატს, რომელსაც შეძლება მიეცემა საზოგადოება განაახლოს, ასეთი გზა მათ მაინც ერთობ გრძელი ეჩვენებოდათ. მაგრამ პროლეტარიატის ასეთი ამაღლება მათ არა სწამდათ. მუშათა მოძრაობა, ის იყო, იწყებოდა, ამ ბრძოლაში მონაწილეობის მიმღები ჯგუფები კიდევ უმნიშვნელონი იყვენ და ამ მებრძოლ პროლეტარებში მხოლოდ ზოგიერთები მიდიოდენ დღიურ ინტერესებზე უფრო შორს. ხალხის მასების აღზრდა სოციალისტურ აზროვნებაში მათ შეუძლებელ საქმეთ მიაჩნდათ, მათი ფიქრით ხალხის მასას მხოლოდ ის შეეძლო, რომ როცა სასოწარკვეთილება შეიპყრობდა, არსებული წყობილება ძირიანათ დაე-

ნგრია და სოციალისტებისათვის გზა გაეკაფა. რაც უფრო გაუჭირდება ხალხს ცხოვრებაო — ფიქრობდენ ეს მუშა-სოციალისტები, მით უფრო ადრე დადგება მომენტი, როცა აუტანელი მდგომარეობა აიძულებს მათ შემავიწ-როებელ სოციალურ შენობის დანგრევასო. მათი აზრით, ბრძოლა მუშათა კლასის მდგომარეობის თანდათან ასა-მაღლებლათ არა თუ განუხორციელებელი, არამედ პირდაპირ მავნებელია, რადგანაც მის მიერ მიხწეულ უმნიშვნელო და წარმავალი გაუმჯობესებები ხალხს მოთმინებას აჩვევენ, რითაც აგვიანებენ მათ აჯანყების და არსებულ წესების მოსპობის მომენტს და ამასთან ერთად სიღარიბის ძირიანათ მოსპობასაც. კლასობრივ ბრძოლის ყოველგვარი ფორმა, რომელიც მიმართული •რაა არსებულ წყობილების დაუყოვნებლივ და სავსე-ბით მოსპობისაკენ, მაშასადამე კლასობრივ ბრძოლის ყოველგვარი სერიოზული, ნაყოფიერი ფორმა ასეთ სო-ციალისტების თვალში **კაცობრიობის ღალატი** იყო და სხვა არაფერი.

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მუშათა კლასში ასეთი შეხედულება გაჩნდა, რომლ ს უნიჭიერეს გამომხატველათ **ვეიტლინგი** უნდა ჩაითვალოს. ის ჯერ დღემდე კიდევ არ გამქრალა. ამ შეხედულებას ემხრობა პროლეტარების ყველა ის ჯგუფი, რომელიც მებრძოლ პროლეტარიატის ბანაკში ახალი გადასულია, ის ფეხს იკიდებს ყოველ კუთხეში, სადაც პროლეტარი თავის აუტანელ და დამამცირებელ მდგომარეობის შეგ-ნებას იწყებს და სოციალისტურ მისწრაფებებით იმსჭვა-ლება, მაგრამ ჯერ ნათლათ კიდევ არ აქვს წარმოდგე-ნილი საზოგადოებრივი ურთიერთობა და თავის თავში ძალას ვერ პოულობს მედგარ კლასობრივ ბრძოლისა-

თვის; და რადგანაც პროლეტარების სულ ახალ ახალი წრეები ამოდიან იმ ჭაობიდან, რომელშიაც ისინი ეკონომიურმა განვითარებამ ჩაჰყარა და სულ ახალ ახალ საქმეებში ვრცელდება წარმოების კაპიტალისტური წესი და პროლეტარიზაცია, მუშა სოციალისტ-უტოპისტების აზრთა პირვანდელი მსვლელობაც ხელ ახლა გამოდის სცენაზე. ეს ზრდის სნეულებას, რომელიც თან დასდევს ყოველგვარ ნორჩ პროლეტარულ-სოციალისტურ მოძრაობას, რომელიც ჯერ კიდევ არ გაშორებია უტოპიზმს.

ამ გვარ სოციალისტურ შეხედულებებს ჩვეულებრივ **ანარხიზმს** ეძახიან, მაგრამ ამ უკანასკნელთან აუცილებლათ არ აქვთ მათ კავშირი. მათი წყაროა არსებულ წყობილების ინსტინქტიური უარყოფა და არა ნათლათ შეგნება და ამიტომ შესაძლებელია მათი მრავალ სხვა და სხვა თეორეტიულ პრინციპებთან შეთანხმება. მაგრამ, რასაკვირველია, უსწავლელ პროლეტარის ტლანქი და ძალდატანებაზე დაყრდნობილი სოციალიზმი და განათლებულ წვრილ ბურჟუას მეტის მეტათ სანტიმენტალური, ნაზი და მშვიდობიანი ანარხიზმი ადვილათ ერთდებიან ჩვენ დროში, რადგანაც ყველა ღრმა განსხვავებებთან მათ ერთი საზოგადო თვისება აქვთ: განუწყეტელ კლასობრივ ბრძოლის, განსაკუთრებით მის უმაღლეს ფორმის, პოლიტიკურ ბრძოლისადმი ზიზღი და, ასე გასინჯეთ, სიძულვილიც კი.

როგორც ბურჟუაზიულ სოციალიზმს, ისე უტოპიურ პროლეტარულ სოციალიზმსაც ნაკლებათ შეეძლო სოციალიზმსა და მუშათა შორის არსებულ წინააღმდეგობის გადაჭრა. მართალია, ზოგ ჯერ უტოპისტ-პროლეტარები იძულებულები ხდებოდენ კლასობრივ ბრძოლაში მონაწილეობა მიეღოთ, მაგრამ ეს მონაწილეობა

თეორეტიულ საფუძველის უქონლობის გამო იწვევდა სოციალიზმისა და მუშათა კლასის საბოლოოოთ შეერთებას კი არა, არამედ უკანასკნელის მიერ პირველის სრულებით განდევნას. როგორც ვიცით, ყველგან, სადაც ანარხისტული მოძრაობა (თუ ვიგულისხმებთ პროლეტარულ უტოპიზმს) მასაში ფეხს იდგამდა და კლასობრივი ხდებოდა, ის ადრე თუ გვიან ყოველთვის ვიწრო, წმინდა პროფესიონალურ ხასიათს ღებულობდა, მიუხედავათ მის გარეგნულ რადიკალიზმისა.

12. — სოციალდემოკრატია — მუშათა მოძრაობის და სოციალიზმის შეერთებაა.

სოციალისტურ და მუშათა მოძრაობის შესათანხმებლათ საჭირო იყო, რომ სოციალიზმი უტოპიზმის თვალთახედვის ისარს განშორებოდა. ეს საქვეყნო საისტორიო საქმე შეასრულეს მარქსმა და ენგელსმა, რომლებმაც 1847 წელს თავის „კომუნისტურ მანიფესტით“ თანამედროვე სოციალიზმს ანუ სოციალდემოკრატიას მეცნიერული საფუძველი დაუდეს. მათ მკვიდრ ნიადაგზე დაამყარეს სოციალიზმი, გულკეთილ მეოცნებეთა მშვენიერ სიზმრისაგან ის ბრძოლის საგნათ გადააქციეს, მათ დაამტკიცეს, რომ ის ეკონომიურ განვითარების ბუნებრივათ აუცილებელი შედეგია. მებრძოლ პროლეტარიატს კი ნათლათ შეაგნებინეს მისი ისტორიული მოვალეობა და უჩვენეს, თუ როგორ შეიძლება ჩქარა და ნაკლებ მსხვერპლის შეწირვით დიადი მიზნის მიხწევა. დღეს სოციალისტებს ახალ საზოგადოების **გამოგონება** აღარ სჭირდებათ, მათ მხოლოდ უნდა **აღმოაჩინონ** მისი ელემენტები არსებულ საზოგადოებაში. პროლეტარიატის ზევიდან ხსნა უკვე აღარ არის საჭი-

რო, საკმაოა ხელი შევუწყოთ მის კლასობრივ ბრძოლას, ავამაღლოთ მისი შეგნება და დავეხმაროთ მას პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციების შექმნაში, რომ ამით უფრო ჩქარა და ნაკლებ ტანჯვით მოვაახლოვოთ ის დრო, როცა პროლეტარიატი თვითონ შეიძლებს თავისი თავის გამოხსნას. **პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლის, რაც შეიძლება, უფრო შეგნებულათ და წესიერათ გახდა—აი რა არის სოციალდემოკრატიის მოქმედების საგანი.**

მარქს-ენგელსის მოძღვრებას ჩვენ აქ დაწვრილებით არ შევეხებით, რადგანაც ეს წიგნი სავსებით ამ მოძღვრებაზეა დამყარებული და მხოლოდ მის გადმოცემას და ახსნას წარმოადგენს

ამ მოძღვრების წყალობით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ახალ ხასიათს ღებულობს. სანამ სოციალისტური წარმოება ამ ბრძოლის გათვალისწინებულ მიზნათ არ გადაქცეულა, სანამ მებრძოლ პროლეტარიატის მისწრაფებანი წარმოების არსებულ წესის ჩარჩოებს არ განშორებიან, მანამდე კლასობრივი ბრძოლა, თითქოს ბორბალში მოქცეულაო, ადგილიდან არ იძვრის, და პროლეტარიატის მეცადინეობა უკეთეს ცხოვრების მოსაპოებლათ სიზიფის მუშაობას*) ემსგავსება. პროლეტარიატის ცხოვრების პირობების დამაქვეითებელი ტენდენციები კაპიტალისტურ წარმოებისა არ ისპობა კლასობრივ ბრძოლით და მისი გამარჯვებით, არამედ უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ რამდენიმეთ ილაგმება. საზოგადოების საშუალო წრეების პროლეტარიზაცია შეუჩერებლივ მიდის წინ, როგორც ცალკე პირები, ისე მუშა

*) ღარღვევას ღა ხელახლა აშენებას ქვია.

თა მთელი წრეები ცვივიან ლუმპენ — პროლეტარიატის რაზმებში, კაპიტალისტების გაუმაძღრობა მუდამ განსაცდელს უმზადებს უფრო კარგ პირობებში მყოფ მუშების მდგომარეობას. სამუშაო დღის ყოველნაირი შემოკლება, ეკონომიურ ბრძოლით იქნება ის შემოღებული თუ პოლიტიკურით, აიძულებს კაპიტალისტებს შრომის დამზოგველ მანქანების შეძენას, ეს კი შრომას უფრო ინტენსიურათ ხდის; მუშათა ორგანიზაციების ყოველგვარ გაუმჯობესებას კაპიტალისტები თავიანთ ორგანიზაციების გაუმჯობესბას უპირდაპირებენ და სხვ. უმუშავრობა კი მწვავდება, კრიზისები ფართოვდებიან და ღრმავდებიან, უზრუნველყოფილ არსებობის უქონლობა სულ უფრო მატულობს. კლასობრივ ბრძოლის შემწეობით პროლეტარიატი მორალურათ უფრო მაღლდება, ვინემ ეკონომიურათ. პროლეტარიატის ეკონომიური მდგომარეობა საერთოთ აღებული, კლასობრივ ბრძოლის წყალობით ერთობ ნელა და სუსტათ უმჯობესდება, თუ საზოგადოთ უმჯობესდება. მაგრამ სამაგიეროთ პროლეტარიატში იზრდება თვისი თავის პატივისცემის გრძნობა, სხვა კლასებშიაც მატულობს მისდამი პატივისცემა. პროლეტარები გრძნობენ, რომ ისინი და ბატონები სწორ უფლებიანები არიან და თავის მდგომარეობას მათ მდგომარეობას ადარებენ; მათი მოთხოვნილებები ტანისამოსის, ბინის, განათლების და შვილების აღზრდის საქმეში და სხვ. იზრდება, მათ სურთ კულტურის ყოველგვარ სიკეთით ისარგებლონ. მათი აღშფოთება დამცირების და ჩაგვრის წინააღმდეგ მატულობს.

პროლეტარიატის ასეთი ზნეობრივი ამაღლება იგივეა, რაც გამოღვიძება და მუდმივი ზრდა მისი მოთხოვნილებისა. ეს უკანასკნელი კი გაცილებით უფრო ჩქარა

იზრდება, ვინემ მისი ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება, რამდენათ ც ეს შესაძლებელია თანამედროვე ექსპლუატატორულ სისტემის დროს. ყველა ეს გაუმჯობესებანი, რომელთაგან ერთნი სიხარულით, ხოლო მეორენი შიშით მოელიან მუშების დაკმაყოფილებას, აუცილებლათ ჩამორჩებიან მუშების მოთხოვნილებას, რომელიც მის ზნეობრივ ამაღლებასთან ერთად იზრდება. ამიტომ კლასობრივ ბრძოლას მხოლოდ ის შეუძლია, რომ პროლეტარიატში უკმაყოფილების გრძნობა გაადიდოს. ეს უკმაყოფილება განსაკუთრებით ძლიერია იქ, სადაც ეკონომიურათ ამაღლება ძალიან ჩამორჩენილა ზნეობრივს, მაგრამ მისი ზრდა არსად არ ჩერდება დიდი-ხნით., დაბოლოს კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატს უნაყოფოთ და უმიზნოთ ეჩვენება, თუ ეს ბრძოლა წარმოების თანამედროვე წესის ჩარჩოებიდან არ გამოდის. რაც უფრო ამაღლებს ის მუშას, მით უფრო დაშორებულათ ეჩვენება ამ უკანასკნელს თავის თავი თავის მისწრაფებათა მიზანთან — ისეთ ცხოვრებასთან, რომელიც მის შეხედულებების და ადამიანურ ღირსების შესაფერი იქნებოდა.

მხოლოდ სოციალისტურ წარმოებას შეუძლია მოსპოს ის შეუსაბამობა, რომელიც მუშების მოთხონილებებსა და მათ დასაკმაყოფილებლათ საჭირო სახსარს შორის არსებობს, რადგანაც ის მოუღებს ბოლოს ექსპლოატაციას და კლასებათ დაყოფვას, რითაც მოისპობა მუშების უკმაყოფილების გამამწვავებელი მიზეზი — მყვლეფელების ფუფუნება· ასეთ აღმაშფოთებელ მაგალითის მოსპობით თავის თავათ ჩამოვარდება თანხმობა მუშების მოთხოვნილებათა და ცხოვრების სახსარს შორის. ზემოთ

ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ გაიზრდება ეს სახსარი სოციალისტურ წარმოების დროს.

მტანჯველი გულის შეუჯერებლობა, „გაუმაძღრობა“ კომუნისტურ საზოგადოებისათვის უცნობია. მაგრამ ის ბუნებრივ აუცელებლობით იზრდება კლასობრივ წინააღმდეგობის და ექსპლუატაციის ნიადაგზე ყველგან, სადაც კი გაყვლეფილებმა თვისი ზნეობრივი თანასწორობა იგრძნეს მყვლეფელებთან. რაკი საქმე ამ ზომამდე მივა, გაყვლეფილ კლასის „გაუმაძღრობა“ მხოლოდ მაშინ მოისპობა, როცა ექსპლოატაციას ბოლო მოეღება.

სანამ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლასა და სოციალიზმს შორის თანხმობა არ არსებობდა, სანამ ეს ბრძოლა მხოლოდ იქითკენ იყო მიმართული, რომ პროლეტარიატს არსებული საზოგადოება დათმობის გზაზე დაეყენებია და საზოგადოების ჩარჩოებში თავისი მდგომარეობა გაეუმჯობესებია, მანამდე ის მიუხწეველ მიზეზებს ისახავდა და უთავბოლო ბურღს ემსგავსებოდა. სულ სხვანაირათ წავიდა საქმე მას შემდეგ, რაც მ.ეშათა მოძრაობა და სოციალისტური გაერთიანდენ: ახლა მას უკვე განსაზღვრული მიზანი აქვს, რომელსაც აშკარათ უახლოვდება, ახლა ყოველგვარ ბრძოლას, თუნდაც არავითარი პრაქტიკული შედეგიც არ მოყვეს მას, მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ის ანვითარებს პროლეტარიატში თავისთავისადმი პატივისცემას და აძლიერებს ამხანაგურ სოლიდარობას და დისციპლინას. დღეს წაგებული ბრძოლაც კი გამარჯვებაა. უნაყოფო გაფიცვა, უარყოფილი კანონ-პროექტი, პროლეტარიატის სასარგებლოთ შედგენილი, წინსვლას მოასწავებს ადამიანურ ცხოვრების მოსაპოებლათ. დღეიდან ყოველგვარი პოლიტიკური და ეკონომიური ზომები როგორც პროლე-

ტარიატის სასარგებლოთ, ისე მის წინააღმდეგ მიმართული, სასარგებლონი ხდებიან თუ კი ისინი აღვიძებენ და ამაღლებენ მას ზნეობრივათ. დღეიდან პროლეტარიატი აღარ ემგვანება იმ ლაშქარს, რომელიც წინ არ მიდის და მხოლოდ დიდი ვაი-ვაგლახით ახერხებს უკვე დაპერილ პოზიციების შერჩენას: დღეს ბრმაც კი ცხადათ ხედავს, რომ პროლეტარიატი ისეთი მებრძოლია, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ გაუმაგრდება, რომლის გამარჯვება აუცილებელია

13. — სოციალდემოკრატიის საერთაშორისო ხასიათი.

ახალი სოციალიზმი, რომელიც მარქსმა და ენგელსმა დაფუძნეს, პირველათ გერმანიაში დამკვიდრდა. ორივე მისი დამაარსებელი ნემეცი იყო, ნემეცები იყვენ მათი პირველი მიმდევრები, და პირველი თხზულებებიც ახალ სოციალიზმზე აგრეთვე ნემეცურ ენაზე გამოვიდა. მარტო ამ გარემოებით აიხსნება, — თუმცა ეს არ არის ერთათ ერთი მიზეზი — ის ფაქტი, რომ ყველაზე ადრე გერმანიაში მოხდა სოციალიზმის და მუშათა მოძრაობის შეერთება, რომ სწორეთ გერმანიაში დამკვიდრდა პირველათ სოციალდემოკრატია (აქ ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ არა გერმანიის იმპერია, არამედ ყველა ის ადგილები, სადაც მუშების დიდი ნაწილი ნემეცურ ენაზე ლაპარაკობს).

მაგრამ სოციალდემოკრატია გერმანიას გარდა სხვა ქვეყნებშიაც დამკვიდრდა. თანამედროვე სოციალიზმის მამათმთავრებმა თავიდანვე აღიარეს მუშათა მოძრაობის საერთაშორისო ხასიათი და ამიტომ ცდილობდენ თავის პროპაგანდა საერთაშორისო საფუძველზე დაემყარებიათ.

საერთაშორისო მისვლა-მოსვლის განვითარებას მჭი-

დრო, ბუნებრივათ აუცილებელი კავშირი აქვს წარმოების კაპიტალისტურ წესთან. მისი განვითარება მარტივ საქონლის წარმოებისაგან ძალიან მჭიდროთაა გადაბმული მსოფლიო ვაჭრობის განვითარებასთან. ეს უკანასკნელი კი შეუძლებელია ისე, თუ ერთა შორის მშვიდობიანი განწყობილება არ არსებობს; მისი განვითარებისთვის საჭიროა, რომ ვაჭარი სხვაგანაც ისე უშიშრათ გრძნობდეს თავს, როგორც საკუთარ სამშობლოში. მსოფლიო ვაჭრობის ზრდა შესამჩნევათ ამაღლებს ვაჭრის სოციალურ მდგომარეობას. მისი აზროვნება მთელი საზოგადოების აზროვნებაზე ახდენს გავლენას. ვაჭრები მუდამ მცხოვრებლების მოძრავ ელემენტს შეადგენდენ. მათი დევიზი უძველეს დროიდანვე ასეთი იყო: სადაც კარგია, ე. ი. სადაც გამდიდრება შეიძლება, სამშობლოც იქ არის.

ასე, რამდენათაც იზრდება მსოფლიო ვაჭრობა და კაპიტალისტური წარმოება, იმდენათ ვითარდება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კოსმოპოლიტური ტენდენციები, ხალხთა შორის მუდმივ მშვიდობიანობის და ძმობის დამყარების სურვილი.

მაგრამ წარმოების კაპიტალისტური წესი მეტათ უცნაურ წინააღმდეგობას ბადებს; და როგორც მას ემჩნევა ერთ და იმავე დროს ტენდენცია თანასწორობის და უთანასწორობის გადიდებისა, პროლეტარიატის უმდაბლეს საფეხურამდე ჩამოქვეითების და საზოგადოებაში მისი სრულ გაბატონებამდე ამაღლების, პიროვნების, სრულ განთავისუფლების და მისი სავსებით დამონავების,—სწორეთ ისე მის დროს ხალხთა შორის ძმობის დამყარარების ტენდეციასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედებს მეორე ტენდენცია — საერთაშორისო მტრობის გაძლიერებისა. ვაჭ-

რობა მშვიდობიან განწყობილებას თხოულობს, მაგრამ კონკურენცია ომს იწვევს. თუ თვითეულ ქვეყანაში განუწყვეტელი ომი სწარმოებს ცალკე კაპიტალისტებსა და კაპიტალისტურ კლასებს შორის, ომია აგრეთვე სხვა და სხვა ერების კაპიტალისტებსა და კაპიტალისტურ კლასებს შორის. თვითეული ერი ცდილობს თავის საქონლისთვის ბაზარი გააფაროოვოს და იქიდან სხვა ერი გააძევოს. რაც უფრო განვითარებულია საერთაშორისო აღებ-მიცემობა, რაც უფრო საჭიროა საყოველთაო მშვიდობიანობა, მით უფრო მწვავეა კონკურენცია, მით უფრო ადვილი მოსალოდნელია საერთაშორისო შეტაკება. რაც უფრო მტკიცეა საერთაშორისო მისვლა-მოსვლა, მით უფრო ძლიერია სურვილი ეროვნულ კარჩაკეტილობის. რაც უფრო ძლიერია მშვიდობიანობის საჭიროება, მით უფრო მოსალოდნელია ომი... პირველ შეხედვით ეს შეუსაბამო წინააღმდეგობაა, მაგრამ კაპიტალისტურ წარმოების ხასიათს კი საესებით ეთანხმება. ფარულათ ის მარტივ საქონლის წარმოებაშიც არსებობს, მაგრამ მხოლოდ კაპიტალისტური წყობილება ადიდებს მას უზომოთ და აუტანელს ხდის. რომ ის იმდენათვე ადიდებს ტენდენციას ომისაკენ, რამდენათაც აუცილებლათ ხდის მშვიდობიანობას, — ეს მხოლოდ ერთი იმ მრავალ წინააღმდეგობათაგანია, რომელსაც კაპიტალისტური წარმოება უნდა შეასქდეს.

პროლეტარიატი თავისუფალია იმ ორნაირ, ერთი მეორის მოწინააღმდეგე მდგომარეობისაგან, რომელსაც ეს გარემოება საზოგადოების სხვა კლასებისთვის იწვევს. რაც უფრო ვითარდება ის და დამოუკიდებელი კლასი ხდება, მით უფრო თვალსაჩინო ხდება ის ფაქტი, რომ კაპიტალისტურ წარმოების ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ტენ-

დენციიდან მაზე გავლენა აქვს მხოლოდ **ერთს**, მეორე კი სულ უფრო და უფრო კარგავს თავის ძალას. ასე, მაგალითად, წარმოების თანამედროვე წესი იწვევს ხაზეინების კავშირების დაარსებას საერთო მოქმედებისათვის, მაგრამ ამავე დროს მას ყველანი (მწარმოებლები) ყველას წინააღმდეგ საბრძოლველათ გამოყავს. მეორე ტენდენციას პროლეტარიატზე გავლენა ეკარგება. **მონოპოლიას** და **კონკურენციას** შორის არსებულ წინააღმდეგობის ნაცვლათ, რომელიც აჩანაგებს ბურჟუაზიას და მის ძალებს აქუცმაცებს, პროლეტარიატს ემჩნევა ტენდენცია პროლეტარული **სოლიდარობის** უფრო განმტკიცებისა და გაფართოებისაკენ. როგორც ბუნებრივი შედეგი ასეთ „ცალმხრივობის", ტენდენცია სხვა და სხვა კულტურულ ქვეყნის პროლეტარების **საერთაშორისო დაკავშირებისაკენ** სულ მეტს და მეტს გავლენას პოულობს, ხოლო ტენდენცია **ნაციონალურ კარჩაკეტილობისა და საერთაშორისო მტრობისაკენ** პროლეტარიატის რაზმებში თან და თან კარგავს მნიშვნელობას. წარმოების თანამედროვე წესმა პროლეტარს საკუთრება წაართვა და მით ფეხ ქვეშ ნიადაგი გამოუთხარა. მას არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ალაგი და ამიტომ არც სამშობლოთან აქვს მჭიდრო კავშირი. ისიც, ვაჭრის მსგავსათ, ასეთ შეხედულებას ითვისებს: — სადაც შრომის საუკეთესო პირობებია, სამშობლოც იქ არის. ჯერ კიდევ ქარგლებს ქონდათ მისვლა-მოსვლა უცხო ქვეყნებთან თავიანთ მოგზაურობების დროს და ამან, როგორც ვთქვით, საერთაშორისო შეერთებას მისცა დასაწყისი. მაგრამ განა შეედრება ეს მოგზაურობები ეხლანდელს, რომელიც თანამედროვე გზების შემწეობით ხდება? ამასთან ქარგალი მოგზაურობის დროს ისევ ფიქრობდა სამშობლოში

დაბრუნებას, პროლეტარი კი ცოლით და შვილებით მიდის და გადაწყვეტილი აქვს იქ დარჩენა, სადაც შრომის უფრო ხელსაყრელი პირობებია. ის არ არის მოგზაური, არამედ ქოჩად მავალი.

როგორც პროლეტარი, ისე ვაჭარიც — მეტადრე თუ ის საერთაშორისო ვაჭრობას მისდევს — თავს ახწევს მიწის ძალას და სახლდება იქ, სადაც საქმეები უკეთესათ მიდის; მაგრამ ამით ის კავშირს არ კარგავს სამშობლოსთან, მისი მდგომარეობა უცხოეთში, გამდიდრების საშუალება და უცხოელ თანამოძმეების დამარცხება ძალიან არის დამოკიდებული იმ სახელმწიფოს ძალასა და გავლენაზე, რომელსაც ის ეკუთვნის, რომელიც მას იფარავს. ამ ნაირათ ვაჭარი უცხოეთშიც ნაციონალისტი რჩება. ის უმეტეს შემთხვევაში შოვინისტიც კი ხდება—რადგანაც ყველაზე უფრო პირდაპირ გრძნობს თავის სამშობლოს. ძლიერების მნიშვნელობას თავის ჯიბის გასავსებათ.

სულ სხვაა პროლეტარი. სამშობლოში ის არ გარყვნილა სახელმწიფოს მფარველობით, საზღვარგარეთ — მატადრე კულტურულ ქვეყნებში — მას არ სჭირია თავის მამულის მფარველობა. როცა უცხოეთში მიდის, ის ირჩევს ისეთ სახელმწიფოს, რომლის წყობილება და კანონები უფრო კარგათ ექცევიან მუშებს, ვინემ ეს მის სამშობლოშია. მისი ხელობის ახალ ამხანაგების ინტერესი არ მოითხოვს, რომ მას მოაკლონ კანონის მფარველობა იმ შემთხვევებში, როცა ეს განსაკუთრებით საჭიროა, სახელდობრ ექსპლოატატორობის წინააღმდეგ. განა საკუთარი მათი ინტერესი არ მოითხოვს, რომ მას რაც შეიძლება მეტი წინააღმდეგობის გაწევა შეეძლოს ექსპლუატატორისთვის?

ერთი სიტყვით, თანამედროვე პროლეტარი უფრო

ძლიერ სწყვეტს კავშირს მამულთან, ვინემ ამქრულ ეპოქის მოსიარულე ქარგალი ან ვაჭარი. ის ნამდვილი კოსმოპოლიტი ხდება, მისი სამშობლო —მთელი ქვეყანაა.

მართალია, ეს კოსმოპოლიტიზმი ბევრ ზარალს, ხანდა ხან საშიშროებასაც უმზადეს იმ ქვეყნების მუშებს, სადაც ცხოვრების მოთხოვნილებები უფრო მაღლა დგანან და შრომის უკეთესი პირობებია და სადაც ამიტომ იმმიგრაცია ემიგრაციას სჯარბობს. ნაკლებ მოთხოვნილებების მქონ და უფრო უმწეო უცხოელების კონკურენცია, რასაკვირველია, ხელს უშლის ამ მუშებს კლასობრივ ბრძოლაში: როგორც სხვა და სხვა ქვეყნის კაპიტალისტია შორის არსებულ კონკურენციას, ისე ამ კონკურენციასაც შეუძლია განსაზღვრულ გარემოებებში ერთა შორის მტრობა გაამწვავოს, ადგილობრივი მუშები მოსულების წინააღმდეგ აამხედროს. მაგრამ ნაციონალური ბრძოლა, რომელიც ბურჟუაზიულ წრეებისათვის მუდმივი მოვლენაა, პროლეტარებში ყოველთვის გარდამავალ ხასიათისაა.

ადრე თუ გვიან პროლეტარები რწმუნდებიან — მწარე გამოცდილებით მაინც, თუ სხვა გზით არა—რომ იაფ სამუშაო ხელის შემოსვლა ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყნებიდან ისეთივე აუცილებელი თანამგზავრია წარმოების კაპიტალისტურ წესის, როგორც მანქანების შემოღება ან მრეწველობაში ქალების შემოსევა, და როგორც ამ უკანასკნელების, ისე მისი მოსპობაც შეუძლებელია კაპიტალიზმის დროს.

მოწინავე ქვეყნების მუშათა მოძრაობას ხელს უშლის საზღვარგარეთელ მუშების განუვითარებლობა კიდევ სხვა მიზეზით: ძლიერი ექსპლუატაცია, რომელსაც იქაური მუშები ურიგდებიან, მოხერხებულ საბაბს, ხშირათ

ნამდვილ საბუთს აძლევს კაპიტალისტებს, რომ კანონმდებლობის გზით ან „თავისუფალ“ შეთანხმებით შრომის პირობების გაუმჯობესებას წინააღუდგენ.

ასეა თუ ისე, მუშებისთვის აშკარა ხდება, რომ სხვა ქვეყნების მუშათა კლასის მდგომარეობას მათ კლასობრივ ბრძოლასთან მჭიდრო კავშირი აქვს. თუმცა ეს გარემოება ზოგჯერ სიძულვილს იწვევს უცხოელ მუშებისადმი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც იმარჯვებს იმის შეგნება, რომ საზღვარგარეთის განუვითარებლობის ხელის შემშლელ გავლენის გასაქარწყლებლათ მხოლოდ **ერთი** უტყუარი საშუალება არსებობს, სახელდობრ **განუვითარებლობის მოსპობა**. გერმანელმა მუშებმა უნდა ისურვონ და, სადაც შესაძლებელია, ხელი უნდა შეუწყონ, რომ სლავიანებმა და იტალიელებმა, როგორც შინ, ისე გარეთაც სამუშაო ქირა გაიდიდონ და სამუშაო დრო შეიმოკლონ; ასევე უნდა მოექცენ გერმანელ მუშებს ინგლისელი მუშები და ევროპიელებს ამერიკელები.

პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ერთ რომელსამე ქვეყანაში დამოკიდებულია სხვა ქვეყნების პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაზე, ეს კი სხვა და სხვა ქვეყნების მებრძოლ პროლეტარებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ნაციონალურ კარჩაკეტილობის და ნაციონალურ შუღლის ნაშთები, რომელიც პროლეტარიატმა ბურჟუაზიისაგან გადმოიღო, ქრება, ის თავს ახწევს ნაციონალურ ცრუმორწმუნოებებს, ითვისებს იმ აზრს, რომ მუშები, რა ენაზედაც უნდა ლაპარაკობდენ, მისი მეგობრები და ამხანაგებია, და არა უცხოელები.

საერთაშორისო სოლიდარობა, ცხადია, განსაკუთრებით ძლიერი უნდა იყოს სხვა და სხვა ერების პროლე-

ტარების იმ წრეთა შორის, რომლებსაც ერთნაირი მიზანი აქვთ და ამ მიზნის მიხწევას ერთგვარ საშუალებებით ცდილობენ.

თუ როგორ აუცილებელია პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობა იმისთვის, რომ კლასობრივი ბრძოლა თავისი მიზნით, ენერგიით და სივრცით განსაზღვრულ ვიწრო ფარგლებს გაშორდეს, ეს იმ თავიდანვე აღიარეს „**კომუნისტურ მანიფესტი**“-ს შემდგენლებმა. მანიფესტი მიმართულია **მთელი ქვეყნის პროლეტარიატის მიმართ** და თავდება მოწოდებით: „შეერთდით!“ ის ორგანიზაცია, რომელიც მათ შეხედულებებს მიემხრო და რომლის სახელითაც ეს მანიფესტი გამოვიდა, საერთაშორისო „**კომუნისტების კავშირი**“ იყო.

1848—49 წ. რევოლიუციონურ მოძრაობის დამარცხებამ ბოლო მოუღო ამ კავშირსაც, მაგრამ მე-60-ე წლებში მუშათა მოძრაობის გამოღვიძებამ ის კვლავ ფეხზე დააყენა, როგორც „მუშათა საერთაშორისო საზოგადოება (დაარს. 1864 წ.). რომლის სულის ჩამდგმელი იყო მარქსი. საზოგადოების საგანი იყო არა მარტო საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობის გაღვიძება სხვა და სხვა ქვეყნების პროლეტართა შორის, არამედ აგრეთვე საერთო მიზანზე მითითება და ამ მიზნის მისახწევათ საერთო გზის ჩვენება. პირველ შემთხვევაში საზოგადოებამ თვალსაჩინო ნაბიჯი წადგა წინ, მეორეში კი რამდენიმეთ დამარცხდა. ის ცდილობდა მთელი ქვეყნის მებრძოლი პროლეტარიატი თანამედროვე სოციალიზმთან შეეერთებია. საერთაშორისო საზოგადოებამ განაცხადა, რომ მუშათა განთავისუფლება მხოლოდ მუშების მიერ შეიძლება, რომ პოლიტიკური ბრძოლა მხოლოდ იარაღია ამ მიზნის მისაღწევათ და რომ პროლეტარიატის

განთავისუფლება შეუძლებელია, სანამ ის დამოკიდებული იქნება საწარმოო საშუალებათა — ცხოვრების წყაროს მონოპოლისტებისაგან. ამ პრინციპებმა „საზოგადოებაში“ ოპოზიცია გამოიწვიეს, რომელიც თან და თან ძლიერდებოდა, რამდენათაც ირკვეოდა, რომ მათ შედეგათ სოციალდემოკრატია უნდა მოყოლოდა. ბურჟუაზიულ, წვრილ ბურჟუაზიულ და პრიმიტიულ—პროლეტარულ უტოპიზმის ყველა მომხრეები, რომელნიც 20—30 წლის წინათ შედარებით მრავალ რიცხვოვანნი იყვენ, აგრეთვე მუშათა არისტოკრატიის წმინდა პროფესიონალიზმის წარმომადგენლები ჩამოშორდენ „ინტერნაციონალს“, როცა კი დაინახეს, თუ საით მიდიოდა ის. პარიჟის კომმუნის განადგურებამ 1871 წელს და მთავრობის დევნამ ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებში დააჩქარეს მისი დაშლა.

მაგრამ შეუძლებელი იყო მის მიერ დანერგილ საერთაშორისო სოლიდარობის შეგნების აღმოფხვრა. „**კომუნისტურ მანიფესტის**“ იდეები მას შემდეგ მთელი ევროპის პროლეტარიატს მოედო (პროლეტარიატის სხვა და სხვა წრეებს ევროპის გარეთაც); უკვე ყველგან მოხდა ან სწრაფათ ხდება კლასობრივ ბრძოლის შეერთება სოციალიზმთან. პროლეტარულ კლასობრივ ბრძოლის პრინციპები, მიზანი და საშუალებანი სულ უფრო და უფრო ერთგვარი ხდებიან ყველა ქვეყნებში. აქედან თავისთავათ დაიბადა სხვა და სხვა ქვეყნების სოციალისტურ მოძრაობათა შორის ნათესაური გრძნობა, კოსმოპოლიტური შეგნება მათზე თან და თან მეტ გავლენას პოულობდა და საჭირო იყო მხოლოდ გარეგანი გარემოება, რომ ამ ფაქტს გამოხატულება მიეღო.

როგორც ვიცით, ასეთი გარემოება იყო ბასტილიის

აღების ასის წლის თავის დღესასწაული, რამაც გამოიწვია საერთაშორისო კონგრესი პარიჟში (1889 წ.). შემდეგმა კონგრესებმა: ბრიუსელის (1891 წ.), ციურიხის (1893 წ.,) ლონდონის (1896) და პარიჟისამ (1900) განამტკიცეს მებრძოლ პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობა, რის გარეგან გამოხატულებას შეადგენს ამას გარდა კიდევ ყოველწლიური **მაისის დღესასწაული.** ამ კონგრესებზე, როგორც ბურჟუაზიულ მშვიდობიანობის კონგრესებზე, თავს იყრიან არა თითო-ოროლა მკვლევარნი და მეოცნებენი, რომელთაც თავის საკუთარ კლასში ტუტუცებათ თვლიან, არამედ ასი ათას, მილიონ მუშა კაცების და ქალების წარმომადგენლები და ხელმძღვანელები. თვითეული მაისის დღესასწაული ცხადათ მოწმობს, რომ მუშათა მასები ყველა პოლიტიკურ და ეკონომიურ ცენტრში, ყველა კულტურულ ქვეყანაში იგებენ პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობას, პროტესტს აცხადებენ ომების წინააღმდეგ და აშკარათ მოწმობენ, რომ ეგრეთ წოდებული ინტერესთა ნაციონალური წინააღმდეგობანი ყოფენ არა ხალხებს, არამედ მხოლოდ მათ ექსპლუატატორებს.

მსოფლიო ისტორიას ჯერ კიდევ არ ახსოვს, რომ ერთა შორის უფსკრული ოდესმე ასე ამოვსებულიყოს, რომ ოდესმე ასეთი ძლიერი საერთაშორისო კავშირი გაბმულიყოს ხალხის ფართო მასებს შორის. ამ მოვლენის სიდიადეს კიდევ უფრო აორკეცებს ის გარემოება, რომ მას ალაგი აქვს იმ დროს, როცა ჰაერი ომის სუნით არის გაჟღენთილი, რაც მსოფლიო ისტორიას გაუგონარ ამბებს პირდება და მთელ ევროპას საშინელ განადგურებას უმზადებს. უკანასკნელი გარემოება აორ-

კეცებს სოციალდემოკრატიის მოვალეობას გადაჭრით აღიაროს თავისი კოსმოპოლიტური შეხედულებანი.

14. — სოციალდემოკრატია და ხალხი

სოციალდემოკრატია მთელი თავისი არსებით საერთაშორისო პარტიაა. მაგრამ ამავე დროს მას აქვს ტენდენცია სულ უფრო და უფრო შეიქნეს **ნაციონალური** ანუ სახალხო პარტია იმ აზრით, რომ ის წარმომადგენელი ხდება არა მარტო სამრეწველო მუშების, არამედ მცხოვრებთა დიდი ნაწილის, ე. ი. ყველა მის მშრომელ და გაყვლეფილ წრეების, ე. ი. ყველა იმათი, ვისაც ჩვეულებრივ სიტყვა „ხალხი“ ეწოდება. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ სამრეწველო პროლეტარიატს აქვს ტენდენცია ერთად ერთ მშრომელ კლასათ გახდეს. ჩვენ აღვნიშნეთ აგრეთვე, რომ სხვა მშრომელი კლასები თავისი ყოფა-ცხოვრებით და შრომის პირობებით სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან პროლეტარიატს; დასასრულ, ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ ერთათ ერთი მუშა პროლეტარიატი მუდამ ზრდის თავის ძალას, განათლებას და შეგნებას, რომ ის სულ უფრო და უფრო ხდება იმ ღერძათ, რომლის გარშემოც თავს იყრიან დანარჩენ მშრომელ კლასების ნაშთები, რომლების რიცხვს თან და თან აკლდება. მისი სულიერი განწყობილება და აზროვნობა გადამწყვეტ მნიშვნელობას ღებულობენ „მთელი მდაბიო ხალხისთვის“. რამდენათაც დაქირავებული მუშები ხალხის ხელ-მძღვანელები ხდებიან, იმდენათ მუშათა პარტიაც სახალხო პარტია ხდება. მართლაც, როცა წვრილ მრეწველობის დამოუკიდებელი მუშაკი თავის თავს პროლეტარათ იგრძნობს, როცა ის მიხვდება, რომ თუ თვითონ არა, მისი შვილები მა-

ინც აუცილებლათ გაპროლეტარდებიან, რომ მისი განთავისუფლება მხოლოდ პროლეტარიატის განთავისუფლებით შეიძლება — მაშინ ის სოციალდემოკრატიას თავის ინტერესების ბუნებრივ დამცველათ აღიარებს.

ჩვენ უკვე ავხსენით წინა თავში, რომ მას არ უნდა აშინებდეს სოციალდემოკრატიის გამარჯვება, რომ ეს გამარჯვება მის ინტერესებსაც ეთანხმება, რადგანაც ის ისეთ საზოგადოებრივ წყობილების დამყარებას მოასწავებს, რომელიც ყველა მშრომელებს — არა მარტო დაქირავებულ მუშებს, არამედ წვრილ წარმოების დამოუკიდებელ მუშაკთაც, კეთილდღეობას და უზრუნველყოფას მიანიჭებს, ექსპლუატაციისა და ჩაგვრისგან დაიხსნის.

მაგრამ სოციალდემოკრატია არა მარტო **მომავალში**, არამედ **თანამედროვე საზოგადოებაშიაც** იცავს „წვრილ ხალხის“ ინტერესებს. პროლეტარიატი, როგორც ყველაზე უფრო გაყვლეფილი კლასი, ვერ განთავისუფლდება ყვლეფისა და ჩაგვრისაგან ისე, სანამ ყოველგვარ ჩაგვრას და ყვლეფას ბოლოს არ მოუღებს. რა სახეც უნდა მიიღონ მათ, ის მათი დაუძინებელი მტერია, ის მოწინავე მებრძოლია ყველა ჩაგრულების და გაყვლეფილების რაზმებში.

ზემოთ ჩვენ „ინტერნაციონალზე“ გვქონდა საუბარი. შესანიშნავია, რომ მისი დაარსების საბაბი პროლეტარიატის მიერ თანაგრძნობის გამოცხადება იყო მეფის მტარვალობის წინააღმდეგ ამხედრებულ **პოლონეთისადმი**; რომ პირველი ადრესი, რომელიც ახლათ დაარსებულმა „საერთაშორისო საზოგადოებამ“ გამოუშვა, მიმართული იყო შეერთებულ შტატების პრეზიდენტ ლინკოლნისადმი, რომელსაც მუშები სალამს უგზავნიდენ **შავკა-**

ნიანების განთავისუფლების გამო; შესანიშნავია, დასასრულ, ისიც, რომ „ინტერნაციონალი“ თავგამოდებით იცავდა **ირლანდიას**, რომელსაც გაბატონებული კლასები ჩაგრავენ, რაც ჯერ არც ერთს ინგლისელების საზოგადოებას არ უქნია. არც ირლანდიის და პოლონეთის მოძრაობას და არც შავკანიანების განთავისუფლებას არ აქვს პირდაპირი დამოკიდებულება დაქირავებულ მუშების კლასობრივ ინტერესებთან.

რომელ ქვეყანაშიაც უნდა აიღოთ სოციალისტური მუშათა მოძრაობა, ამის მაგალითებს ბლომათ შეხვდებით.

ამბობენ, რომ სოციალდემოკრატია ეკონომიურ განვითარების შეუჩერებელ მსვლელობაზეა დამყარებული, რომ სოციალისტურ წარმოების წინასწარ პირობებს წარმოადგენს მსხვილ წარმოების მიერ წვრილის განდევნა, რაც შეიძლება, უფრო სავსებით; რომ ამ ნაირათ სოციალდემოკოატია დაინტერესებულია წვრილ სამრეწველო საქმეთა გაქრობაში, წვრილ ხელოსნების, წვრილ გლეხების და წვრილ ვაჭრების მოსპობაში, რომ ამიტომ ის ხელს უნდა უწყობდეს მათ დაღუპვას და მათი ინტერესების სამსახური არ შეუძლიაო.

ამის პასუხათ უნდა მოვახსენოთ შემდეგი: სოციალდემოკრატია **არ** ახდენს ეკონომიურ ევოლიუციას: მსხვილ წარმოების მიერ წვრილის განდევნა მის დაუკითხავათ ხდება გაბატონებულ კლასების მეცადინეობით. რასაკვირველია, მას არ აქვს საბუთი ამ ევოლიუციას წინ გადაეღობოს. მაგრამ ეკონომიურ განვითარების შეჩერების სურვილი კიდევ არ ნიშნავს წვრილ გლეხების და წვრილ ბურჟუების ქეშმარიტ ინტერესების დაცვას. ასეთი მეცადინეობა სულერთია, გამარჯვებით ვერ დასრულდება და კიდეც რომ მოიპოვოს ცოტაო-

დენი გავლენა, ეს ვნების მეტს ვერავის ვერაფერს მოუტანს. ვინც გლეხებს და ხელოსნებს ურჩევს, ესა და ეს ზომები იხმარეთ და თქვენი მეურნეობა ფეხზე დადგებაო, ის სრულიათაც არ იცავს მათ ინტერესებს, არამედ ულვიძებს მათ უსაფუძვლო ოცნებებს და ნამდვილ ინტერესების დაცვაზე გულს უცრუებს.

მაგრამ თუ წვრილ წარმოების დაღუპვა აუცილებელია, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, თითქოს აუცილებელი იყოს ის საშინელი მოვლენები, რომელიც მას განუშორებლივ თან სდევს. ჩვენ დავინახეთ, რომ წვრილ წარმოების გაქრობა — მხოლოდ უკანასკნელი აქტია გრძელ დრამის, რომლის წინანდელი აქტები წარმოადგენენ წვრილ წარმოების გაღატაკების და დაცემის გრძელ და მტანჯველ პროცესს. სოციალდემოკრატია სრულებით არაა დაინტერესებული ამ პროცესში. მას, პირიქით, ძლიერ სურს, რომ ამ პროცესს ადგილი არ ქონდეს. რაც უფრო დაქვეითდება ის წრე, რომლიდანაც პროლეტარიატი იკრიფება, მით უფრო ძნელი იქნება მისი იმ ხარისხამდე ამაღლება, როცა ის ისურვებს და შეიძლებს **მებრძოლ პროლეტარიატის** რაზმებში შესვლას. რადგან სოციალდემოკრატიის ძალა და რიცხვი სრულებით არაა დამოკიდებული პროლეტარიატის მასსის გამრავლებაზე, არამედ მის მებრძოლ ნაწილის გაფართოებაზე. რაც უფრო მცირე მოთხოვნილებები აქვს გლეხს ან ხელოსანს, რაც უფრო მიჩვეულია დაუსრულებელ შრომას, მით უფრო სუსტათ იბრძვის ის, როგორც პროლეტარი, მით უფრო აყვლეფინებს თავის თავს, მით მეტი ენება მოაქვს თავისი კონკურენციით უკეთეს პირობებში მყოფ მუშებისათვის. რამდენიმეთ იგივე მიზეზები, რომლებიც პროლეტარიატის საერთაშორისო სოლი-

დარობას ანვითარებენ, მაში იწვევენ სოლიდარობას იმ კლასებთან, რომელთაგანაც ის იკრიფება, — თუმცა ამ სოლიდარობას აქამდე გრძნობდა და ანხორციელებდა მხოლოდ ერთი მხარე — პროლეტარები.

ცხადია, როცა დაღუპვის პირზე მდგომი გლეხები და წვრილი ბურჟუები პროლეტარების ხარჯზე ცოდილობენ თავისი დაღუპვის შეჩერებას, რისთვისაც უზომოთ ყველაფენ თავიანთ შეგირდებს და თავის დაქირავებულ მუშების შეერთებას ხელს უშლიან, პროლეტარიატი და სოციალდემოკრატები მათ სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ. მაგრამ სოციალდემოკრატია თავგამოდებით იცავს ისეთ ზომებს, რომელთაც პროლეტარიატისთვის ენება არ მოაქვთ,—უფრო ხელს უწყობენ კიდეც, ხოლო წვრილ გლეხების და ბურჟუების მდგომარეობას თვალსაჩინოთ **ამსუბუქებენ** და **აუმჯობესებენ.** ისეთ ზომებს ეკუთვნის არაპირდაპირ გადასახადების გაუქმება, შემოსავლის კვალობაზე პროგრესიულ გადასახადების შემოღება, მუდმივ ჯარის გაუქმება, მასთან მჭიდროთ შეკავშირებულ სახელმწიფო ვალების თავიდან აშორება და სხვ. ასეთ ეკონომიურ შეღავათებთან ერთად სოციალდემოკრატიას უნდა **გონებრივათაც** აამაღლოს წვრილი ხალხი, რისთვისაც მოითხოვს არა მარტო უფასო სწავლებას, თანამედროვე კულტურის მოთხოვნილებების შესაფერათ მოწყობილს, არამედ ბავშვებისთვის საზოგადოების ხარჯზე სამოსწავლო ნივთების და საჭმელის მიწოდებას. მარტოთ მარტო ის მოითხოვს, რომ ყველა უსახსროს მუქთად შეეძლოს ექიმის და ადვოკატების რჩევის მიღება, უფასო წამლობა და სასამართლოს წინაშე თავის დაცვა.

მხოლოდ ამ გვარ ზომებით შეიძლება დამოუკიდებელ მწარმოებლების მდგომრეობის გაუმჯობესება, რამ-

დენათაც ასეთი გაუმჯობესება შესაძლებელია თანამედროვე საზოგადოებაში. გლეხების და ხელოსნების დაცვა, როგორც **მწარმოებლების**, მათი წარმოების ჩამორჩენილ წესის შერჩენა შეუძლებელია, რადგანაც ეკონომიურ განვითარებას ეწინააღმდეგება. აგრეთვე შეუძლებელია ყველა იმათი, ან მოზრდილი ნაწილის მაინც, გაკაპიტალისტება. შესაძლებელია დავეხმაროთ ამ წვრილ მწარმოებლების მთელ მასას, მხოლოდ როგორც **მხმარებლებს**. მაგრამ სწორეთ ის პარტიები, რომლებსაც გლეხების და ხელოსნების საუკეთესო მეგობრებათ მოაქვთ თავი, ყველაზე უფრო აძრობენ მათ ტყავს, როგორც მხმარებლებს. ეს ტყავის გაძრობა რეალურია და აშკარათ ხდება. როცა ამავე დროს ისინი აცხადებენ—წვრილ მეურნეობას ვიცავთო, ეს ფარისეველობაა და სხვა არაფერი.

წვრილ ბურჟუების და წვრილ გლეხების ამაღლება, როგორც მხმარებლების, არა თუ არ ეწინააღმდეგება ეკონომიურ განვითარებას, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მას. მარტო ამ მხრივაც რომ შევხედოთ საქმეს, ასეთი ამაღლება არა მარტო შესაძლებელი, არამედ სასურველიცაა, თუმცა ამას გარდა მხედველობაში უნდა მივიღოთ კიდევ, ერთი მხრით, უტილიტარული მოსაზრება და მეორე მხრით უბრალო სიბრალული გაკოტრების გზაზე შემდგარ წვრილ გლეხებისა და ბურჟუებისადმი. რაც უკეთესი იქნება მათი მდგომარეობა, როგორც მხმარებლების, რაც უფრო გაუმჯობესდება მათი ყოფა-ცხოვრება, რაც უფრო ფართო იქნება მათი მატერიალური და გონებრივი მოთხოვნილებები, რაც უფრო გათვითცნობიერდებიან ისინი, მით უფრო ადრე უკუაგდებენ მსხვილ წარმოებასთან კონკურენციის გაწევას **შიმშილის** შემწეობით, მით უფრო ადრე მიატოვებენ ისინი უნია-

დაგო ბრძოლას და პროლეტარიატის რაზმებს გაამრავ-
ლებენ; მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი პროლეტარი-
ატის მშვიდ და წინააღმდეგობის უნარს მოკლებულ
ჯგუფებს კი არ გაამრავლებენ, არამედ შეგნებულ მებ-
რძოლთა რაზმებს და ამით დააჩქარებენ მის გამარჯვებას.

ეს გამარჯვება პროლეტარიატის ან წვრილ ბურჟუ-
აზიის და გლეხობის გაღატაკებაზე კი არ იქნება დამყა-
რებული, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობენ შეც-
დომით. სოციალდემოკრატიას სრული საბუთი აქვს მედ-
გრათ ებრძოლოს ასეთ გაღატაკებას და, რამდენათაც ძა-
ლა შესწევს, კიდეც ხელს უშლის მას. ამიტომ მისი გაძ-
ლიერება სარგებლობას მოუტანს არა მარტო დაქირა-

რების და მასთან ერთად მათი ექსპლუატაციის. წვრილ ხალხის **კეთილდღეობა** მაინ ნაკლებ აინტერესებს. ისინი მუდამ მზათ არიან ტყავი აძრონ მას, როგორც მხმარებელს. დეე, გაღატაკდეს, ოღონდ საკუთარი ფასებით ნუ გაქრება მისი წვრილი მეურნეობა, რომელსაც იგი მესაკუთრეთა წრეში შეყავს! ამავე დროს, ყველა ამ პარტიების ინტერესია კაპიტალისტურ ექსპლოატაციის გაფართოება, მაშასადამე ეკონომიურ განვითარების პროგრესი. მათ **სურთ** გადაარჩინონ გლეხი და ხელოსანი, ისინი **პირდებიან** მათ დაცვას, მაგრამ **ფაქტიურათ** ყოველ ღონეს ხმარობენ მსხვილ წარმოების ბატონობის გასაფართოებლათ და გლეხურ და ხელოსნურ წარმოების გამოსადევნათ.

სულ სხვანაირათ ექცევა წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებლებს სოციალდემოკრატია. მართალია, მას არ შეუძლია წვრილ წარმოების დაცვაზე იზრუნოს, მაგრამ არც მის წინააღმდეგ გამოდის. ხელოსნების და გლეხების ექსპროპრიაციას კაპიტალისტები და მსხვილი მემამულეები ახდენენ, და არა პროლეტარები. პროლეტარიატის გამარჯვება, როგორც წინა თავიდან ვიცით, ერთათ ერთი საშუალებაა, რომელიც ამ ექსპროპრიაციას ბოლოს მოუღებს. როგორც **მხმარებლებს**, წვრილ მწარმოებლებს პროლეტარებთან ერთნაირი ინტერესები აქვთ. ამიტომ ისინი სავსებით საფუძვლიანათ მოიქცევიან, თუ თავის ინტერესების დასაცველათ პროლეტარიატთან კავშირს შეკრავენ, ე. ი. სოციალდემოკრატიას შეუერთდებიან.

რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი ჩქარა შეითვისებენ ასეთ შეხედულებას. მაგრამ წვრილმა ბურჟუებმა და გლეხებმა უკვე იწ-

ყეს ბურჟუაზიულ პარტიების დროშის მიტოვება; ეს გარემოება უფრო შესანიშნავია მით, რომ მიდიან ყველაზე უფრო მომქმედი და გაბედული წევრები და მიდიან არა იმისთვის, რომ ბრძოლის ველი სულ დასტოვონ, არამედ იმისთვის, რომ უკუაგდონ წვრილმანი ბრძოლა გაჯახირებულ არსებობის შესარჩენათ და გადავიდენ ძლევა-მოსილ საქვეყნო ბრძოლაზე ახალ საზოგადოების დასამყარებლათ, რომელიც ყველა თავის წევრებს საშუალებას მისცემს თანამედროვე კულტურის ნაყოფებით ისარგებლონ—ბრძოლაზე მთელ კაცობრიობის განსათავისუფლებლათ იმ წყიბილების მუხრუჭისაგან, რომელიც მას განადგურებას უქადის.

რაც უფრო აუტანელი ხდება წარმოების არსებული წესი, რაც უფრო თვალსაჩინოთ უახლოვდება ის გაკოტრებას და რაც ნაკლებ უნარს იჩენენ გაბატონებული კლასები სოციალურ უწესოების მოსპობის საქმეში, რაც უფრო უზნეო და უპრინციპო, პირად ინტერესებისათვის მომქმედ პოლიტიკანების ბრბოთ ხდებიან ეს პარტიები, მით უფრო მეტი, არა პროლეტარულ კლასების წევრები უერთდებიან სოციალდემოკრატიას და მის დროშის ქვეშ პროლეტარიატთან ხელი-ხელ ჩაკიდებულები მიდიან წინ გამარჯვებისაკენ.

კარლ კაუცკი

(მოკლე ბიოგრაფია)

ერფურტის პროგრამის დამწერი, კარლ კაუცკი, ცნობილია, როგორც მარქს — ენგელსის მოძღვრების ღრმა მცოდნე; ის წევრია გერმანიის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის და, თუმცა უკვე ხანში შესულია, (დაიბადა 1854 წ.,) მაგრამ გასაოცარი ენერგიით და თავგამოდებით მუშაობს პარტიაში, როგორც პროპაგანდისტი და როგორც მწერალი.

კაუცკი დაიბადა ავსტრიის ქალაქ პრაგაში. თუმცა ინტერნაციონალურ (საერთაშორისო) ოჯახის შვილი იყო (მამა ჩეხი ყავდა, დედა გერმანელი), მაგრამ მთავრობა მას სდევნიდა, როგორც ჩეხს, და ამიტომ ის ნაციონალისტი გახდა: ავსტრიის იმპერიის დანგრევა და ჩეხიის რესპუბლიკა ჩემი ოცნების საგანს შეადგენდაო, ამბობს თვითონ კაუცკი.

ატყდა ომი საფრანგეთსა და გერმანიას შორის (1870). კაუცკის თანაგრძნობა, როგორც ყველა ჩეხების, საფრანგეთისკენ იყო, მაგრამ კომუნარების (ვინც 1870 წელს კომუნისთვის იბრძოდა) აჯანყებამ და მათმა თავგანწირულმა ბრძოლამ სავსებით მიიზიდა კაუცკის ყურადღება. და ამ დროდან კაუცკი ხარბათ ეწაფება სოც ია

ლისტურ ნაწერებს და პარტიულ ჟურნალ-გაზეთებშიაც მონაწილეობას ღებულობს „Simmachos“ ფსევდონიმით (გამოგონილი სახელი). 1874 წელს მან საბოლოოოთ გადასწყვიტა სოციალდემოკრატიულ პარტიაში შესვლა და კიდეც შეუერთდა ავსტრიის სოციალდემოკრატიას. ამ დროს პარტია ორათ იყო გაყოფილი; კაუცკი იმ თავიდანვე პარტიის მარცხენა, რევოლიუციონურ ნაწილს მიემხრო, რომლის წარმომადგენელი მაშინ შეი იყო. მაგრამ აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოვიყვანოთ, ვითომ კაუცკი იმ დროს ნამდვილი მარქსისტი ყოფილიყოს. პირიქით, ის თავის ნაწერებში ებრძოდა კიდეც მარქსს, მას არ მოსწონდა მარქსის „ცალმხრივობა“ და ძალიან ეშინოდა მისი „ავტორიტეტის“. „უნდოთ შევუდექი მე მარქს—ენგელსის მოძღვრების შესწავლას და, რაც ნაკლებ მესმოდა ის, მით უფრო ვმაღლდებოდი საკუთარ თვალში და კრიტიკის საჭიროებას ვგრძნობდი“, ამბობს თავის თავზე კაუცკი. მიუხედავათ ამისა, ორ უმთავრეს მუხლში კაუცკი მაშინაც კი ეთანხმებოდა მარქსს, სახელდობრ იმაში, რომ მუშების განთავისუფლება მუშებისავე ხელით უნდა მოხდეს და ისტორიაზე მატერიალისტურ შეხედულებაში.

მაგრამ გარემოებებმა ხელი შეუწყვეს კაუცკის, რომ ნამდვილი მარქსისტი გამხდარიყო. სამოცდაათიან წლების მეორე ნახევარში გერმანიის პარტიას შეუერთდა ახალგაზდა მდიდარი მეცნიერი კარლ ხეხბერგი, რომელიც პირადათაც და ქონებითაც დიდ დახმარებას უწევდა პარტიას. ის იძულებული შეიქნა შვეიცარიაში გადასახლებულიყო და 1879 წელს თავის ხარჯით დააარსა პარტიული გაზეთი „სოციალდემოკრატი“ და თანამშრომლათ კაუცკი მიიწვია. კაუცკიმ დიდი სიამოვნებით მი-

ლო ეს წინადადება, რადგან მას საშუალება ეძლეოდა გერმანიის პარტიას დაახლოვებოდა. მართალია, კაუცკი სრულიად არ ეთანხმებოდა ხეხბერგის მიმართულებას, მაგრამ ხეხბერგი თავისუფლებას არ უზღუდავდა კაუცკის; მან „სოციალდემოკრატის“ რედაქტორობა ფოლმარს მიანდო. 1881 წელს, ხეხბერგის მინდობილობით, კაუცკი ლონდონში გაემგზავრა მარქსთან და ენგელსთან და რამდენიმე თვე მათთან გაატარა. ამან დიდი გავლენა იქონია კაუცკის მსოფლიო შეხედულებაზე, მისი მარქსისტული მიმართულება უფრო განამტკიცა და გაასპეტაკა. ამ დროდან დაწყებული ის ბერნშტეინთან ერთად სასტიკ ბრძოლას ეწევა როგორც შინაურ მტრების, ისე გარეშეების წინააღმდეგ.

რაც ხანი გადიოდა, ხეხბერგი უფრო მარჯვნივ იწევდა, ამიტომ მან მოუსპო დახმარება „სოციალდემოკრატს“. გაზეთი პარტიის ხელში გადავიდა. მაგრამ „სოციალდემოკრატი“ დღიურ ჭირ-ვარამს ემსახურებოდა, ის უფრო პრაქტიკულ ბრძოლის იარაღი იყო. ამიტომ 1883 წელს კაუცკი აარსებს გაზეთს „Neue Zeit-ს“ („ახალ დროება“-ს) უმთავრესათ თეორეტიულ კითხვების გასარკვევათ.

რომ უფრო დაახლოვებოდა ენგელსს, კაუცკი 1885 წელს ლონდონში გადასახლდა და 1890 წლამდე თითქმის განუწყვეტლივ იქ ცხოვრობდა. ეს დრო, თვითონ კაუცკის სიტყვით, საუკეთესო იყო მთელ მის ცხოვრებაში. ამ დროს განმავლობაში მოამზადა მან თავისი საუკეთესო გამოკვლევები: „თომა მორი“ და „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში“.

1890 წელს გაუქმებულ იქნა „კანონი სოციალისტების წინააღმდეგ“, რომელიც 1878 წელს გამოსცეს

გერმანიაში. ამ წელს „სოციალდემოკრატის“ გამოცემა შეაჩერეს და კაუცკის „Neue Zeit“ კვირეულ ორგანოთ გადაიქცა, თანაც „სოციალდემოკრატის“ ზოგიერთი ფუნქციები იკისრა: წმინდა თეორეტიულ ორგანოს ნაცვლათ ის პოლიტიკურ ორგანოთ გადაიქცა. მისი სულის ჩამდგმელი კაუცკიც ამ წლიდან (1890) თავს ანებებს წმინდა მეცნიერულ გამოკვლევებს და სოციალიზმის პროპაგანდა—აგიტაციას უნდება: ამ წელს შემდეგაა დაწერილი მისი „ერფურტის პროგრამა“, „პარლამენტარიზმი და სოციალდემოკრატია“, „აგრარული კითხვა“ და მრავალი სხვა წერილები, რომლებსაც პროპაგანდის და აგიტაციის ხასიათი აქვთ. აქედან იწყება აგრეთვე ბრძოლა ბერნშტეინის წინააღმდეგ, იმ ბერნშტეინის, რომელიც კაუცკისთან ერთად ებრძოდა მარქსიზმის მტრებს და რომელიც ბოლოს თვითონ ამხედრდა ამ მოძღვრების წინააღმდეგ.

საზოგადოთ კაუცკის დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანიის სოციალდემოკრატიის წინაშე, როგორც დაუღალავ პროპაგანდისტს და მებრძოლს; მაგრამ როგორც მკვლევარს და სოციალდემოკრატიულ პრინციპების დამცველს, მას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საერთაშორისო სოციალდემოკრატიისათვისაც.

ვ. ნ.

სარჩევი

წინასიტყვაობა. 33

თავი I.

წვრილ წარმოების დაცემა.

1. წვრილი წარმოება და კერძო საკუთრება 21
2. საქონელი და კაპიტალი. 25
3. კაპიტალისტური წარმოება.. 30
4. წვრილ წარმოების ბრძოლა არსებობისათვის 38

თავი II.

პროლეტარიატი.

1. პროლეტარი და ქარგალი... 51
2. სამუშაო ქირა 62
3. პროლეტარიატის ოჯახის დარღვევა. 65
4. პროსტიტუცია.. 67
5. სამრეწველო სათადარიგო ჯარი 68
6. პროლეტარიზაციის ზრდა. ვაჭრული და ინტელიგენ-ტური პროლეტარიატი.. 75

თავი III.

კაპიტალისტთა კლასი.

1. ვაჭრობა და კრედიტი... 85
2. შრომის დანაწილება და კონკურენცია... 91
3. მოგება 94
4. მიწის რენტა... 96
5. გადასახადები 101
6. მოსაგების დაცემა.. 105
7. მსხვილ წარმოების ზრდა. კარტელები.. 110
8. სამრეწველო კრიზისები.... 122
9. ხრონიკული გადაჭარბებული წარმოება.. 137

33.

თ ა ვ ი IV.

მომავალი სახელმწიფო.

1. სოციალური რეფორმა და რევოლიუცია.. 144
2. კერძო საკუთრება და კოლექტიური საკუთრება.. 151
3. სოციალისტური წარმოება... 155
4. სახელმწიფოს ეკონომიური მნიშვნელობა 165
5. სახელმწიფო სოციალიზმი და სოციალდემოკრატია 172
6. მომავალ სახელმწიფოს ორგანიზაცია... 175
7. „ოჯახის დარღვევა“... 191
8. საკუთრების კონფისკაცია... 194
9. ნაწარმოების განაწილება „მომავალ სასელმწიფოში“ ... 201
10. სოციალიზმი და თავისუფლება 211

თ ა ვ ი V.

კლასობრივი ბრძოლა.

1. სოციალიზმი და შეძლებული კლასები 226
2. ქარგლები და მოსამსახურეები.. 231
3. ბოგანო პროლეტარიატი (ლუმპენ-პროლეტარიატი) 235
4. დაქირავებულ პროლეტარიატის გაჩენა 238
5. მუშა პროლეტარიატის ამაღლება 240
6. ბრძოლა პროლეტარიატის ამმაღლებელ და დამამდაბლებელ ტენდენციებს შორის 249
7. ფილანტროპია და შრომის დაცვა კანონმდებლობის მიერ . 252
8. პროფესიონალური მოძრაობა 258
9. პოლიტიკური ბრძოლა.. 271
10. მუშათა პარტია 282
11. მუშათა მოძრაობა და სოციალიზმი. 289
12. სოციალდემოკრატია — მუშათა მოძრაობის და სოციალიზმის შეერთებაა... 298
13. სოციალდემოკრატიის საერთაშორისო ხასიათი 303
14. სოციალდემოკრატია და ხალხი.. 313